


**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
ოკუპირებულ ტერიტორიებზე:**

საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება

კონფერენციის მასალები



Conference Proceedings

**PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON
OCCUPIED TERRITORIES:**

GEORGIA AND INTERNATIONAL EXPERIENCE

2021



საერთაშორისო კონფერენცია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“

ჩატარდა 2021 წლის 24-25 ივნისს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-გადარჩენა, ძარბოვლილი საზოგადოებისათვის უკვე დიდი ხანია ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. საკითხის სირთულე და ადგილზე ამ ობიექტების წვდომის აბსოლუტური შეუძლებლობა, თემას მუდმივად ღიად ტოვებს. ამასობაში კი არა ერთმა ძეგლმა იცვალა სახე და რეალურად ჩვენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების და ისტორიის განადგურების მომსწრენი ვხდებით, თუმცა ვერაფრით ვახერხებთ პროცესების არათუ შეჩერებას, არამედ თვალის გადავწვანასაც კი. ამ მიზნით გადაწყდა, აღნიშნულ პროექტში მთავარი აქცენტი მსოფლიო გამოცდილების გაზიარებაზე გაკეთებულიყო და განხილულიყო არა მხოლოდ ჰუმანიტარულ – სამეცნიერო, არამედ სამართლებრივი კონტექსტიც. ცხადია ამასვე ისახავდა მიზნად კონფერენციაც.

THE INTERNATIONAL CONFERENCE PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON THE OCCUPIED TERRITORIES: GEORGIA AND INTERNATIONAL EXPERIENCE THE INTERNATIONAL CONFERENCE WAS HELD ON 24-25th OF JUNE, 2021.

THE PROTECTION AND RESCUE OF CULTURAL HERITAGE MONUMENTS LOCATED ON THE OCCUPIED TERRITORIES HAS BEEN AMONG THE MOST BURNING ISSUES FOR GEORGIAN SOCIETY FOR A LONG TIME. THE COMPLEXITY OF THE ISSUE AND THE INABILITY TO ACCESS THESE OBJECTS IN SITU ALWAYS LEAVE THE SUBJECT UNSOLVED. MEANWHILE, SEVERAL MONUMENTS HAVE HAD THEIR APPEARANCE ALTERED AND, IN FACT, WE ARE WITNESSING DAMAGE AND DESTRUCTION OF OUR OWN CULTURAL HERITAGE AND HISTORY. NEVERTHELESS, WE ARE NEITHER ABLE TO STOP THESE PROCESSES NOR OBSERVE THEM. THUS, IT WAS DECIDED THAT THE MAIN FOCUS OF THIS PROJECT WAS TO BE ON SHARING INTERNATIONAL EXPERIENCE, NOT ONLY IN THE HUMANITARIAN AND SCIENTIFIC, BUT ALSO IN A LEGAL CONTEXT. THE AIM OF THE CONFERENCE WAS THE SAME.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღწესებულია 228 ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის უძრავი ძეგლი. აქედან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭებული აქვს 142-ს, მათ შორის 33 ეროვნული მნიშვნელობისაა. შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებულია 800-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი, მათ შორის ეკლესია-მონასტერი, ციხე-კოშკი და სხვა.

THERE ARE 228 IMMOVABLE MONUMENTS OF HISTORICAL AND CULTURAL SIGNIFICANCE ON THE TERRITORY OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA. OF THESE, 142 HAVE BEEN GRANTED THE STATUS OF A MONUMENT OF CULTURAL HERITAGE OF GEORGIA, INCLUDING 33 MONUMENTS OF NATIONAL IMPORTANCE.

THERE ARE MORE THAN 800 CULTURAL HERITAGE MONUMENTS / SITES ON THE TERRITORY OF OCCUPIED SHIDA KARTLI, INCLUDING CHURCHES, MONASTERIES, FORTRESSES, TOWERS, ETC.

PROTECTION OF CULTURAL HERITAGE
ON OCCUPIED TERRITORIES:

GEORGIA AND INTERNATIONAL
EXPERIENCE

Conference Proceedings

Tbilisi
2021

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე:

**საქართველო და საერთაშორისო
გამოცდილება**

კონფერენციის მასალები

თბილისი
2021

საერთაშორისო კონფერენცია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“ გაიმართა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საბრანტო კონკურსის 2019 წლის გამარჯვებული პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“ ფარგლებში.


პროექტი განახორციელეს:

© გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი.

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
ოფიციალური პარტნიორი: ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი.

პროექტზე იმუშავეს:

თამარ ხოსროშვილი, მარიამ გაბაშვილი, მანანა თევზაძე, თამარ ბელაშვილი, თამარ ჭუმბურიძე, ზაალ აბაშიძე, გიორგი ჭეიშვილი



THE INTERNATIONAL CONFERENCE **PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON THE OCCUPIED TERRITORIES: GEORGIA AND INTERNATIONAL EXPERIENCE** WAS HELD WITHIN THE FRAMEWORK OF THE PROJECT WINNER PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON THE OCCUPIED TERRITORIES: GEORGIA AND INTERNATIONAL EXPERIENCE OF A 2019 GRANT CALL FOR THE PROMOTION OF SCIENTIFIC RESEARCH PROJECTS AND INTERNATIONAL SCIENTIFIC EVENTS ON THE OCCUPIED TERRITORIES OF GEORGIA, BY THE SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA.

THE PROJECT WAS IMPLEMENTED BY:

© THE GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION

TBILISI STATE UNIVERSITY IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY,
THE KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS. OFFICIAL PARTNER:
GEORGIAN NATIONAL COMMITTEE OF THE BLUE SHIELD.

PROJECT PARTICIPANTS:

TAMAR KHOSROSHVILI, MARIAM GABASHVILI, MANANA TEVZADZE, TAMAR BELASHVILI, TAMAR CHUMBURIDZE, ZAAL ABASHIDZE, GIORGI CHEISHVILI

თარგმანი: ქეთევან რუხაძე
დინა ოთიაშვილი
მარიამ გაბაშვილი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ქეთი რუთ დევისი

Translation: Ketevan Rukhadze
Diana Otiashvili
Mariam Gabashvili

English text editor: Katie Ruth Davis

ISBN: 978-9941-8-1027-5

დაიბეჭდა შპს „კოლორში“

შინაარსი/CONTENT

პიტერ სტონი

ლურჯი ფარი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.....11

PETER G STONE

THE BLUE SHIELD AND THE PROTECTION OF HERITAGE IN OCCUPIED TERRITORIES.....17

† ინგა კლარა ქარაია

ICOM-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე
კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.....21

† INGA KLARA KARAIA

THE ROLE OF ICOM AND OTHER INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN THE PROTECTION
OF CULTURAL HERITAGE IN THE OCCUPIED TERRITORIES.....27

ბრაიენ ი. დანიელსი

მექანიზმები უფრო ძლიერი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის საქართველოს
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.....32

BRIAN I. DANIELS

MECHANISMS FOR STRONGER INTERNATIONAL COOPERATION IN THE PROTECTION
OF GEORGIAN CULTURAL HERITAGE.....38

ემა ქანლიფი. მანანა თევზაძე

კულტურული მემკვიდრეობის განადგურება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში: წინასწარი
მიმოხილვა.....42

EMMA CUNLIFFE. MANANA TEVZADZE

CULTURAL HERITAGE DESTRUCTION IN OCCUPIED TSKHINVALI REGION: A
PRELIMINARY REVIEW.....61

იჰორ პოშივაილო

კონფლიქტის დროს დაზარალებული მემკვიდრეობის დაცვა უკრაინაში: გამოწვევები,
რეაგირება და საერთაშორისო კონტექსტი.....77

IHOR POSHYVAILO

PROTECTING THE CONFLICT-AFFECTED HERITAGE IN UKRAINE: CHALLENGES,
RESPONSES AND INTERNATIONAL CONTEXT.....85

ელმირა აბლიალიმოვა-ჩიჰოზი. კატერინა ბუსოლი. დენის იაშნი

თანამედროვე კოლონიზაცია: კულტურული ფასეულობები რუსეთის მიერ ოკუპირებულ
ყირიმში.....91

ELMIRA ABLIALIMOVA-CHYIHOZ. KATERYNA BUSOL.

DENYS YASHNYI

CONTEMPORARY COLONISATION: CULTURAL PROPERTY IN RUSSIA-OCCUPIED CRIMEA.....103

ზაზა ცოტნიაშვილი

კულტურული მემკვიდრეობა და კონფლიქტი (ცხინვალის რეგიონის ადგილობრივი მედიის
მიხედვით).....112

ZAZA TSOTNIASHVILI

CULTURAL HERITAGE AND CONFLICT (ACCORDING TO THE LOCAL MEDIA OF THE
TSKHINVALI REGION).....116

სალომე ბახია-ოქრუაშვილი	
აფხაზური ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფიის შესახებ.....	119
SALOME BAKHIA-OKRUASHVILI	
ABOUT THE ABKHAZIAN ETHNOCENTRIC HISTORIOGRAPHY.....	124
 ბეჟან ხორავა	
ბედიის ტაძარი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში.....	128
BEZHAN KHORAVA	
BEDIA CATHEDRAL IN THE 19th AND THE BEGINNING OF THE 20th CENTURY.....	135
 ლია ახალაძე	
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის აფხაზი ქომაგი – იოსებ აძინბა.....	141
LIA AKHALADZE	
THE ABKHAZIAN ENTHUSIAST OF GEORGIA'S CULTURAL HERITAGE – IOSEB ADZINBA.....	147
 მედეა აბულაძე	
გასული საუკუნის არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.....	152
MEDEA ABULADZE	
ABOUT THE PRESERVATION OF THE ARCHITECTURAL AND URBAN HERITAGE OF THE PAST CENTURY.....	161
 თემო ჯოჯუა	
ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობისათვის (დედოფალი ქურდაბი).....	169
TEMO JOJUA	
IDENTITIES OF HISTORICAL FIGURES DEPICTED ON THE NORTHERN WALL OF THE CHURCH OF BEDIA (QUEEN KOURDAB).....	175
 თეა კართველიშვილი	
აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა (კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საისტორიო დოკუმენტების მიხედვით).....	180
TEA KARTVELISHVILI	
MANUSCRIPT HERITAGE OF ABKHAZIA (ACCORDING TO THE HISTORICAL DOCUMENTS PRESERVED IN THE KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS).....	190
 ირმა კვაშილავა	
ისტორიული სამურზაყანოს საკრალური ტოპონიმისა.....	198
IRMA KVASHILAVA	
SACRAL TOPONYMY OF HISTORICAL SAMURZAKANO.....	203
 ხატია ალანია. მარიამ გუნია. გიორგი კობახიძე. გიორგი ქვაცაბაია	
ილორის ეკლესია ოკუპაციის პირობებში.....	208
KHATIA ALANIA. MARIAM GUNIA. GIORGI KOBAKHIDZE. GIORGI KVATSABAIA	
ILORI CHURCH SINCE OCCUPATION.....	214



მოქვი. ღვთისმშობლის ეკლესია X ს. აფხაზეთი
Mokvi. Church of the Virgin. 10th c. Abkhazia



ნებელდა, კანკელი, VII-VIII სს. დეტალი, აფხაზეთი. სემ
Tsebelda. Templon. 7th-8th cc. Detail. Abkhazia. GNM

ლურჯი ფარი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის დაცვა

პიტერ სტოუნი¹

ნიუკასლის უნივერსიტეტის პროფესორი,
UNESCO-ს კულტურულ ფესულობათა დაცვისა და მშვიდობის კათედრის თავმჯდომარე,
საერთაშორისო ლურჯი ფარის პრეზიდენტი
დიდი ბრიტანეთი

შესავალი

ეს სტატია მოიცავს ორ მიმართულებას: საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ლურჯი ფარის შესახებ ინფორმაციას და ზოგად კომენტარებს ოკუპაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ².

ლურჯი ფარი

ლურჯი ფარი³ შეიქმნა 1996 წელს „ოთხი დამფუძნებელი“ მემკვიდრეობის ორგანიზაციის მიერ (არქივთა საერთაშორისო საბჭო, მუზეუმთა საერთაშორისო საბჭო, ძეგლებისა

და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო, და საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუციების საერთაშორისო ფედერაცია).

ლურჯი ფარი არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად და რომელიც ეძღვნება მემკვიდრეობის დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, ასევე ბუნებრივი ან/და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შემდეგ. მასში ამჟამად 30-მდე ეროვნული კომიტეტი გაერთიანებული.

¹ პიტერ სტოუნი არის UNESCO-ს კულტურულ ფესულობათა დაცვისა და მშვიდობის კათედრის თავმჯდომარე ნიუკასლის უნივერსიტეტში, გაერთიანებული სამეფო. ის არის პასუხისმგებელი ამ სტატიაში მოცემულ არჩევანსა და პრეზენტაციაზე იმ შეხედულებების შესახებ, რომელიც სტატიაშია გაჟღერებული, ასევე სტატიაში გამოთქმულ ისეთ მოსაზრებებზე, რომელიც არ ეკუთვნის UNESCO-ს და არ ავალდებულებს ამ ორგანიზაციას. პ. სტოუნი ასევე არჩეულ იქნა ლურჯი ფარის პრეზიდენტად 2020 წლის აგვისტოში.

² მაღლობს მოვახსენებ ანა მარია კაიზერს ამ ნაწილში ბევრი იდეის შემოტანისათვის, თუმცა აქ არსებული ყველა შეცდომა მე მკუთვნი.

³ <https://theblueshield.org/>

ეროვნული კომიტეტები და დამფუძნებელი ორგანიზაციები ირჩევენ პრეზიდენტს და ოთხ პიროვნებას, რომლებიც ემსახურებიან საბჭოს დამფუძნებელი ორგანიზაციების ოთხ წარმომადგენელთან ერთად. აღნიშნული საბჭო და მცირე სამდივნო, ამჟამად დაფუძნებულია და ფინანსდება დიდ ბრიტანეთში, ნიუკასლის უნივერსიტეტის, იუნესკოს კულტურული საკუთრების დაცვისა და მშვიდობის კათედრის მიერ, და ერთად მოიხსენიება როგორც საერთაშორისო ლურჯი ფარი ან BSI. ლურჯი ფარი კოორდინაციას უწევს და განსაზღვრავს იმ ჩარჩოს, რომელშიც მოქმედებს ეროვნული კომიტეტები და თავად ახორციელებს მუშაობას საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ფარის ძირითადი კონტექსტია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (IHL), კერძოდ, 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ (1954HC) და მისი 1954 და 1999 წლების ოქმები,¹ ის უფრო გაეროს ზოგად კონტექსტში მუშაობს (მაგალითად, როგორცაა უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 2199, 2347 და 2368), იუნესკოს კულტურული კონვენციები, და უფრო ფართო კულტურული დაცვის სტრატეგია. საბჭოს ასევე ეცნობება კატასტროფებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინიციატივები, როგორცაა კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის ჩარჩო.

ხალხისა და მათი მემკვიდრეობის დაცვის განუყოფლობა

ლურჯი ფარი ყოველთვის ხალხის დაცვას ანიჭებს პრიორიტეტს, ვიდრე მათი მემკვიდრეობის დაცვას. თუმცა აღნიშნავს, რომ ეს ორი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთისგან თითქმის განუყოფელია. მემკვიდრეობა არის წარსულის მოძრავი და უძრავი ანუ ხელშესახები და არამატერიალური ბმული, რომელიც ეხმარება ადამიანებს და თემებს/საზოგადოებებს, რომ უზრუნველყონ ადგილის, იდენტურობის და კუთვნილების

ბის შეგრძნება, რაც ხალხს ცხოვრებას მიზანს ანიჭებს. ის განსაზღვრავს თუ ვინ არიან ისინი (და რა თქმა უნდა, არცთუ იშვიათად საკამათოდ, თუ ვინ არ არიან ისინი); ვინ ეკუთვნის და ვინ არა; ვინ შედის და ვინ არის გამორიცხული. ბოლოდროინდელ კონფლიქტებში, როგორცაა მაგალითად, ბრძოლები ყოფილ იუგოსლავიაში და ახლახან ახლო აღმოსავლეთში, კონკრეტული საზოგადოების/თემების მემკვიდრეობა, სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმების პარალელურად, მიზანში იქნა ამოღებული არა მხოლოდ მოსახლეობის მოსპობის, არამედ მათი არსებობის დამამტკიცებელი ყველა უძრავი მემკვიდრეობის განადგურების მცდელობითაც.

თუ ჩვენ უნდა დავიცვათ ხალხი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ მათი მემკვიდრეობაც უნდა დავიცვათ.² შეიარაღებული კონფლიქტის ან მის მერე წარმოქმნილი კატასტროფის დროს შეიძლება ორივე საშინლად დაზარალებულ და ორივე გახდეს ექსტრემისტული ჯგუფების სამიზნე.

პარტნიორობის აუცილებლობა

პრობლემა მხოლოდ მემკვიდრეობის სექტორში არ არის. მემკვიდრეობის უნებლიე ან დაუსაბუთებელი განადგურების ნებართვამ შეიძლება შელახოს სამხედრო მისიის წარმატება ან ჰუმანიტარული რეაგირება კონფლიქტის/კატასტროფის შემდეგ. ხოლო CPP-ის ჩართვა დაგეგმვასა და პრაქტიკაში დაგეხმარება წარმატებული შედეგების მიღწევაში. კარგი CPP მოითხოვს პარტნიორობის დამყარებას მემკვიდრეობის, შეიარაღებული ძალების, პოლიციის, საბაჟოსა და საგანგებო სამსახურების ჩათვლით, და ჰუმანიტარულ სექტორებს შორის, რომლებიც ემსახურებიან იმავე მთავარ მიზანს, რათა უზრუნველყონ მდგრადი, მშვიდობიანი თემების განვითარების გარემო.


¹ <https://ihl.databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Treaty.xsp?documentId=2A07EB0EAA5CECAC12563>

² ამგვარი დაცვა, 1954 წლის ჰააგის კონვენციის ტერმინოლოგიის შესაბამისად, ჩვეულებრივ მოიხსენიება, როგორც „კულტურული ფასეულობის დაცვა“ ან CPP, და ეს ტერმინი გამოიყენება ამ დოკუმენტში.

ლურჯი ფარი არსებობს იმისათვის, რომ ამ სექტორებს შორის შექმნას, განავითაროს და შეინარჩუნოს ურთიერთობა. ახლახან ხელი მოეწერა ოფიციალურ პარტნიორობას ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და ნატოსთან, როგორც ჰუმანიტარულ და სამხედრო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირველ ნაბიჯს, რათა მათ თავიანთ საქმიანობაში მოახდინონ CPP-ის ინტეგრაცია. ამ „პროფესიულმა“ სექტორებმა უნდა შეიმეცნონ ის, რომ ისინი მუშაობენ და შეზღუდულნი არიან იმ კონტექსტში, რომელიც თითქმის ყოველთვის განსაზღვრულია პოლიტიკოსების, კანონისა და მედიის მიერ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ უფრო მეტიც არა ის, რომ, კონტექსტი რომელშიც ისინი მოქმედებენ არის დასახლებული მრავალფეროვანი/სხვადასხვაგვარი საერთაშო-

რისო, ეროვნული და ადგილობრივი (და, ზოგჯერ ძირძველი) თემებით.

თუ ჩვენ ამ ურთიერთობას წარმოვიდგენთ როგორც სამკუთხედს, მაშინ ლურჯი ფარი აღმოჩნდება უსაფრთხო ადგილას სამკუთხედის შიგნით სადაც სამივე სექტორი, როგორც სამკუთხედის წვერები ერთმანეთს შეხვდება და შეძლებს განავითაროს მემკვიდრეობისა და CPP-ის მნიშვნელობისა და ღირებულების გაგება, როგორც სამივე სექტორისათვის საერთო და ურთიერთგადამკვეთი მნიშვნელობის მქონე. სამკუთხედი არ არსებობს იზოლირებულად. ის, პოლიტიკის, კანონის, მედიისა და თემების ფართო გარემოშია მოქცეული. ყველა მათგანი კი გავლენას ახდენს სამკუთხედის წვერებზე და ზღუდავს მათ მოქმედებას სამკუთხედის შიგნით:



არსებობს ხუთი ძირითადი პუნქტი რათა გავიგოთ წარმატებულია თუ არა ამგვარი მიდგომა. დიალოგს ამ „უსაფრთხო სივრცეში“ უნდა მივალწიოთ ორმხრივი დიპლომატიისა და პრაქტიკის სულისკვეთებით, იმის გაცნობიერებით, რომ სამივე სექტორი საკითხს უნდა მიუახლოვდეს ღია და რეცეფციული აზროვნებით, და რომ ამგვარმა დიალოგმა შეიძლება შეცვალოს მათი ამჟამინდელი მოსაზრებები და პრაქტიკები სამივე სექტორის სასარგებლოდ. მათი საერთო ძირითადი მიზანი არის მდგრადი თემების დაცვა. მეორეც, მემკვიდრეობის სექტორი სრულად უნდა ჩაერთოს სხვა სექტორებთან ურთიერთქმედების საჭიროებაში და დაეთანხმოს იმ ფაქტს, რომ მოსაზრებები და მისწრაფებები, რომლებიც მხოლოდ მემკვიდრეობას ეხება, შეიძლება პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული სხვა სექტორებთან (ანუ არ იყოს პირდაპირ შესაბამისი სხვა სექტორებთან).

მესამე, თუ მემკვიდრეობის სექტორს სურს, რომ სამხედრო და ჰუმანიტარული სექტორები სერიოზულად მიუდგნენ CPP-ს, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ CPP ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შეესაბამებოდეს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული სექტორების არსებულ პროგრამებს, ვიდრე წარმოდგენილ იქნას როგორც არარელევანტური და დამატებითი ტვირთი, რომელიც მხოლოდ მემკვიდრეობის სექტორს ეხება. ამ მხრივ, CPP შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთდაკავშირებული, მნიშვნელოვანი, საქმიანობის ხელშემწყობი მოქმედება. მეოთხე, მემკვიდრეობის სექტორმა უნდა იცოდეს იმ შეზღუდვების შესახებ, რომელშიც სამხედრო და ჰუმანიტარული მუშაკები მუშაობენ, გააცნობიერონ მისი არსებული პრიორიტეტები. დაბოლოს, ეფექტურობის მისაღწევად, პარტნიორობა უნდა განვითარდეს მშვიდობიანობის დროს, გრძელვადიან, საშუალო და მოკლევადიან პერიოდებში, რომელიც გაგრძელდება შეიარაღებული კონფლიქტის/ბუნებრივი კატასტროფის და პოსტკონფლიქტური/კატასტროფის სტაბილიზაციის დროს. ეს ნათლად აჩვენებს CPP-ს მნიშვნელოვან-

ბას ყველა სექტორის დღის წესრიგთან მიმართებით და ასევე იმას, თუ როგორ შეიძლება ეს შეესაბამებოდეს მათ არსებულ პრაქტიკას და ასევე შესაძლოა პოზიტიურად შეცვალოს ეს პრაქტიკა.

BSI-მ ორგანიზაციის მუშაობა ექვს მიმართულებად დაჰყო (კოორდინაცია; პოლიტიკის შემუშავება; პროაქტიული დაცვა და რისკისთვის მზადყოფნა; განათლება; ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება; საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება; კატასტროფების შემდგომი აღდგენა და გრძელვადიანი დახმარება) რათა შექმნას ჩარჩოები, რომელშიც უნდა მუშაობდეს როგორც BSI, ისე ეროვნული კომიტეტები, და რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის შეთანხმებულ გარე პროფილსა და ორგანიზაციისთვის განკუთვნილ დღის წესრიგს. ეროვნულ კომიტეტებს ეძლევათ წლიური სტანდარტიზებული დაგეგმვისა და ანგარიშგების ციკლის მიხედვით პრიორიტეტი მიანიჭონ ამ ექვს სფეროს საკუთარი ეროვნული სიტუაციის შესაბამისად¹. ამ სფეროებზე ყურადღების გამახვილების მიზნით, BSI-მ ასევე დაადგინა შეიარაღებული კონფლიქტის დროს მემკვიდრეობის რვა კონკრეტული საფრთხე, რომელთა მოგვარება სამივე სექტორის მიერ მშვიდობიან პერიოდში მნიშვნელოვნად შეამცირებს მემკვიდრეობის საერთო რისკს კონფლიქტში (დაგეგმვის ნაკლებობა; სამხედრო/ჰუმანიტარული ცნობიერების ნაკლებობა; თანმდევი ან შემთხვევითი ზიანი; კონკრეტული ან [განზრახ მიმართული] მიზნობრიობა; მოროდიორობა, ძარცვა და ომის შედეგად მიღებული ნადავლი; ძეგლების ხელმეორედ გამიზნულად გამოყენება; იძულებითი უგულებელყოფა; და განვითარება).²

მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

CPP-სთან დაკავშირებით ოკუპაციის განსაზღვრება შეგიძლიათ ნახოთ 1907 წლის ჰა-

¹International Board Activities – Blue Shield International (theblueshield.org)

²Threats to Heritage – Blue Shield International (theblueshield.org)

აგის წესებსა და ჩვეულებებში ომის შესახებ, სადაც ტერიტორია ოკუპირებულად ითვლება მაშინ როცა ის მტრის ჯარის მმართველობაში იმყოფება.¹ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტი პასუხისმგებელია [ა] ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სამოქალაქო საქმეების აღსადგენად, და [ბ] მოქმედი კანონების შენარჩუნებასა და აღსადგენად.² [ეს პასუხისმგებლობები უფრო დეტალურად აღწერილია კომიტეტთან დაკავშირებულ 1954 წლის კონვენციის მე-5 მუხლში; 1954 წლის პირველ ოქმში; ასევე 1999 წლის მეორე ოქმის მე-9 მუხლში. ამასთან, ეს მხოლოდ მაშინ ხდება მნიშვნელოვანი, თუ მტრის ჯარი არის კონვენციის ოქმების მაღალი რანგის მოლაპარაკების/ხელშეკრულებების მხარე ანუ წევრი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულებებში მოცემულია საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც კონვენციის ნებისმიერი მონაწილისგანაა მოსალოდნელი, ის შეიძლება პრაქტიკაში მკაცრად არ იყოს გამოყენებული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სადავო ტერიტორიის საკუთრება. ასეთ შემთხვევაში, ყველა მეზობელი ქვეყანა (იქნება ეს კონვენციის ხელმომწერი თუ არა), პირველ რიგში უნდა ასრულებდეს გაეროს ან კომპეტენტური სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას ამ ტერიტორიის საერთაშორისოდ აღიარებულ საკუთრებაზე. რა თქმა უნდა კვლავ, ერთმა ქვეყანამ ან ქვეყნებმა, შეიძლება არ მიიღონ ასეთი საერთაშორისო გადაწყვეტილებები. ამ შემთხვევაში ჩვენ დავდგებით IHL-ის სრული შეზღუდვების წინაშე.

2021 წლის მაისში, იუნესკოს მიერ ორგანიზებულ ბოლოდროინდელ შევხვედრაზე, სადაც უნდა განხილულიყო წინასწარული პირობები მოძრავი და უძრავი მემკვიდრეობის დაცვის მონიტორინგზე „კონფლიქტის დროს“, წამოიჭრა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ოკუპანტი სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებების შესახებ:

¹Laws and customs of war on land (Hague, IV) (loc.gov)

²Laws and customs of war on land (Hague, IV) (loc.gov) Article 43.

ა) მხარი დაუჭირონ კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს მისი მემკვიდრეობის დაცვაში და შენარჩუნებაში, ხოლო თუ ეროვნული ხელისუფლება ვერ შეძლებს, დამპყრობ ძალას შეუძლია მიიღოს მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ზომები.³ (ხაზგასმა ჩემია).

ბ) მიუხედავად იმისა, რომ „დაცვა“ არის იმ ზარალის შემსუბუქება, რომელიც შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოხდეს, „კონსერვაცია“ ძირითადად გულისხმობს მშვიდობიან დროში მიღებულ ნორმალურ ზომებს საოკუპაციო სახელმწიფოს მხარდაჭერით საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, თუმცა ეს შეიძლება გართულდეს სამოქალაქო არეულობით ან ამბოხით.⁴

არსებითად, კონსერვაციის პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას ნებისმიერი სახის საოკუპაციო ქმედების დროს. სანამ ოკუპანტი სახელმწიფო აკონტროლებს სადავო ტერიტორიას, ტექნიკურ დახმარებასთან ერთად, რომელიც შეიძლება იუნესკომ შემოგვთავაზოს, საერთაშორისო საზოგადოების CPP მნიშვნელოვანია სადავო ტერიტორიაზე ეფექტური მონიტორინგისა და მემკვიდრეობის დაცვის შესაქმნელად. ამგვარი მონიტორინგი გარკვეულ პოტენციალს გვთავაზობს სიტუაციის ჩასაწყნარებლად და შესაძლოა ხელი შეუწყოს სამშვიდობო პირობების შექმნას.

ამგვარი მონიტორინგის გადამწყვეტი ასპექტი უნდა იყოს ის, რომ ის უნდა განხორციელდეს ნეიტრალური, მიუკერძოებელი, და დამოუკიდებელი გუნდის მიერ, რომელსაც ეთანხმება ყველა მეომარი მხარე. ასეთმა მონიტორინგმა უნდა:

ა) მოახდინოს კონცენტრირება CPP-ზე (სანამ კარგად გაეცნობით პოლიტიკურ, იურიდიულ, და მედია კონტექსტს რომელშიც ნებისმიერი მისია შეიძლება განხორციელდეს).

³ 1954HC Article 5 (2)

⁴ 1954HC Article 5 (1 & 2)

ბ) დაიცვას სახელმძღვანელო მითითებები და მკაფიო ნესები, რომლებიც პროცესს მაქსიმალურად გამჭვირვალეს, დამოუკიდებელს და მიუკერძოებელს ხდის.

გ) აამაღლოს ცნობიერება ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობაში CPP-ის მნიშვნელობისა და მემკვიდრეობის მონიტორინგის მიმართულებით მიღებული ზომების შესახებ.

დ) ჩართოს ადგილობრივი თემები ადგილობრივი მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის პროცესში, რომელიც მათთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დასაცავია. სრული მემკვიდრეობის დაცვა უნდა განიხილებოდეს, როგორც ყოვლისმომცველი და ამომწურავი მიდგომის ნაწილი, რომელიც აღიარებულია ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ე) ითანამშრომლოს ინსტიტუციებთან და ორგანიზაციებთან რათა უკვე ჰქონდეთ ცოდნა მემკვიდრეობის ობიექტებსა და კოლექციებზე.

ვ) შეთამხმდნენ ხელისუფლებასთან (საოკუპაციო ძალა – იქნება ეს ყველა მხარის მიერ აღიარებული ოკუპაცია თუ არა) პრინციპების, ნესებისა და მეთოდების შესახებ (მაგალითად, ადგილზე ან/და დისტანციურად), რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ მონიტორინგთან, რაც ხაზს უსვამს სავარაუდო პოზიტიურ საერთაშორისო პასუხს ამგვარი მონიტორინგის ნებართვაზე.

ზ) ახსნას საგარეო მონიტორინგის მექანიზმის არსებობის უპირატესობა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს [ი] სტაბილიზაციის მხარდაჭერას, რეკონსტრუქციას, ნდობას, ურთიერთობების ნორმალიზაციას, და მშვიდობის მშენებლობას; [იი] დოკუმენტირებას ოკუპანტი ძალის მიერ მცდელობას მემკვიდრეობის დაცვაში, და მედიის გაშუქებისას „ყალბი ამბების“ კონტექსტში; და [იიი] ოკუპანტი სახელმწიფოსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის შუამავლობასა და შერიგებას.

მემკვიდრეობის დაცვა კონფლიქტის დროს და მის შემდეგაც, არის ლურჯი ფარის მთავარი ვალდებულება. ის მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ ის დაიწყება მშვიდობიან დროს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარებით. სანამ სადავო ტერიტორიები ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან, უმთავრეს ამოცანად რჩება იმის უზრუნველყოფა, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს მემკვიდრეობის მონიტორინგი და დაცვა ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, როგორც ამას ოკუპანტი სახელმწიფო დართავს ნებას, ყველას სასარგებლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://theblueshield.org/>

<https://ihl.databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Treaty.xsp?documentId=2A07EB0EAA5CECAC12563>

[International Board Activities – Blue Shield International \(theblueshield.org\)](#)

[Threats to Heritage – Blue Shield International \(theblueshield.org\)](#)

[Laws and customs of war on land \(Hague, IV\) \(loc.gov\)](#)

[Laws and customs of war on land \(Hague, IV\) \(loc.gov\) Article 43.](#)

1954HC Article 5 (2)

1954HC Article 5 (1 & 2)

The Blue Shield and Protection of Heritage in Occupied Territories

Peter G Stone¹

Professor at Newcastle University

*UNESCO Chair in Cultural Property Protection & Peace at Newcastle University, UK
of Blue Shield International President*

INTRODUCTION

This contribution comprises two sections: an explanation of the international NGO the Blue Shield followed by some general comments on the protection of cultural property in territory under occupation².

THE BLUE SHIELD

The Blue Shield³ was created in 1996 by the ‘founding four (FF)’ heritage organisations (the International Council of Archives, the International Council of Museums, the International Council on Monuments and Sites, and the International Federation of Library Associations and Institutions).

It is an International NGO, established under Dutch Law, dedicated to the protection of heritage in the event of armed conflict and following natural

and/or human-made disasters and currently has some 30 national committees.

The national committees and FF elect a President and four individuals to serve on its Board alongside four representatives of the FF. This Board and a small Secretariat, currently based at and funded by Newcastle University in the UK through its UNESCO Chair in Cultural Property Protection and Peace, are together referred to as Blue Shield International, or BSI.

BSI co-ordinates and sets the framework within which national committees act and itself delivers work internationally. While the primary context for the Blue Shield is international humanitarian law (IHL), and in particular, the 1954 Hague Convention on the Protection of Cultural Property in the Event of Armed

¹ Peter Stone is the UNESCO Chair in Cultural Property Protection & Peace at Newcastle University, UK. He is responsible for the choice and presentation of views contained in this article and for opinions expressed therein, which are not necessarily those of UNESCO and do not commit the Organisation. He was elected as the President of the Blue Shield in August 2020.

² My thanks to Anna Maria Kaiser for contributing many of the ideas in this section – although all mistakes are mine alone.

³ <https://theblueshield.org/>

Conflict (1954HC) and its Protocols of 1954 and 1999¹, it works more generally within the context of the UN (e.g., Security Council Resolutions 2199, 2347, and 2368) and UNESCO's cultural conventions and wider cultural protection strategy. It is also informed by international initiatives regarding disasters such as the Sendai Framework for Disaster Risk Reduction.

The indivisibility of protecting people and protecting their heritage

The Blue Shield always prioritises the protection of people over the protection of their heritage but notes that the two are closely intertwined and almost indivisible.

Heritage is the tangible and intangible link to the past that helps to provide individuals and communities with a sense of place, identity, and belonging, giving people a reason for living. It defines who they are (and of course, and not infrequently contentiously, who they are not); who belongs, and who does not; who is included, and who excluded. In recent conflicts, such as the fighting in the former Yugoslavia and more recently in the Middle East, the heritage of particular communities has been specifically targeted alongside attacks on civilian populations in attempts to not only eradicate a population but also all evidence of their existence by the destruction of their tangible heritage.

If we are to protect people during armed conflict, we must acknowledge that we also need to protect their heritage². Both can suffer enormously during armed conflict or following disaster, and both are targets of extreme groups.

The need for partnership

The problem is not unique to the heritage sector. Allowing, or worse inadvertently or unnecessarily causing, the destruction of heritage can undermine military mission success or post conflict/disaster humanitarian response, whereas incorporating CPP into planning and practice can help achieve successful outcomes. Good CPP requires a partnership to be built between the heritage, uniformed (including armed forces, police, customs, and emergency

services), and humanitarian sectors working to the same overarching goal of providing the environment for the growth of sustainable, peaceful, communities.

The Blue Shield exists to build, develop, and maintain the relationship between these sectors and recently signed formal partnership agreements with the International Committee of the Red Cross (ICRC) and NATO as the first step of co-ordinating and working with a range of humanitarian and military organisations to integrate CPP into their work.

These 'professional' sectors must acknowledge that they work within, and are constrained by, a context almost always set by politicians, the law, and the media. Equally, if not even more, important, the context in which they operate is inhabited by varied international, national, and local (and, on occasion, indigenous) communities. If we conceptualise this relationship as a triangle with the three sectors as the points of the triangle, the Blue Shield is the safe space within the triangle where the three sectors can meet and develop an understanding of the value and importance of heritage and CPP as being of mutual and overlapping importance to all three sectors. The triangle does not exist in isolation but within the wider environment of politics, the law, media, and communities – all of which influence and constrain the actions of those within the triangle:


There are five key points to understand if this visualisation/approach is to be successful. First, the dialogue in this 'safe space' must be addressed in a spirit of mutually beneficial diplomacy and practice, acknowledging that all three sectors need to approach the issue with open and receptive minds, and that such dialogue may well result in them changing their current opinions and practices for the benefit of all three sectors and that their joint primary focus is the protection of sustainable communities.

Second, the heritage sector needs to become fully engaged with the need to interact with the other sectors and accept that purely heritage opinions and aspirations may not be of immediate relevance to those other sectors.

Third, if the heritage sector wants the military and humanitarian sectors to take CPP seriously there has to be an acceptance that CPP needs to be presented in such a way as it fits the existing agendas of the uniformed and humanitarian sectors and not be presented as an irrelevant, additional burden only relevant to the

¹<https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Treaty.xsp?documentId=2A07EB0EAA5CECACC12563>

² Such protection is, following the terminology of the 1954 Hague Convention, usually referred to as 'cultural property protection' or CPP and this term is used in this contribution.



heritage sector. Finally, to be effective, a partnership must be developed *in peacetime*, working at the long, medium, and short term, which will continue during armed conflict/natural disaster and post-conflict/disaster stabilisation, and which clearly shows the importance of CPP to the agendas of all sectors and how it can fit, and perhaps positively modify, their existing practice.

BSI has broken down the organisation's work into six areas of activity (Co-ordination; Policy Development; Proactive protection and risk preparedness; Education, training, and capacity building; Emergency response; and Post-disaster recovery and long-term support) to give a framework within which both BSI and national committees should work, and which present a coherent external profile and agenda for the organisation. National committees are encouraged to prioritise these six areas to suit their own national situation through a standardised annual planning and reporting cycle¹. To help focus these areas of activity BSI has also identified eight particular threats to heritage in armed conflict (Lack of planning; Lack of military/humanitarian awareness; Collateral and accidental damage; Specific

[or deliberate] targeting; Looting, pillage, and spoils of war; Deliberate reuse of sites; Enforced neglect; and Development) that if addressed in peacetime, by all three sectors, might significantly lower the overall risk to heritage in conflict².

PROTECTION OF HERITAGE IN OCCUPIED TERRITORIES

The definition of occupation in relation to CPP is found in the 1907 Hague Rules and Customs of War, where territory is considered occupied when it is actually placed under the authority of a hostile army.³ In the occupied territory the occupant is responsible for [a] restoring and ensuring public order and civil affairs and [b] respecting the existing laws in force in the country.⁴ These responsibilities are further elaborated specifically with respect to CPP in Article 5 of the 1954HC; in the 1954 First Protocol; and in Article 9 of the 1999 Second Protocol. Although, these only become relevant if the hostile army is a High Contracting Party (HCP) to the Convention/Protocols.

²Threats to Heritage – Blue Shield International (theblueshield.org)

³Laws and customs of war on land (Hague, IV) (loc.gov)

⁴Laws and customs of war on land (Hague, IV) (loc.gov) Article 43.

¹International Board Activities – Blue Shield International (theblueshield.org)

While these treaties outline good practice that should be expected of any HCP to the Convention, they are susceptible to not being implemented rigorously in practice – especially where ownership of territory is disputed. In such a case all belligerent countries (whether HCPs or not) should, in the first instance, abide by any UN or competent Court decision as to the internationally recognised ownership of the territory. Again, of course, one or more belligerent country/ies may not recognise such international decisions. At this point we are faced with the stark limitations of IHL.

At a recent meeting organised by UNESCO in May 2021 to reflect on the preconditions for ‘conflict-time’ monitoring of the protection of movable and immovable heritage, several important issues were raised, in light of the legal obligations of the occupying power to:

a) Support the competent national authorities in safeguarding and preserving its heritage and, if the national authorities are unable, the occupying power may undertake *only the most necessary measures of preservation*¹ (my italics).

b) While ‘safeguarding’ is mitigation against damage that might occur during armed conflict, ‘preserving’ refers mainly to normal peacetime measures taken after the cessations of hostilities, with the support of the occupying power, although this may be complicated by continuing civil unrest or insurgency.²

In essence, the responsibility to preserve lies with the occupying power for the duration of any occupation. As long as an occupying power remains in control of a disputed territory, alongside technical assistance that can be offered by UNESCO, an important recourse for the international community in terms of CPP is to try to establish effective monitoring and protection of heritage in the disputed territory. Such monitoring offers some potential to calm the situation and might contribute to a possible environment for peace.

An absolutely crucial aspect of such monitoring must be that it is carried out by a neutral, impartial, and independent team accepted by all belligerents. Such monitoring should:

a) Focus specifically on CPP (while having an understanding of the political, legal, and media context in which any mission might take place).

b) Follow guidelines and clear rules that make the process as transparent, independent and unbiased as possible.

c) Raise awareness of the importance of CPP and the steps being taken to monitor heritage with the population in the occupied territory.

d) Include local communities in the identification of local heritage for protection that is of particular importance to them. Protecting locally identified heritage must be seen as part of a comprehensive approach to protecting all heritage – as recognised locally, nationally, and internationally.

e) Cooperate with institutions and organisations that already have knowledge of the heritage sites and collections.

f) Agree with the power in charge (the occupying power – be it occupation accepted by all parties or not) the principles, rules, and techniques (e.g., on the ground and/or remote) relating to any monitoring, stressing the likely positive international response for allowing such monitoring.

g) Explain the potential benefits of having an external monitoring arrangement that might include [i] supporting stabilisation, recovery, trust, normalisation of relations, and peacebuilding; [ii] documenting the occupying power’s efforts in protecting heritage, and in the context of media coverage and ‘fake news’; and [iii] mediation and conciliation between occupying power and civil population.

Protecting heritage in, and following, conflict is the key aspiration of the Blue Shield. It can only be successful if started in peacetime with the development of partnerships across all of the sectors mentioned above. While disputed territories are under occupation, a critical task is to ensure wherever possible that the monitoring and protection of heritage is undertaken to the best of our ability as allowed by an occupying power for the benefit of all.

References:

<https://theblueshield.org/>

<https://ihl.databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Treaty.xsp?documentId=2A07EB0EAA5CECACC12563>

[International Board Activities – Blue Shield International \(theblueshield.org\)](https://theblueshield.org/)

[Threats to Heritage – Blue Shield International \(theblueshield.org\)](https://theblueshield.org/)

[Laws and customs of war on land \(Hague, IV\) \(loc.gov\)](https://loc.gov/)

[Laws and customs of war on land \(Hague, IV\) \(loc.gov\)](https://loc.gov/) Article 43.

1954HC Article 5 (2)

1954HC Article 5 (1 & 2)

¹1954HC Article 5 (2)

²1954HC Article 5 (1 & 2)

ICOM-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში

ინგა (კლარა) ქარაია

*ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულტურა და მემკვიდრეობა, როგორც ხალხთა იდენტობის გამოხატულება და მეხსიერებისა თუ ტრადიციული ცოდნის საცავი წარმოადგენს მსოფლიოს მრავალფეროვანი საზოგადოების თვითმყოფადობისა და სოციალური კაპიტალის არსებით კომპონენტებს. ხოლო „კულტურული მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის ნახალისება ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას, პოზიტიური დიალოგისა და ინტეგრაციის პროცესს და ასევე, მდგრადი მშვიდობის შენარჩუნებას“ (UNESCO 2016.).

ამკარაა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში კულტურული მემკვიდრეობა სულ უფრო და უფრო ხშირად წარმოადგენს სისტემური შეტევების პირდაპირ სამიზნეს მსოფლიოში მიმდინარე საკმაოდ მრავალრიცხოვან სამარ კონფლიქტებში. ეს კონფლიქტები ნათლად ავლენს იმ ფუნდამენტურ პრობლემებს, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობა და

ეროვნული ხელისუფლება აწყდება ოკუპაციის შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიმართულებით. საზოგადოებას სულ უფრო და ხშირად უწევს მოუწოდოს იუნესკოს და მის პარტნიორ ორგანიზაციებს – რეაგირება მოახდინონ და მიიღონ ზომები მსგავს სიტუაციებში მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნებისთვის.

იუნესკოს გარდა, საგანგებო სიტუაციებში კულტურული ფასეულობის დაცვა მთავარ ამოცანას წარმოადგენს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობაში. მათ შორისაა, პირველ რიგში BSI (ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტი), ALIPH (კონფლიქტის ზონებში მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ალიანსი, დაფუძნდა 2017 წელს), ასევე, ICOMOS (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის საერთაშორისო საბჭო), ICCROM (კულტურული ფასეულობების დაცვისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცე-

ნტრი), IFLA (საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუციების საერთაშორისო ფედერაცია), ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს) კატასტროფების რისკების მართვის კომიტეტი – ICOM DRMC (იგი თავდაპირველად ფუნქციონირებდა როგორც კატასტროფულ სიტუაციებში დახმარების ოპერატიული ჯგუფი /ICOM DRTF, რომელიც 2004 წელს შეიქმნა კონკრეტული მიზნით, ინდოეთის ოკეანის წყალქვეშა მიწისძვრისგან გამოწვეული ცუნამის შედეგად დაზარალებული ქვეყნების მუზეუმების დასახმარებლად). გასული წლიდან ICOM-მა გააფართოვა თავისი მისია, რომელიც დღეს მოიცავს მუზეუმებისა და მათი პერსონალის წინაშე მდგარ ყველა ანთროპოგენურ და ბუნებრივ საფრთხეზე რეაგირებას. სწორედ ამ მიზნით დაფუძნდა 2019 წელს, ICOM-ის 25-ე გენერალურ კონფერენციაზე (იაპონია, კიოტო) კატასტროფების რისკების მართვის კომიტეტი (DRMC), რომელიც „გლობალურად მოემსახურება მუზეუმებს როგორც ეფექტური, მაინსპირირებელი, ინსტრუმენტული და კოოპერატიული ინტერდისციპლინური პლატფორმა საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნისა და სტიქიური კატასტროფების დროს რეაგირებისთვის“ (ICOM 2019).

ICOM-ის კატასტროფების რისკების მართვის კომიტეტი (ICOM DRMC) მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომიტეტია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე ყველა სხვა ორგანიზაციასთან. DRMC აერთიანებს მუზეუმებთან დაკავშირებულ სპეციალისტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც მონიტორინგს უწევენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას საგანგებო სიტუაციებში და მზად არიან პირველი მოთხოვნისთანავე, კონსულტაციები და დახმარება გაუწიონ კოლეგებს და ინსტიტუციებს საერთაშორისო მასშტაბით. დიდი სტიქიური და ანთროპოგენური კატასტროფების, ასევე საომარი კონფლიქტების დროს და შემდგომ პერიოდში. ICOM-DRMC:

- ✓ მიზნად ისახავს მყისიერად შეაფასოს კატასტროფებთან დაკავშირებული სიტუაცია მუზეუმებსა და მემკვიდრეობის ძეგლებზე, რათა დაუყოვნებლივ განისაზღვროს მათი ყველაზე აუცილებელი საჭიროებები;

- ✓ ცდილობს ძირითადად იმოქმედოს იმ შემთხვევებში, როდესაც სიტუაცია აღემატება რეაგირების ეროვნულ შესაძლებლობებს;

- ✓ მონიტორინგს უწევს კატასტროფებს, შეიმუშავეს რისკის ქვეშ მყოფ მემკვიდრეობაზე რეაგირების მექანიზმებს და მუზეუმებს სთავაზობს რეკომენდაციებს საგანგებო სიტუაციებში;

- ✓ მხარს უჭერს ექსპერტული ცოდნისა და რეგიონული ქსელების გრძელვადიან შესაძლებლობათა განვითარებას;

- ✓ ხელს უწყობს საზოგადოების გათვითცნობიერებას მემკვიდრეობის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ;

- ✓ თანამშრომლობს მემკვიდრეობის საერთაშორისო საზოგადოებასთან საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ყველა იმ ინფორმაციის გაცვლით და გაზიარებით, რაც საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობას.

2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საომარ სიტუაციებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მემკვიდრეობის დაცვაში კულტურისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუციების ჩართულობას და საქმიანობის გააქტიურებას მათთან თანაქმედებით. როცა საომარ მოქმედებათა გამო შიდა ქართლის (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლები განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიისა და ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების (ICOMOS საქართველო, ICOM საქართველო) თხოვნას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მემკვიდრეობის დაცვით დაინტერესებული არაერთი საერთაშორისო ინსტიტუცია და მეტიც, კონფლიქტის ზონაში მდებარე არქიტექტუ-

რული ძეგლებისა და მუზეუმების მდგომარეობაზე პირველი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდა სწორედ მათი მხარდაჭერით. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით (დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორისა და ICOM საქართველოს მიერ მიწოდებული) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კოორდინატების მიღებიდან 24 საათში გაეროს ტრენინგებისა და კვლევების ინსტიტუტის (UNITAR) ოპერატიული სატელიტური აპლიკაციების პროგრამის UNOSAT¹-ის გადაღების საფუძველზე სისტემატურად ხდებოდა კონკრეტული ობიექტების მაღალი რეზოლუციის გამოსახულებების მიღება შიდა გამოყენებისთვის. ხოლო 2008 წლის 19 აგვისტოს უკვე გამოქვეყნდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პირველადი ზიანის შეფასების რუკა, რომლის მიხედვით გაირკვა, რომ გორში, ცხინვალსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ძეგლების დიდი ნაწილი დაზიანდა, ხოლო 3 მუზეუმი (ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი სოფ. თამარაშენში, დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის ოფისი სოფ. ქურთაში, ვასილ აბაევის სახლ-მუზეუმი ქ. ცხინვალში) მთლიანად განადგურდა დაბომბვის, ქვეითი ჯარების შეტევისა და ხანძრის შედეგად.

ამ საომარ კონფლიქტთან დაკავშირებულმა სიტუაციამ ასევე ნათლად დაადასტურა, რომ საერთაშორისო სამუზეუმო საზოგადოებასაც ძალუძს კოლეგების თანადგომა მსგავს რთულ ვითარებაში. ომის პირველ დღეებშივე, ICOM-მა და სხვა მსოფლიო სამუზეუმო ორგანიზაციებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ქართველ კოლეგებს, ხოლო კულტურის საერთაშორისო ინსტიტუციების ინფორმირების მიზნით, ICOM DRTF-ის მიერ შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი (<http://georgia.drftm.info>), რომელიც ICOM საქართველოსთან თანამშრომლობით, 9 აგვისტოდან (და შემდეგშიც)

¹ UNOSAT-ის მიზანია უზრუნველყოს სატელიტური და გეოგრაფიული ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობა გაეროს სისტემის შიგნით და გარეთ. 2003 წლიდან UNOSAT ახორციელებს სწრაფი რუკების შედგენის სერვისს საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამეგობრობისა და გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის, <https://unitar.org/about/unitar/faq/what-unosat>.

რეგულარულად აქვეყნებდა ანგარიშებს საომარი მოქმედების ზონაში მდებარე მემკვიდრეობის ძეგლებისა და მუზეუმების მდგომარეობის შესახებ, რაც ასევე ვრცელდებოდა ICOM-ის საერთაშორისო ქსელში (ICOM-L) (ICOM Georgia 2008) (Schuler, 2008). გარდა ამისა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ დაბომბვის შედეგად სრულად განადგურდა ცნობილი ქართველი მწერლისა და შექსპირის მთარგმნელის – ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, ICOM-ის საერთაშორისო (DEMHIST, ICLM) და საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის ეროვნულმა კომიტეტებმა გამოთქვეს მზადყოფნა თანადაფინანსება გაენიათ მუზეუმის თბილისში (მაჩაბლის ყოფილ საცხოვრებელ ბინაში) გახსნისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, ქვეყნის ომისშემდგომი ეკონომიკური კრიზისის გამო, პროექტი ვერ განხორციელდა.

შიდა ქართლში განვითარებულმა მოვლენებმა ნათელყო, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში (და ოკუპირებულ ტერიტორიებზე) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფრთხეები საჭიროებს სპეციალურ განათლებას და მომზადებას მსგავსი საგანგებო სიტუაციებისთვის. ამ მიზნით, მოყოლებული 2008 წლიდან, ICOM საქართველო აქტიურად თანამშრომლობდა ICOM DRTF-თან, ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტების ასოციაციასთან (ANCBS), ICOM-ის მუზეუმების უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტთან (ICOM ICMS). კერძოდ: ICOM Special projects 2011-ის ფარგლებში, ICOM DRTF-სა და ANCBS-თან თანამშრომლობით, გაიმართა მე-4 ვორკშოპი² (3-7 ოქტომბერი, 2011) სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების მუზეუმებისთვის თემაზე: „კატასტროფებისთვის მზადყოფნა და მართვა – ბუნებრივი კატასტროფები და შეიარაღებული კონფლიქტები“ რომელიც მოიცავდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა რისკების ანალიზი,

² მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსთან თანამშრომლობით, ICOM საქართველო ყოველწლიურად, დაარსებიდან (2007 წლიდან) დღემდე ახორციელებს რეგიონული ტრენინგებისა და ვორკშოპების ციკლს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) მუზეუმების თანამშრომლებისთვის სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის საკვანძო საკითხებზე.

მზადყოფნა, მართვა და აღდგენის მექანიზმები ბუნებრივი კატასტროფებისა და შეიარაღებული კონფლიქტების, ტერორიზმის, სამოქალაქო არეულობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევებში¹. ხოლო ICOM ICMS-ის 37-ე საერთაშორისო კონფერენციამ – „სამუზეუმო საგანძურის საფრთხეები და მისი ევაკუაცია კატასტროფების ან საფრთხეების შემთხვევებში“ (ევროპის, აზიის, აფრიკისა და ჩრდ. ამერიკის ნამყვანი მუზეუმებისა და სხვა ინსტიტუციების მენეჯერების, ასევე უსაფრთხოების სისტემის პროფესიონალებთან მონაწილეობით, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოქტომბერი, 2012), აუდიტორიას გააცნო მუზეუმების უსაფრთხოების ძირითადი სისტემები, სამუზეუმო ფასეულობის ევაკუაციის, პერსონალისა და კოლექციების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები.

ამ და ანალოგიურ საკითხებზე საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ICOM საქართველოს თანამშრომლობა კვლავ გრძელდება. მაგ., 2019 წლის ივლისში ICOM საქართველოს ინიციატივით და კატასტროფების რისკების მართვის კომიტეტის (ICOM/DRMC) ხელმძღვანელობით, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ჩართულობით, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა მე-9 რეგიონული ტრენინგი თემაზე: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კრიზისის პერიოდში“ (Georgian Museums). სამხრეთ კავკასიის რეგიონის მუზეუმების შესაბამისი მიმართულების 20 თანამშრომლისთვის (ტრენერი: სმითსონის ინსტიტუტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი კორინ ვეგენერი, რომლის მიერ ამ საკითხებზე ჩატარებულ საჯარო ლექციას დაესწრნენ საქართველოს მუზეუმების უსაფრთხოების დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებიც).

რასაკვირველია, ICOM საქართველო აცნობიერებს, რომ მხოლოდ მსგავსი ღონის-

ძიებების ორგანიზება არ არის საკმარისი არსებული სიტუაციის მოსაგვარებლად და აუცილებელია უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და საფრთხეების შემცირების მიმართულებით. თუმცა, აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლოკალური კონფლიქტების სიტუაციაში საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ გამოთქვამენ აშკარა მხარდაჭერას რომელიმე კონკრეტული მხარის მიმართ. მათ შეუძლიათ, მოუწოდონ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, დაიცვან 1954 წლის ჰააგის კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“, როგორც მაგალითად, ICOM-ის განცხადება მიმდინარე წელს ნაგორნო-ყარაბახში მიმდინარე საომარ კონფლიქტთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, ICOM-მა მკაცრად დაგმო კულტურული მემკვიდრეობის განზრახ განადგურება და მოუწოდა „ორივე მხარეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი და მიიღონ დიპლომატიური ზომები შექმნილი ვითარების მოსაგვარებლად, რათა დაცული იქნეს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა, სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი, განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა და პოლიტიკური მიზნებისა“ (ICOM 2020).

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში ძალზე მნიშვნელოვანია მხარეებს შორის სიტუაციის ნორმალიზების თვალსაზრისითაც. პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ, თუნდაც ე. წ. შენევის ფორმატის მოლაპარაკებები (საქართველოსა და რუსეთის გარდა, მასში მონაწილეობენ აშშ წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს მხრიდან, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები), ვინაიდან უსაფრთხოების საკითხების გარდა, მის ფარგლებში იხილება ჰუმანიტარული, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართულ მხარეს დღემდე არა აქვს დაზუსტებული ცნობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ

¹ ICOM საქართველოს მიერ ამ ვორკშოპზე იქნა ინიცირებული ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის დაფუძნება, რაც 2013 წელს განხორციელდა კიდეც ICOMOS საქართველოსთან, საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციასა და ეროვნულ არქივთან პარტნიორობით).

და უძრავ ძეგლთა მდგომარეობის შესახებ, რაზეც ჩვენი საზოგადოება კანტიკუნტად იღებს მწირ ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო მისიის მეშვეობით. სამწუხაროდ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ვერა და ვერ მოხერხდა კონფლიქტურ რეგიონებში იუნესკოს მისიასთან ერთად ქართველ ექსპერტთა ჩართვა და ვერ განხორციელდა არსებული სიტუაციის ერთობლივი კვლევა ადგილზე, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში, რომელიც, 2008 წლის საომარი კონფლიქტის შემდეგ ფაქტობრივად მიუწვდომელია ყველა საერთაშორისო დამკვირვებლისთვის (თუ არ ჩავთვლით 2008 წლის ბოლოს ევროსაბჭოს მიერ მივლინებულ დამკვირვებელთა ჯგუფში შემავალ კულტურისა და კულტურულ-ბუნებრივი დირექტორატის ორ წარმომადგენელს, რომლებმაც დაადასტურეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ზემოაღნიშნული დაზიანებები) (Schuler, Th. 2008).

ცხადია, ჩაკეტილი საზღვრების პირობებში ძალზე რთულია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად. ამიტომ, აუცილებელია მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება ადგილობრივ დონეზე და ვინაიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივად არ არსებობს არასამთავრობო სექტორი (ან მათი რაოდენობა თითზე ჩასმოსათვლელია), უშუალო დიალოგის პროცესის განვითარება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე აფხაზ და ოს კოლეგებთან. მით უმეტეს, ამ მხრივ დღეს არსებული მცირე, მაგრამ გარკვეული სახის კომუნიკაცია ნათლად ადასტურებს მათ მზადყოფნას მსგავსი დიალოგისა და თანამშრომლობისთვის. ოღონდ აქ უდავოდ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: არსებული პოლიტიკური სიტუაციების გამო, აუცილებელია მხარეებს შორის სავარაუდო დიალოგი ინიცირებული იყოს კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათი ექსპერტების ჩართულობით და ყოველგვარი პოლიტიკური კონტექსტის გამორიცხვით. როგორც მაგალითად, ევროსაბჭოს პოლიტიკური კოსულტაციების დირექტორატის ნდობის აღდგენის სამმართველოს ინიციატივით

და ევროსაბჭოს ვენეციის ოფისის ხელშეწყობით ორგანიზებული შეხვედრა/სემინარები, რომელიც 2013-2017 წლებში მიმდინარეობდა ევროსაბჭოს პროგრამის (ნდობის აღდგენის ღონისძიებები – CBM)¹ ფარგლებში ქართველ და აფხაზ, ასევე ცალკეულ შემთხვევაში ოს სპეციალისტთა მონაწილეობით და ევროპელ ექსპერტთა ჩართულობით. პროექტი უდავოდ ნაყოფიერი იყო ყველა მხარისთვის და ხელშესახები შედეგიც გამოიღო. კერძოდ, 2013-2014 წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ პროფესიულ ტრენინგ/სემინარებზე ქართველ ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ (და გაეცვალოთ) ინფორმაცია საერთო არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ერთობლივად ემსჯელათ ამა თუ იმ ძეგლის მდგომარეობაზე და ა.შ. აფხაზ კოლეგებს გადაეცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დაცული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე არქიტექტურულ ძეგლთა არქივის ციფრული ვერსია (სქემები, ანაზომები, დეტალური რუკები და სხვა დოკუმენტაცია), რაც მათ მიერ გამოყენებული იქნება მემკვიდრეობის ძეგლების პასპორტიზაციისა და მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესში, რასაც სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი (არსებული ინფორმაციით, დღეისთვის აფხაზეთში უკვე აღნუსხულია 1500-ზე მეტი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ამჟამად მიმდინარეობს მათი ერთიანი რეესტრის შექმნის სამუშაოები). გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში (2015-2017 წწ.) ICOM საქართველოს ინიციატივით და აფხაზ კოლეგებთან შეთანხმებით (შემდეგში ოს სპეციალისტთა მონაწილეობით), გაიმართა სემინარები სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის

¹ პროგრამა „ნდობის აღდგენის ღონისძიებები“ (CBM) ფოკუსირებულია შერიგებაზე და მუშაობს ხალხთა შორის ნდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის ევროპის სხვადასხვა პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში. პროგრამა ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას და დემოკრატიის განმტკიცებას დიალოგის მეშვეობით. მისი მრავალფეროვანი აქტივობები ტექნიკური სახისაა და არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. <https://www.coe.int/en/web/venice/confidence-building-measures>.

საკვანძო საკითხებზე ევროპელ ექსპერტთა ხელმძღვანელობით და გაიცვალა საკმაოდ ფასეული ინფორმაციები მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლთა დაცვისა და მოვლის მიმართულებით. და რაც მთავარია, დამყარდა კოლეგიალური ურთიერთობები და კომუნიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე მუზეუმების წარმომადგენლებთან, რომელიც დღესაც გრძელდება.

ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობასთან ერთად, მსგავსი საერთაშორისო ინიციატივები მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის, რასაც ცხადყოფს, მაგალითად, ევროსაბჭოს CBM პროექტის ფარგლებში ბოსნია-ჰერცეგოვინაში განხორციელებული (2017-2018) და მოლდოვაში (Confidence Building Education 2017-2018). ამჟამად მიმდინარე პროექტები მემკვიდრეობის იმ ძეგლების გადასარჩენად, რომლებიც თანაბრად ეკუთვნის გამყოფი ხაზის (ამ შემთხვევაში მდ. ნისტრუს) ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს. ასევე, საგულისხმოა და გარკვეულ შედეგს უთუოდ გამოიღებს გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის – ბერგჰოფის ფონდის (Berghof Foundation 2020). აქტივობები (Berghof Foundation Caucasus Programme-ს ფარგლებში) ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამშვიდობო დიალოგის მიმართულებით (აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2020 წელს პროექტის ქართულმა გუნდმა 100-ზე მეტი ქართულ-აფხაზური შეხვედრა ჩაატარა, მათ შორის ციფრულ ფორმატში).

წარსულის მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობა, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა შემორჩენილი, ნათლად ადასტურებს ერთ უდავო ჭეშმარიტებას: ამ რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების სტილი და წეს-ჩვეულებები, კულტურული იდენტობა საუკუნეობრივი თანაცხოვრების განმავლობაში ყალიბდებოდა და ქმნიდა შინაგანად მრავალფეროვან, მაგრამ თვისებრივად ერთგვაროვან საერთო ქართულ კულტურას – მემკვიდრეობას, რომელსაც დღეს დაცვა, შენარჩუნება და განვითარება სჭირდება, რაც შეიძლება განხორციელდეს

მხოლოდ ურთიერთგაგებით, დიალოგით, ერთობლივი ძალისხმევით და საერთაშორისო ორგანიზაციების უშუალო ჩართულობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Berghof Foundation 2020. <https://berghof-foundation.org/about>,

<https://www.facebook.com/BerghofFoundationCaucasus/>.

Confidence Building Education 2017-1018. Program of confidence-building measures, <https://confidence-building.education/en/program-of-confidence-building-measures/>.

Georgian Museums. <http://www.georgianmuseums.ge/>.

ICOM (International Council of Museums) 2019. A new International Committee for disaster resilient museums, <https://icom.museum/en/news/a-new-international-committee-for-cultural-disaster-risk-management>.

ICOM Georgia 2008. “Damage Analysis and Assessment of Museums in battle zones of Georgia.” REPORT to ICOM-L/ICOM Georgia. <https://gaccgeorgia.org/Symposium/Georgia2009/Damage%20Analysis%20and%20Assessment%20of%20Museums.pdf>.

ICOM (International Council of Museums) 2020. ICOM strongly condemns the targeting of cultural heritage as a weapon of war in the Nagorno-Karabakh region, and urge parties to find a peaceful solution, <https://icom.museum/en/news/icom-nagorno-karabakh/>.

Schuler, Th. 2008. “Update on emergency situation in Georgia.” The Founding Conference of the Association of National Committees of the Blue Shield (ANCBS), December 7-9, Hague, Netherlands, pdf.

UNESCO (The United Nations Education, Scientific and Cultural Organization) 2016. “Unesco’s response to protect culture in crisis”, *emergency preparedness and response unit*,

UNITUNITE4HERITAGE, <http://unesdoc.unesco.org/images/0024/002449/244984e.pdf>.

The Role of ICOM and Other International Organizations in the Protection of Cultural Heritage in the Occupied Territories

Inga Klara Karaia

*ICOM National Committee in Georgia, President
Caucasus University, Professor*

It is well known that culture and heritage, as expressions of peoples' identities and repositories of memory or traditional knowledge, are essential components of the identity and social capital of the world's diverse societies. And "Promoting respect for cultural diversity is fundamental to preventing violent extremism, generating positive dialogue and inclusion, and fostering lasting peace (Unesco 2016, 6).

It is obvious that in recent decades cultural heritage has become more and more often the direct target of systemic attacks in the rather numerous ongoing war conflicts in the world. These conflicts clearly reveal the fundamental problems that the international community and national authorities face in protecting and preserving cultural heritage in the event of occupation. The society is increasingly calling on UNESCO and its other partner organizations to respond and take steps to protect and preserve the world's cultural heritage in similar situations.

In addition to UNESCO, the protection of cultural property in emergencies is a major task in the work of a number of international organizations. Among them are in particular, BSI (Blue Shield International), ALIPH (International Alliance for the Protection of Heritage in Conflict Areas, founded in 2017), ICOMOS (International Council on the Conservation of the world's monuments and sites), ICCROM (International Centre for the Study of the Preservation and Restoration of Cultural Property), IFLA (International Federation of Library Associations and Institutions), ICOM (International Council of Museums) Disaster Risk Management Committee (ICOM DRMC, which originally functioned as the ICOM Disaster Relief Task Force). This group (ICOM DRTF) was set up by ICOM in 2004 for a specific purpose – to help museums in countries affected by tsunami caused by the Indian Ocean submarine. Since last year ICOM expanded its mission, which today includes responding to all anthropogenic and natural threats

to museums and their staff. To this end, at the ICOM 25th General Conference (Kyoto, 2019) has been established the Disaster Risk Management Committee (DRMC), which “will serve museums globally as an effective, inspiring, instrumental and cooperative interdisciplinary platform for emergency preparedness and disaster response “ (ICOM 2019).

The ICOM Disaster Risk Management Committee (ICOM DRMC) is a standing international committee of the International Council of Museums that works closely with all other organizations working to protect cultural heritage. DRMC brings together museum-related specialists from around the world who monitor cultural heritage protection in emergencies and are ready to provide advice and assistance to colleagues and institutions internationally at the first request. During and after major natural and anthropogenic disasters, as well as war conflicts (after the first response), ICOM-DRMC:

- ✓ Aims at quickly assessing the situation for museums and heritage sites confronted with disasters, in order to immediately evaluate their most pressing needs;
- ✓ Aspires to mainly act in events where the situation surpasses national capabilities for response;
- ✓ Monitors disasters, develops response mechanisms for heritage at risk, and proposes solutions for museums in emergency situations;
- ✓ Supports long term capacity building of expert knowledge and regional networks;
- ✓ Promotes public awareness for heritage in danger;
- ✓ Liaises with the international heritage community by exchanging and sharing information related to emergency situations that put cultural heritage at risk.

The armed conflict of August 2008 once again demonstrated the important role played by the involvement of cultural and other international institutions in the protection of war situations and heritage in the occupied territories and the intensification of activities with their partners. When the immovable and movable cultural heritage sites on the territory of Shida Kartli (so-called South Ossetia)

were in danger of destruction due to the hostilities, the request of the Georgian National Commission of UNESCO and the country’s non-governmental organizations (ICOMOS Georgia, ICOM Georgia) was immediately responded to by a number of international institutions, moreover it was with their support that the first information on the condition of architectural monuments and museums in the conflict zone could be obtained. In particular, within 24 hours after receiving the coordinates of the cultural heritage monuments (coordinates were provided by the Director of the Didi Liakhvi Valleg Museum-Reserve and ICOM Georgia) through the Ministry of Foreign Affairs of Georgia, high-resolution images of specific objects for internal use were systematically taken on the basis of the UNOSAT¹ satellite program of the United Nations Institute for Training and Research (UNITAR). On August 19, 2008, a map of the primary damage assessment of cultural heritage sites was published, according to which a large part of the monuments in Gori, Tskhinvali and the surrounding areas were damaged, and 3 museums (Ivane Machabeli House-Museum in the village of Tamarasheni, Didi Liakhvi Valley Museum-Reserve Office in the village of Kurta, Vasil Abayev House-Museum in Tskhinvali) *were completely destroyed by bombing, infantry attacks and fires.*

The situation related to the 2008 war has made it clear that the international museum community is capable of assisting colleagues in such a difficult situation. In particular, in the first days of the war, in order to inform the world cultural organizations, a special website (<http://georgia.drfm.info>) was set up by the disaster relief team, which, in cooperation with ICOM Georgia, since 9th of August (and beyond) (Schuler, Th. 2008) regularly published reports on the condition of heritage monuments and museums in the war zone, these reports were also distributed through ICOM-List (ICOM Georgia 2008). Besides when it became known, that in 2008,

¹UNOSAT’s goal is to make satellite solutions and geographic information easily accessible to the UN family and through training and capacity development projects. Since 2003, UNOSAT has established a rapid mapping service for the international humanitarian community and the UN Member States. <https://unitar.org/about/unitar/faq/what-unosat>

the Memorial House of Ivane Machabeli (a famous Georgian writer and Shakespeare translator, who had studied in Paris and Stuttgart) in South Ossetia destroyed and was inaccessible during the Georgian/Russian conflict, arose the idea in its rehabilitation project for his Memorial Apartment in Tbilisi which could jointly be supported by the related ICOM International (DEMHIST, ICLM) and National Committees (France, Germany, UK). Unfortunately, because of the country's post-war economic crisis, the project wasn't completed (Later, by the decision of the Ministry of Culture, the Ivane Machabeli Memorial Museum was opened in Valleg Tserovani, where 9900 IDPs from Shida Kartli live together with the museum staff).

Developments in Shida Kartli have made it clear that the dangers and risks of cultural heritage protection in the armed conflict zone (and occupied territories) require special education and preparedness for such emergencies. To this end, since 2008, ICOM Georgia has been actively cooperating with the ICOM Disaster Relief Task Force (ICOM DRTF), the Association of National Committees of the Blue Shield (ANCBS), and the ICOM International Committee for Museum Safety (ICOM ICMS). In particular, in 2011 (October 3-7), in the framework of ICOM Special projects 2011, in cooperation with DRTF and ANCBS, the 4th workshop¹ for museums of the South Caucasus region was organized on the topic: "Disaster Preparedness and Management – Natural Disasters and Armed Conflicts", which included topical issues such as risk analysis, preparedness, management and recovery mechanisms in cases of natural disasters and armed conflicts, terrorism, civil unrest and critical infrastructure². The 37th ICOM ICMS

¹ ICOM Georgia, in cooperation with the International Council of Museums, has been conducting a series of regional trainings and workshops on key issues of museum management for museum staff in the South Caucasus (Georgia, Armenia and Azerbaijan) since its inception (since 2007).

² At this workshop ICOM Georgia initiated the establishment of the Georgian National Committee for the Blue Shield, which was realized in 2013 in partnership with ICOMOS Georgia, the Georgian Library Association and the National Archives.

International Conference – "Threats for the museum treasury and its Evacuation in the case of Disasters or Threats". (with the participation of managers from leading museums and other institutions in Europe, Asia, Africa and North America, as well as security professionals, the Georgian National Museum October, 2012), introduced the audience to the basic security systems of museums, the evacuation of museum valuables, the protection and safety of staff and collections.

ICOM Georgia continues its cooperation with the International Council of Museums on these and similar issues. For example, in July 2019, at the initiative of ICOM Georgia and under the auspices of the ICOM DRMC and with the involvement of the Georgian National Committee for Blue Shield, the 9th regional training on "Cultural Heritage Preservation in Crisis" (Georgian Museums) was held at the Georgian National Museum for 20 staff members of the respective museums (Expert: Corine Wegener, Director of the Smithsonian Institution Cultural Heritage Rescue Initiative, director. Within the event her public lecture was also organized and attended by representatives of the Museum Security Police Department of Georgia).

Of course, ICOM Georgia recognizes that only such measures are not enough to address the current situation and that more effective steps need to be taken to protect the cultural heritage in the occupied territories and reduce the risk. However, it should also be noted that in the situation of local conflicts, international organizations cannot express explicit support for any particular party. They may call on the conflict parties to abide the 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. For example, ICOM's statement on the ongoing Nagorno-Karabakh conflict this year, according to which ICOM strongly condemned the deliberate destruction of cultural heritage and called "both parties to immediately cease fire and adopt diplomacy to resolve the current situation, to protect the cultural heritage of the world wherever it is, regardless of religious beliefs or political intentions" (ICOM 2020).

Cooperation with international organizations in the protection of cultural heritage in the occupied territories is very important and includes very positive moments in terms of normalizing the situation. Positively we can consider for example, so-called Geneva format discussion (Co-chaired by the Organization for Security and Co-operation in Europe, the European Union and the United Nations) the Geneva process brings together representatives of Georgia, the Russian Federation, the United States and – Abkhazia and South Ossetia), whereas in addition to security issues, it also covers humanitarian issues, including the protection of cultural heritage. Nevertheless, the Georgian side still does not have accurate information about the condition of movable and immovable cultural heritage monuments in the occupied territories, about which the Georgian society receives little information through various international missions. Despite repeated attempts, since the 1990s, it has not been possible to involve Georgian experts in the conflict regions with the UNESCO mission and a joint study of the current situation and threat assessments on the ground, especially in South Ossetia, which has been virtually inaccessible to all international observers since the 2008 war, has failed (Except the two representatives of the Culture and Natural-Cultural Directorate, a group of observers sent by the Council of Europe in late 2008, who confirmed the above-mentioned damage to cultural heritage sites) (Schuler, Th. 2008).

Obviously, in the context of closed borders, it is very difficult to take effective steps to improve the current situation. Therefore, it is necessary to establish close communication at the local level, and since there is virtually no non-governmental sector in the occupied territories or their number is limited, develop the process of direct dialogue with Abkhaz and Ossetian counterparts working to protect cultural heritage.

Especially since the small but certain types of communication that exist today in this regard clearly prove their readiness for such dialogue and cooperation. But there is no doubt one circumstance to consider here: Due to existing political situations,

it is necessary that the *alleged dialogue between the parties should be initiated by competent international organizations, with the involvement of their experts and excluding any political context*. For example, the meeting/seminars organized by the Confidence Building Measures Division of the Council of Europe's Directorate of Political Affairs and supported by the Venice Office of the Council of Europe, which took place in 2013-2017 within the framework of the Council of Europe program (confidence building measures – CBM)¹ and with participation of Georgian and Abkhaz, as well as Ossetian specialists and involvement of European experts. The project was undoubtedly fruitful for both parties and yielded tangible results. In particular, at the professional trainings / seminars held in different European countries in 2013-2014, Georgian experts were given the opportunity to receive (and exchange) information on issues related to the common architectural heritage, to jointly discuss the condition of this or that monument and etc. The Abkhazian colleagues were provided with a digital version of the archive of architectural monuments on the territory of Abkhazia (diagrams, measurements, detailed maps and other documentation) protected by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, which will be used by them in the process of documentation and database creation, which was established after these meetings (According to the available information, more than 1500 heritage monuments have already been listed and work is underway to create a unified register of monuments in Abkhazia). In addition, within the framework of the same project (2015-2017) at the initiative of ICOM Georgia and in agreement with Abkhazian counterparts, seminars on museum management were held under the guidance of European experts and quite valuable information was exchanged in the field of protection and

¹ The Confidence Building Measures (CBM) program focuses on reconciliation and works to build trust and improve cooperation between peoples in different post-conflict contexts in Europe. The group's activities are based on the protection of human rights, the rule of law and the strengthening of democracy through dialogue. Its various activities are of a technical nature and are not of a political nature. <https://www.coe.int/en/web/venice/confidence-building-measures>.

preservation of movable heritage monuments. And most importantly, established collegial relationships and communication with museum representatives in the occupied territories, which continues to this day.

In addition to facilitating the process of confidence-building and reconciliation, such international initiatives provide an important opportunity for the protection of cultural heritage in the occupied territories. This is evidenced, for example, by the CBM project implemented in Bosnia-Herzegovina (2017-2018) and ongoing projects in Moldova to preserve heritage sites that belong equally to people living on both sides of the dividing line (in this case the Nistru River) (Confidence building education 2017-2018). Also, the activities of the German non-governmental organization – the Berghof Foundation (within the framework of the Berghof Foundation Caucasus Programme) in the direction of the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian peace building dialogue will be remarkable and will undoubtedly yield some results (For example, in 2020 the Georgian team of the project held more than 100 Georgian-Abkhazian meetings, including in digital format) (Berghof Foundation 2020).

The tangible or intangible heritage of the past on the territory of Abkhazia and South Ossetia clearly confirms an indisputable truth: The way of life and customs of the population of these regions, the cultural identity has been formed over the centuries and created an internally diverse but qualitatively homogeneous common Georgian culture – a heritage that needs protection, preservation and development today, which can be achieved only through mutual understanding, dialogue, joint efforts, direct involvement of international organizations.

References:

Berghof Foundation 2020. <https://berghof-foundation.org/about>,

<https://www.facebook.com/BerghofFoundationCaucasus/>.

Confidence Building Education 2017-2018. Program of confidence-building measures,

<https://confidence-building.education/en/program-of-confidence-building-measures/>.

Georgian Museums 2019. <http://www.georgianmuseums.ge/>.

ICOM (International Council of Museums) 2019. A new International Committee for disaster resilient museums, <https://icom.museum/en/news/a-new-international-committee-for-cultural-disaster-risk-management>.

ICOM Georgia 2008. “Damage Analysis and Assessment of Museums in battle zones of Georgia.”

REPORT to ICOM-L/ICOM Georgia. <https://gaccgeorgia.org/Symposium/Georgia2009/Damage%20Analysis%20and%20Assessment%20of%20Museums.pdf>.

ICOM (International Council of Museums) 2020. ICOM strongly condemns the targeting of cultural heritage as a weapon of war in the Nagorno-Karabakh region, and urge parties to find a peaceful solution, <https://icom.museum/en/news/icom-nagorno-karabakh/>.

Schuler, Th. 2008. “Update on emergency situation in Georgia.” The Founding Conference of the Association of National Committees of the Blue Shield (ANCBS), December 7-9, Hague, Netherlands, pdf.

UNESCO (The United Nations Education, Scientific and Cultural Organization) 2016. “Unesco’s response to protect culture in crisis”, *emergency preparedness and response unit*,

UNITUNITE4HERITAGE, <http://unesdoc.unesco.org/images/0024/002449/244984e.pdf>.

measures, <https://confidence-building.education/en/program-of-confidence-building-measures/>.

<https://berghof-foundation.org/about>, <https://www.facebook.com/BerghofFoundationCaucasus/>.

მექანიზმები უფრო ძლიერი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში

დოქ. ბრაიენ ი. დანიელსი

პენსილვანიის უნივერსიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი
პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ათროპოლოგიის მუზეუმი
აშშ

შესავალი

ცნობილია, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც რუსეთის მხრიდან მხარდაჭერილი სეპარატისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობს, რეალური და უშუალო საფრთხის წინაშე დგას იმ არასანქცირებული, არამეცნიერული არქეოლოგიური გათხრებით, საკონსერვაციო სამუშაოების არარსებობით და მოუვლელობით, რომლის შედეგადაც გაცნობიერებულად იშლება/წარიხოცება ქართული მატერიალური კულტურისა და კულტურული ადგილების კვალი.

ეს ნეგატიური ჩარევები და ინტერვენციები, რომელიც კულტურული ლანდშაფტის სახეცვლილებას იწვევს, როგორც ჩანს, მიმართულია საქართველოს ტერიტორიული ლეგიტიმურობის მოსპობის, ისტორიული კავშირების ძირის გამოთხრისა და ამადვროულად ირედენტისტული პრეტენზიების წამოწევისკენ.

ქართული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებმა იმუშავეს, რომ შეექმნათ კულტურული მემკვიდრეობის დანაკარგების

შემთხვევების დოკუმენტირება და მისკენ მიემართათ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება, და კვლავ გაეაზრებინათ ახალი მომავალი კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე ფიზიკურად შეუსვლელად (Golden 2020). ამ სიმპოზიუმის მასალებში მოცემულია საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებსაც გავლენა და მნიშვნელობა აქვთ როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ამ ღონისძიებაში ჩემი მონაწილეობა გულისხმობს სრულიად სხვა სახის ჩარევას. იმის ნაცვლად, რომ კონკრეტული დაზიანების შემთხვევებზე ვიმსჯელო, მსურს განვიხილო ის ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება გადაიდგას ახალი ორმხრივი ურთიერთობების, აკადემიური გაცვლის გზით კონკრეტული ურთიერთთანამშრომლობისა და მემკვიდრეობის

დაცვის კონკრეტული ქმედებების სახით რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქართული მემკვიდრეობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების დასახმარებლად ახლო მომავალში. აქ მე განვიხილავ თუ რა სარგებელი შეიძლება მოჰყვეს შემდეგ ქმედებებს: (1) კულტურული ფასეულობების დაცვის ორმხრივი შეთანხმების შემუშავება – განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან; (2) ტრანსნაციონალური კვლევითი ქსელების გაფართოება; და (3) დაუზიანებელი მემკვიდრეობის ძეგლებისა და კოლექციების დოკუმენტაცია. მე ვფიქრობ, რომ ამ მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯებმა უნდა მიგვიყვანოს ქართული მხარისთვის რეალურ, ხელშესახებ სარგებელთან და ასევე ქვეყნის უნიკალური მემკვიდრეობის დაცვასთან.

ორმხრივი შეთანხმების განვითარება შეერთებულ შტატებთან ერთად

უპირველეს ყოვლისა, ორმხრივი შეთანხმება შეერთებულ შტატებთან, რომელიც შეესაბამება კონვენციას 1983 წლის აქტზე კულტურული ფასეულობების განხორციელების შესახებ (CCPIA), წარმოადგენს უკიდურესად მნიშვნელოვან დიპლომატიურ და აკადემიურ ასპარეზს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში ჩართვისთვის.

სავარაუდოდ, გარკვეული არ არის ამ ორმხრივმა შეთანხმებამ ამ კანონთან შესაბამისად როგორ ან რატომ უნდა გააუმჯობესოს თანამშრომლობა ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. თუმცა, ორმხრივი შეთანხმება მემკვიდრეობის დაცვის თემაზე წარმოადგენს ოფიციალურ საგანმანათლებლო, კულტურული და საკანონმდებლო ამოსავალ წერტილს შეერთებულ შტატებსა და უცხო ქვეყნებს შორის (Luke and Kersel, 2012.) CCPIA არის ის სამართლებრივი მექანიზმი, რომელსაც ეყრდნობა შეერთებული შტატები – იუნესკოს 1970 წლის კონვენცია კულტურული ფასეულობების უკანონო იმპორტის, ექსპორტისა და საკუთრებაში გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის შესახებ. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომელშიც იუნესკოს 1970 წლის კონვენცია არის თვითმოქმედი და

რეალიზებული 1995 წლის UNIDROIT-ის კონვენციის მეშვეობით გატაცებული ან უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობების ან აღიარების მეშვეობით მოქმედი საექსპორტო ლიცენზიებით (იხ. Gerstenblith, 2013a), შეერთებული შტატები ითხოვს, რომ ქვეყანა აძლევს ოფიციალურ მოთხოვნას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს მოპარული ან გაყიდული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ობიექტების იმპორტირების შეზღუდვის თაობაზე.

აშშ-ის დეპარტამენტისადმი გაგზავნილი თხოვნა უნდა შეიცავდეს ქვეყნის ისტორიისა და მატერიალური კულტურის აღწერას, მის სამუზეუმო ინფრასტრუქტურას, და მემკვიდრეობის პროფესიონალიზაციის პროგრამებს. ის ასევე უნდა ითვალისწინებდეს CCPIA-ს ოთხ სპეციფიკურ კრიტერიუმს: (1) თუ რამდენად არის მომთხოვნი ქვეყნის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ობიექტები გაძარცვისა და რისკის ქვეშ; (2) რამდენად იღებს ზომებს მომთხოვნი ქვეყანა მისი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად იუნესკოს 1970 წლის კონვენციის შესაბამისად; (3) რამდენად შეზღუდა სხვა ქვეყნებმა, რომელთაც იდენტური ტიპის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ობიექტებით საიმპორტო ვაჭრობა აქვთ, მსგავსი არტეფაქტებით ვაჭრობა; და (4) რამდენად შეესაბამება იმპორტის შეზღუდვები საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო მიზნებისთვის კულტურული მასალების ჩანაცვლებაში. განაცხადის ჩაბარების შემდეგ პრეზიდენტის კულტურული მემკვიდრეობის საკონსულტაციო კომიტეტი იკრიბება რათა განიხილონ განაცხადი და გააკეთონ რეკომენდაციები საგანმანათლებლო და კულტურის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ასისტენტისთვის, რათა აწარმოონ თუ არა ორმხრივი შეთანხმება. სახელმწიფო მდივნის ასისტენტი რჩება იმ პირად, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს.

ნათელი ხდება, რომ ეს პროცესი ჩახლართულია და გულწრფელად რომ ვთქვათ, დამამძიმებელია მომთხოვნი ქვეყნისთვის. სამუ-

შაოს შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გვთავაზობს გზას ურთიერთობის განსამტკიცებლად შეერთებულ შტატებთან და მის მემკვიდრეობის პროფესიონალთა საზოგადოებასთან. თუ ორმხრივი შეთანხმება შედგება, ის შექმნის არადოკუმენტირებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ობიექტების ნუსხას, რომლის მეშვეობითაც ვერ განახორციელებენ ვაჭრობას შეერთებულ შტატებში. ის ასევე ადგენს ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩოებს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე შეერთებულ შტატებთან და თხოვნის მიმღებ ქვეყანას შორის, ტექნიკური დახმარებისა და საერთო დახმარების ჩათვლით. როგორც ორმხრივი ოფიციალური შეთანხმების ნაწილი, ეს ენა შეერთებული შტატებისთვის ხდება მისი ფინანსური დახმარების წყარო. ეს ასევე არის სიგნალი ამერიკული აკადემიური საზოგადოებისათვის შეერთებულ შტატებსა და უცხო ქვეყანას შორის საერთო საკითხების შესახებ. თითოეულ ორმხრივ შეთანხმებას აქვს შესაბამისი სამოქმედო გეგმა გარკვეული დებულებებით, რომლებიც სპეციფიკურია მომთხოვნი ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით დესტაბილიზირებული საზღვრების მქონე ქვეყნებში, აქტიური ან „გაყინული“ კონფლიქტებით, ან სადაც არსებობს „კულტურული წმენდის“ რისკი (შდრ. Bokova 2015), სამოქმედო გეგმა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნებისა და პრიორიტეტების კონკრეტულ მონახაზს. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ორმხრივმა შეთანხმებამ და შესაბამისმა სამოქმედო გეგმამ შეიძლება უზრუნველყოს აშშ-ის მეტი ყურადღების გამახვილება ტერიტორიული ოკუპაციის გამო ქვეყანაში მომხდარი კულტურული დანაკარგების შესახებ. ისინი ასევე ტრანსნაციონალური კვლევის განვითარების ნახალი-სების გზებსაც წარმოადგენენ.

მკვლევართა ქსელების გაძლიერება

ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მეორე გზა საერთაშორისო კავში-

რების გაღრმავებაა სხვადასხვა ქვეყნებთან კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე კვლევის, განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობებისათვის. მრავალი თვალსაზრისით, ეს კონფერენცია წარმოადგენს ამ ქსელების პოტენციალს. საუბარია იმაზე, თუ როგორ წარმოიქმნება ისინი და თუ როგორი მხარდაჭერა აქვთ მათ ხშირად არასასურველ ვითარებებში. კულტურული მემკვიდრეობისა და კონფლიქტის კვლევების უმეტესობა ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების „კრიზისულ“ ან „პოსტკრიზისულ“ დოკუმენტაციაზე – ეს განსაკუთრებით გაძარცვული ან განზრახ დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტების შედეგებს ეხება (მაგ., Bewley et al., 2016; Casana, 2015; Cunliffe, 2014; Hammer et al., 2018; Hritz, 2008; Isakhan, 2018; Layton, Stone, and Thomas, 2001; Wolfenbarger et al., 2014).

ამ ძალისხმევის დიდი ნაწილი შესრულდა როგორც სამომავლოდ სამართლებრივი ან-გარიშვალდებულების იმედის მექანიზმი (მაგ., Beven, 2007; Gerstenblith, 2016). ჩვენთვის გაცილებით ნაკლებია ცნობილი იმ გლობალური ფენომენის შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიულ განზრახვას, ისე ძალისხმევის სისტემატიურ კოორდინაციას მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ განადგურების, შეცდომაში შემყვანი და არაზუსტი რეკონსტრუქციისა და კონსერვაციის, ასევე მემკვიდრეობის ძეგლების ნაშლის ისეთ მეთოდებზე, რომლებიც ფარავენ ისტორიულ უფლებებს ან იგონებენ ახალ ირედენტისტულ უფლებებს. ძალზე ხშირად, კულტურული მემკვიდრეობის განადგურება პოლიტიკოსების ან თუნდაც სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა მხრიდან განიხილება როგორც კონფლიქტის სავალალო გვერდითი/თანმხლები დანაკარგი, და არა როგორც სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმის წინასწარ განზრახული და ინსტრუმენტული კონფლიქტის მიღწევის მიზანმიმართული სტრატეგიის ნაწილი. ჩვენი კვლევითი საზოგადოებისთვის შემდგომი აუცილებელი ნაბიჯი არის ის კონკრეტული გადაუჭრელი და განმსაზღვრელი

საკვლევი საკითხები, რომელთა გამოკვლევაც შესაძლებელია კოორდინირებული კვლევითი ინიციატივების ჩარჩოებში. ჩვენ გვჭირდება უფრო მასშტაბური, მდგრადი და სისტემური მიდგომა.

შეუძლებელია საქართველოსა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური არასტაბილურობის ან კონფლიქტის შემთხვევაში აკადემური ქსელების გაძლიერება იმის გათვალისწინებით, თუ როგორც აისახება ეს სიტუაციები ცალკეული ადგილობრივი მკვლევარების მიერ კვლევისა და დოკუმენტაციის ჩატარების უნარზე.

უკვე არსებობს რამდენიმე კვლევითი შესაძლებლობა ამ ქვეყნების მეცნიერებისთვის და, შესაბამისად, კონფლიქტით დაზარალებულ მეცნიერებს, ხშირად არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კვლევით კონსორციუმებში, ჩაერთონ სამეცნიერო ქსელებში ან მიიღონ წვდომა სამეცნიერო კვლევის პუბლიკაციებზე, რაც ზღუდავს მათ სამეცნიერო მიღწევებს.

ეს პრობლემა ღრმავდება იმით, რომ კონფლიქტით დაზარალებული მეცნიერები ხშირად გამოირიცხება კვლევების პრიორიტეტებიდან საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების განვითარებასთან. მეტიც, კონფლიქტით დაზარალებულ მეცნიერებს შეიძლება შეექმნათ შეფერხებები აკადემიურ სფეროებში წინსვლისას და მათი აკადემიური მუშაობა შეფერხდეს უსაფრთხოების, ნებაყოფლობითი და უნებლიე მიგრაციისა და პროფესიული შეზღუდული შესაძლებლობების გამო. მათ შეიძლება არ ჰქონდეთ წვდომა ინსტიტუციონალურ რესურსებზე კვლევის ჩასატარებლად, გამოქვეყნების ან საგრანტო სახსრების უზრუნველსაყოფად. მათ ასევე არ შეუძლიათ პროფესიონალურ ღონისძიებებსა და კვლევით ცენტრებში გამგზავრება პროფესიული კავშირების შესაქმნელად. ამ მიზეზების გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ძალადობას, რომელიც თან ახლავს კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას, ეთიკური აუცილებლობაა, რომ კონფლიქტით დაზარალებულ მეცნიერთა

საკითხები ჩაერთოს კვლევის დაგეგმვისა და ფორმირების საწყის ეტაპზე. ეს ვალდებულება კიდევ უფრო უზრუნველყოფს იმას, რომ კვლევითი ქსელები არა მხოლოდ სწავლებას შეეხება, არამედ ერთობლივი სტიპენდიების რეალურ ამუშავებასაც. რაც მთავარია, ის ასევე უზრუნველყოფს კონფლიქტით დაზარალებული მეცნიერები კვლევის პრიორიტეტებისა და გამოცდილების ინტეგრირებას დისკუსიებში კულტურული მემკვიდრეობის განადგურების შესახებ.

ერთობლივი საერთაშორისო ქსელების რეალიზება მხოლოდ ფართო პერსპექტივის მიღწევას განაპირობებს კონფლიქტით დაზარალებულ მეცნიერთა მონაწილეობით მათ საერთაშორისო კოლეგებთან ერთად (cf. Hemmings, 2012). ნაკლები სამუშაო იყო განხილული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოიქმნას ეს ინტეგრაცია (მაგ., Bridle et al., 2013). ამ სფეროში არსებული ბოლოდროინდელი სტიპენდიის მიხედვით (მაგ., Laudel and Glaser, 2008), შესაძლო ხდება უკეთესი კოლაბორაციული საერთაშორისო ქსელის შექმნა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა: 1) კონფლიქტით დაზარალებული მეცნიერების კვლევითი შესაძლებლობების გამყარებას; 2) საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების გაფართოებას; 3) მენტორებთან წვდომის წახალისებას (იხ. Thiry, 2011); და 4) სპეციალიზებული კვლევითი მეთოდების, ფარული ცოდნის, და სხვა პირობებში თანამშრომლობის დანერგვას. ეს საკითხები მრავალი თვალსაზრისით უკანა პლანზე რჩება, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის განადგურების კვლევა და დოკუმენტაცია. უფრო ეფექტური საერთაშორისო ქსელების შესაქმნელად, აუცილებელია ისინი ჩვენი საუბრის ცენტრში მოვაქციოთ

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და კოლექციების დოკუმენტაცია

დასასრულს, ჩვენ მივუბრუნდებით იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებმა და ქსელებმა, ასევე კოლაბორაციებმა კონფლიქტით დაზა-

რალეზული მეცნიერების ჩათვლით, გამართონ მემკვიდრეობის ობიექტებისა და კოლექციების დოკუმენტაცია. მრავალი ჩვენგანი საერთაშორისო მემკვიდრეობის სფეროში მოვიდა აქამდე თრეინინგების მეშვეობით, როგორც არქეოლოგები. და როგორც არქეოლოგები, ჩვენ შეშფოთებულები ვართ იმ კონტექსტის დანაკარგის გამო, რაც ობიექტების ძარცვის შედეგად მივიღეთ.

1970 წლის იუნესკოს კონვენცია ცოტასთვის თუა გასაგები, მაგრამ ის რჩება ჩვენს ეთიკურ ორიენტირად სიღარიბით ან კონფლიქტებით გამოწვეული ძარცვათა ციკლების დასრულების შეწყვეტის მცდელობებში (Gerstenblith 2013 b). ჩვენი თვალსაწიერი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა არის მიწის ქვემოთ, გაუთხრელი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის წარმოადგენს იმ კონტექსტუალურ მონაცემს რომელიც აუცილებელია ჩვენი სფეროს მიღწევებისთვის რათა მოვახდინოთ წარსულის რეკონსტრუქცია. მაგრამ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დღევანდელი მდგომარეობა შეგვახსენებს, რომ კონფლიქტით გამოწვეული კულტურული მემკვიდრეობის განადგურება არის კიდევ სხვა პრობლემა, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ არქეოლოგიურ ძარცვას ვუწოდებთ. საკითხი ასევე შეეხება არქიტექტურული მასალების, ქანდაკების, ფრიზების და წარწერების ქურდობას, ასევე მიწის ზედა ისტორიული და არქეოლოგიური ობიექტების და გათხრების შემდგომი კოლექციებისას – ეს ზუსტად ის მასალაა, რომელიც ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს დაცული ან უკიდურეს შემთხვევაში, ნაკლები შანსი უნდა იყოს მათი გაძარცვის – ასევე ამ ობიექტების მიზანმიმართულად გადაშლა/წარხოცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არის ზუსტად ის, რაც საფუძვლად უდევს კონფლიქტის დინამიკას.

1970 წლის იუნესკოს კონვენცია ითვალისწინებს კულტურული ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების აუცილებლობას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე. 5 (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ „შეადგინონ და განაახლონ დაცული ფასეულობები ეროვნული რეესტრის

საფუძველზე, მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო კულტურული ფასეულობების ნუსხა, რომელთა ექსპორტი იქნება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი გალარიება“.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ამგვარი ინვენტარიზაცია უფრო მიმზიდველი ჩანს, ვიდრე მოქმედი, ინსტიტუციონალური ინვენტარიზაცია უფრო მიზანშეწონილად გამოიყურება. მე-7 მუხლის (ბ) (ი) ქვეპუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, რომ „აიკრძალოს სხვა მონაწილე სახელმწიფოში მუზეუმიდან, რელიგიური ან საერო საზოგადოებრივი ძეგლიდან ან მსგავსი დაწესებულებიდან მოპარული კულტურული ქონების იმპორტი.... იმ პირობით, რომ ასეთი საკუთრება დოკუმენტურად დამტკიცებულია როგორც იმ დაწესებულების კუთვნილი ინვენტარი“.

სანამ ობიექტი დოკუმენტურად არის ინვენტარიზებული, არსებობს უფრო დიდი სამართლებრივი გარანტიები. შეერთებულ შტატებში, CCPIA აცხადებს, რომ „კულტურული საკუთრების არც ერთი მუხლი, რომელიც არ არის დოკუმენტირებული მუზეუმის ან რელიგიური ან საერო საზოგადოებრივი ძეგლის ან მსგავსი დაწესებულების ინვენტარიზაციით.... რომელიც მოიპარეს ამ დაწესებულებიდან... არ შეიძლება იმპორტირებულ იქნას შეერთებულ შტატებში. ამ მიზეზით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა წაახალისა ქვეყნები, რომლებიც შეთანხმდნენ CCPIA-ის ფარგლებში დაიცვან კულტურული მემკვიდრეობა და განახორციელონ საფუძვლიანი ინვენტარიზაცია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ასევე დააფინანსა ერაყსა და ავღანეთში კონკრეტული სამუზეუმო ინვენტარიზაციის დასრულება. ეს დებულებები არის რამდენიმე საგარეო პოლიტიკის მექანიზმი, რაც იმას გულისხმობს, რომ აშშ-ის მთავრობამ უნდა წაახალისოს ქვეყნები, რათა მათ განახორციელონ ინვენტარიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული საკუთრების აღდგენას. ასევე შესაძლოა ისიც, რომ ეს ინვენტარიზაცია არ დასრულდეს. მეტიც, კონფლიქტის პირობებში საკუთრებისა და მემკვიდრეობის საინვენტარო ნუსხა შეიძლება

გაქრეს ანდა განადგურდეს, როგორც ამას ვხედავთ სირიასა და ერაყში ამ ბოლო წლებში (მაგ., Al Quntar and Daniels 2016). იურიდიულად დარეგულირებული ინვენტარიზაციის მნიშვნელობა არ უნდა შემცირდეს, მაგრამ მე ნამდვილად მინდა ვთქვა, რომ აუცილებელია უფრო მეტის გაკეთება და საერთაშორისო კვლევითი ცენტრები კონფლიქტით დაზარალებული მეცნიერების ჩათვლით, ფლობენ მოქმედებისათვის უნიკალურ მზადყოფნას.

არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ისტორიული ნაგებობები ან კოლექციები კარგად არის დოკუმენტირებული. შენობებს ხშირად არ გააჩნიათ სანდო საბაზო დოკუმენტაცია. საცავებში კოლექციები ხშირად ცუდად არის დოკუმენტირებული ან მათ საინვენტარო ნუსხებს აქვთ ისეთი ფორმატი, რომლის მეშვეობითაც აღდგენა შეუძლებელი იქნება. ამდენად, ხშირად, შენობებისა და კოლექციების დოკუმენტაცია რეაქტიული მწვავე კონფლიქტის დაწყების შემდგომ ხდებოდა, ან მას ჰქონდა დროებითი ხასიათი და რჩებოდა მიუწვდომელი უფრო ფართო სამეცნიერო საზოგადოებისა და სამართალდაცავი ორგანოებისთვის. ჩვენმა სფერომ უნდა განახორციელოს კონკრეტული, სპეციფიკური შეთანხმებული ძალისხმევა უძრავი კულტურული მემკვიდრეობისა და სამუზეუმო კოლექციების პროაქტიული დოკუმენტირებისათვის რეგიონებში, სადაც კონფლიქტი ან არასტაბილური მდგომარეობაა – განსაკუთრებით ბორდერიზაციის ან ოკუპაციის რისკის ქვეშ მყოფ რაიონებში. როგორც ჩანს, ეს ის თემაა, რომლის მიმართაც არქეოლოგიური საზოგადოება მზადაა, რომ შეუდგეს, გადამზადებულ ადგილობრივ საზოგადოებასთან, მემკვიდრეობის დამცველებთან და კონფლიქტით დაზარალებულ მეცნიერებთან ერთად. მხოლოდ ამ დოკუმენტაციით შეგვიძლია უკეთ გავიგოთ ის პოლიტიკური დინამიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის ქართულ მემკვიდრეობას, ასევე საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

დასკვნა

საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემა

მართლაც რთულია. როგორც მემკვიდრეობის დარგის პროფესიონალები, ჩვენ ვხედავთ კულტურულ დანაკარგს და ვგრძნობთ საჭიროებას და მოვალეობას, რომ ვუპასუხოთ ჩვენი კოლეგების, ადგილობრივი თემებისა და მომავალი თაობებისათვის. მაგრამ ეს შემწვითება მხოლოდ ერთი დიდი გეოპოლიტიკური სურათის ნაწილია. „გაყინული კონფლიქტის“ სოციალურ მდგომარეობაში (შდრ. Golden 2020), კულტურული მემკვიდრეობის განადგურება თანამედროვე დაავადების სიმპტომია: ის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების სისტემას ძირს უთხრის. ჩემი მიზანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმების შემუშავების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ტრანსნაციონალურ მკვლევართა ქსელების გაძლიერება; დაუზიანებელი მემკვიდრეობის ძეგლებისა და კოლექციების დოკუმენტირება, რაც იმას უსვამს ხაზს, რომ ეს ყველაფერი წარმოადგენს გზას, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ დღევანდელ გამოწვევებს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

Mechanisms for Stronger International Cooperation in the Protection of Georgian Cultural Heritage

Brian I. Daniels, Ph.D.

*Penn Cultural Heritage Center
University of Pennsylvania Museum of Archaeology and Anthropology
USA*

Introduction

Georgian cultural heritage in the territories occupied by Russian-supported separatists is well established to be under real, immediate threat—especially through unsanctioned, non-scientific archaeological excavations, an intentional lack of upkeep, conservation work that erases traces of Georgian material culture, and the deliberate erasure of cultural places. As an alteration of the cultural landscape, these negative interventions appear to be intended to delegitimize Georgian territoriality by undermining historical connections, while at the same time advancing irredentist claims. Georgian heritage professionals have labored to document instances of cultural loss, raise them to international attention, and to reimagine new futures in the absence of physical access to heritage places (Golden, 2020). The papers in this symposium have offered considerable documentation of problems and challenges in Georgia that has implications for other countries in the European Union’s Eastern Partnership and beyond. My contribution offers a different kind of

intervention. Rather than discussing specific instances of damage, I want to consider the steps that can be taken through new developments in bilateral relations, specific collaborations through academic exchange, and forms of heritage labor and action that can be undertaken to assist Georgian heritage professionals and conflict-affected communities in the near term. Here, I will discuss the benefits that come from: (1) developing a bilateral agreement on cultural property protection—particularly with the United States; (2) enhancing transnational researcher networks; and (3) documenting undamaged heritage sites and collections. I propose that steps to realize these goals may result in real, tangible benefits to Georgians and the preservation of the country’s unique heritage.

Developing a Bilateral Agreement with the United States.

First, bilateral agreements with the United States under the Convention on Cultural Property Implementation Act of 1983 (CCPIA) represent a

vital diplomatic and academic arena for engaging on cultural heritage issues. Admittedly, it is not obvious how or why a bilateral agreement under this law would enhance cooperation on the protection of Georgian cultural heritage. However, a bilateral agreement is the starting point for formal educational, cultural, and law enforcement exchanges on the topic of cultural heritage protection between the United States and a foreign country (Luke and Kersel, 2012). The CCPIA is the legal mechanism that the United States relies upon to implement the 1970 UNESCO Convention on the Means of Prohibiting and Preventing the Illicit Import, Export and Transfer of Ownership of Cultural Property. Unlike other countries in which the 1970 UNESCO Convention is self-executing, implemented through the 1995 UNIDROIT Convention on Stolen or Illegally Exported Cultural Objects, or the fulfilled through the recognition of valid export licenses (see Gerstenblith, 2013a), the United States requires that a country bring a formal request to the U.S. Department of State for import restrictions on looted or trafficked archaeological and ethnographic objects.

A request to the U.S. Department of State must offer a narrative about the country's history and material culture, its museum infrastructure, and its heritage professionalization programs. It must also address four specific criteria under the CCPIA: (1) how archaeological and ethnographic objects in the requesting country are in jeopardy from pillage; (2) how the requesting country has taken measures to protect its cultural patrimony consistent with the 1970 UNESCO Convention; (3) how other countries that also have an import trade for the same kinds of archaeological and ethnographic objects have restricted the trade in the same artifacts; and (4) how import restrictions would be consistent with the interest of the international community in the interchange of cultural materials for scientific, cultural, and educational purposes. Following the submission, the U.S. President's Cultural Property Advisory Committee meets to review the request to make a recommendation to the Assistant Secretary of State for Educational and Cultural Affairs on whether to enter into a bilateral agreement, but the Assistant Secretary of State remains the final decision-maker.

This process seems convoluted; and, frankly, it is burdensome on a requesting country. Undertaking the work matters a great deal because it offers a way to strengthen relations with the United States and its community of heritage professionals. If the bilateral agreement is agreed to, it creates a designated list of undocumented archaeological and ethnographic objects that can no longer be trafficked to the United States. It also establishes a framework concerning mutual cooperation on cultural heritage issues between the United States and the requesting country, including the provision of technical assistance and mutual aid. As part of the formal bilateral agreement, this language becomes a way for the United States to channel its financial support. It is also a signal to the American academic community on topics of shared concern between the United States and a foreign country. Each bilateral agreement has a corresponding Action Plan, which has certain provisions that are specific to the requesting country. Especially in countries with destabilized borders, with active or "frozen" conflicts, or where the risk of "cultural cleansing" is present (cf. Bokova, 2015), an Action Plan represents a specific outline of goals and priorities for cultural heritage protection. For a country such as Georgia, a bilateral agreement and corresponding Action Plan could provide a way of galvanizing more U.S. attention about the cultural loss occurring in the country due to territorial occupation. They are also ways of encouraging the development of transnational research.

Enhancing Researcher Networks

A second way to enhance cooperation on the protection of Georgian cultural heritage is to deepen international alliances and networks across countries for research, education, and training opportunities on cultural heritage topics. In many ways, this conference represents the potential of these networks. An issue is how they form and are sustained in often adverse circumstances. Most research efforts on cultural heritage and conflict have centered on the 'crisis' or 'post-crisis' documentation of cultural heritage sites—especially damage as a result of archaeological site looting or intentional destruction (e.g. Bewley et al., 2016; Casana, 2015; Cunliffe, 2014; Hammer et al., 2018; Hritz, 2008; Isakhan, 2018; Layton,

Stone, and Thomas, 2001; Wolfenbarger et al., 2014). Much of this effort is done as a mechanism of hope for legal accountability in the future (e.g. Beven, 2007; Gerstenblith, 2016). We know considerably less about what appears to be a global phenomenon involving both the strategic intent and systematic coordination of efforts to deliberately destroy heritage sites, conduct misleading and inaccurate reconstruction and conservation, and erase heritage sites in ways that mask historical claims or invent new irredentist rights. Too often, cultural heritage destruction is viewed by policymakers or even in the social sciences as unfortunate collateral damage to conflict, rather than part of a deliberate strategy of civilian targeting and instrumental conflict gains. A needed next step for our research community is the determinate outstanding and significant research questions that can be investigated as part of a coordinated research initiatives. We need a larger, more sustained and systematic enterprise.

It is not possible to enhance academic networks in the case of Georgia or other countries facing political instability or conflict without considering how these situations impact the ability of individual local researchers to conduct research and documentation. Already, few research opportunities exist for scholars in these countries, and, consequently, *conflict-affected scholars*, or *CARs*, are often unable to participate in global research consortia, engage with scholarly networks, or access state-of-the-field research publications, thereby limiting the reach of their scholarly contributions. Compounding this challenge, CAR concerns are often excluded from research priorities as international research communities develop. Moreover, CARs may experience impediments in progressing in academic fields and have their academic work delayed by a of security, voluntary and involuntary migration, and limited professional opportunities. They may not have access to institutional resources in order to conduct research, publish, or secure grant funds. They may also be unable to travel to professional events and research hubs to develop professional connections. For these reasons, especially when dealing with the violence that accompanies intentional cultural destruction, there is an ethical imperative to integrate CAR concerns at

the beginning of research planning and design. This commitment further ensures that research networks not only address training—but the actual work of collaborative scholarship. Crucially, it will also ensure that CAR research priorities, lived experience, and expertise are integrated into the international discussions about the destruction of cultural heritage.

The realization of collaborative international networks can only come the broad perspective hat is brought about by the participation of CARs with their international colleagues (cf. Hemmings, 2012). Less work has considered how this integration might occur (e.g., Bridle et al., 2013). Following the recent scholarship in the field, (e.g., Laudel and Glaser, 2008), it may be possible to build better collaborative international networks by giving special attention to: 1) strengthening CAR research capabilities; 2) enhancing connections to international collaborators; 3) encouraging access to mentors (cf. Thiry, 2011); and 4) promoting field-specific research techniques, tacit knowledge, and in-field collaborations. In many respects, these issues are in the background when we talk about how to research and document cultural heritage destruction. To build better international networks, we need to bring them to the center of our field's conversations.

Documenting Heritage Sites and Collections

Finally, we turn to how international agreements and international networks and collaborations including CARs can build on the work of documenting heritage sites and collections. Many of us in the international heritage field came to it with formal training as archaeologists, and, as archaeologists, we are concerned with the loss of context that results from site looting. The 1970 UNESCO Convention is something of a shibboleth but remains our ethical lodestar in the effort to arrest ongoing cycles of poverty-driven or conflict-driven pillage (Gerstenblith, 2013b). Our field's focus, too, has been on what is below the surface, unexcavated, specifically because it provides the contextual data that is necessary for our field's approach to reconstructing the past. But, the present situation of Georgian cultural heritage reminds us that conflict-driven cultural heritage destruction is a different problem than what we typically think of as archaeological site looting.

The issue is also the theft of architectural material, sculpture, friezes, and inscriptions from above-ground historic and archaeological sites and post-excavation collections—precisely the material that we might think is safe or at least less likely to be pillaged—as well as the purposive erasure of these objects in occupied territories—precisely to alter underlying conflict dynamics.

The 1970 UNESCO Convention anticipates the need and implementation of both country-wide and institution-level inventories of cultural property. Under Article 5(b), State parties commit to “establishing and keeping up to date, on the basis of a national inventory of protected property, a list of important public and private cultural property whose export would constitute an appreciable impoverishment of the national cultural heritage.” While such an inventory seems more aspirational than operational in practice, institutional inventories seem more feasible. Under Article 7(b)(i), State parties commit to “prohibit the import of cultural property stolen from a museum or a religious or secular public monument or similar institution in another State Party ... provided that such property is documented as appertaining to the inventory of that institution.” So long as the object is documented in an inventory, there are greater legal safeguards. In the United States, the CCPIA, provides that “no article of cultural property documented as appertaining to the inventory of a museum or religious or secular public monument or similar institution ... which is stolen from such institution ... may be imported into the United States.” For this reason, the U.S. Department of State has encouraged countries with agreements to protect cultural heritage under the CCPIA, to undertake thorough inventories. The U.S. Department of State has also paid for the completion of specific museum inventories in Iraq and Afghanistan. While these provisions are some of the few foreign policy mechanisms that the U.S. government has to encourage countries to conduct the inventories that can assist in cultural property recovery, it is also the case that these inventories may not be completed. Moreover, in a conflict a proprietary inventory might well go missing or be destroyed, as we have seen in Syria and Iraq in recent years (e.g., Al Quntar and

Daniels, 2016). The importance of these legally-driven inventories should not be discounted, but I do want to suggest that more needs to be done and that international research networks, with participating CARs, are uniquely poised to act.

It should not be assumed that heritage buildings or collections are well-documented. Buildings do not often have strong baseline documentation. Collections in storage are often not well documented or their inventories are in a format that cannot be used in the service of recovery. So often, building and collections documentation has been reactive following the onset of acute conflict or has been ad hoc, and remaining unavailable to the larger scholarly and law enforcement community. Our field needs to undertake a specific, concerted effort for proactively documenting immoveable heritage and museum collections in regions experiencing conflict or political instability—especially in areas at risk of borderization or occupation. This topic is one that the international archaeological community seems poised and trained to undertake, and it is one that, when done well, can be undertaken collaboratively with local communities, heritage caretakers, and CARs. Only with this documentation in hand will we be better able to understand the political dynamics that threaten Georgian heritage as well as international peace and security.

Conclusion

The situation facing the preservation of cultural heritage in Georgia is challenging, indeed. As heritage professionals, we see cultural loss and feel the need—a duty—to respond for the sake of our colleagues, local communities, and for future generations. But these concerns are only part of a larger geopolitical picture. Caught in the social condition of a “frozen conflict” (cf. Golden, 2020), cultural heritage destruction is a symptom of a contemporary disease: the systemic undermining of international peace and security. My aim in raising awareness about the importance of developing a bilateral agreements on cultural property protection; enhancing transnational researcher networks; and documenting undamaged heritage sites and collections is to emphasize that they are a way that we can respond to the challenges of our day. I hope we will seize the opportunity.

კულტურული მემკვიდრეობის განადგურება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში: წინასწარი მიმოხილვა

მანანა თევზაძე

ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავჯდომარე საქართველო

დოქტ. ემა ქანლიფი

UNESCO-ს კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და მშვიდობის კათედრის ასოცირებული
მკვლევარი, ნიუკასლის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფოს ლურჯი ფარის კომიტეტის
მდივანი, დიდი ბრიტანეთი

სტატიაში განხილული ხედვებისა და მოსაზრებების შერჩევასა და წარდგენაზე სრულად პასუხისმგებელია ემა ქანლიფი. ისინი შეიძლება არ ასახავდეს იუნესკოს მოსაზრებებსა და ხედვებს. შესაბამისად, ორგანიზაცია არ იღებს პასუხისმგებლობას სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებზე.

1.0 შესავალი

1990-იან წლებში საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა, რასაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. 2008 წელს საბრძოლო მოქმედებები ხელახლა გაჩაღდა, რის შემდეგაც რუსეთმა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. ამასთან, იგი ამ დრომდე განაგრძობს მათ ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას. როგორც 1990-იან წლების, ისე 2008 წლის კონფლიქტის დროს დაზიანდა კულტურული მემკვიდრეობა და ეს პროცესი ახლაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების შეფასება და მონიტორინგი რამდენიმე ორგანიზაციამ ჩაატარა (მაგ.,

Amensty International 2008, Human Rights Watch 2009; IIFMCG 2009; ღია საზოგადოება საქართველო 2009; Amnesty International 2010), კულტურულ მემკვიდრეობაზე კონფლიქტის ზეგავლენის ხასიათისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის შესახებ დღემდე არ არის საკმარისი ინფორმაცია.

საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება, რომ 2008 წლის ომი რუსეთსა და საქართველოს შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტია. უფრო რთული საკითხია, (საერთაშორისო სამართლის მიხედვით) არის თუ არა რუსეთის განგრძობითი გავლენა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის¹ სეპარატისტულ რეგიონებზე ოკუპაცია. ამის შესახებ ცალსახა კონსენსუსი საერთაშო-

¹ სახელწოდება „სამხრეთი ოსეთი“ სადავოა. იგი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება-არაღიარების საკითხს უკავშირდება. ავტორები სტატიაში ამ სახელწოდებას პირობითად, ადგილის იდენტიფიცირების მიზნით იყენებენ და მას დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში არ განიხილავენ.

რისო საზოგადოებაში არ არის (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. the ICRC (2009) და RULAC (2019). თუმცა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატამ დაადგინა, რომ „საკმარისი ნიშნები არსებობს, რომლებიც მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაციამ სრული კონტროლი დაამყარა სამხრეთ ოსეთის ძალებზე“ საბრძოლო მოქმედებების დროს და რომ მოხდა „საქართველოს ტერიტორიის ნაწილების, კერძოდ „ბუფერული ზონის“ ოკუპაცია რუსეთის მიერ, სულ მცირე 20[0]8“ წლის 10 ოქტომბრამდე (ICC 2016: 13). მრავალმხრივი ორგანიზაციების, მათ შორის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროკომისიისა და მისი პრეზიდენტის, ევროპის საბჭოს, ბალტიის ასამბლეის, ევროპარლამენტის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ნატოსა და სხვათა განცხადებებში² გამოყენებულია ტერმინი „ოკუპაცია“, რომელიც სულ მცირე გარკვეულ საერთაშორისო პოლიტიკურ კონსენსუსზე მიუთითებს იმის გარშემო, რომ ოკუპაცია გრძელდება 2008 წლის შემდეგ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების მიხედვით (Civil.ge 2021) 2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე „ეფექტიან კონტროლს“ რუსეთი ახორციელებდა. ორივე რეგიონი ძლიერად არის დამოკიდებული რუსეთის სამხედრო და ფინანსურ დახმარებაზე, სამთავრობო სტრუქტურებში მომუშავეთა ნახევარზე მეტი რუსეთიდან არის და სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის 99% რუსეთიდან მომდინარე ფინანსებით ივსება (RULAC 2019).

კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების ფაქტებზე სხვა საომარ დანაშაულებთან ერთად საქმეები აღიძრა

¹ ანგარიში ნახსენებია 2018; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეცდომაა, რადგან ანგარიში გამოქვეყნდა 2016 წელს და იუნესკო, რომ მისი მანდატი იყო 2008 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდის გამოძიება.

² ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა ამ ორგანიზაციების 50-ზე მეტი განცხადება შეისწავლა. განცხადებათა სრული ნუსხა დაერთვება საბოლოო ანგარიშს. სურვილის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ მიეწოდება დაინტერესებულ მხარეს.

საერთაშორისო ტრიბუნალში ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე (ICTY) და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (ICC), ასევე ეროვნულ სასამართლოებში – მაგალითად, ერაყის სასამართლოებში ისლამური სახელმწიფოს წევრების წინააღმდეგ მათ მიერ მოსულის მუზეუმის დანგრევასთან დაკავშირებით (Mostafa 2017). იუნესკოს „სამხედრო სახელმძღვანელო“-ში (O’Keefe et al. 2016: 4) აღნიშნულია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კონტექსტში უნდა იქნას განხილული. 2017 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ პირველად მიიღო რეზოლუცია (2347), რომელიც საკუთრივ კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების საკითხს მიეძღვნა. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა კულტურული უფლებების საკითხებში, კარიმა ბენუნმა კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება – კონფლიქტის დროს თუ მის გარეშე – ადამიანის უფლებათა დარღვევად განიხილა (Bennoun 2016).

არასამთავრობო ორგანიზაცია ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტსა³ და ინგლისში ნიუკასლის უნივერსიტეტში კულტურული ფასეულობების დაცვისა და მშვიდობის იუნესკოს კათედრას (UNESCO Chair in Cultural Property Protection and Peace team at Newcastle University) ეკონომიკური და სოციალური კვლევის საბჭოს გრანტი (Impact Acceleration Account⁴) მიენიჭა ნიუკასლის უნივერსიტეტის საშუალებით. პროექტის ავტორები მიზნად ისახავდნენ 2008 წლის ომის დროს და შემდგომ პერიოდში მემკვიდრე-

³ ლურჯი ფარი კომიტეტების საერთაშორისო ქსელია, რომელიც „მიზნად ისახავს მსოფლიო კულტურული ფასეულობების დაცვას და ზრუნავს შეიარაღებული კონფლიქტის დროს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაზე“ (მუხლი 2.1, ლურჯი ფარის წესდება 2016). ხელმისაწვდომია: <https://theblueshield.org/about-us/what-is-blue-shield/> [ნანახია: 24/07/2020]

ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ვებგვერდის სანახავად გადადით ბმულზე: https://blueshield.ge/?page_id=4959&lang=en

⁴ [გრანტის საიდენტიფიკაციო №: ES/M500513/1, ნიუკასლის უნივერსიტეტი].

ობისთვის მიყენებული ზიანის შესწავლას კონფლიქტის შემთხვევაში მემკვიდრეობის დაცვის დარგში არსებულ საერთაშორისო კანონმდებლობასთან – კერძოდ, იუნესკოს „შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“ 1954 წლის ჰააგის კონვენციასა და მის ორი ოქმთან (1954, 1999) და ასევე 1949 წლის ჟენევის კონვენციის პირველ ოქმთან მიმართებაში. ჰააგის კონვენციისა და მისი ორი ოქმის გამოყენება კონფლიქტისა და ოკუპაციის შემთხვევებშიც არის შესაძლებელი. სტატიაში ასახულია ჯგუფის მიერ უმთავრესად ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) შესრულებული სამუშაოს შედეგები. შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია ვებგვერდზე¹, რომელიც რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ინტერაქტიულ რუკას შეიცავს. ვებგვერდი ასევე შეიცავს ანგარიშს მიგნებების შესახებ.

2.0 მეთოდოლოგია

კვლევაში შეჯერებულია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის გამოქვეყნებული ანგარიშებიდან და საქართველოს სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საგარეო მისიების წარმომადგენლებისგან და ადმინისტრაციული ხაზის გავლით სამხრეთ ოსეთში ჩასული (ანონიმური) პირებისგან მიღებული ინფორმაცია. მომზადდა რუსულ და ქართულენოვან მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიმოხილვა. ამასთან, გაეროს სატელიტური გამოსახულებების ანალიზის ჯგუფმა UNOSAT გააანალიზა 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბერში² საბრძოლო მოქმედებების შედეგად მიღებული ზიანი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ძეგლის დაზიანების

¹ www.occupiedskhinvali.blueshield.ge

² დაზიანება შეფასდა 2008 წლის 19 აგვისტოს WorldView-1-ის გამოყენებით მიღებული 50სმ მასშტაბის სატელიტური გამოსახულების; 2008 წლის 19 აგვისტოს Formosat-2-ის გამოყენებით მიღებული 2მ მასშტაბის სატელიტური გამოსახულებების; 2008 წლის 10 აგვისტოს WorldView-1-ის გამოყენებით მიღებული 50სმ მასშტაბის სატელიტური გამოსახულებისა და 2008 წლის 10 აგვისტოს IKONOS-ის გამოყენებით მიღებული დაუზუსტებელი მასშტაბის სატელიტური გამოსახულების საფუძველზე.

ხარისხი. სტატიის ავტორები განიხილავენ, განაახლებენ და შესაძლებლობის მიხედვით, განავრცობენ UNOSAT-ის მიერ ბოლო 12 წლის განმავლობაში Google Earth-ზე ხელმისაწვდომი სატელიტური სურათების ანალიზით მიღებულ შედეგებს. მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. წარმოდგენილ სტატიაში მოცემულია მხოლოდ წინასწარი მიგნებები, რომლებიც ილუსტრირებულია ცალკეული შემთხვევების ანალიზით.

3.0 კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობა კონფლიქტის დროს

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) ცალკეული ნაწილები კონფლიქტების შემთხვევაშიც გამოიყენება. როგორც რუსეთს, ისე საქართველოს რატიფიცირებული აქვს ჰააგის „კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“ (1954HC), ასევე 1954 წლის პირველი ოქმი და 1977 წლის ჟენევის პირველი დამატებითი ოქმი; 1999 წლის მეორე ოქმზე თავდაპირველად არც ერთ მათგანს მოუწერია ხელი (თუმცა, მოგვიანებით, 2010 წელს საქართველომ ამ ოქმსაც მოაწერა ხელი). რუსეთის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ზრუნვაზე აღებული ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ვალდებულების გათვალისწინებით, სტატიის ავტორები განიხილავან 1954 წლის ჰააგის კონვენციის მიმართებას კონფლიქტსა და ოკუპაციასთან.

1954 წლის ჰააგის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ კონფლიქტამდე შეამზადონ პირობები კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, მათ შორის პერსონალის სამოქალაქო და სამხედრო მომზადების გზით (ჰააგის კონვენცია, მე-2, მე-3 და მე-7 მუხლები); კონფლიქტის დროს (სამხედრო საჭიროებების შესაბამისად): თავიდან აიცილონ კულტურული ფასეულობების გამოყენება; თავი შეიკავონ ფასეულობათა წინააღმდეგ მიმართული რაიმე მტრული აქტისგან (საკითხი ასევე რეგულირდება შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ სხვა კანონებით, რომლებიც ასევე კრძალავს ძლიერ თანმდევ ზიანს); აღკვეთონ კულტურულ ფასეულო-


ბათა ძარცვა (1954 წლის ჰააგის კონვენცია, მე-4 მუხლი); და მხარი დაუჭირონ კომპეტენტურ სამოქალაქო ხელისუფლებას, საჭიროების შემთხვევაში, კულტურული ფასეულობის დაცვაში (1954 წლის ჰააგის კონვენცია, მე-7 მუხლი). ჟენევის პირველი დამატებითი ოქმი (1977) ითვალისწინებს ისტორიული ძეგლებისა და საკულტო ადგილების თავდასხმისგან დაცვას (53-ე მუხლი).

ოკუპანტმა სახელმწიფოებმა: საჭიროების შემთხვევაში, მხარი უნდა დაუჭირონ მაღალი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ხელისუფლებას კულტურული ფასეულობების დაცვის უზრუნველსაყოფად; ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაიცვან კულტურული ფასეულობა, რომელიც შეიძლება დაზიანებულიყო სამხედრო ოპერაციის შედეგად, თუ კომპეტენტურ

ეროვნულ ხელისუფლებას არ შეუძლია ამის უზრუნველყოფა (1954 წლის ჰააგის კონვენცია, მე-5 მუხლი); აღკვეთონ ოკუპირებული ტერიტორიიდან კულტურული ფასეულობის ქურდობა და ძარცვა (1954 წლის ჰააგის კონვენცია, მუხლი 4) და თავიდან აიცილონ მისი გატანა (1954 წლის ჰააგის პირველი ოქმი, 1-ლი მუხლი); საომარი მოქმედებების დასრულებისას დააბრუნონ ოკუპირებული ტერიტორიიდან გატანილი ფასეულობა, რომელიც მათ ტერიტორიაზე შესანახად არის მიბარებული (1954 წლის ჰააგის კონვენციის ოქმი, მე-2 და მე-3 მუხლები).

4.0 შედეგები

მოცემული დროისთვის შეფასება შეეხო დიდი და პატარა ლიახვისა და მდინარე ფრონეს ხეობებს (იხ. სურ. 1).



სურ. 1 – წინასწარი შედეგები: დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობის სოფლები/ძეგლები: 1. ქვემო აჩაბეთი; 2. ზემო აჩაბეთი; 3. არგვიცი; 4. ანრისხევი; 5. ბერულა; 6. დისევი; 7. ძარნემი; 8. ერედვი; 9. კეხვი; 10. ხეითი; 11. ქემერტი; 12. ქსუისი; 13. ქურთა; 14. ნული; 15. ფრისი; 16. საცხენეთი; 17. სვერი; 18. თამარაშენი; 19. თირის მონასტერი; 20. წუნარი; 21. ვანათი; 22. ქვემო ზონკარი. Maxar-ის გამოსახულება Google Earth-დან.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კონფლიქტით დაზარალებულ ადგილებში დაზიანდაროგორც მოძრავი და უძრავი, ისე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. 1954 წლის ჰააგის კონვენციის 1-ლი მუხლი კონვენციის ფარგლებში დაცული კულტურული ფასეულობის ფართო დეფინიციას წარმოადგენს. შესწავლილ რეგიონში იდენტიფიცირებულია შემდეგი ფასეულობები: რელიეფები, წარწერები, კედლის მხატვრობის ნიმუშები, ინტერიერის ელემენტები; ისტორიული შენობები; ნანგრევები და არქეოლოგიური ძეგლები; მუზეუმები და იქ დაცული კოლექციები. თუმცა, კულტურული ფასეულობა კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ელემენტებსაც მოიცავს. ავტორებისთვის ცხადია, რომ დევნილებმა ტრადიციულ ყოფაცხოვრების წესზე იძულებითი უარის თქმით მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს, თუმცა ამ სტატიის ფარგლებში აღნიშნული საკითხის განხილვა ვერ მოხერხდება.

გამოიყო შემდეგი კატეგორიების დაზიანება:

4.1 საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული დაზიანება;

4.2 კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მონათსარგებლობით გამოწვეული დაზიანება;

4.3 კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მოუვლელობით, ან შესაბამისი ნებართვით თუ უნებართვოდ შესრულებული (საკონსერვაციო და სხვა სახის) სამუშაო;

4.4 მოძრავი კულტურული ფასეულობის დაზიანება.

4.1 საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული დაზიანება


UNOSAT-ის სატელიტური გამოსახულებების, Human Rights Watch-ის (HRW 2009) და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩამორთმეული ინტერვიუებისა და სტატიის ავტორების

მიერ Google Earth-ის სატელიტური გამოსახულებების საფუძველზე ჩატარებული შემდგომი ანალიზით ირკვევა, რომ 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს საჰაერო თავდასხმებმა უდიდესი ზარალი გამოიწვია, თუმცა ამ თავდასხმების შედეგად სულ რამდენიმე შენობა დაზიანდა. მათ შორის იყო მე-18-19 საუკუნეების ხეითის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც 2006 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ აღადგინა. *ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტის* მიერ გამოკითხული მოწმეების თქმით, ეკლესიის გუმბათი და სამრეკლო 2008 წლის 12 აგვისტოს ჭურვებით დაზიანდა. UNOSAT-ის სატელიტური გამოსახულებების ანალიზში (2008c) აღნიშნულია: "ID: 1. ხეითის მთავარანგელოზის ეკლესია (მე-19 ს.), შენობის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მძიმე დაზიანება" (სივ). სოფლის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებით, ეკლესია ბულდოზერით არ დაუნგრევიათ და იგი ჯერ კიდევ ჩანს Google Earth-ის 2019 წლის 21 ოქტომბრის გამოსახულებაზე. *ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტისთვის* მიწოდებულ ფოტოებში ჩანს, რომ ომის დროს დაზიანებული შენობა არ შეუკეთებიათ (სურ. 2).

4.2 კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მონათსარგებლობით გამოწვეული დაზიანება.

2008 წლის საბრძოლო მოქმედებებს ეთნიკურად ქართული ისტორიული სოფლების (P. Мепишавილი, В. Цинцадзе 1975) სისტემატური დაბომბვა და გადანვა მოჰყვა, მოგვიანებით კი ნაწილობრივი ან სრული ნგრევა და დაცლა (ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს 2014 წელს Google Earth-ის სატელიტურ გამოსახულებებში). გეოგრაფიული დასახელებები (სოფლები, მდინარეები და ხეობები) იცვლება, ითარგმნება ოსურად ან ქართულ დასახელებებს ემატება ან აკლდება ასო-ნი-

სურ. 2: მთავარანგელოზის ეკლესია, ხეითი, 2017. გუმბათი, სამრეკლო და გადახურვა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანდა. © ლურჯის ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2020.



შანი; წარმოდგენილ სტატიაში ამ დასახელებების ორივე ფორმაა მითითებული¹.

ამგვარი ცვლილებები შემდეგ ისტორიული სოფლების დასახელებებში დასტურდება (იხ. სურ. 1):

¹ ცირა დადიანიძის ოთხტომეული „შიდა ქართლის ისტორია“ (გამოქვეყნებულია 2002-2007 წლებში) ამჟამად ითარგმნება რუსულ და ოსურ ენებზე. გამოცემა ეყრდნობა 1981-1986 წლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის საბჭოს მიერ ჩატარებული საველე სამუშაოს შედეგად მოპოვებულ კვლევით მასალას (ძეგლების სააღრიცხვო ბარათები – პასპორტები). ახალ რუსულ-ოსურ თარგმანში ახალი ოსური ტოპონიმები თავდაპირველ, ფრჩხილებში მითითებულ ქართულ დასახელებებთან ერთად იქნება შეტანილი. გარდა ამისა, გამოიცა პირველი ტომი რუსულ-ოსური სერიიდან „სამხრეთ ოსეთის ტოპონიმები“, დანარჩენი ორი ტომი კი ახლა მზადდება. პირველ ტომში, რომლის სახელწოდებაც „ჯავის რაიონი“, შესულია არა მხოლოდ ეკლესიების, არამედ ყველა გეოგრაფიული წერტილის, მათ შორის სოფლების, დასახელებების, მდინარეების, ხეობებისა და გზების, გადაკეთებული დასახელებები. ზოგჯერ ქართული დასახელება ოსურად არის ნათარგმნი, ზოგჯერ კი სახელს დამატებული ან გამოკლებული აქვს ასო-ნიშნები. სხვა შემთხვევებში, დასახელებები მთლიანად შეცვლილია.

ზემო აჩაბეთი – გადამწვარი და თითქმის განადგურებულია;

ქვემო აჩაბეთი – გადამწვარი და თითქმის განადგურებულია;

არგვიცი (ამჟამად არგვისი) – გადამწვარი და ნაწილობრივ განადგურებულია;

ავნევი (ამჟამად ავნეე) – გადამწვარია;

ბერულა – საბრძოლო მოქმედებების შედეგად ძლიერ დაზიანდა, ამჟამად ძირითადად დანგრეულია;

დისევი – გადამწვარი და ნაწილობრივ განადგურებული;

ძარწემი – მძიმედ დაზიანდა საბრძოლო მოქმედებების დროს ან მათი დასრულებიდან მალევე, სრულად განადგურებულია;

ერედვი – გადამწვარი და განადგურებულია (სასაფლაოს გარდა);

კეხვი – გადამწვარი და თითქმის სრულად განადგურებულია

ქემერტი – გადამწვარი და თითქმის სრულად განადგურებულია;

ხეითი – გადამწვარი და თითქმის სრულად განადგურებულია

ქსუისი – გადამწვარი და დაზიანებულია (იხ. ქვემოთ);

ქურთა – მძიმედ დაზიანდა საბრძოლო მოქმედებების დროს, მოგვიანებით დაიცალა; ნული (ამჟამად ნულ) – გადამწვარია, რამდენიმე სახლი დაშლილია;

ფრისი – ქართული ნაწილი გადამწვარია, ბულდოზერის კვალი არ ჩანს;

საცხენეთი (ამჟამად საცხენეთ) – გადაწვეს 2008 წელს;

სვერი – დაზიანდა 2008 წელს;

თამარაშენი – გადამწვარი და განადგურებულია

ვანათი (ამჟამად ვანათ) – გადაწვეს 2008 წელს;

ქვემო ზონკარი – დაშლილია საძირკველების დონემდე.

სოფლების ნაწილობრივი ან სრული განადგურების შემდეგ, მიწა სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება, მათ შორის სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო, ნაგავსაყრელებისა და თანამედროვე საბინაო მშენებლობისთვის.

ოცზე მეტ სოფელში ძველ ადგილას ან მახლობლად განლაგებულია სამხედრო ინფრასტრუქტურა (მათ შორის გარნიზონთა დიდი ბაზები, მცირე საპატრულო/მატერიალურ-ტექნიკური ბაზები). 2010 წელს რუსეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც სრული პასუხისმგებლობა აიღო სამხრეთ ოსეთის დაცვაზე; ინფრასტრუქტურული ობიექტების უმეტესობა რეგიონში რუსულია. ზოგიერთი მათგანი ისტორიულ ძეგლებთან ახლოს მდებარეობს, რაც პოტენციურ რისკს წარმოადგენს. ზოგიერთი ისტორიული სოფელი მთლიანად დაიცალა სამხედრო ინფრასტრუქტურის განსათავსებლად. მაგალითად, სოფელი ძარწემი რუსეთის ფედერაციის მე-4 ბაზის პოლიგონად იქცა (რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო, 2015). Google Earth-ის სატელიტური გამოსახულებების თანმიმდევრული ანალიზით ირკვევა, რომ სამხედრო არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა ძარწემის (და რამდენიმე სხვა) სოფლის დაცლის შემდეგ. სამხედრო პოლიგონები ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულ შენობებთან ახლოს მდებარეობს, რაც სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში მათ

უშუალო საფრთხეს უქმნის, ხოლო კონფლიქტის დროს კომპლექსის მიზანში ამოღების ან შენობების მიტოვების შემთხვევაში, ნაგებობები არაპირდაპირი რისკის წინაშე აღმოჩნდებიან. ნაგებობებს ასევე აზიანებს მძიმე სამხედრო ტექნიკის აფეთქებით გამოწვეული ვიბრაცია. სამხედროების სამიზნედ იქცა ნაგებობები, მაგალითად, შედარებით ახალ სოფელ ქსუისში (იხ. სურ. 3). აქ ქართველთა ნასახლარებს, როგორც ჩანს, სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებდნენ.

შენიშვნა ეკლესიებთან დაკავშირებით

ნაწილობრივი და სრული დემონტაჟი არ შეეხო მხოლოდ ეკლესიებს. თითქმის უკლებლივ ისინი დიდწილად ხელუხლებლად დატოვეს (თუმცა შენობები მიტოვებულია და აღარ გამოიყენება, რაც უარყოფითად აისახა მათ მდგომარეობაზე); ბევრი სოფლის სატელიტურ სურათზე ეკლესია ამ დრომდე მოჩანს. თუმცა, სულ მცირე ერთ შემთხვევაში (ქაშუეთის ეკლესია ყაულაანთუბანში, ქემერტი). ეკლესია ერთადერთი შენობაა, რომელიც გადარჩა, თუმცა ახლა იგი რეგიონში დემონტაჟისთვის გამზადებული სხვა შენობების მსგავსად დანომრეს (იხ. სურ. 4). ზოგიერთი ეკლესია სამხედრო კომპლექსთან ახლოს მდებარეობს. სავარაუდოდ ასეა დისევში (სურ. 5). ძელიცხოვლის ეკლესია სამხედრო კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან 120 მ-ის დაშორებით მდებარეობს, კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია კი სამხრეთის კედლიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით. ამგვარი მდებარეობა ორივე შენობისთვის რისკის შემცველია.

4.3 კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მოუვლელით ან შესაბამისი ნებართვით თუნებართვოდ შესრულებული (საკონსერვაციო და სხვა სახის) სამუშაო

სამხრეთ ოსეთის ე.წ. კულტურის სამინისტროს ცნობით, 2015 წლისთვის ძეგლის სტატუსის მქონე 250-ზე მეტი ობიექტი საჭიროებდა კონსერვაციას (Sputnik 2015c); თუმცა, საბიუჯეტო შეზღუდვების გამო 2015-16 წლების პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 4 ობიექტის კონსერვაცია მოხერხდა, 10 ობი-



სურათი 3: დანგრეული სახლები სოფელ ქსუისში, CNES/Airbus-ის 2018 წლის 11 ოქტომბერს მიღებული სატელიტური გამოსახულებები. დაზიანების ტიპი აფეთქების ზემოქმედების შესაბამისია.

ექტის კონსერვაცია კი 2017-18 წლებისთვის დაიგეგმა (Byazrova 2017). სამუშაოები მემკვიდრეობის სპეციალისტების ზედამხედველობით უნდა წარიმართოს (ამას მოითხოვს როგორც საქართველოს, ისე ოსეთის ე.წ. კანონმდებლობა); თუმცა, სამხრეთ ოსეთის ე.წ. კულტურის მინისტრი სპეციალისტების კრიტიკულ ნაკლებობაზე მიუთითებდა (SIA “RES” 2016).

გარდა ამისა, პროგრამის ნელი ტემპით მიმდინარეობა იმის მანიშნებელიც არის, რომ ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მიიღებოდა – სამუშაოდ აყავდათ რესტავრაციის დარგში გამოუცდელი მუშები, რომლებიც შეუსაბამო მასალებს იყენებდნენ, რითაც აზიანებდნენ მემკვიდრეობის ძეგლებს. მაგალითად, 2014 წელს მასმედით (SIA “RES” 2014) გავრცელდა ინფორმაცია, რომ ადგილობრივი ბიზნესმენის ფონდმა „კურდალაგონი“

(არქიტექტურული ძეგლების განვითარებისა და რესტავრაციის ფონდი) კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის განყოფილებისგან იქირავა ზემო აჩაბეთის ციხე. დაიგეგმა ობიექტზე სარეკონსტრუქციო სამუშაოს დაწყება. საძირკვლის ჩაყრა საჯარო ღონისძიებით აღინიშნა. ახალი ამბების ცნობით, მომზადდა რამდენიმე სახელოსნო, მათ შორის ქვის საჭრელი და ლითონის საამქროები. დაიქირავეს მშენებელი მუშები, რომლებსაც ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები ეხმარებოდნენ. მათ ახლიდან ააშენეს აღმოსავლეთი კედელი: არ არსებობს ცნობები იმის შესახებ, სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ თუ არა მემკვიდრეობის სპეციალისტები. თუმცა, როგორც თვითმხილველებმა სტატიის ავტორებს განუცხადეს, სამუშაოები სამხრეთ ოსეთის ე.წ. ძეგლთა დაცვის სამსახურმა შეაჩერა. ციხის აღსადგენად მას შემდეგ სამუშაო არ ჩატარებულა.



სურათი 4: ქაშუეთის ეკლესია ყა-
ულაანთუბანში, ქემერტი. შენობა
მონიშნულია ნომრით 658: სავა-
რაუდოდ, ეკლესიას დაანგრევენ.
© ლურჯი ფარის საქართველოს
ეროვნული კომიტეტი, საქა-
რთველო, 2020.



სურ 5: დისევის ეკლესიები
(მონიშნულია თეთრი ისრებით)
სამხედრო კომპლექსის
გვერდით (მონიშნულია წითელი
ოთხკუთხედით), CNES/Airbus-
ის 2018 წლის 11 ოქტომბრის
სატელიტურ გამოსახულებაზე.
წითელი წრეებით მონიშნულია
შენობები, რომლებიც 2013 წლის
შემდეგ დაანგრიეს. ახლო ხედით
დაკვირვებისას ჩანს დანგრეული
შენობა (ზემოთ) და ნანგრევები
საძირკველთან, რაც გარეშე
ძალის ზემოქმედებით ნგრევაზე
უნდა მიუთითებდეს.

თვითმხილველებმა ჯგუფის წევრებს ასევე განუცხადეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამუშაოები „ნებართვით“ წარმოებდა, ძეგლების მორთულობისთვის დამახასიათებელ თავდაპირველ ქართულ სტილს ხშირად რუსულით ანაცვლებდნენ. მაგალითად, ნუნარის (ამჟამად უწოდებენ *ხეთაგუროვის*) მე-14 საუკუნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში, გაზეთების ცნობით (Bestaeva 2019; SIA “RES” 2018) სარეაბილიტაციო სამუშაო ეკლესიაში 2018 წლის ზაფხულის დასაწყისში დაიწყო. წყლის ჟონვის შესაჩერებლად გამოიცვალა გადახურვის ფილები, ქვედა დონეები (სავარაუდოდ კედლების) ბეტონით გამაგრდა; ეკლესიის კარფანჯარა განახლდა, დაიგეგმა ეზოს მოკირწყლვა. სამუშაოები „ალანიის ეპარქიამ“ დააფინანსა, ნებართვა კი სამხრეთ ოსეთის ე.წ. კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტმა გასცა. უცნობია, ჰქონდა თუ არა სამშენებლო ფირმას მემკვიდრეობის დარგში მუშაობის გამოცდილება, თუმცა ბეტონის გამოყენების ფაქტის გათვალისწინებით, ეს ნაკლებ სავარაუდოა. ერთ-ერთმა თვითმხილველმა *ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს* ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკურთხეველის კედელი რუსულ სტილში შესრულებული მხატვრობით დაიფარა, რელიეფიანი ძველი ქვის კანკელი (რომელსაც ქართული არქიტექტურული ტრადიციის მიხედვით ხელუხლებლად დატოვებდნენ) ვარდისფრად და თეთრად შეიღება. სტატიის ავტორებმა მსგავსი ინფორმაცია სხვა სამი ეკლესიის შესახებაც მიიღეს.

4.4 მოძრავი კულტურული ფასეულობის დაზიანება

კონფლიქტმა რეგიონის მოძრავი კულტურული ფასეულობები და ის შენობებიც დააზიანა, რომლებშიც ისინი ინახება. *ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა* მოიპოვა ინფორმაცია რეგიონში ძარცვის შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციის დადასტურება ვერ მოხერხდა. ჩვენი წყაროს ცნობით, 2010-2018 წლებში მეტალის დეტექტორებით შეიარაღებული ადამიანების ჯგუფები გადაადგილდებოდნენ აწრისხევში, დისევში,

ძარწემში, კულბითში, კეხვის ციხეში, სვერში და მათ შემოგარენში, განსაკუთრებით ომის დროს გადამწვარი ხის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით. ამ ადამიანების სამიზნე ისტორიული ობიექტები იყო, რადგან იქ მიწისქვეშ არქეოლოგიური მასალა ეგულებოდათ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა *ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს* არაოფიციალურად მიაწოდა ინფორმაცია, რომ ზოგჯერ მუზეუმის თანამშრომლებთან მიაქვთ ნივთები და მათ შეფასებას სთხოვენ და/ან ეკითხებიან, დაინტერესდება თუ არა მუზეუმი მათი შესყიდვით, მაგრამ თანამშრომლებს საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ ეს რეგიონში უკანონო გათხრების შედეგად ნაძარცვი არტეფაქტებია. რეგიონთან დაკავშირებით ჩვენი შეფასება გრძელდება.

კონფლიქტების დროს და მათ შემდეგ ცხინვალის რეგიონული მუზეუმებიც დაზარალდა. 1990-იანი წლებისა და 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს დაზიანდა ცხინვალის ადგილობრივი ისტორიის მუზეუმის შენობა და ივანე მაჩაბლის მუზეუმი (მდებარეობდა ისტორიულ შენობაში), 2008 წელს კი ვასო აბაევის სახლ-მუზეუმი და დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობა.

1990-იანი წლების დასაწყისში ცხინვალის მუზეუმისა და კოსტა ხეთაგუროვის სახლ-მუზეუმის კოლექციები ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია), კერძოდ, ვლადიკავკაზში გადაიტანეს და ცოტა ხნის წინ რუსეთის ინვესტიციით აღდგენილ ცხინვალის მუზეუმში, ამჟამად, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმში დააბრუნეს (SIA “RES” 2016). ოსური პრესის თანახმად, მუზეუმმა ახალი როლი შეიძინა – მისმა ექსპონატებმა და გამოფენებმა მნახველებს სამხრეთ ოსეთის ისტორია უნდა მოუთხრონ (Biazarti 2019). Google Earth-ის სატელიტური გადაღებებით, როგორც ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, ისე დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობა 2014 წელს ნაწილობრივ და სრულად ბულდოზერით დაშალეს.

ახალგორის მუზეუმი 1982 წელს გაიხსნა. იგი ქსნის ერისთავთა მე-16 საუკუნის სასახლეშია განთავსებული, რომელსაც ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ეს ერთადერთი მუზეუმი, რომელიც არ დაზიანებულა და არ დახურულა, მაგრამ ამჟამად დიდწილად მოუვლელია – ეს კი საფრთხეს უქმნის იქ დაცულ ექსპონატებს. მუზეუმის თანამშრომელმა ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შენობას ახალი გადახურვა სჭირდება, რაც იქ დაცულ არტეფაქტებს საფრთხეს უქმნის. არტეფაქტები, მისი თქმით, ცხინვალის ახალ მუზეუმში უნდა გადაეტანათ, მაგრამ ინფორმაციის დადასტურება ვერ მოხერხდა. ლურჯი ფარის საქართველოს კომიტეტს ასევე შეატყობინეს, რომ 2018 წლის ზამთარში, შენობის გარშემო მიწისქვეშა კომუნიკაციები შეიცვალა, მიწის სამუშაოების დროს კი 6 მეტრი სიგანის ადრეული შუა საუკუნეების ციხესიმაგრის კედელი გამოვლინდა. მიწის სამუშაოები სავარაუდოდ ღამით ჩატარდა, რათა ფასეული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში ის ადვილად დაემალათ.

კონკრეტული შემთხვევის ანალიზი: თამარაშენი

თამარაშენი ქალაქ ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე პირველი სოფელია. (იხ. სურ. 6). UNOSAT-ის სატელიტური გადაღებით მიღებული გამოსახულებების შეფასების (UNOSAT 2008a, 2008b) შედეგად „ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე თამარაშენში დაზიანებული შენობების ყველაზე მეტი რაოდენობაა, სულ 177 დაზიანებული შენობა“. 136 შენობა დაანგრიეს, 47 კი მძიმედ დაზიანდა, რაც სოფელში არსებული შენობების 51%-ს შეადგენს. Human Rights Watch-ი (HRW 2009: 131) საბრძოლო მოქმედებების შემდეგ მიზანმიმართული ძარცვისა და შენობების გადაწვის მონმე გახდა.

2009 წელს ისტორიული სოფლის მიმდებარედ საცხოვრებელი კორპუსები აშენდა (მოჩანს მე-7 და მე-8 სურათების მარჯვენა მხარეს). უბანს „მოსკოვსკი“ დაარქვეს (აფციაური 2020).

ომის შემდეგ, Google Earth-ის სატელიტური გამოსახულებების საფუძველზე სტატიის ავტორებმა დაადასტურეს, რომ 2014 წლის 22 მარტსა და 2014 წლის 7 ნოემბერს შორის პერიოდში თამარაშენმა სრული ნგრევა განიცადა (ქვემოთ იხ. სურ. 6,7,8), თუმცა, ახალ ამბებში გავრცელებული ინფორმაციით სასაფლაო გადარჩა (აფციაური 2018). ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს თვითმხილველებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ გადამწვარი სახლები, რომლებიც დღემდე შემორჩენილია, დანომრილია; სავარაუდოდ, მათი დემონტაჟი იგეგმება.

2008 წლის საბრძოლო მოქმედებამდე, თამარაშენში ივანე მაჩაბლის მუზეუმი მდებარეობდა. მუზეუმი განთავსებულია სახლში, რომელშიც ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი (მე-18-19 სს). მუზეუმის თანამშრომლების თქმით, 1997 წელს შენობა დაიბომბა და ძლიერ დაზიანდა, ღვინის მარანი კი დაინგრა. 2001-2003 წლებში საქართველოს კულტურის სამინისტრომ მუზეუმი აღადგინა და ხელახლა გახსნა, მაგრამ 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად შენობა და იქ დაცული კოლექცია კიდევ უფრო დაზიანდა (კოლექციის ევაკუირება არ მომხდარა კონფლიქტის სწრაფი ტემპით ესკალაციის გამო). UNOSAT-ის სატელიტური გადაღებით მიღებული გამოსახულებების შეფასებაში (2008c) აღნიშნულია: „ID2: ივანე მაჩაბლის მუზეუმი (მე-19 ს.) თამარაშენში. ჩრდილოეთ ნაწილის სახურავის სავარაუდო დაზიანება (დასაზუსტებელია). 8 მიმდებარე შენობა და ნგრეულია/ძლიერ დაზიანებულია“. Google Earth-ით მიღებულ სატელიტურ გამოსახულებებზე ჩანს, რომ შენობა 2010 წლისთვის ნაწილობრივ ჩამოინგრა (სურ. 9), რაც შესაძლოა 2008 წელს საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული სავარაუდო დაზიანების შედეგი იყო. უფრო გვიანდელი გამოსახულებებიდან ირკვევა, რომ შენობის სამხრეთი ნაწილი ბუდდოზური დაანგრიეს, 2019 წელს გადაღებულ გამოსახულებაში (სურ. 10) კი ჩრდილოეთი ნაწილი ჩამონგრეულია.

სურ. 6: თამარაშენი, Maxar-ის 2007 წლის 26 ივლისის გადაღებულ სატელიტურ გამოსახულებაზე Google Earth-ის მეშვეობით



სურ. 7: თამარაშენი, Maxar-ის 2010 წლის 19 ოქტომბერს გადაღებულ სატელიტურ გამოსახულებაზე Google Earth-დან. ახალი საცხოვრებელი უბანი („მოსკოვსკი“) მდებარეობს მარცხნივ.



სურ. 8: თამარაშენი, CNES/Airbus-ის 2019 წლის 16 ივლისის გადაღებული გამოსახულება Google Earth-დან. ცენტრში მოჩანს, რომ ყოფილ საცხოვრებელ უბანში სახლები დანგრეულია.

კონკრეტული შემთხვევის ანალიზი: ერედვი

ერედვი ისტორიულ წყაროებში მე-8 საუკუნიდან იხსენიება. იგი დიდი და პატარა ლიახვის ხეობის უდიდესი სოფელია. მასში 2008 წლის ომამდე 1,000 ოჯახი სახლობდა. მასმედიით გავრცელებული უახლესი ინფორმაციით (აფციაური 2020), ერედვთან ნაგავსაყრელის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს (სავარაუდოდ მას რუსეთის მთავრობა აფინანსებს). ომამდე, სოფლის მოსახლეობა სავარაუდოდ წინააღმდეგობას უწევდა სეპარატისტულ სამხედრო დაჯგუფებებს; ერთი ადგილობრივი ისტორიკოსისა და ამჟამად დევნილი და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები რამდენიმე ერედველის თქმით, ნაგავსაყრელის მოწყობა ერთგვარ დასჯასა

და შურისძიებას ჰგავს (აფციაური 2020; ლია საზოგადოება საქართველო 2009).

კონკრეტული შემთხვევის ანალიზი: თირის მონასტერი

თირის მონასტერი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც არქიტექტურით, შემკულობით, კედლის მხატვრობითა და ლაპიდარული წარწერებით გამოირჩევა. მე-13 საუკუნიდან მე-17 საუკუნამდე, იგი რამდენჯერმე განაახლდა ქართველი დიდებულებისა და მეფეების მიერ. მონასტერი საქართველოში დიდებულთა არაერთი ოჯახის საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. აქვეა დაკრძალული მეფე ვახტანგ VI-ის შვილი, როსტომ ბატონიშვილი. მონასტერი მცირე ზო-



სურ. 9 (მარცხნივ): მუზეუმი 2008 წელს დაზიანების შემდეგ; მოჩანს Maxar-ის 2010 წლის 1 იანვრის გამოსახულებაზე Google Earth-ის მეშვეობით. სურ. 10 (მარჯვნივ): მუზეუმი Google Earth-ის გამოსახულებაზე, 2019 წლის 16 ივლისის მდგომარეობით.

მისაა და მხოლოდ ერთი ეკლესიისა და სამრეკლოსგან შედგება. ღიობები ქვის ნატიფი რელიეფებით არის შემკული.

UNOSAT-ის სატელიტური გადაღებით მიღებული გამოსახულებების შესწავლით (UNOSAT 2008c Site ID 15) დადასტურდა, რომ ომის დროს მონასტერი არ დაზიანებულა, თუმცა ახლა იგი მიტოვებულია. მოუვლელობამ ბუნებრივი მიზეზებით დაზიანება განაპირობა, რის გამოც მონასტრის მდგომარეობა თანდათან უარესდება. ეკლესიის ჭერი და კედლები მძიმე მდგომარეობაშია, სახურავიდან წყალი ჟონავს და კედლებს აზიანებს. მომატებული ტენიანობა კი მე-14 საუკუნის კედლის მხატვრობას აზიანებს.

რუსული და ქართული საინფორმაციო წყაროების მიხედვით (Blagovest-info 2015; Gruzija Online 2015), 2008 წელს კონსერვაციის რუსმა ექსპერტმა შეისწავლა ფრესკები: ისინი „არა-დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, რადგან ტაძრის სახურავიდან წყალი ჟონავდა, საღებავის ფენა ამოზოკებული იყო, კედლის საპირე წყობა კი ბათქაშის ფენიდან დაცობილი იყო. [ჩვენ] სამხრეთ ოსეთის კულტურის სამინისტროს წარვუდგინეთ რეკომენდაცია ფრესკების რესტავრაციის შესახებ“. რეკომენდაცია ასევე შეეხებოდა სახურავის რესტავრაციასა და რეკონსტრუქციას და საკონსერვაციო სამუშაოს. ასევე მომზადდა ფრესკების რესტავრაციის პროგრამა. თუმცა, დაფინანსების ნაკლებობის გამო სამუშაო ვერ განხორციელდა. 2009 წელს რუსეთის გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდა“ (2009) გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად, მრავალი წლის შემდეგ ეკლესიაში მსახურება აღდგა. იმ დროს იქ მყოფმა ბერმა მიანიშნა ნაპრალებზე, საიდანაც წვიმის წყალი ჩადიოდა შენობაში და დაზიანებას იწვევდა. მან ფრესკების ფოტოები გადაიღო და მიუთითა აშკარა დაზიანებაზე, რომელიც ფრესკებმა ბოლო სამი თვის განმავლობაში განიცადა. 2012 წელს მოხალისეებმა განმინდეს ეკლესია და მისი შემოგარენი და კიდევ ერთხელ მიუ-

თითეს, რომ საჭირო იყო ეკლესიის სახურავის შეკეთება, კედლები დაზარალი იყო, ფრესკები კი ზიანდებოდა (Yuga.ru 2012).

2015 წლის ივლისში, რუსეთის ახალი ამბების სააგენტოების (Sputnik 2015a, 2015b) ცნობით, თირის მონასტერში უნებართვო სამუშაოები ჩატარდა: სამშენებლო კომპანია „უიუტი“-ს კვალიფიკაციისა და ლიცენზიის არმქონე მუშებმა „მნიშვნელოვნად დააზიანეს“ უძველესი კედლის მოხატულობა და ღობის მოსაწყობად მე-17 საუკუნის სატრაპეზოს ქვები გამოიყენეს. ახალი ამბების ცნობით, კულტურის სამინისტრომ სამუშაოები შეაჩერა რუსეთის სახელოვნებათმცოდნეო-სამეცნიერო და რესტავრაციის ცენტრის ხელმძღვანელის, ლესოვოის, მიერ დაზიანების ხარისხის შეფასებამდე (Sputnik 2015c). ლესოვოიმ სავარაუდოდ გადაამზადა კომპანიის მუშები, რომლებსაც დაზიანების გამოსწორება დაევალათ; რესტავრაცია ლესოვოის „მკაცრი რეკომენდაციებით“, კულტურის სამინისტროს კონტროლით წარიმართა (Sputnik 2015d). როგორც 2015-16 წლებში 4 ეკლესიის რესტავრაციის პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ ძეგლზე სამუშაოს ჩატარებისას, ამ შემთხვევაშიც სამინისტრომ ეკლესიაზე სარემონტო სამუშაოს ჩატარების უფლება კომპანიას მუშების გადამზადების შემდეგ და სამუშაოების ზედამხედველობის პირობით მისცა. თუმცა, *ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა* ოსეთის სახელმწიფო სააგენტოს ანონიმური წყაროდან მოიპოვა 2016 წლის ფოტოები, რომლებიც მათი ინფორმაციით, ასახავს „საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სახურავის სარემონტო სამუშაოებს“. ფოტოებით (მაგ., სურ. 11 და 12) დგინდება არატრადიციული მასალების, მათ შორის ცემენტის, ინტენსიურად გამოყენება, რაც დააჩქარებს ნაგებობის შემდგომ დაზიანებას.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ანალიზი ჯერ არ დასრულებულა, ორი საკითხი ამ ეტაპზე ცხადად გამოიკვეთა. მათ შორის ერთი კულ-

ტურული მემკვიდრეობის განადგურებასა და გამოყენებას ეხება, მეორე კი – კონფლიქტის დროს და მის შემდეგ საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას.

რეგიონში არსებულმა კულტურულმა მემკვიდრეობამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. ომის დროს მრავალი მუზეუმი და შენობა დაზიანდა, ისტორიულად ეთნიკური ქართველებით დასახლებული არაერთი სოფელი კი ომიდან ათი წლის თავზე განადგურდა. შენობები, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს არ დაზიანებულა, ახლა მიტოვებული და მოუვლელია. სამხრეთ ოსეთის ე.წ. კულტურის სამინისტრომ დაუფარავად აღიარა, რომ სათანადო კონსერვაციისთვის საჭირო არც ფინანსური და არც ადამიანური რესურსები არ გააჩნია. ამით აიხსნება შეუსაბამო რესტავრაცია და დაზიანება, განსაკუთრებით საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც წმინდა ადგილების გამოყენება სურს. თუმცა, ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების (უფრო სწორად, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო სარემონტო სამუშაოების) შედეგად, ისტორიული შენობები თავდაპირველი ქართული სტილის ნაცვლად, ხშირად რუსული რელიგიური არქიტექტურის იერსახეს იძენს. ამას თან ერთვის ქართული მუზეუმების დახურვა და განადგურება და მუზეუმების გადარჩენილი ნაწილის „ოსური“ ნარატივის მიხედვით გადაკეთება, ადგილების დასახელებების შეცვლა, ისტორიულად ეთნიკური ქართველებით დასახლებული არაერთი სოფლის გამიზნულად განადგურება. შედეგად, იკვეთება კულტურული მემკვიდრეობის შეცვლილი ნარატივის დასამკვიდრებლად გამოყენების და რეგიონში ყოველგვარი ქართულის ნაშლის ერთიანი სურათი.

რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის განადგურების შემთხვევებთან მიმართებაში ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება. შეიარაღე-

ბული ძალების წვრთნის პროცესში¹ გამოჩნდა, რომ საკულტო ძეგლების დაცვის საჭიროება, რაც ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმით (1977) არის გათვალისწინებული, საკმაოდ კარგად არის გაცნობიერებული. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს ზოგიერთი ეკლესია (სვერი, ნიქოზი, ხეითი) დაზიანდა, საკულტო ნაგებობების უმეტესობა, ავტორებისთვის (ამ დროისთვის) არსებული ინფორმაციით, ქართული სოფლების შემდგომი გადანაცვლა და დაცლის შემდეგ ხელშეუხებლად დატოვეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეგიონში მოქმედი შეიარაღებული ძალები ან იცნობდნენ კონფლიქტის შემთხვევაში მოქმედ შესაბამის სამართლებრივ დებულებებს, ან ეკლესიების მნიშვნელობა ადგილობრივთა ცნობიერებაში ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე მაღლა დგას.

ამასთან, ჰააგის 1954 წლის კონვენციისა და მისი პირველი ოქმის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი სავარაუდოდ დაბალია. აღსანიშნავია, რომ ყველა მუზეუმი, გარდა ორისა, ერთ-ერთი კონფლიქტის დროს დაზიანდა – მიუხედავად იმისა, რომ ურბანულ არეალებში მდებარე ისტორიული შენობების სხვა სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნაგებობებისგან გარჩევა ძნელია, მუზეუმების მდებარეობის შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, ადვილად ხელმისაწვდომია მათი ტურისტული მიმზიდველობის გათვალისწინებით. ეს კი შეიარაღებულ ძალებს მათ სხვა ლეგიტიმური სამიზნეებისგან გარჩევაში ეხმარება. ყველა მუზეუმი კონფლიქტის დროს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის დაცული, როგორც სამოქალაქო ნაგებობა. მათი დაცვის საკითხი უფრო კონკრეტულად ჰააგის 1954 წლის კონვენციით რეგულირდება. ავტორებს არ გააჩნიათ მტკიცებულება იმის შესახებ, მხარეების მიერ იყო

¹ ქანლიფს ლურჯ ფართან თანამშრომლობის ფარგლებში საკუთარი წვლილი შეაქვს კულტურული ფასეულობების დაცვის კუთხით ნატოსა და ბრიტანეთის არმიის სამხედრო წვრთნებში.



სურ. 11 და 12: ცემენტის გამოყენება თირის მონასტრის სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების დროს, 2016. © ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი



- Create inventories of cultural property and other items of historical, cultural and religious importance, which have been illegally transferred from armed conflict areas, notably from territories under foreign occupation, for ensuring their safe return to the countries of origin in the future.

- Encourage efforts of all jurisdictions, national and international, and call for a close cooperation of law enforcement and customs agencies in investigations, prosecutions, seizure and confiscation as well as the return, restitution or repatriation of trafficked cultural property.

- Proactively cooperate in cultural heritage crime cases; liaising with auction houses and museums to track down objects originating from war-affected areas and to prevent the exhibition of the artefacts from occupied territories.

- Learn more and exchange international experience in cultural heritage protection and provide systematic consultations with foreign partners and training courses in cultural emergency response.

- Develop teams of cultural heritage experts for rapid actions in complex crisis.

In conclusion I would like to stress that in the last seven years Ukrainian cultural heritage was severely endangered by mass protests, annexation of its territory and military conflict in eastern occupied regions. This particular moment in time displays a critical need for Ukrainian cultural heritage professionals and activists to gain new skills in empowering and inspiring governmental and local leadership, to exchange knowledge and experience with their international colleagues, to create spaces and opportunities for Ukrainian citizens to be not just spectators, but participants in the ideas and questions that shape and protect art and history, and the past and the future.

Why is this important? As Corine Wegener, director of the Smithsonian Cultural Rescue Initiative (SCRI), stated, “The choice is ours. If we... continue to act as individuals and function within a variety of discrete organizations, we will almost certainly

fail the next time colleagues in a war-torn country need us. However, if we unite ... we can make our voices heard and perhaps even be influential enough to prevent the 'next time'" (Wegener, Otter).

References:

Cultural Heritage in Postwar Recovery. Papers from the ICCROM FORUM held on October 4–6, 2005. Edited by Nicholas Stanley-Price, 2007.

Golubock, D. Garrison. 2014. Kiev History Museum Looted During Night of Chaos. 21 February 2014. Retrieved from http://www.themoscowtimes.com/arts_n_ideas/article/kiev-history-museum-looted-during-night-of-chaos/494977.html

Prince Constantijn. Cultural Emergency Response. Foreword to Cultural Emergency in Conflict and Disaster. Edited by Berma Klein Goldewijk and al. Prince Claus Fund, 2011.

Romanova, Kateryna. 2015. Kyiv City Museum case study. Presentation at the Seminar "First Aid to Museums in Crisis". Ivan Honchar Museum, Kyiv, 21 May 2015.

Vaganova, Yulia. 2015. NAMU. Power Point presentation at the Seminar "First Aid to Museums in Crisis". Ivan Honchar Museum, Kyiv, 21 May 2015.

Statement by the Delegation of Ukraine at the UNSC Briefing on the Protection of Cultural Heritage in Armed Conflicts. March 24, 2017. Retrieved from <http://ukraineun.org/en/press-center/180-statement-by-the-delegation-of-ukraine-at-the-unsco-briefing-on-the-protection-of-cultural-heritage-in-armed-conflicts/>

The Hague as a Tool for Protection of the Crimean Cultural Heritage. 12 February 2020. Retrieved from <http://qha.com.ua/ru/kryimskie-tataryi/gaaga-yak-instrument-zahistu-krimskoyi-kulturnoyi-spadshhini-v-radu-podano-zakonoprojekt-pro-priyednannya-dodrugogo-protokolu-gaazkoyi-konventsii-shhodo-kulturnoyi-spadshhini-pid-chas-vijni/>

Trehub, Hanna. 2015. Tymur Bobrovskyi: "Rosiyi Khersones Tavriyskyi yak ob'ekt Vsesvitniyoi spadshchyny ne potriben. 8 September 2015. Retrieved from <http://tyzhden.ua/Culture/145184>

Wegener, Corine and Otter, Marjan. Cultural Property at War: Protecting Heritage during Armed Conflict. The Getty Conservation Institute.

Retrieved from http://www.getty.edu/conservation/publications_resources/newsletters/23_1/feature.html

Zhemchuzhnykova, Kateryna. 2014. "We will build a new museum". The Day. 3 September, 2014. Retrieved from <http://m.day.kiev.ua/en/article/culture/we-will-build-new-museum>

თანამედროვე კოლონიზაცია: კულტურული ფასეულობები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში

ელმირა აბლილიმოვა-ჩიპოზი
ყირიმის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი
კიევი. უკრაინა

კატერინა ბუსოლი
გაეროს ქალთა ორგანიზაციის ეროვნული კონსულტანტი გარდამავალი მართლმსაჯულებისა
და კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასზე
რეაგირების საკითხებში
უკრაინა
(კატერინა ლონსძიებაში მონაწილეობდა საკუთარი სახელით და არ წარმოადგენდა არც
ერთ ორგანიზაციას)

დენის იაშნი
კიევი-პეჩორსკის ეროვნული ისტორიული და კულტურული ნაკრძალის კულტურული
მემკვიდრეობის კვლევების დეპარტამენტის წამყვანი მკვლევარი

შესავალი

წინამდებარე სტატიაში განზოგადებულია რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში უკრაინის კულტურული ფასეულობების დაცვის პროექტისა და რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ წარმოებული გამოძიების შედეგები. პროექტი „შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული უფლების ნორმების დარღვევა: კულტურულ ფასეულობათა დაცვა“ მიმდინარეობდა 2019 წელს.¹ პროექტში

გაერთიანდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტები, არქეოლოგები, მუზეუმების მაღალი ხელმძღვანელი პირები და იურისტები. პროექტი შეისწავლიდა ოკუპირებულ ყირიმში უკრაინის კულტურულ ფასეულობათა ძირითად დარღვევებს, ამ სფეროში პოლიტიკის ხარვეზებს და იმ შესაძლო ნაბიჯებს, რომელიც უკრაინას შეუძლია ახლა გადადგას რათა მოახდინოს რუსეთის მიერ ჩადენილი დარღვევების დოკუმენტირება და დააყენოს რუსეთი სახელმწიფოებრივი და ინდივიდუალური პასუხისმგებლის წინაშე მათზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლის მეშვეობით.

სტატიაში პროექტის სამ ძირითად ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული:

¹ Ukrinform. 2019. *A Study of the State of Sites in Occupied Crimea Was Presented in Kyiv* (У Києві презентували дослідження про стан пам'яток в окупованому Криму). <https://www.ukrinform.ua/rubric-crimea/2835305-u-kyevi-prezentuvali-doslidzen-na-pro-stan-pamatok-v-okupovanomu-krimu.html>.

1. ყირიმის უკრაინულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით რუსეთის, როგორც ოკუპანტი ძალის მოვალეობების ანალიზი.

2. ოკუპირებულ ყირიმში უკრაინის კულტურული საკუთრების წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული მთავარი დარღვევების მიმოხილვა.

3. ბახჩისარაის ხანის სასახლის, როგორც უკრაინის ძირი მოსახლეობის – ყირიმელი თათრების ერთადერთი არქიტექტურული მემკვიდრეობის გამანადგურებელი რეკონსტრუქციის გამოკვლევა. ეს შემთხვევა ყველაზე მკაფიო მაგალითია რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებისა ყირიმში კულტურის წარხოცვის მიზნით, რომელიც არ შეიძლება საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიღმა დავტოვოთ.

რუსეთის ვალდებულებები ოკუპირებულ ყირიმში უკრაინის კულტურულ საკუთრებასთან მიმართებაში

ყირიმის ოკუპირებული სტატუსი და ნებისმიერი შედეგების უსაფუძვლობა, რომელიც გამოწვეულია ნახევარკუნძულზე დროებითი კონტროლის ცვლილების გამო, დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროსაბჭოს, ევროკავშირისა და ცალკეული ქვეყნების მთავრობების მიერ.¹

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (ICC), რომელიც წინასწარ იხილავს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, და ასევე მიიჩნევს ყირიმს ოკუპირებულად, მიუთითებს რუსეთსა და უკრაინას შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე.² დასკვნები, რომელიც ეხება ყირიმის ოკუპაციას და იქ საერთაშორისო დონის კონფლიქტს, განსაზღვრავენ საერთაშორისო სამართალს, რომელიც მიღებულია ნახევარ-

რკუნძულისა და ერთმანეთთან მეზობლი მხარეების მიმართ.

2014 წლის თებერვალსა და მარტში, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ოკუპაციის დაწყების შემდეგ, ადამიანთა უფლებების დამცველებმა გამოავლინეს ადამიანთა უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევები, რომელიც ასევე მოიცავს ფიქტიურ სასამართლო პროცესებს, დევნას, დეპორტაციას და ყირიმული და უკრაინული ენების გამოყენების დისკრიმინაციას; მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებების ძალადობრივ დარღვევებს, ყირიმელი თათრებისა და უკრაინელების ისტორიის შესწავლის, ყირიმულ-თათრული და უკრაინული კულტურების განვითარების შეზღუდვასა და სხვა დარღვევებს.

ამ ფონზე კულტურული მემკვიდრეობა აღმოჩნდა ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი, რაც მრავალ დონეზე გამოვლინდა, როგორცაა: საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ყურადღების ხარისხი (ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები კონკრეტული პიროვნებების მიმართ, როგორცაა წამება, დევნა, ძალადობრივი გაუჩინარება, ფიქტიური სასამართლო პროცესები), დოკუმენტაციის სიიოლე და სიღრმე, ასეთ დარღვევებზე უკრაინული და საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური ქმედებების პრიორიტეტი.

ზემოთქმულის გარდა, ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ღია წყაროებით, მიუთითებს იმას, რომ რუსეთი აწარმოებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ისეთ დარღვევებს როგორცაა ყირიმში უკრაინული კულტურული ფასეულობების მიმართ კანონის დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტების დროს.³

¹ United Nations General Assembly Resolution A/RES/68/262 “Territorial Integrity of Ukraine”. 2014. <https://undocs.org/en/A/RES/68/262>; Parliamentary Assembly of the Council of Europe. Resolution 2198(2018) Humanitarian consequences of the war in Ukraine. 2018. <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=24432&lang=en>; EU non-recognition policy for Crimea and Sevastopol: Fact Sheet. 2020. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/37464/eu-non-recognition-policy-crimea-and-sevastopol-fact-sheet_en.

² Office of the Prosecutor of the International Criminal Court, Report on Preliminary Examination Activities 2016, para. 158.

³ LB.ua. 2019. “We Are Losing It.” *What Is Happening With Cultural Property in Crimea* (“Ми його втрачаємо.” *Що відбувається з культурною спадщиною в Криму*). https://lb.ua/culture/2019/03/04/421110_mi_yogo_vtrachaemo_shecho_vidbuvaetsya.html?fbclid=IwAR3giLYRen-h4dEm4z_nDjbJxJ6MSn8TN9ePKUch9OBxRumvivZ3wNI-hdOQ0; Coynash, Halya. 2020. *Ukraine moves to fight Russia’s destruction of cultural heritage in occupied Crimea. The Ukrainian Weekly.* <http://www.ukrweekly.com/uwwp/ukraine-moves-to-fight-russias-destruction-of-cultural-heritage-in-occupied-crimea/>.

– კულტურული საკუთრების განადგურება და დაზიანება;

– ინდივიდუალური ელემენტების დაკარგვა, რომელიც არღვევს არტეფაქტების და ნივთების/საგნების ავთენტურობას (ამას ემატება მათი რესტრუქტურიზაცია, ზედნაშენების დამატება და ა.შ.);

– კულტურული მემკვიდრეობის უკანონო გადაადგილება ყირიმის დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციაში ან სხვა ქვეყნებში;

– უკანონო არქეოლოგიური გათხრების წარმოება ყირიმის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

– რუსეთის მიერ კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურული ინსტიტუციების მითვისება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნესი (“IHL”) არეგულირებს მეომარი მხარეების მოქმედებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს. IHL-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ჩვეულებრივი ნორმები, რომელიც შეეხება შეიარაღებულ საერთაშორისო კონფლიქტებს, ასევე გამოიყენება ოკუპაციასთან მიმართებაში. ისინი სხვა დანარჩენთან ერთად, ადგენენ ოკუპანტი სახელმწიფოს მოვალეობას იმის თაობაზე, რომ მან მიიღოს მონაწილეობა კულტურული ფასეულობების დაცვის ზომებში, აუცილებლად ყურად იღოს ოკუპირებული სახელმწიფოს ვითარება. თუმცა, რუსეთის ოკუპანტი ხელისუფალნი პრაქტიკულად არ იცავენ IHL-ის ამ და სხვა აუცილებელ ნორმებს.

ჰააგის 1907 წლის IV კონვენციით მიღებული დებულება, რომელიც სახმელეთო ომის კანონებსა და წესებს შეეხება, აუცილებელი ვალდებულებაა როგორც რუსეთისთვის, ისე უკრაინისთვის. რეგულაციას ითვალისწინებს მხატვრული, საქველმოქმედო და რელიგიური ინსტიტუციები მაშინაც კი როცა ისინი ეკუთვნის სახელმწიფოს, როგორც კერძო საკუთრება, რომელიც დაცულია კონფისკაციისგან, განადგურებისა და მიზანმიმართული დაზიანებისგან. ნებისმიერი ასეთი დარღვევა სათანადო გზით უნდა იქნეს გამოკვლეული და მას თვალყური უნდა ედევნებოდეს კანონის ფარგლებში.¹

¹ Regulations annexed to the 1907 Hague Convention IV Respecting the Laws and Customs of War on Land, art. 56.

1954 წლის ჰააგის კონვენცია, რომელიც ეხება შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ორივე სახელმწიფოსთვის. პრინციპში, ეს მოლაპარაკება ოკუპანტი სახელმწიფოსგან საჭიროებს ნებისმიერი ერთმხრივი მოქმედებისგან თავის შეკავებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ არტეფაქტებთან დაკავშირებით, ისევე როგორც ეროვნულ ხელისუფლებასთან კონსულტაციას და მათი დახმარების განწევას ნებისმიერი ზომების საშუალებით არტეფაქტების დაცვის ან შენახვის მიზნით.² ეს ვალდებულება დამტკიცებულია იუნესკოს სამხედრო წესდებაში, რომელიც ეხება კულტურული ფასეულობების დაცვას.³

დაცვის ვალდებულება წარმოადგენს იუნესკოს 1972 წლის კონვენციის კვინტესენციას, რომელიც ეხება მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, და რომლის მონაწილეც უკრაინასთან ერთად რუსეთიც არის.

ჩვეულებრივი საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი, რომელიც ყველა სახელმწიფოსთვის აუცილებელია, კრძალავს ნებისმიერ „მიტაცებას, განადგურებას ან მიზანმიმართულ ზარალს, რომელიც მიადგა ისეთ დაწესებულებებს, როგორიცაა რელიგიური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სახელოვნებო და სამეცნიერო, ასევე ისტორიულ ძეგლებს ხელოვნებისა და მეცნიერების ქმნილებებს“.⁴ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კულტურული ფასეულობების მიმართ არსებობს ცალკე აკრძალვა – მოპარვის, ძარცვის, უკანონო მითვისებისა და ვანდალიზმის შესახებ.⁵ ოკუპანტი ქვეყანა ასევე ვალდებულია შეწყვიტოს კულტურული ფასეულობების ნებისმიერი სახის უკანონო გატანა ოკუპირებული ტერიტორიიდან და უზრუნველყოს ისინი დაბრუნებით მსგავს შემთხვევაში.⁶

² The 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict, arts. 5.1, 5.2.

³ UNESCO Military Manual on the Protection of Cultural Property, paras. 195-200.

⁴ Customary International Humanitarian Law, Rule 40.A.

⁵ Customary International Humanitarian Law, Rule 40.B.

⁶ Customary International Humanitarian Law, Rule 41.

იუნესკოს სამხედრო წესდება კულტურული ფასეულობების დაცვის მიმართ, რომელსაც სისტემაში მოჰყავს ამ დარგში არსებული მონინავე გამოცდილება, ამტკიცებს უკვე ზემოხსენებულ აკრძალვებს კულტურული ფასეულობების უკანონო გატანაზე, მითვისებასა და მოდიფიკაციაზე, ასევე არასანქცირებულ არქეოლოგიურ გათხრებზე.¹

როგორც ზემოხსენებული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ჩვეულებითი ვალდებულება, და ასევე მონინავე გამოცდილება. რუსეთის ოკუპანტმა ხელისუფლებამ არათუ ვერ შეძლო უკრაინის ნაციონალურ ხელისუფლებასთან ურთიერთქმედება ყირიმში უკრაინული კულტურული ფასეულობების დაცვისა და შენახვის პირობების განსახილველად, არამედ აქტიურად მონაწილეობდა ამგვარი ფასეულობების მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა დარღვევაში. ამგვარი დარღვევების ამსახველ დეტალებს ქვემოთ განვიხილავთ.

რუსეთის მიერ განხორციელებული დარღვევები ოკუპირებულ ყირიმში უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ

ICC წინასწარული ექსპერტიზის აღსრულების მიზნით მიიღეს გადანყევტილებას უკრაინაში სრული გამოძიების დანყების შესახებ. გამოძიებამ შეიძლება სისრულეში მოიყვანოს დაკავების ორდერები, სამართლებრივი თვალთვალი, ბრალდება ან გამართლება. იმისათვის რომ მივიღეთ გამოძიების დასკვნებამდე და გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები. ICC-მ სხვა დანარჩენთან ერთად, უნდა შეაფასოს და განსაზღვროს მოხდა თუ არა მის იურისდიქციაში შემაჯალი სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებები რუსულ-უკრაინული შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობისას. ყირიმის კონტექსტში, ICC შეისწავლის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სავარაუდო სამხედრო დანაშაულებებს.²

რაც შეეხება ყირიმის კულტურულ ფასეულობებს, ICC-მ წინასწარულად დაადგინა სავარაუდოდ ჩადენილი საომარი დანაშაულებები, რომელიც მონინააღმდეგის საკუთრების მითაცებას გულისხმობს, და რომელიც არ წარმოადგენს საომარი აუცილებლობით გამოწვეულ მწვავე მოთხოვნას.³ ICC-ის მიერ განხილული სხვა ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული თვალთვალის სახით, ასევე დაგვეხმარება რუსეთის მხრიდან ნახევარკუნძულზე არსებული უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამოვლენაში.⁴ თუმცა, ეს მხოლოდ ყირიმის მაგალითია, რომელიც კონკრეტულ საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია განიხილოს თავისი იურისდიქციის წესების თანახმად. პრაქტიკაში კი, როგორ ზემოთ მოკლედ იქნა აღნიშნული, რუსეთის მიერ ჩადენილი დარღვევების მასშტაბი უკრაინის კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ გაცილებით ფართო და მრავალფეროვანია.

ყირიმის ოკუპაციით რუსეთის ფედერაციამ ერთდროულად ორი პროცესი წამოიწყო ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქალაქ სევასტოპოლში უკრაინის კულტურულ ფასეულობებთან მიმართებით. პირველი იყო უკრაინის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის მოშლა ინსტიტუციურ და სამართლებრივ დონეზე, მეორე კი უკრაინის კულტურული საკუთრების მითვისება, გადანა, დაზიანება ან განადგურება.

2014 წლის 17 მარტს, ყირიმის უკანონო პარლამენტმა გადანყვიტა „გამოაცხადოს ყირიმი დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, ყირიმის რესპუბლიკის სახელწოდებით, სადაც ქალაქ სევასტოპოლს აქვს განსაკუთრებული სტატუსი“. ორივე დოკუმენტში გამოცხადებული იყო „ყირიმის ტერიტორიაზე უკრაინის მიერ ან მისი მონაწილეობით შექმნილი დანესებულებების“ გადანცემა ყირიმის რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის მფლობელო-

¹ UNESCO Military Manual on the Protection of Cultural Property, paras. 201-212.

² Office of the Prosecutor of the International Criminal Court, Report on Preliminary Examination Activities 2019, paras. 272-273.

³ Office of the Prosecutor of the International Criminal Court, Report on Preliminary Examination Activities 2019, para. 272.

⁴ Office of the Prosecutor of the International Criminal Court, Report on Preliminary Examination Activities 2019, para. 273.

ბაში.¹ 18 მარტს რუსეთის ფედერაციამ და ყირიმის თვითმარქვია რესპუბლიკამ დადეს შეთანხმება, რომლის თამახმაც დადგინდა რუსეთის ფედერაციის მიერ პირდაპირი კონტროლი უკრაინის ყირიმის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე. რუსეთის სახელმწიფომ დაადგინა გარდამავალი პერიოდი 2015 წლის 1 იანვრამდე, რომლის განმავლობაშიც ყირიმის მუზეუმები და ნაკრძალები ხელმეორედ უნდა დარეგისტრირებულიყო როგორც რუსეთის დაწესებულებები.²

2014 წლის ოქტომბერში, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სპეციალურმა კომისიებმა დაიწყეს 15 ლეგალური ორგანიზაციის ლიკვიდაცია, განსაკუთრებით კი მუზეუმებისა და ნაკრძალებისა, რომელიც იყო უკრაინული სამუზეუმო ქსელის ნაწილი. მათ ნაცვლად, რუსეთის ოკუპანტმა ხელისუფლებამ შექმნა 14 სამუზეუმო ინსტიტუცია. სუდაკის ისტორიულმა მუზეუმმა დაკარგა დამოუკიდებლობა და გახდა ყირიმის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტური დაწესებულება: „მუზეუმ-ნაკრძალი „სუდაკის ციხე“ (2014 წლამდე, ის იყო „კიევის სოფიას“ ეროვნული ნაკრძალის ფილიალი).³

2014-2016 წლებში რუსეთის ხელისუფლება ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში ატარებდა მუზეუმების გაერთიანების პოლიტიკას. 2014 წლის დეკემბერში ყირიმის რესპუბლიკის უკანონო მინისტრთა საბჭომ

ქერჩის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი და კულტურული ნაკრძალი გადააკეთა აღმოსავლეთ-ყირიმულ ისტორიულ და კულტურულ მუზეუმ-ნაკრძალად. ახალი სამუზეუმო ინსტიტუცია გადაიქცა ელტიგენტის სადესანტო ისტორიული მუზეუმის, აკრეს, არტესიანის, ილურატის, კიტეის, პარტენიუსის, პოლიანკის და ქერჩის ციხის სხვა კომპლექსების უძველესი დასახლებების მთავარ ორგანიზაციად.⁴ 2016 წლის თებერვალში, უკანონო კულტურის სამინისტრომ იალტაში ჩეხოვის სახლ-მუზეუმი და გურზუფში არსებული პუშკინის მუზეუმი გააერთიანა და შექმნა „ყირიმის ლიტერატურისა და ხელოვნების მემორიალური მუზეუმ-ნაკრძალი“. ⁵

2014 წლის ოქტომბერში, სევასტოპოლში რუსეთის ოკუპანტმა ხელისუფლებამ წამოიწყო უკრაინული კანონიერი დაწესებულებების ლიკვიდაცია. სევასტოპოლის უკანონო მთავრობამ ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბაზაზე შექმნა ახალი ორგანიზაციები. ოკუპანტმა მმართველებმა „ტავრიკ ქერსონესის“ ეროვნული ნაკრძალი გამოაცხადეს ქალაქის საკუთრებად და ჩამოართვეს მას ეროვნული სტატუსი.⁶

2014 წელს, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ისტორიის მუზეუმი მიისაკუთრა. რუსეთის ფედერაციის სამხედრო დეპარტამენტმა ასევე მიისაკუთრა „მიხაილოვსკის ბატარეის“ სამხედრო ისტორიული კომპლექსი და სანაოსნო სამუზეუმო კომპლექსი „ბალაკლავა“, რის საფუძველზეც შეიქმნა ფორტიფიკაციების სამხედრო ისტორიული მუზეუმი.

2015 წლის ოქტომბერში, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ „ტავრიკ ქერსონესის“ ნაკრძალს და სევასტოპოლის გმირული თა-

¹ 178.34.184.203. 2014. Государственный Совет Республики Крым (State Council of the Republic of Crimea). [online] Available at: <<http://178.34.184.203/act/11748>> [Accessed 1 July 2020]; “Закон Города Севастополя “О Бывшей Государственной Собственности Украины””. (The law of Sevastopol “The former state property of Ukraine”). 2014. Севзакон.Ру. https://sevizakon.ru/assets/files/zakony/003-zs_izm39.pdf.

² “Договор между Российской Федерацией и Республикой Крым о принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов” (“The agreement between the Russian Federation and the Republic of Crimea on the admission to the Russian Federation of the Republic of Crimea and the formation of new entities in the Russian Federation”). 2014. Президент России. <http://kremlin.ru/events/president/news/20605>.

³ “Распоряжение Совета Министров Республики Крым” (“Order of the Council of Ministers of the Republic of Crimea”). 2014. Главбух. Ру. https://www.glavbukh.ru/npd/edoc/81_527644.

⁴ “ГБУ РК “Восточно – крымский историко-культурный музей-заповедник” (“East Crimean Historical and Cultural Museum-Preserve”). 2014. List-Org.Com . <https://www.list-org.com/company/8047096>.

⁵ “ГБУК РК “Крымский литературно-художественный мемориальный музей-заповедник” (“Crimean Literary and Art Memorial Museum-Reserve”). 2016. List-Org.Com . <https://www.list-org.com/company/9204038>.

⁶ “Закон Города Севастополя “О Бывшей Государственной Собственности Украины””. (The law of Sevastopol “The former state property of Ukraine”). 2014. Севзакон.Ру. https://sevizakon.ru/assets/files/zakony/003-zs_izm39.pdf.

ვდაცვისა და თავისუფლების ეროვნულ მუზეუმს შეუცვალა სტატუსი, და უწოდა „ფედერალური დანესებულებები“. 2019 წელს, სევასტოპოლის გმირული თავდაცვისა და თავისუფლების ეროვნულ მუზეუმს გადაარქვეს სახელი და უწოდეს სამხედრო ისტორიული მუზეუმ-ნაკრძალი.¹

ოკუპანტი რუსეთის მმართველების მიერ შექმნილი ორგანიზაციები ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუზეუმო კოლექციების განმკარგვლები გახდნენ. ამ დანესებულებების თანამშრომლები სამუზეუმო ექსპონატებს არეგისტრირებენ რუსეთის ფედერაციის სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო კატალოგში. 2020 წლის დასაწყისში, მუზეუმის საცავებში დაცული 1 000 000-ზე მეტი ნივთიდან 121 000 ნივთი შევიდა ამ კატალოგში.² მუზეუმების ადმინისტრაცია და მცველები ავსებენ ფონდის კოლექციებს სამი მეთოდით: საჩუქრები/შემოწირულობები, შესყიდვა/შეძენა და არქეოლოგიური ნივთების გადმოტანა.

ყირიმის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უკანონო სახელმწიფო კომიტეტი აკონტროლებდა მასალების გადმოტანას არალეგალური არქეოლოგიური გათხრების ადგილებიდან სამუზეუმო ფონდებში. არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელებმა მუზეუმებს და მცველებს შესანახად გადმოსცეს 8,218 ნივთი 2014 წელს, 8,824 ნივთი 2015 წელს, 5,563 ნივთი 2016 წელს, 7,592 ნივთი 2017 წელს, და 14,026 ნივთი 2018 წელს.

2014 წელს, რუსეთის სახელისუფლებო ძალებმა უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ქალაქ სევასტოპოლში გააუქმეს უკრაინული სახელმწიფო დანესებულებები, სანაცვლოდ კი შექმნეს სახელმწიფო კომიტეტი, ყირიმის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახე-

ლმწიფო კომიტეტი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტი. ეს არალეგიტიმური ადგილობრივი ორგანოები კოორდინირებას უწევენ გენერალური გეგმების პროექტებს, მინათსარგებლობის პროექტებს და ისტორიული დასახელებების განაშენიანების წესებს; ამტკიცებენ სამშენებლო, სამელიორაციო, სამეურნეო და სხვა ტიპის სამუშაოების შესრულებას კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის ტერიტორიებზე. აღნიშნული დანესებულებები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დასაცავად გასცემენ და ასრულებენ დავალებებს, ასევე ამტკიცებენ საპროექტო დოკუმენტაციებს რეგიონული მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დასაცავად. 2020 წლის ივნისში, რუსულმა მმართველმა ძალებმა გააუქმეს ყირიმის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, მისი ფუნქციები კი გადაიტანეს ყირიმის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში.

2014 წლის 21 მაისის №2152-6/14 დეკრეტის ბრძანებით ყირიმის უკანონო მთავრობის საბჭოს გადაწყვეტილებით დაიწყო რუსეთის ფედერაციის საკუთრების უფლებათა რეგისტრაცია უკრაინის ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უძრავ კულტურულ მემკვიდრეობაზე. იგივე პროცესი მიმდინარეობდა სევასტოპოლშიც.³ 2014 წელს, რუსეთის ფედერაციამ უკანონოდ მიითვისა ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის უძრავი კულტურული მემკვიდრეობის 12,612 ობიექტი ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ სევასტოპოლში.

2015 წლის დასაწყისში, რუსეთის პარლამენტმა მიიღო კანონი №9FZ „კულტურისა და ტურიზმის სფეროში სამართლებრივი რეგულირების თავისებურებების შესახებ“. ამ კანონის თანახმად, დადგენილია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებული უკრაინული კანონმდებლობის ნორმების წესი იცვლება რუსული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებით.

¹ “О Принятии В Федеральную Собственность Национального Заповедника “Херсонес Таврический” (Севастополь)” (“On the Adoption into the Federal Property of the National Preserve of Tauric Chersonesos” (Sevastopol). “). 2015. *Government.Ru*. <http://government.ru/docs/19949/>.

² “Открытые Данные Министерства Культуры России” (“Open Data of the Ministry of Culture of Russia”). 2020. *Opendata.Mkrf.Ru*. <https://opendata.mkrf.ru/open-data/7705851331-museum-exhibits>.

³ “Постановление Государственного Совета Республики Крым” (“Resolution of the State Council of the Republic of Crimea”) 21.05.2014 № 2152-6/14”. 2014. *Base.Garant.Ru*. <http://base.garant.ru/23701102/>.

ერთი წლის შემდგომ, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ სევასტოპოლის ძეგლები გადასცა ფედერალურ საკუთრებას (2016 წ. 12 თებერვლის სამთავრობო ბრძანება №206-რ). რუსეთის ფედერაციამ ასევე გამოაცხადა მისი სავარაუდო საკუთრების უფლება უკრაინაში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ისეთ ობიექტზე, როგორიცაა „უძველესი ქალაქი ტავრიდის ხერსონესი და მისი ქორა“. კანონმდებლობაში არსებული განსხვავებების გამო, რუსეთის ფედერაციამ უკრაინის 2 500 ყირიმული არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებულ დაცვაზე არ იზრუნა. მან მხოლოდ 23 არქიტექტურულ და არქეოლოგიურ კომპლექსს მიანიჭა ფედერალური სტატუსი, რომლებისთვისაც კულტურული მემკვიდრეობის უკრაინულმა ორგანოებმა 2014 წლამდე შეიმუშავეს დოკუმენტების სრული პაკეტი.

ეგრეთ წოდებული „სამაშველო არქეოლოგიური გათხრები“, რომელიც იმ ადგილებში წარმოებს სადაც მიმდინარეობს გზების სამშენებლო და გაზის მილების გასაყვანი სამუშაოები, ასევე იქ სადაც არის ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნები, ინფრასტრუქტურული პროექტები დიდ თუ პატარა ქალაქებში, ოკუპირებული ყირიმის არქეოლოგიურ მემკვიდრეობას დიდ საფრთხეს უქმნის. ეს სამუშაოები უკრაინული კანონის მიხედვით არალეგალურია. რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტრომ გასცა 800-ზე მეტი ნებართვა ოკუპირებული ყირიმის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად 2014-2020 წლებში.¹ აქედან 200-ზე მეტი ნებართვა გაცემულ იქნა სამშენებლო ობიექტებზე გათხრებისა და საკვლევადი სამუშაოების სანარმოებლად. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მმართველებმა დაგეგმეს 854 პროექტის განხორციელება „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების“ პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამის ყველა სამშენებლო პროექტი

არქეოლოგიური მემკვიდრეობისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

2015 წელს, რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტრომ მაღალი ძაბვის ხაზის სამშენებლო ობიექტზე გასცა გათხრების ნებართვა პროექტის – „ენერგეტიკული ხიდი რუსეთის ფედერაციასა და ყირიმის ნახევარკუნძულს შორის“ – ფარგლებში. შედეგად, გათხრები და სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა „ქრონი სევერნის ნეკროპოლის“ არქეოლოგიური მემკვიდრეობის ობიექტის ჩრდილოეთ ნაწილში. ობიექტის ეს ნაწილი განადგურდა.

ყირიმის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არალეგალურმა სახელმწიფო კომიტეტმა თანხმობა განაცხადა რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვებზე, სადაც არქეოლოგიური ობიექტები და „მაგისტრალი კრასნოდარის მხარე-ყირიმი“-სახელწოდებით არსებული სამშენებლო ზონაა. არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა უკრაინისა და საერთაშორისო კანონის დარღვევით გათხარეს არქეოლოგიური მემკვიდრეობის 54 ნივთი.

2017-2018 წლებში რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებულ ყირიმში წამოიწყო ქერჩი-სევასტოპოლის ავტომაგისტრალის ახალი მონაკვეთის სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოები. ამ სამუშაოების დროს განადგურდა 94 არქეოლოგიური ობიექტი. ამ ობიექტებიდან მხოლოდ თხუთმეტი წარმოდგენილი ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის მქონე ძეგლების სიაში, რომელიც მდებარეობს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. განადგურებული ობიექტებიდან არც ერთი არ შევიდა უკრაინის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში.²

ქალაქ სევასტოპოლში ერთ-ერთი დიდი პროექტია ხრუსტალნი კონცხზე მუზეუმისა და ოპერის კომპლექსის მშენებლობა რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის „უძველესი ქალაქი ტავრიდის ქერსონესი და მისი ქორა“ საკონსერვაციო ზონაში ხორციელდება. ამ ობიექტის მონიტორინგის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ შე-

¹ “ДГОКН-Информация О Выдаче Разрешений (Открытых Листов)”. (“Information license for archaeological work”) 2020. *Mkrf.Ru*. Accessed July 15. https://www.mkrf.ru/about/departments/departament_gosudarstvennoy_okhrany_kulturnogo_naslediya/activities/409784/.

² Vnukov, S. Iŭ, and Oleg Sharov. 2019. *Krym – Tavrida*. Moskva: Institut arkheologii RAN.

უძლებელია აუცილებელ დოკუმენტაციასთან წვდომა. არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ სალუნის ციხე-სიმაგრე, რომელიც აღწერილია XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ელვია ჯელუბის მიერ, მდებარეობდა თანამედროვე სევასტოპოლის ამ ნაწილში სერი-ქერმენის (ქერსონესის) მოპირდაპირედ.

სევასტოპოლში გზების გაგანიერება და მშენებლობა საფრთხეს უქმნის ქერსონესის ქორას: 2018-2019 წლებში, არქეოლოგებმა გათხარეს 149 და 185 მიწის ნაკვეთი. არქეოლოგიური ობიექტები „ფრანგული ბანაკი 1855-1856 „ფედიუხინის სიმაღლეებზე“ გაანადგურდა ყირიმის ომის დროს და „ტილკი-დერეს ნეკროპოლი“ მოხვდა სამხედრო ისტორიული პარკის „ფედიუხინის სიმაღლეების“ მშენებლობის ქვეშ.

კოლონიზაცია დამახინჯების მეთოდით: ბახჩისარაის ხანის სასახლის შემთხვევა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევის ყველაზე აშკარა და თვალშისაცემი მაგალითია ბახჩისარაის ხანის სასახლის მდგომარეობა, კერძოდ კი „ბუიუკ ხანის ჯამეს (დიდი ხანის მეჩეთის) XVIII-XIX საუკუნეების სახურავის კომპლექსის განადგურება 2016-2017 წლებში ჩატარებული ეგრეთ წოდებული „სარესტავრაციო“ სამუშაოების დროს.

ბახჩისარაის ხანის სასახლე, როგორც სამასწლიანი სახელმწიფოს ერთადერთი გადარჩენილი ობიექტი და XVI-XVIII საუკუნეების ყირიმელი თათრების სახელმწიფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული წარმომადგენელი, უდიდესი სულიერი ღირებულების მქონეა ყირიმელი თათრებისთვის, რომლებიც ისტორიულად წარმოსდგებიან და ჩამოყალიბდნენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ყირიმსა და ჩრდილო შავი ზღვისპირეთის რეგიონში.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ბახჩისარაის ხანის სასახლე იყო ყირიმელი თათარი ხალხის პოლიტიკური ცხოვრებისა და საქმიანობის ცენტრი. სწორედ აქ გაიმართა ყირიმელი თათრების პირველი ქურულთაი (კონგრესი) 1917 წელს, და სწორედ აქ დადეს თავისი ხალხის ერთგულების ფიცი ქურულთაის მაშინდელმა დელეგატებმა.

რეზიდენციის დამაარსებლად ითვლება საჰიბ-გირეი ხანი, რეზიდენციის მშენებლობა კი დაიწყო 1532-1533 წლებში. რეზიდენციის უძველეს ობიექტებს წარმოადგენს ალევიც დე მონტანია ანუ დემირ-კაპუს პორტალი („რკინის პორტალი“), რომელიც შეიქმნა 1503 წ., სერი გუზელის აბანო (1533 წ.) და დიდი ხანის მეჩეთი (აშენდა 1532 წ.).

დიდი ხანის მეჩეთი, ბახჩისარაის ხანის სასახლის კომპლექსის ყველაზე ძველი ძეგლი, ერთ-ერთია, სადაც ოკუპანტმა მმართველობამ წამოიწყო ისეთი სამუშაოები რომელმაც გამოიწვია არა მარტო ყირიმელი აქტივისტების აღშფოთება, არამედ ის გახდა გაერთიანებული ორგანიზაციის შესაბამისი მოხსენებების თემა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში.

კომპლექსის ძეგლები აშკარად ითხოვდა რესტავრაციას, მაგრამ ის უნდა განხორციელებულიყო როგორც ისტორიული ისე მისი კომპონენტებისა და ელემენტების ავთენტურობის დაცვით, ისტორიული, არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებების ყველაზე დასრულებული იდენტიფიკაციით, და ასევე მისი ურთიერთკავშირით გარემომცველ არქიტექტურულ და ლანდშაფტურ გარემოსთან. აქ გადამწყვეტ როლს ორი ფაქტორი ასრულებს:

1. ავთენტური სამშენებლო მასალის გამოყენება, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ობიექტის გარეგნული მხარე ყველაზე მეტად დაემსგავსოს ორიგინალს;

2. ავთენტური ტექნოლოგიების გამოყენება როგორც მშენებლობის პროცესში, ისე სამშენებლო მასალების წარმოებაში.

სამწუხაროდ, სამუშაოები, რომელიც დიდი ხანის მეჩეთში განახორციელა რუსეთის ფედერაციამ, არ არის სარესტავრაციო ხასიათის, არამედ მან ძეგლი დაამახინჯა და გამოიწვია მისი ავთენტური ელემენტების აუნაზღაურებელი დანაკარგი, რომელიც არის ამ უნიკალური „ხანის სასახლის“ კომპლექსის ნაწილი და შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ ნუსხაში.

ამ მოსაზრებას ქვემოთ მოყვანილი შემდეგი მონაცემები ამყარებს:

მთავარმა მოიჯარადრემ (კომპანია ATTA-ჯგუფი), ქვემიმწოდებელმა (Kiramet LLC) და

სამუშაოების სხვა შემკვეთებმა (ოკუპანტი მმართველების ეგრეთ წოდებული „კულტურული მემკვიდრეობის რესპუბლიკური კომიტეტი“) გადაწყვიტეს სახურავის სრული დემონტაჟი და ჭერის კოჭების შეცვლა. თუმცა, უკრაინული სამთავრობო ორგანოს გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც სპეციალიზებულია რესტავრაციაში და რომელიც მომზადდა 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ოკუპაციამდე, დაგეგმილი იყო 6 კოჭის შეცვლა და 5 კოჭის რესტავრაცია მთლიანი 104 კოჭიდან.

ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების შედეგები დამტკიცებულ იქნა 2015 წელს სახურავის მდგომარეობის შემოწმებისა და მეჩეთში შესასვლელის თავზე დროებითი საყრდენი კონსტრუქციის დამონტაჟების დროს.

გარდა ამისა, დემონტაჟი განხორციელდა მძიმე სამშენებლო აღჭურვილობით, სადაც გამოყენებულმა სანგრევმა ჩაქუჩებმა, სატეხებმა, გამოწვია ვიბრაცია. ამის შედეგად დაიკარგა კედლების დეკორაციის ნაწილი. სახურავის ავთენტური კოჭების სისტემა, ჭერი და კარვის სახურავი – ეს ყველაფერი მოიშპო.

გადახურვის ავთენტური მუხის კოჭი მოშალეს და დახერხეს; ისინი ჩაანაცვლეს თანამედროვე სამშენებლო მასალით, კერძოდ კი კომპოზიტური კოჭებით, რომელიც გაკეთებულია OSB ტექნოლოგიით და ბეტონის გამამაგრებელი სარტყლით.

ყველა ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დესტრუქციის კონტექსტში, რომელიც ხანის სასახლის გადახურვებზე მოხდა. ჩვენი ცოდნა ყირიმელი თათრების შუა საუკუნეების სამშენებლო ტრადიციებზე კვლავ შეზღუდულია. შედეგად კი ეს თემა სამეცნიერო საზოგადოებისათვის დღეისათვის თითქმის ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ზოგადად კი, ყირიმელი თათრების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენახვა დიდ რისკებს ატარებს. ამიტომაც, ისტორიული სინამდვილის კონკრეტული ფენის განადგურება, რომელიც რთულ მატერიალურ მოვლენებშია დაცული, იწვევს კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ნაწილის დაკარგვას.

ეგრეთ წოდებული პროექტის მიხედვით, 100 % ხელით ნაკეთი ძველი კრამიტი (ისტორიულად მას „ტატარკა“ ეწოდება) ჩაანაცვლეს იქნა ქარხნულად ნაკეთები ანტიკურ-სტილიზებული კრამიტებით. ამავდროულად, თიხაზე კრამიტების დაგების ძველი ტექნოლოგია სრულიად მოიშალა და მის ნაცვლად გამოყენებულ იქნა თანამედროვე სამაგრები.

ყოველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მხოლოდ მისი მატერიალური ნაწილისგან არ შედგება. მისი სისრულე გამოვლენილია მის სიმბოლურ, იდეალურ განზომილებაში. ამაში შედის ისიც, თუ რაგვარ ესთეტიკურ და ემოციურ გავლენას ახდენს ის ვიზიტორებსა თუ დამთვალიერებლებზე. ამრიგად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყოველი ობიექტისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი მთლიანობისა და ავთენტურობის შენარჩუნება. ამ ორი თვისების წყალობით, ვიზუალური აღქმითა და ინფორმაციის მიღებით, დამთვალიერებელი ერთვება იმ ეპოქაში, რომელსაც ესა თუ ის ძეგლი მიეკუთვნება და თავს მის ნაწილად მოიაზრებს. ყირიმული ნაგებობის ექსტერიერებისთვის კრამიტისა და სახურავი ძალზე მნიშვნელოვანია. ის საგულისხმო როლს ასრულებს ისტორიული დასახლებების ტრადიციული ლანდშაფტის შექმნაში. ყირიმული მთათა სისტემის თვისებები, ქალაქებისა და სოფლების ადგილმდებარეობები ვიწრო ველებსა და ფერდობებზე, სახურავებს და მასზე დადებულ კრამიტებს ლანდშაფტის ძირითად ფაქტურულ და არქიტექტურულ დომინანტად აქცევს. ამრიგად, ყირიმულ ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოების დროს ავთენტური კრამიტის გამოყენება ხდება მნიშვნელოვანი მოთხოვნა. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ „ტატარკა“-ს კრამიტი აღარ ინარმოება და მისი დამზადების ტექნოლოგია და ტრადიციები ფაქტობრივად დაიკარგა. ეს ყოველივე სრულად ეხება სხვა ავთენტურ სამშენებლო მასალებსაც და ძველ ტექნოლოგიებს.

კულტურული საკუთრების დაცვისა და რესტავრაციის შესწავლის საერთაშორისო ცენტრის (იკრომი) ექსპერტები უკრაინაში, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ობიექტზე ჩატარებული სამუშაოები ტიპურია ახალი მშენებლო-

ბისთვის. ხის სტრუქტურული ელემენტების მასიური ჩანაცვლება თანამედროვე მასალე-ბით არ არის დამახასიათებელი ყირიმული თა-თრების კულტურისა და სამშენებლო, ტრადი-ციისთვის. ის ამახინჯებს მთელი ანსამბლის ისტორიულ ავთენტურობას და აუნაზღაურე-ბელ ზარალს აყენებს და აზიანებს ყირიმელი თათრების როგორც ერის, ისტორიასა და კულ-ტურას.

დამატებითი სიმძიმე კედლებსა და ნაგებო-ბების საფუძველზე იწვევს დეფორმაციებს, რის შედეგადაც ფერადმინიანი ფანჯრები და-მსხვრეულია და კედლები ამჟამად დაფარუ-ლია ბზარებით. ასევე დაბზარულია აღმოსა-ვლეთი მინარეთი, რომელიც სარესტავრაციო სამუშაომდეც დახრილი იყო.

სამუშაოებისას გამოყენებული დაცვის სისტემა ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ვერ პასუხობდა: შენობის თავზე დაიდგა ხის დროებითი ფარდული, რომელიც გადახუ-რული იყო პოლიეთილენით. ეს კი წვიმის სა-წინააღმდეგო დაცვის არანაირ გარანტიას არ იძლეოდა, მეტიც, ის ქმნიდა „სათბურის ეფექტს“ გარკვეული ამინდის პირობებში. ქარებმა პოლიეთილენის ფენაში გააჩინეს ხვრელები, რომლის მეშვეობითაც ნალექი შე-დიოდა შენობაში 2017 წლის შემოდგომასა და ზამთარში და 2018 წლის გაზაფხულზე. შედე-გად მეჩეთის შენობა ძირისძირობამდე სისვე-ლით გაიჟღინთა.

სამხრეთი და დასავლეთი ფასადების მოხა-ტულობა ასევე ზიანის ქვეშ აღმოჩნდა. სამშე-ნებლო და მექანიკური დატვირთვის შედეგად, ხანის სამაროვნის ზოგიერთ საფლავის ქვას გაუჩნდა ბზარები.

გულმხურვალე ყირიმელი აქტივისტების ქმედებების წყალობით, რომლებიც მუდმივად მოიპოვებდნენ ინფორმაციას ბარბაროსული „სარესტავრაციო სამუშაოების“ შესახებ და ასევე უკრაინელი დიპლომატების მეშვეობით, ეს საკითხი ჩართული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიე-რებისა და კულტურის (იუნესკო) საკითხებში – დღის წესრიგში რომელმაც 2018 წლის მა-რტში გამოაქვეყნა ანგარიში რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმში კულტურული მემკვი-დრეობის დაცვის სიტუაციის გაუარესების

შესახებ. სამწუხაროდ, დღესდღეობით ბახჩი-სარაის სასახლის ტერიტორიაზე სამუშაოები არ შეწყვეტილა, ის კვლავ მიმდინარეობს კომ-პლექსის სხვა ობიექტებზე. ამრიგად, ახალი დანაკარგების რისკი კვლავ ძალაშია.

ეს არის ამბავი დამახინჯებაზე, გულრი-ლობასა და დაუდევრობაზე, არაპროფესიონა-ლიზმზე და კიდეც რაზე? ძეგლები ყოველთვის ინგრეოდა და ნადგურდებოდა იდეოლოგიური მიზეზებით, რათა წაეშალათ საძულველი წარ-სულის სიმბოლიზმი.

1944 წელს, ყირიმელი თათრების დეპო-რტაციის შემდეგ მათი კულტურა სრულიად განადგურდა: „ტოპონიმური რეპრესიები“ იქნა განხორციელებული ნახევარკუნძულზე, საბჭოეთმა გაანადგურა ყირიმელი თათრების ძეგლები, დაწვა ხელნაწერები და წიგნები, მე-ჩეთები გადააქცია კინოთეატრებად და მაღა-ზიებად. ნახევარკუნძულის ისტორიის ფართო-მასშტაბიანი გაყალბება, რომელმაც გამოწვია ბევრი მითის წარმოქმნა, ახლაც გრძელდება, და ამჟამად ამართლებს საბჭოთა რეჟიმის და-ნაშაულებრივ გადანყვეტილებას.

ყირიმელი თათრების სრული განადგურე-ბის, განსაკუთრებით კი სამშობლოში მათი დაბრუნების დროს და მას შემდეგ, ბახჩისა-რაის ხანის სასწაულებრივად გადარჩენილი სასახლე გახდა არა მხოლოდ მათი წარმომა-ვლობის და ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოებ-რიობის განვითარების დადასტურება, არამედ მათსავე სამშობლოში აღორძინების წმინდა სიმბოლო.

რუსეთის ფედერაციამ, როგორც ყოფილი სსრკ-ს და რუსეთის იმპერიის მემკვიდრემ, კვლავ მიმართა მანიპულირებას და პირდაპირ სიცრუეს, ოკუპაციის გამართლების მიზნით სავარაუდო „ისტორიული არგუმენტებით“, რომელთა უმეტესობა დეზინფორმაციას და პროპაგანდას წარმოადგენს. თანამედროვე რუსული ჰუმანიტარული პოლიტიკა ოკუპი-რებულ ტერიტორიაზე მიზნად ისახავს ისტო-რიული და კულტურული კავშირების განა-დგურებას ნახევარკუნძულსა და უკრაინაში და ასევე ყირიმის ჩართვას რუსულ იდეოლო-გიურ პარადიგმაში.

მათ შორის, ვინც ძლიერ დაცვას საჭირო-ებს არის ყირიმელი თათრების ისტორიისა

და კულტურის ობიექტები, რომლებიც „ვერესადაგება“ რუსულ იდეოლოგიას; ყირიმის და ყირიმელი თათარი ხალხის ჭეშმარიტი ისტორია, რომელიც გააყალბეს, ნახევარკუნძულის მკვიდრი მოსახლეობის ისტორიული მემკვიდრეობა მათი სახელმწიფოებრიობის შესახებ.

დასკვნა

უძრავი ისტორიული და კულტურული ძეგლების განადგურება ძირს უთხრის კულტურული მემკვიდრეობის, ტერიტორიის კულტურული უწყვეტობის პროცესების საფუძვლებს. პოლიტიკური იდეოლოგიის გამო ისტორიული მოვლენების ნაშლა, ისტორიის გადანერა ცვლის ისტორიულ მოვლენებში განსახიერებულ და ძეგლებში განხორციელებულ კულტურულ მნიშვნელობებს. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები დაცულია არა მხოლოდ მაშინ როცა ფიზიკურადაა შემონახული, არამედ მაშინაც როცა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ინარჩუნებს მასში განსახიერებულ კულტურულ მემკვიდრეობას და მისი ღირებულების გაცნობიერებას გარკვეულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით. ამიტომ, ყირიმელი თათარი ხალხის მთავარი სიმბოლოს ისტორიული მნიშვნელობის გაუფასურებით (თუნდაც რეკონსტრუქციის მეშვეობით), საოკუპაციო ხელისუფლება ახორციელებს გრძელვადიან პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ისტორიული მემკვიდრეობის განადგურებას, მსოფლმხედველობის შეცვლას და ყირიმში თათარი ხალხის ასიმილაციას მკვიდრი მოსახლეობის განსაკუთრებული ექსკლუზიური უფლებების უგულებელყოფის მიზნით (ამ შემთხვევაში იგულისხმება ყირიმელი თათარი ხალხი, რომლებიც უმეტესწილად უგულებელყოფდნენ ეგრეთ წოდებულ „რეფერენდუმს“) ყირიმში მათი თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობისთვის.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ტრაგიკულმა ბედმა გვიჩვენა, რომ კულტურული ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის დროს საჭიროა კონცენტრირება მოხდეს არა მხოლოდ კულტურული ძეგლების განადგურების წინააღმდეგ ბრძოლაზე, არამედ ისტორიული გაყალბებების თავიდან აცილებაზეც, რომლებიც მიზნად ისახავს ისტორიის კოლონიზაციას და საჭირო ნარატივების შექმნას. პროცესები ასევე ათვალსაჩინოებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ახალი მიდგომების ძიების აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Ukrinform. 2019. A Study of the State of Sites in Occupied Crimea Was Presented in Kyiv (У Києві презентували дослідження про стан пам'яток в окупованому Криму). <https://www.ukrinform.ua/rubric-crimea/2835305-u-kievi-prezentuvali-doslidzenna-pro-stan-pamatok-v-okupovanomu-krimu.html>.

United Nations General Assembly Resolution A/RES/68/262 “Territorial Integrity of Ukraine”. 2014. <https://undocs.org/en/A/RES/68/262>;

Parliamentary Assembly of the Council of Europe. Resolution 2198(2018) Humanitarian consequences of the war in Ukraine. 2018. <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=24432&lang=en>;

EU non-recognition policy for Crimea and Sevastopol: Fact Sheet. 2020. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-Homepage/37464/eu-non-recognition-policy-crimea-and-sevastopol-fact-sheet_en.

Office of the Prosecutor of the International Criminal Court, Report on Preliminary Examination Activities 2016, para. 158.

LB.ua. 2019. “We Are Losing It.” What Is Happening With Cultural Property in Crimea (“Ми його втрачаємо.” Що відбувається з культурною спадщиною в Криму). https://lb.ua/culture/2019/03/04/421110_mi_yogo_vtrachaiemo_shcho_vidbuvaetsya.html?fbclid=IwAR3gi1YRenh4dEm4z_nDjJxJ6MSn8TN9ePKUch9OBxRumvivZ3wNIhdOQOQ;

Coynash, Halya. 2020. Ukraine moves to fight Russia's destruction of cultural heritage in occupied Crimea. *The Ukrainian Weekly*. <http://www.ukrweekly.com/uwwp/ukraine-moves-to-fight-russias-destruction-of-cultural-heritage-in-occupied-crimea/>

Regulations annexed to the 1907 Hague Convention IV Respecting the Laws and Customs of War on Land, art. 56.

The 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict, arts. 5.1, 5.2.

UNESCO Military Manual on the Protection of Cultural Property, paras. 195-200.

Customary International Humanitarian Law, Rule 40. A.

Customary International Humanitarian Law, Rule 40.B.

Customary International Humanitarian Law, Rule 41.

UNESCO Military Manual on the Protection of Cultural Property, paras. 201-212.

Office of the Prosecutor of the International Criminal Court, Report on Preliminary Examination Activities 2019

178.34.184.203. 2014. Государственный Совет Республики Крым (State Council of the Republic of Crimea). [online] Available at: <<http://178.34.184.203/act/11748>> [Accessed 1 July 2020]

“Закон Города Севастополя “О Бывшей Государственной Собственности Украины””. (The law of Sevastopol “The former state property of Ukraine”). 2014. Севзакон.Ру. https://sevzakon.ru/assets/files/zakony/003-zs_izm39.pdf.

“Договор между Российской Федерацией и Республикой Крым о принятии в Российскую Федерацию Республики Крым и образовании в составе Российской Федерации новых субъектов” (“The agreement between the Russian Federation and the Republic of Crimea on the admission to the Russian Federation of the Republic of Crimea and the formation of new entities in the Russian Federation”). 2014. Президент России . <http://kremlin.ru/events/president/news/20605>.

“Распоряжение Совета Министров Республики Крым” (“Order of the Council of Ministers of the Republic of Crimea”). 2014. Главбух.Ру . https://www.glavbukh.ru/npd/edoc/81_527644.

“ТБУ РК “Восточно – крымский историко-культурный музей-заповедник” (“East Crimean Historical and Cultural Museum-Preserve”).

2014. List-Org.Com . <https://www.list-org.com/company/8047096>.

“ТБУК РК “Крымский литературно-художественный мемориальный музей-заповедник” (“Crimean Literary and Art Memorial Museum-Reserve”). 2016. List-Org.Com. <https://www.list-org.com/company/9204038>.

“Закон Города Севастополя “О Бывшей Государственной Собственности Украины””. (The law of Sevastopol “The former state property of Ukraine”). 2014. Севзакон.Ру. https://sevzakon.ru/assets/files/zakony/003-zs_izm39.pdf.

“О Принятии В Федеральную Собственность Национального Заповедника “Херсонес Таврический” (Севастополь)” (“On the Adoption into the Federal Property of the National Preserve of Tauric Chersonesos” (Sevastopol). “). 2015. *Government.Ru*. <http://government.ru/docs/19949/>.

“Открытые Данные Министерства Культуры России” (“Open Data of the Ministry of Culture of Russia”). 2020. *Opendata.Mkrf.Ru*. <https://opendata.mkrf.ru/opendata/7705851331-museum-exhibits>.

“Постановление Государственного Совета Республики Крым” (“Resolution of the State Council of the Republic of Crimea”) 21.05.2014 № 2152-6/14”. 2014. *Base.Garant.Ru*. <http://base.garant.ru/23701102/>.

“ДГОКН-Информация О Выдаче Разрешений (Открытых Листов)”. (“Information license for archaeological work”) 2020. *Mkrf.Ru*. Accessed July 15. https://www.mkrf.ru/about/departments/departament_gosudarstvennoy_okhrany_kulturnogo_naslediya/activities/409784/.

Vnukov, S. IU, and Oleg Sharov. 2019. *Krym _ Tavrida*. Moskva: Institut arkheologii RAN.

Contemporary Colonisation: Cultural Property in Russia-Occupied Crimea

Elmira Ablyalimova-Chyihoz
Crimea Institute of Strategic Research
Kyiv, Ukraine

Kateryna Busol
*Un Women national Consultant on Transitional Justice and Prevention of and Response to
Conflict – Related Sexual Violence (Kateryna Participated at the Event in Her Private Capacity)*

Denys Yashnyi
Leading Researcher, Department of Art Heritage Studies
National Kyiv – Pechersk Historical and Cultural Reserve

Introduction

This article summarises the findings of the project on the protection of Ukraine's cultural property in Russia-occupied Crimea and the investigation of the crimes against it. The project "Violations of the Rules of International Humanitarian Law in Armed Conflict: Protection of Cultural Property" was conducted through a larger part of 2019.¹ It combined the efforts of cultural heritage protection professionals, archaeologists, museum top management and lawyers. It studied the principal violations against Ukraine's cultural property in occupied Crimea, the policy lacunas in the field and the possible steps Ukraine can take now to document Russia's alleged

violations and hold it accountable, through state and individual criminal responsibility, for them.

The article focuses on three principal aspects of the project:

1. An analysis of Russia's obligations as an occupying power with respect to Ukraine's cultural property in Crimea.

2. An overview of Russia's main violations against Ukraine's cultural property in occupied Crimea.

3. The exploration of destructive renovation of the Bakhchisaray Khan's Palace, the one-of-a-kind remaining architectural heritage of the Crimean Tatars, Ukraine's indigenous people, as the most striking example of Russia's imperialistic policy of cultural erasure in Crimea, which should not skip the attention of the international community.

¹ Ukrinform. 2019. A Study of the State of Sites in Occupied Crimea Was Presented in Kyiv (У Києві презентували дослідження про стан пам'яток в окупованому Криму). <https://www.ukrinform.ua/rubric-crimea/2835305-u-kievi-prezentuvali-doslidzen-na-pro-stan-pamatok-v-okupovanomu-krimu.html>.

Russia's obligations concerning Ukraine's cultural property in occupied Crimea

The occupied status of Crimea and the invalidity of any consequences resulting from such temporary change of control over the peninsula has been confirmed by the UN, Council of Europe, the EU and individual governments.¹ The International Criminal Court (“ICC”), which preliminary examines the events in Ukraine, also considers Crimea as occupied and, therefore, as indicating the existence of an international armed conflict between Russia and Ukraine.² These conclusions concerning the occupation and the international level of the conflict in Crimea define the international law applicable to the peninsula and the belligerent parties.

Over the years, information warfare has become increasingly relevant, an ongoing war that is invisible but very dangerous, and which has a particularly hard impact on local conflicts. Many scholars believe that conflicts presented as ethnic conflicts are the result of a struggle between great ideologies brought to the national soil through the production of information warfare. Such warfare has managed to create a rift in Georgian-Ossetian relations by bringing Georgians and Ossetians to opposing sides.

The 1990s was an important stage in that propaganda invasion, seeing the methods of the great powers becoming ever more sophisticated, and serving to maintain the relationship between the two peoples in a state of confrontation. To combat this, raising the awareness of citizens directly involved in the local conflicts of the propaganda will significantly ease the situation and will help to restore and maintain historical goodwill.

To understand the concept of information warfare, Frank Hoffmann's interpretation of hybrid warfare should be taken into consideration: "It is a combined use of various methods of combat,

including conventional, irregular tactics and formations, terrorist and criminal acts that achieve victory" (Hoffman 2007, 137). In his view, in future wars, traditional and irregular combat operations will be combined, and the lethality of traditional conflict will be merged with the fanaticism and irrational nature of irregular combat. In such a situation, the unification of our society with the progressive-minded representatives of the Ossetian population is vital for the restoration of the historical friendship between the two peoples. The South Ossetian Autonomous Oblast was established within Georgia to the detriment of the interests of the Georgian people, thanks to the decision of the Caucasus Bureau of the Central Committee of the Russian Communist Party by the Russian Central Executive Committee and the State Council of Georgia on April 20, 1922.

According to Russian Ambassador to Georgia Tatischev (1604-1615), at the beginning of the

17th century, Ossetians already lived in the villages of Zakha and Magran-Dvaleti. In the middle of the same century, they also settled in the headwaters of the Great Liakhvi. By the 1970s, 2,860 Ossetian households lived on the southern slopes of the Caucasus. Out of these – 860 were in Samachablo, 200 in Saeristao, and the remainder elsewhere. Until the 20th century, only Georgians, Armenians and Jews lived in Tskhinvali. Some Ossetians were baptized as “Christians” as soon as they settled in Kartli, and tried to assimilate Christian customs, which had a positive effect on their consciousness, general culture, character and behaviour. The newly settled Ossetians were assisted by the local Georgian population in all possible ways, such as arranging of the houses with yards, cultivating of gardens and vineyards, and solving other vital issues. Georgian kings, ecclesiastical and public figures made every effort to spread literacy and knowledge among the Ossetians. The education of the children of the Ossetians was greatly enhanced by the highly educated King-poet Archil, who brought together the leading Ossetians and preached the importance of education. With the Ossetians’ agreement, Archil sent several Ossetians into Russia, and in 1700 introduced Russian printing presses and Georgian letter moulds to Moscow, which the Ossetians liked very much, as Zakaria Chichinadze notes (Chichinadze, 1916).

Georgian kings greatly assisted the Ossetian churches and monasteries in their mission to spread true knowledge and education among the population. King George XI of Kartli (1671-1688 and 1703-1709) donated bells with a gift inscription to the monastery in the village of Dzivgisi, Tseisi Zion, as a sign of friendly relations with the Ossetians.

The conflict manifested itself in 1991 in the form in which our lives were sacrificed in the face of yesterday’s hard, present and uncertain tomorrow.

Due to well-known political and military processes, the Tskhinvali region, which was cut off from Georgia-proper, has become an isolated entity and continues to live under the full influence of the Russian Federation.

The OSCE Mission to Georgia started working in the Tskhinvali region in late 1992. As a result of the conflict, up to a thousand people were killed and up to a hundred people went missing. About 70-80 thousand people were evicted from their homes. The region was

virtually emptied. As of today, the population of the Tskhinvali region / South Ossetia numbers 15-20,000.

It is natural that the information war, which is as strong as ever in the world today, is being actively carried out in order to completely separate the region from Georgia.

In the current situation, Russia managed to play the role of the “mediator” and “peacemaker” in the conflict it inspired. On the 24th of June, 1992, under the Russian (Sochi) Treaty, a joint peacekeeping force (consisting of Russian, Georgian and Ossetian soldiers) was deployed in the region, and a Joint Control Commission was set up.

Occupying forces of the Russian Federation are currently stationed in the Tskhinvali region, in violation of the August 12, 2008 ceasefire agreement mediated by former EU President Nicolas Sarkozy, which obliges Russia to withdraw its military forces to pre-conflict positions. The illegal decision of the Russian Federation to occupy the so-called Tskhinvali region / South Ossetia and Abkhazia is supported by only Venezuela, Nicaragua and Nauru, who recognize the regions’ “independence” at this stage. As a result of the efforts of the Georgian authorities, Tuvalu and Vanuatu withdrew their recognition.

The Great Hybrid Conflict, in which Russia is actively involved, presents the Tskhinvali region as the historical homeland of the Russian policy-making Ossetian population, a “fact” which has been “successfully” disseminated around the world through fake information. From this point of view, it is interesting to observe the local occupation information space, which is only an “echo” of the Kremlin’s policy.

It is significant that the level of activity of the Georgian side in this direction is quite low. In fact, local officials decided to close the local newspapers “Shida Kartli”, “Tskhinvali” and “Literaturuli Tskhinvali” years ago, whose activities focused on objective coverage of the region’s past and present.

Against this background, Russian-Ossetian local propaganda weapons are actively engaged.

Russian traditional methods remain unchanged, and media remains one of the most powerful tools for developing Kremlin policies and imposing its policies on the population.

In the 1990s, a special form of news-spreading came to television, radio and print media, and it is now in the foreground, especially in the Tskhinvali region: internet journalism. Such multimedia systems are well developed in the Tskhinvali region. Interesting media outlets in this regard are: “Iujnaya Osetia” (Южная Осетия) (a Republican public-political newspaper); “Website of the President of South Ossetia”; “Khurzarin” (Xurzærin) (Tsiskari); Osinform (Осинформ) (news agency); Riston.com (riston.com) (on Ossetian history and culture); Resa (PEC) (state news agency) Head of State News Agency Maia Kharebova; Ossetian.com (ossetians.com); “Iron Avzadji Club” (Ирон æвзæджы клуб), Alanta Language Club, and others (Tskhovrebova, 2015).

Modern news-giving personal blogs have also become a subject of consumption for the residents of the Tskhinvali region. Intensely covering the life of the region on their blogs are Maria Plion (Plieva), Zarina Sanakoeva, and Temur Tskhovrebov, among others. The website “Ossetian Radio and Television” (an information-analytical outlet) is extremely active, while Yuzhnaya Ossetia (a Republican public-political newspaper) covers the ongoing processes in the occupied Tskhinvali region in the most operative and detailed way.

For example, it is enough to name the presentation of the 16th-century Georgian cultural monument Achabeti Fortress as “Alanta Fortress”, where pupils and students are taken on an excursion to see the so-called restoration works being carried out. Such facts are unanimously covered by the above-mentioned “media outlets” and spread in the Russian-speaking space of the world.

Further notable is the false information spread regarding the 12th-century Ikorti temple, that members of the Ossetian royal family, Bidzina Cholokashvili, Shalva and Elizmar Eristavi were laid to rest there. At first glance, such naive inaccuracies are designed to establish falsity over time. It is a prime example of how traces of Georgian heritage are being erased in the occupied territories using a multifaceted information war.

In such a situation, the unification of our society with the progressive-minded representatives of the Ossetian population is vital for the restoration of the historical friendship of the two peoples.

In our opinion, state structures and society as a whole should be actively involved in creating powerful internet resources to protect as much as possible the historical and legal reality, as it is the basis for maintaining our statehood, in which lies the best conditions for the free development of people of all nationalities.

Where, centuries ago, we were subjected to physical destruction by the sword, today, in the conditions of hybrid war, we are in much greater danger. Yet, we have the opportunity to win this war by standing together with the representatives of all the nationalities of this small country.

References:

- Hoffman, Frank. 2007. “Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars.” Potomac Policy Research Institute.
- Chichinadze, Zakaria. 1916. Osebis Chamosaxleba Kartlshsi da Kartvelebis Amagi da Ghvatsli Matze. (Bringing down and Settling of the Ossetians in Kartli and Charge and Merit of the Georgians on Them). Tbilisi, 2016.
- Tskhovrebova, Zalina .2015. “Media Card”. south-ossetia.info-<https://south-ossetia.info/mediak-arta/> Last viewed -10.05.2020

აფხაზური ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფიის შესახებ

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

XIX საუკუნის II ნახევარში, საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე წერდა: „...ძნელად თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე ჩვენისთანა ხალხი... ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს... ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ... გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას... გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულ მატრიანეებს, ისტორიულ ნაშთს და სახსოვარს, მთელს ჩვენ სისხლითმოსილს ღვაწლს ქრისტიანობისთვის შეწირულსა. ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდისა გაძვრენ-გამოძვრენითა...“ (ჭავჭავაძე 1987: 21-22). ეს გამონათქვამი შესაძლოა ქართველთა თითქმის ყველა მეზობელ ხალხს (რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს...) მიესადაგოს. ამავე დროს ჩვენს მიწა-წყალს თავშეფარებულ ჩრდილო კავკასიელებსაც, რომელთაც (II-V სს.) ჩამოსახლებისა და ქა-

რთველ ხალხთან ასიმილირების შედეგად ქართველთაგან ეთნიკური სახელი აფხაზები ერგოთ.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ეთნიკური კუთვნილების, მათი წარმომავლობისა და ადგილ-საცხოვრისის შესწავლას ქართველმა მეცნიერებმა (ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ, მ. ინაძემ, ნ. ლომოურმა, დ. მუსხელიშვილმა, ზ. პაპასქირმა და ბევრმა სხვამ) მრავალი წლის ობიექტური კვლევები მიუძღვნეს.

აფხაზეთის ისტორიის მიზანმიმართული ფალსიფიცირება ჯერ კიდევ რუსეთის ცარიისტული იმპერიის დროს დაიწყო. თავისთავად ცხადია, მათ არ სიამოვნებდათ, რომ საქართველო უძველესი ქვეყანა იყო, უძველესი სალიტერატურო ენით, ეროვნული თავმოყვარეობის მქონე, ამაყი ხალხით, რომელსაც თავისი საკმაოდ ხელშესახები ისტორია და კულტურა ჰქონდა. მოწინავე ევროპელ მეცნიერებში ქართველთა წარმოშობის თეორია უკვე იყო გავრცელებული.

არც ის მოსწონდათ, რომ ძველი ისტორია და კულტურა ქართველების ეროვნულ თვითშეგნებას ამაღლებდა. რუსმა მეცნიერებმა (არა ყველამ) იმ დროიდან დაიწყეს ქართველთა ისტორიული წარსულის გაყალბება, რაც საბჭოთა წყობილების პერიოდშიც გაგრძელდა. ისინი ცდილობდნენ მორჩილებაში ჰყოლოდათ ქართველი ერი. ამიტომ, საქართველოში მცხოვრებ აფხაზებს, ოსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და სხვა ხალხებს მათ წინააღმდეგ განაწყობდნენ. ამ დაპირისპირებით, ცხადია, თვით რუსები მოგებული რჩებოდნენ. საბჭოთა წყობილების გაუქმების შემდგომ, აფხაზეთის პარტიულმა ნომენკლატურულმა პერსონებმა რუსი „მეგობრების“ ხელშეწყობით „აფხაზური პრობლემის“ – ეთნო-პოლიტიკური პროცესების გამწვავება დაიწყეს. აფხაზმა „მკვლევრებმა“ კი, მტრული და ბოროტი განზრახვით – აფხაზეთის მიწა მიესაკუთრებინათ, ქართველ მეცნიერთა უსამართლო კრიტიკა და იმის მტკიცება – რომ, რაც დღემდე ქართველი ისტორიკოსების მიერ შექმნილა, ყველაფერი „გაყალბებულია“. „მართლის მთქმელი“ აფხაზი „მეცნიერები“ კი ცდილობენ ისტორია რუსების ხელშეწყობით გადაწერონ თავის სასარგებლოდ.

ბათუმში გაზრდილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ განათლებამიღებული, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თ. აჩუგბა, რომელიც ახლო წარსულში გადავიდა სოხუმში საცხოვრებლად, დღეს თავგამოდებით ცდილობს აფხაზებს დაუმტკიცოს, რომ იგი ერთ-ერთი მათგანია. ამიტომ, ქართველ მეცნიერებზე, ვისი შემწეობითაც პროფესიას ეზიარა, აი რას წერს: „ქართველი ისტორიკოსები... თავის ხალხს და მსოფლიოს შთააგონებენ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომ იგი ძველთაგან ქართული მიწა იყო. ამას ისინი მხოლოდ სტატისტიკისა და დემოგრაფიულ პროცესზე დაყრდნობით ქმნიან...“ ისინი „უსირცხვილოები“ და „მცირე იმპერიის იდეოლოგები“ არიან (Этническая революция... 1995).

არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია იმას, რომ ქართველი მეცნიერები (ჯავახიშვილი 1951; 401-403. მელიქიშვილი, 1965; 65-67. ინაძე, 2009; 397-401. ლომოური, 1963; 2-35. ლომოური, 1968; 5-6. Мapp, 1938; 44-52. Меликишвили, 1959; 237. Инадзе, 1999; 67-68. Мухелишвили, 1999; 117. პაპასქირი, 2004...) სწორედ ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელ ავტორთა და ქართული წყაროების მონაცემებს ობიექტურად და საკმაოდ ფრთხილად იყენებდნენ. ამიტომ, აფხაზი „მეცნიერების ანალიზი“ ცხადყოფს, რომ ქართველების განსახლება კოლხეთსა და აფხაზეთში სიცრუე ყოფილა. რაც შეეხება აფხაზების განსახლებას, ისინი მცხეთამდე ვარაუდობენ.

აფხაზი მეცნიერების ნაშრომების ელექტრონული ვერსიები 2000 წლის შემდეგ მრავლად გამოჩნდა (www.apsnyteka.org).

ეთნოლოგმა შ. ინალ-იფამ თავისი ბოლო ნაშრომი აფხაზურ საკუთარ სახელებს და გვარებს მიუძღვნა. იგი ანთროპონიმების შესწავლას ჩვენი ერის I ათასწლეულიდან იწყებს. მისი ვარაუდით, ეს აფხაზური სახელები ისტორიულ წყაროებს შემორჩა. თუმცა, წყაროებს არ გვისახელებს. ავტორის ვარაუდი არასწორია, რადგან აფხაზური ანთროპონიმული მოდელების დიაქრონული შესწავლა შეუძლებელია. აფხაზური ენა უახლოეს წარსულამდე (1862) უმწერლობო ენათა რიცხვს მიეკუთვნებოდა და მათი აფხაზურ ენაზე ფიქსირება დოკუმენტალურად არ მომხდარა. კვლევის თვალსაზრისით, ძველ ისტორიულ ბერძენ-რომაულ თუ ქართულ წყაროებში, აფხაზური საკუთარი სახელების ტიპები არ დასტურდება. ავტორის ვარაუდით, აფხაზეთის მხედართმთავრის დარდინ შარვაშიძის და ასევე დასავლურ-ქართველური მეფის ქუჯის (ქუჯი თითქოს აფხ. ა-ქუჯ-მა „მგელი“) ანთროპონიმი თითქოს აფხაზურია. დარდინ ირანული წარმოშობის სახელია, რომელიც ქართულ-სპარსული ისტორიული და კულტურული ურთიერთობის შედეგად ქართველურ ენებში ირანიდან უნდა გავრცელებულიყო. რაც შეეხება „ქუჯი“-ს, იგი ციხე „გოჯის“ სახელწო-

დებას უკავშირდება, ქუჯი და გოჯი, ორივე ზანური (მეგრული) ტერმინიდან – ქვინჯი – უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ძირს, მთავარს, ფილთაქვასავით მაგარს (ქვა-ხე) აღნიშნავს (ანთელავა 1988: 11-15).

ვადიმ ბჟანია, მართალია, შარვაშიძე გვარს არ ახსენებს, მაგრამ ჩაჩბას გვარის „საიდუმლოს“ გვიმხელს, რომელიც აფხაზეთში ყველაზე ადრეული (XI ს.) გვარი ყოფილა სამწერლობო წყაროებში, თუმცა, წყაროს არ გვისახელებს. მისი ვარაუდით, ჩვენი ერის II ათასწლეულიდან ჩაჩაა (ჩაჩბები) აფხაზეთის მთავრებად ითვლებოდნენ. აფხაზეთის მეფეს, ლეონ I, რომელსაც საკუთარი შვილი არ ჰყოლია, თავისი უმცროსი ძმა ხაზარეთის ხაკანის ქალიშვილზე დაუქორწინებია. მათ ვაჟი, სახელად ლეონი შესძენიათ (ლეონ II). ხაზარეთის კაგანატის ერთ ტომთან ჩაჩთან აფხაზებს ახლო ურთიერთობა რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჰქონიათ. ისინი პრივილეგირებული და ძალაუფლების მპყრობელი ხალხი ყოფილა. ლეონ II-ის დედა სწორედ ჩაჩის ტომის წარმომადგენელი ყოფილა. სისხლით ნათესაობას ლეონ II-ის გვარი განუსაზღვრავს და იგი ჩაჩა გამხდარა (Бжания 2012: 1-3), რაც არასწორია.

აფხაზეთის სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით – ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები იმავე ნიშნით ქართველები იყვნენ (ლორთქიფანიძე 1990: 11). მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები „ლეონიდებს“ აფხაზ მეფეებად თვლიან, ვ. ლატიშევი მათ ბაგრატიონთა საგვარეულოს მიაკუთვნებდა (Латышев 1911: 10-11).

ს. ჯანაშია თვლიდა, რომ შარვაშიძის გვარსახელის მატარებლები აფხაზეთის ყველაზე წარჩინებული ქართული გვარ-სახელი იყო. ამ გვარის გენეალოგიური ხაზი გვიან, შუა საუკუნეებში განყვეტილად მიაჩნდა, ჩრდილო კავკასიიდან მოსახლეობის ჩამოსახლებისა და სხვა თავადურ გვარებთან შერევის ნიადაგზე. ჩრდილო კავკასიაში მის მიერ შეკრებილი გადმოცემების თანახმად, ჩაჩბას გვარ-სახელი აბაზური წარმოშობისა

იყო და ის მოსახლეობის ჩამოტანილი ყოფილა (ჯანაშია 1968: 30-31).

ეთნონიმი „აფხაზი“, რომ ქართველური მოსახლეობის შექმნილია და იგი ჩრდილო კავკასიიდან II-V საუკუნეებში ჩამოსახლებულ მოსახლეობას ეწოდა, რომლებმაც ასიმილაცია განიცადეს ქართველურ მოსახლეობასთან. (Бахия, Газделиани, 2013-2014; 479-793). მაგ.: ვ. ბგანბამ ეთნიკური დასახელების „აფხაზის“ ეტიმოლოგიისათვის ეთნონიმი უბიხი $a+p\tilde{e}x+az - p\tilde{e}x=$ უბიხის, $az=azpa$ (Бганба 200: 72).

ამავე ეთნონიმს ვ. კვარჭია ასე იაზრებს – $ayaa\chi az - vx\chi az - a\chi az$, რომელიც, თურმე, სიტყვა-სიტყვით „დამოუკიდებელ ადამიანებს“ აღნიშნავს. $ayaa=$ ადამიანები, $\chi az(ы)=$ დამოუკიდებლებს (რაც არასწორია, რადგან $\chi az(ы)$ ცალკეულს ნიშნავს). ვ. კვარჭიას ვარაუდით, $a\chi az -$ სპარსული, ხოლო $ap\chi az -$ არაბული წარმოშობის შესაძლოა რომ იყოს (Кварчия, 2006; 71).

სიყალბითა და ქართველების მიმართ სიძულვილით სავსეა ვ. კვარჭიას თითქმის 600 გვერდიანი ნაშრომი, აი რას წერს იგი: თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ ახალგაზრდა ქართველ მეფეს, ვახტანგ VI, XVIII ს.-ში შეუქმნია ფსევდონიმით „შოთა რუსთაველი“. თუმცა, ამ სიცრუეს რუს „მეცნიერს“ უნდა უმადლოდეს, რომლის აზრით, პოემა ქართველ ელიტას არ მიუღია და არც ქართული ეკლესიის მიერ ყოფილა აღქმული, რადგან არაქართველის დანერგილი ყოფილა. ამიტომ, მთელი გამოცემა მდ. მტკვარში ჩაუყრიათ (Кварчия 2015: 13. Карбушенко 2010: 21-22). ასევე ძველი „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის შექმნილ კომისიას გადაუწერია და „погрешности“ გაუსწორებიათ, პირველწყაროების გარეშე ახალი ვერსია შეუქმნიათ. ვახუშტი ბატონიშვილს კი „შეცდომაში შეუყვანია ქართველი ხალხი“ „იმ ზღაპრების გამო, რომ თითქოს VII საუკუნიდან XIX საუკუნემდე სამხრეთ კავკასიაში ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფო არსებობდა...“ რომ, ქართველი წყაროთმწერლების „კუთრიოზული უვიცობის“ შედეგად

ხალხი ჩვენი ერის პირველ საუკუნეებთან რალაც ჰეროიკულ ლეგენდებზე დაყრდნობით მიჰყავთ, რომელიც საქართველოსთვის კიდევ უფრო ჰეროიკული რჩება“... მას არც ვახტანგ გორგასლის ცხოვრების სჯერა, რომელიც პოეტური შენაქმნი ჰგონია. ამ ჯერზეც იგი რუსი მეცნიერის ნაშრომს ეყრდნობა, რომელიც აცხადებს: „პატარა სახელმწიფოს ისტორია დამახინჯებული და გაყალბებულია (Кварчия 2010: 15-17; Кудрявцев 1922: 76-77; Сенковский 1856: 172).

ტყუილად როდი წერდა ილ. ჭავჭავაძე, რომ საქართველოს ისტორიის გაყალბების “ხანა რუსის მწერლისგან იწყება და რუსის მწერლითვე მთავრდება“... (ჭავჭავაძე 1987: 29).

ვ. კვარჭიას აზრით, VIII-X სს.-ის „აფხაზური სამეფო მთელ ქართველ ისტორიკოსებს – ს. ჯანაშიას“ გ. მელიქიშვილს, მ. ლორთქიფანიძეს, დ. მუსხელიშვილს, ზ. ანჩაბაძესა და სხვებს, ქართულ სახელმწიფოდ უღიარებიათ, რაც “სიყალბე” ყოფილა.

აქვე იმასაც დავეუმატებდით, რომ ვ. კვარჭიამ არც „ქვეყანა და აიას სამეფო“ გაიმეტა ჩვენთვის. ეს ქვეყანაც აფხაზებთან ყოფილა კავშირში. მისთვის „არაგონავტიკაში“ „ყველაზე საინტერესო და გადამწყვეტი“ კოლხეთის მეფის ვაჟის ბერძნული სახელი „აფსირტი“ ყოფილა. იგი თურმე აფხაზების ეპონიმი. მისი ვარაუდით იგი „აფსების სამფლობელოს“ (სიტყვა-სიტყვით „აფსირის, ანუ აფსარას მფლობელს“) აღნიშნავს (Кварчия 2015: 149). ამ სახელის პირველ ნაწილს (აფს) შ. ინალ-იფაც ტომობრივ სახელწოდებად თვლის, – ტი სუფიქსად მი-აჩნია (Инал-ипа 1976: 220). რაც შეეხება უძველეს ქართულ ქალაქს – ვ. კვანჭიას აზრით, სახელწოდება ქუთაისს აფხაზური ტერმინი „აქთა“ უდევს საფუძვლად, რომელსაც თარგმნის, როგორც „სოფელს (Кварчия 2015: 42). ჯერ ერთი, უძველესი ქართული ქალაქი ქუთაისი ძვ.წ.აღ. VI ს.-ში, არქეოლოგიური მასალების საშუალებით დგინდება, რომ უკვე როგორც ქალაქის ტიპის მსხვილი ცენტრი ყალიბდებოდა. მეორე, აპოლონიოს როდოსელს ის, როგორც კუტაია (ძვ.წ.აღ.

III ს.) აქვს მოხსენიებული. მესამე, ეს იყო კოლხეთის სამეფოს, ქართული კულტურის მსხვილი ქალაქი და „აფხაზთა სამეფო“, რომ ენით, დამწერლობით, პოლიტიკურად ქართული არ ყოფილიყო, ლეონ II აფხაზთა მეფე რეზიდენციას ანაკოფიიდან ქუთაისში არ გადაიტანდა. მეოთხე, ტერმინი „აქთა“ მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში ჩამოიტანეს ჩრდილო კავკასიელმა მიგრანტებმა (თანამედროვე აფხაზებმა) და ის არა სოფელს, არამედ „თემს“ აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, ეს გვიანდელი ტერმინი უძველესი ქალაქის სახელწოდების საფუძველი ვერ გახდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთელავა ი., XI-XIV სს ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.

ინაძე მ., ძვ. კოლხეთის ისტორიის საკითხები, 2009.

ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მსკი, ნაკ. 35, 1963.

ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.

ლომოური ნ., საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხებისათვის, თბ., 1965.

პაპასკირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკ. I, თბ., 2004.

ტაბატაძე კ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს სპარსული წყაროების მიხედვით, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

ჭავჭავაძე ილ., რჩეული ნაწარმოებები, ტ. V, თბ., 1987.

ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

ჯაფარიძე გ., ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებანი, საქართვე-

ლოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხო-
ური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

Бахиа С.И. Газделиани К.Ч. происхождению
хоронима “Абхазеты”, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები, XI, თბ., 2013-2014.

Бганба В.М. К вопросу о происхождении
и этноязыковой принадлежности некоторых
этнонимов//Абхазоведение, вып.1, Сухуми, 2000

Бжания В. Загадка фамилии Чачба, Эхо Абхазии,
№29,25 сентября, 2012 г. www.apsnyteka.org.

Инадзе М.П. Вопросы этнополитической
истории древней Абхазии, Разыскания по истории
Абхазии/Грузия, Тб., 1999.

Карбушенко П.Я. Грузинские витязи в шкуре
«Асраханского тигра»//Астраханский меридиан,
Альманах, Вып. II, 2010.

Кварчия В.Ч. Историческая и современная
топонимия Абхазии, Сухуми, 2006.

Кварчия В.Ч. Из этнической истории
Абхазского (Апсуа//Абаза) народа, или о языке и
истории абхазов и абазин, Сухуми, 2015.

Кудрявцев К. Сборник материалов по истории
Абхазии, Сухуми, 1922.

Латышев В.В. К истории христианства Кавказа,
М., 1911.

Марр И., К истории термина «абхаз», О языке и
истории Абхазов, М., – Л., 1938.

Меликишвили Г. А. К истории древней Грузии,
Тб., 1959.

Мусхелишвили Д. Исторический статус
Абхазии в Грузинской Государственности,
Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999.

Сенковский О.И. Некоторые сомнения
касательно истории грузинов, М., 1856.

Этническая «революция» в Абхазии, Сухуми,
1995, Вместо предисловия – Ачугба Т.А. «по
грузинской периодики СИХ в. (www.apsnyteka.org)

About Abkhazian Ethnocentric Historiography

Salome Bakhia-Okruashvili

*Chief Scientific Worker of the Caucasian Ethnology Department, Ivane Javakhishvili Institute of
History and Ethnology at Tbilisi State University, Doctor of Historical Sciences*

In the late 19th century, renowned Georgian public figure Ilia Chavchavadze wrote: "...There are hardly people like ours in the whole world... whoever wishes stomps and tramples over us, and flattens us with earth... it's almost like our existence is about to be annihilated from this side of the Caucasus, the notion of Georgia wiped off the face of the earth and blown away by the wind... We are deprived of our national honour; they smear our identities... falsify our history, our historic annals, historic heritage and memorabilia, the lives and deeds we sacrificed for Christianity. They appropriated all this through cunning artifice..." (Chavchavadze 1987: 21-22). This quote can be applied to all the peoples neighbouring Georgia (Russians, Armenians, Azerbaijanis, Ossetians...), as well as the peoples of the North Caucasus who were provided refuge on Georgian land, in particular, those who, after migrating here in the 2th-5th centuries, and assimilating with the Georgian people, were given the ethnic name "Abkhazians" by the Georgians.

Georgian scientists (I. Javakhishvili, S. Janashia, N. Berdzenishvili, M. Lortkipanidze, M. Imnadze,

N. Lomouri, D. Muskhelishvili, Z. Papaskiri and many others) have dedicated many years of work and research to the ethnic affiliation, origin and places of habitation of tribes populating the northeastern coast of the Black Sea.

The purposeful falsification of Abkhazian history was initiated in the times of the Russian Tzar Empire. They were obviously not pleased with the fact that Georgia was a country with ancient history, its own unique literary language, national dignity, and proud people, who had their own palpable history and culture. The theory of the Georgian people's origin had already been spread among the advanced scientists in Europe. Neither did the Russians appear to like that this ancient history and culture raised the self-awareness of the Georgian people. Thus, Russian scientists (though not all) began to distort the historic past of the Georgians, a fact which continued well into the Soviet period; trying to subdue the people of Georgia by inciting those living there – Abkhazians, Ossetians, Armenians, Azerbaijanis, and others – against the Georgians. In doing so, the Russians clearly gained a lot. After the

fall of the Soviet regime, the nomenclature figures of Abkhazia, with the help of Russian “friends”, began to aggravate the “Abkhazian problem” – an ethnic-political processes. Abkhazian “researchers”, in order to apprehend the territory of Abkhazia with hostile and abominable intentions, began to criticize Georgian scientists unfairly, claiming all the works created by Georgian historians before that period had been forged, whilst the truth-speaking Abkhazian “scholars” aimed to rewrite history in their own favour with the assistance of the Russians.

Candidate of historical sciences T. Achugba, who was brought up in Batumi and received an education at Tbilisi State University, moved to Sukhumi only recently. He is now doing his best to prove to Abkhazians that he is one of them, and says the following about the Georgian scientists who nurtured him: “They convince their own people and the whole world that Abkhazia is an integral part of Georgia, that it has always been the territory of Georgia from time immemorial. They created this based only on statistics and demographical processes...” they are “impudent” and “ideologists of a small empire” (Ethnic Revolution... 1995).

The fact that Georgian scientists (Javakhishvili 1951: 401-403. Melikishvili 1965: 65-67. Inadze 2009: 397-401. Lomouri 1963: 2-35. Lomouri 1968: 5-6. Marr 1938: 44-52. Melikishvili 1959: 237. Inadze 1999: 67-68. Muskhelishvili 1999: 117. Papaskiri 2004...) used the works of Greek, Roman, and Byzantine authors, along with the Georgian sources, carefully and objectively, meant nothing. As such, the “analysis of Abkhazian scientists” clearly demonstrates that the migration of the Georgians in Kolchheti and Abkhazia was a deceit. As to the relocation of the Abkhazians, they estimate it took place before Mtskheta.

The electronic version of the works of the Abkhazian scientists appeared in great quantity on www.apsnyteka.org in 2000.

Ethnologist Sh. Inal-Ipa dedicated his last work to Abkhazian proper names and surnames. He began by studying anthroponyms from the first millennium of our nation’s history. According to his suppositions, these Abkhazian names were preserved in historical sources. However, he does not provide the source names. The author’s suppositions are inaccurate, as

a diachronical study of Abkhazian anthroponomical models is impossible. The Abkhazian language belonged to unwritten languages until 1862, and a statement of the Abkhazian names was never documented. According to the research, in ancient historical Roman-Greek or Georgian sources, the types of Abkhazian proper names are not proven. By the author’s supposition, the military commander of Abkhazia, Dardin Shervashidze, and the West Kartvelian King Kuji (allegedly, Kuji is derived from Abkhazian a-Kuj-ma “wolf”) anthroponym is supposed to be Abkhazian. “Dardin” is a name of Iranian origin, which could have been spread in Kartvelian languages from Iran as a result of the historical and cultural Georgia-Persia relations. As for “Kuji”, it is related to the name of “Goji” fortress. Both “Kuji” and “Goji” are presumed to have derived from the Zanuri (Mingrelian) term – “Kvinji”, which suggests the meaning of “base, chief, as solid as a pestle (stone wood)” (Antelava 1988: 11-15).

Vadim Bzhanian does not mention the name “Shervashidze”, but reveals the “secret” of the Chachba surname, which was the earliest name in Abkhazia in written sources (11th century). However, he does not name the source. According to his suppositions, from the second millennia of our nation’s history, the Chachaa (Chachbas) were considered the heads of Abkhazia. Abkhazian King Leon I, who had no offspring of his own, arranged a marriage between his younger brother and the daughter of a Khazar Khagan. The couple had a son, Leon (Leon II). The Abkhazians had a close relationship with one of the tribes (Chach) of Khazar Khaganate for several centuries. They were powerful and privileged people. The mother of Leon II was a representative of the Chach tribe. It is said the alliance by blood determined the name of Leon II and he became Chachba (Bzhanian 2012: 1-3), which is incorrect.

The Kingdom of Abkhazia was a Georgian state in language, writing, culture, religion, and policy; while its kings were Georgians (Lortkipanidze 1990: 11). Despite the fact that the Abkhaz consider the Leonids to be Abkhazians, V. Latyshev attributed them to the Bagrationi dynasty. (Latyshev 1911: 10-11).

S. Janashia found that the bearers of the Shervashidze name were the noblest representatives

of Abkhazia. The genealogical line of this name was considered to have ceased to exist in the late Middle Ages on the basis of the migration of the people from the North Caucasus and bonding with other noble families.

The ethnonym “Abkhazian” was created by the Kartvelian population and it was the name of the people who relocated from the North Caucasus in II-V centuries, and became assimilated with the Georgian population (Bakhia, Gazdeliani, 2013-2014; 479-793). For instance, V. Bganba uses the etymological ethnonym Ubykh_ a+пѣх+аз – пѣх= Ubykh, and аз=азпа (Bganba 200: 72).

V. Kvarchia expresses the same ethnonym in the following form – аѣахаз – вхѣаз – аѣхаз (Abkhaz), which allegedly has the literal meaning of “independent people”. Аѣаа = people, хаз(ы)= independent (which is incorrect, as хаз(ы) means “single”). According to Kvarchia, the word “аѣхаз” has a Persian origin, whilst the word “апхаз” probably originated from Arabic. (Kvarchia 2006: 71).

The work of V. Kvarchia, which consists of about 600 pages, is full of spuriousness and hatred towards the Georgian people. He claims that young Georgian King Vakhtang VI composed “The Knight in the Panther’s Skin” under the pseudonym “Shota Rustaveli” in the 18th century. But he definitely owes this to a Russian “scientist”, who considered that the poem was neither received by the Georgian elite, nor that the Church acknowledged it, as it was written by a non-Georgian author. Therefore, the whole edition was thrown into the River Mtkvari (Kvarchia 2015: 13. Karbushenko 2010: 21-22). “The Life of Kartli” (“Georgian Chronicles”) was allegedly rewritten by a committee appointed by King Vakhtang VI, the “flaws” were corrected, and a new version was created disregarding primary sources. Vakhushhti of Kartli (Vakhushhti Batonishvili) “misled the Georgian people” “for the sake of the fairy tale that a centralized Georgian state existed in the South Caucasus in the 7th-19th centuries ...”; that the creators of Georgian primary sources, as a result of “curious ignorance”, have raised the people of Georgia on heroic legends which have become even more heroic since the first centuries of the Georgian nation’s history...” Nor does he believe in the life of Vakhtang Gorgasali, which he considers a poetic composition. Here, he

relies on the work of a Russian scientist, who stated: “The history of this small country is distorted and falsified” (Kvarchia 2010: 15-17; Kudriavcev 1922: 76-77; Senkovsky 1856: 172).

I. Chavchavadze did not write in vain that the age of the falsification of Georgian history “begins with a Russian writer and ends with a Russian writer as well...” (Chavchavadze 1987: 29).

According to V. Kvarchia, “the Kingdom of Abkhazia in 8th-10th centuries” was acknowledged as a Georgian state by Georgian historians S. Janashia, G. Melikishvili, M. Lortkipanidze, D. Muskhelishvili, Z. Anchabadze and others, which is a falsity.

As the format of the report is limited, I would like only to add that V. Kvarchia did not even spare “The Country and the Kingdom of Aia (Aea)” for us, claiming that even that country was related to the Abkhazians. “The most interesting and deciding” for him in “Argonautica” was the Greek name of the son of the King of Colchis, “Absyrtus”. Allegedly, it is the eponym of the Abkhazians. His suppositions were that it meant “The realm of Absys” (literally, “Absyr”, i.e. “The Ruler of Absara” (Kvarchia 2015: 149). Sh.Inal-Ipa considers the first part of this name (Abs) to be a tribal name, while “-tus” is supposed to be a suffix (Inal-Ipa 1976: 220). As to the ancient Georgian city, according to V. Kvarchia, the base of the name of Kutaisi is originated from the Abkhazian term “Akta”, which he translates as “a village” (Kvarchia 2015: 42). Firstly, the oldest Georgian city, Kutaisi, as proven by archeological materials, began to form into a great city-like centre in 6th century B.C. Secondly, Apollonius of Rhodes mentioned it as “Kutaia” in the 3d century BC. Thirdly, it was a great city of Colchis and a centre of Georgian culture. In addition, had the Kingdom of the Abkhaz not been a Georgian state in language, writing, and policy, the Abkhaz King Leon II would not have relocated the king’s residence from Anacopia to Kutaisi. Fourthly, the term “Akta” was only brought by migrants from North Caucasus (modern Abkhazians) in the late Middle Ages, and it did not mean “a village”, but “a community”. Hence, this late term could not have been the original name of this ancient city.

References:

- Antelava I. 1988. XI-XIV ss. kartuli saist'orio ts'q'aroebi. Tbilisi (in Georgian).
- Imnadze M. 2009. Dz.k'khetis ist'oriis sakitkhebi. Tbilisi (in Georgian).
- Lomouri N. 1963. Berdzeni logograposebis tsnobebi kartveli t'omebis shesakheb, msk' I, nak'. 35, Tbilisi (in Georgian).
- Lomouri N. 1968. Egrisis samepos ist'oria, Tbilisi (in Georgian).
- Lomouri N. 1993. Sakartvelos sakhelts'odebani bizant'iur ts'q'aroebshi. Sakartvelosa da kartvelebis aghmnishvneli utskhuri da kartuli t'erminologia. Tbilisi (in Georgian).
- Melikishvili G. 1965. Sakartvelos, k'avk'asiisa da makhlobeli aghmosavletis udzvelesi mosakhleobis sakitkhebisatvis. Tbilisi (in Georgian).
- Papaskiri Z. 2004. Narkvevebi tanamedrove apkhazetis ist'oriuli ts'arsulidan, Vol. I. Tbilisi (in Georgian).
- Tabatadze K. 1993. Saqartvelosa da qartvelebis aghmnishvneli t'erminebi X-XV ss. sp'arsuli ts'q'aroebis mikhedvit, Saqartvelosa da qartvelebis aghmnishvneli utskhuri da qartuli t'erminologia. Tbilisi (in Georgian).
- Chavchavadze I. 1987. Rcheuli nats'armoebebi, Vol. V, Tbilisi (in Georgian).
- Kaukhchishvili T. 1976. Sakartvelos ist'oriis dzveli berdnuli ts'q'aroebi. Tbilisi (in Georgian).
- Japaridze G. 1993. Kartvelebisa da sakartvelos arabuli sakhelts'odebani, sakartvelosa da kartvelebis aghmnishvneli utskhuri da kartuli t'erminologia. Tbilisi (in Georgian).
- Bakhia, K. S. Gazdeliani. 2013-2014. "prois-hozheniû horonima "Abhazety" *sokhumis saxelmts'ipo universit'et'is shromebi*, XI, Tbilisi (in Russian).
- Bganba V. 2000. "k voprosu o proishozhenii I etnoazykovoj prinadlezhnosti nekotoryh etnonimov". *Abhazovedenie*. Vol. 1, Suhumi, (in Russian).
- Bzhania V. 2012. "zagadka familii Čačba". *ĕho Abhazii*. №29, 25.09. www.apsnyteka.org. (in Russian).
- Inadze M. 1999. "voprosy etnopolitičeskoj istorii drevnej Abhazii". *razjskaniâ po istorii Abhazii*. Tbilisi (in Russian).
- Karbushenko P. 2010. "gruzinskie vitâzy v škure "Astrahanskogo tigra". *Astraxanskij meridian*. Edition J. (in Russian).
- Kvarchia V. 2006. istoričeskaâ I sovremennaâ toponimiâ Abhazii. Sukhumi. (in Russian).
- Kvarchia V. 2015. iz ètničeskoj istorii Abhazkogo (Apsua//Abaza) naroda, ili o âzjke I istorii abhazov I abazin. Sukhumi. (in Russian).
- Kudriavcev K. 1922. *sbornik materialob po istorii Abhazii*. Sukhumi
- Latyshev V. 1911. k istorii hristianstvo Kavkaza. Moscow. (in Russian).
- Marr I. 1938. k istorii termina abhaz. o âzjke I istorii Abhazov. M- L (in Russian).
- Melikishvili G. 1959. k istorii drebnej gruzii. Tbilisi (in Russian).
- Muskhelishvili D. 1999. istoričeskij status Abhazii v gruzinskoj gosudarstvennosti. raziskaniâ po istorii Abhazii. Tbilisi (in Russian).
- Senkovsky O. 1856. nekotorye somneniâ kasatel'no istorii gruzinov. Moscow (in Russian).
- ètničeskaâ "rebolûciâ" v abhazii. 1995. Sukhumi. In place of the introduction, T. Achugba, *po gruzinskoj periodike XIX veka* (www.apsnyteka.org)

ბედიის ტაძარი XIX საუკუნეში – XX საუკუნის დასაწყისში

ბეჟან ხორავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბედიის ტაძარი X-XVIII საუკუნეებში საეპისკოპოსო ცენტრი იყო. ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აფხაზთა მოძალების გამო, XVIII საუკუნის 60-იანი წლებში, ბედიის საეპისკოპოსო გაუქმდა (ხორავა 2000: 41).

ბედიის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ ტაძარში ღვთისმსახურება შეწყდა. მოგვიანებით, ტაძარში ღვთისმსახურება აღდგა. 1805 წელს სამეგრელოს დედოფალი ნინო დადიანი აღნიშნავდა, რომ ბედიის ტაძარში ღვთისმსახურება სრულდებოდა (AKAK 1868, 528). 1812 წლის ოქტომბერში სოფელ ბედიასი სამხედრო ექსპედიცია მოეწყო ოდიშის (სამეგრელოს) მთავრის ლევან V დადიანის (1805-1846) მეთაურობით. სამთავროს სარდლისა და ისტორიკოსის ნიკო დადიანის (დაახლ. 1780-1834) ცნობით, ბედიის ციხეს ფლობდა ლევან შარვაშიძე, რომელიც იქ თავის ოჯახთან ერთად იმყოფებოდა. როდესაც ოდიშის სახალხო ლაშქარი რუსეთის ჯარის ნაწილთან ერთად ბედიის ციხეს მიადგა, მცირე ორმხრივი სროლის შემდეგ, ლევან შარვაშიძემ ოდიშის მთავარს ციხე ჩააბარა (დადიანი 1962, 204).

ბედიასი ციხესიმაგრე დადასტურებული არ არის. საფიქრებელია, რომ გალავანშემო-

ვლებული ბედიის ტაძარი და მისი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც სამი მხრიდან ისედაც მიუდგომელი იყო, XVIII საუკუნის მიწურულს აქ აფხაზების დამკვიდრების შემდეგ ციხე-დარბაზის ფუნქციას ასრულებდა. საფიქრებელია, რომ გალავნის შიგნით ბედიის მფლობელი შარვაშიძეების ხის სასახლე იყო. ამბროსი ხელაია, რომელმაც საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ბედიის ტაძარს, აღნიშნავს, რომ ტაძარი დაუზიანებელი იყო XIX საუკუნის დასაწყისამდე. ის დაზიანდა 1812 წლის ექსპედიციის დროს, როდესაც რუსებმა ზარბაზნები დაუშინეს (ამბროსი ხელაია 2006: 669). თუმცა, 1812 წლის ოქტომბრის ამბების მონაწილე ნიკო დადიანი რუსების მიერ ზარბაზნების გამოყენების ფაქტს არ ადასტურებს. ერთი ცნობით, ბედიის ტაძარში ღვთისმსახურება 1816 წელსაც სრულდებოდა, მაგრამ როდის შეწყდა, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება (სახოკია, 1896: 26). ყოველ შემთხვევაში, XIX საუკუნის 30-იან წლებში ბედიის ტაძარი უკვე დაზიანებული იყო. 1832 წელს მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი), რომელიც სამეგრელოს კათედრას 1829-1834 წლებში განაგებდა, სამურზაყანოში ქრისტიანობის საქადაგებლად მღვდელმსახურები

გაგზავნა, ამასთან თავისი და, სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის მეუღლე, მართა დედოფალი დაარწმუნა, ბედიის ტაძარი განეხლებინა. ბედიაში ხელოსნებიც გაგზავნეს კირის გამოსაწვავად, მაგრამ მართა დედოფლის მოულოდნელმა გარდაცვალებამ და სამეგრელოს ეპარქიიდან მიტროპოლიტ დავითის გადაყვანამ ეს წამოწყება ჩაშალა (ЗКОИРГО 1864: 79).

40-იან წლებში ბედიის ტაძრით დაინტერესდა რუსი არქიტექტორი პეტრე ნოროვი (1815-1858), რომელიც 1846 წლიდან კავკასიაში მსახურობდა და ხუროთმოძღვრების ძეგლებს სწავლობდა. მან ბედიის ტაძრის ანაზო-მები გააკეთა და ლაპიდარული და ფრესკული წარწერების ასლები გადაიღო. შემდეგ მან წარწერების ასლები ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს (1802-1880) მიაწოდა (ბროსე 2011: 98). თვითონ მარი ბროსემ ბედიის ტაძარი 1848 წლის აპრილში მოინახულა. მან აღწერა ტაძარი და ჩაიწერა ფრესკული და ლაპიდარული წარწერები. მისი ცნობით, დაცარიელებული და დაზიანებული ტაძარი მცენარეულობით იყო დაფარული (ბროსე 2011: 94-95). 1859 და 1865 წლებში ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ (1826-1890) სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა აფხაზეთში და ბედიის ტაძარიც მოინახულა. მისი ცნობით, ბედიის ტაძარი მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული. თლილი ქვით მოპირკეთებული და ჩუქურთმებით შემკული ტაძარი ზომით არც ისე დიდი იყო, მაგრამ ნატიფი. ტაძარი ხშირი მცენარეულობით, მათ შორის ხეებით იყო დაფარული, გუმბათი ჩამონგრევის პირას იყო (Баградзе 1873: 1007).

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენაზე ფიქრობდა. ამიტომ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებაში 1861 წელს გაჩნდა აზრი ბედიის ტაძრის აღდგენის შესახებ. ამას მოჰყვა საზოგადოების 1861 წლის 4 თებერვლის სათანადო დადგენილება (ამბროსი ხელაია 2006: 669-670). იმავე ხანებში, 1867 წლის 14 ნოემბერს, კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვისადმი (1862-1881) მოხსენებით ბარათში, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვასილ გეიმანმა

(1867-1872) ბედიისა და დრანდის ტაძრების აღდგენის, და ლიხნის ტაძრის განახლების საკითხი დასვა (წმინდა მღვდელმთავარი... 2007: 200-204). მიუხედავად ხელისუფლების დაინტერესებისა, ბედიის ტაძრის აღდგენა ვერ მოხერხდა.

1868 წლის 28 მაისს ბედიას ეწვია იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), რომლის იურისდიქციაში აფხაზეთის ეპარქიაც შედიოდა. თავის ანგარიშში გაბრიელ ეპისკოპოსი ბედიის ტაძრის შესახებ წერდა: „ხედი მის ირგვლივ და თვით ადგილი, სადაც ის მდებარეობს, ძალიან მიმზიდველია ... ეკლესიის კედლები მთელია და მტკიცე. თალებიც, ასევე, მთელია, დასავლეთი ნაწილის გარდა, რომელიც ჩამონგრეულია; გუმბათის თალიდან შუქი შემოდის და მოსჩანს მასზე ამოსული ხეები. ეკლესია შიგნით შებილწულია შინაური ცხოველების მიერ, რომლებსაც აქაური მცხოვრებნი ღამით აქ ამწყვდევენ. პატარა მოედანი, რომელზეც ეკლესიაა აგებული, ყველა მხრიდან ხრამით სრულდება. დასავლეთით შემორჩენილია სამრეკლოს ნანგრევები და მის ქვემოთ ქვის სენაკები. ჩანს, რომ აქ მონასტერი იყო. მისი აღდგენა ძალიან კარგი იქნება ქრისტიანობის საქმისათვის და ძვირი არ დაჯდება“ (წმინდა მღვდელმთავარი 2007: 398-399). იმავე წლის 7 ივლისის წერილში აფხაზეთში სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ, ეპისკოპოსი გაბრიელი კიდევ ერთხელ უბრუნდება ბედიის ტაძრის აღდგენის საკითხს. მისი აზრით, დრანდის, ბედიის, მოქვის ტაძრების აღდგენა, სამივესი ერთად, 12-16 ათასი მანეთი დაჯდება (წმინდა მღვდელმთავარი 2007: 217).

1888 წელს ბედიას ეწვია რუსი არქიტექტორი და რესტავრატორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრეი პავლინოვი. 1893 წელს მან გამოაქვეყნა ბედიის ტაძრისა და მისი კომპლექსის აღწერილობა, რომელსაც ფოტოებიც დაურთო. მანვე შეასრულა ტაძრის რეკონსტრუქციისა და ორნამენტების გრაფიკული ჩანახატები. მისი ცნობით, ბედიის ტაძარი მძიმე მდგომარეობაში იყო: თალებისა და გუმბათის ნაწილი ჩამოქცეული, ფასადები მთლიანად და გუმბათი ხშირი მცენარეულობით დაფარული, ტაძრის საპირე წყობა ნაწილობრივ ჩამოცვენილი.

გუმბათის ნაწილი ჯერ კიდევ ადგილზე იყო, თუმცა ავარიული მდგომარეობის გამო ა. პავლინოვმა მისი აზომვა ვერ მოახერხა და მხოლოდ თვალის ზომით ჩაიხატა. მისი ცნობით, ტაძრის მთლიანი მოცულობა მაინც კარგად იკითხებოდა, შემორჩენილი არქიტექტურული ფორმები მისი პირვანდელი სახით წარმოდგენის საშუალებას იძლეოდა. ტაძარში შემორჩენილი მხატვრობის მეტი ნაწილი ჩრდილოეთის კედელზე იყო წარმოდგენილი. ა. პავლინოვის დასკვნით, ტაძრის თავდაპირველი სახით აღდგენა სავსებით შესაძლებელი იყო (Павлинов 1893: 27).

1892 წლის 24 მაისს დაბა ოქუმში გაიმართა სამურზაყანოს მცხოვრებთა მიერ ამორჩეული დეპუტატების კრება, რომელზეც ბედიის ტაძრის აღდგენის საკითხი დაისვა. კრების დადგენილებაში ნათქვამია: „უნდა განახლდეს მეფე ბაგრატ მესამის შესანიშნავი ბედიის ტაძარი, რომელიც დღეს ქურდებს ნაპარავ საქონლის ბუნაგათ აქვთ გარდაქცეული“. კრებამ დაადგინა, ტაძრის განახლებისათვის ადგილობრივ მკვიდრთათვის დაენესებინათ გადასახადი, სულზე თითო აბაზი. რაც დააკლდებოდა, შემონიშნულობებით შეესოთ (ოქუმელი ვანო 1892).

იმავე ხანებში, გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტი ბედიის ტაძრის შესახებ წერდა: „...თუმცა ჟამთა სიმკაცრეს მეტის-მეტად დაუზიანებია ეს ტაძარი, მაგრამ თავის წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა დღესაც, რომ შესვლისთანავე შიგ მოწინებით ქუდს იხდით და მყისვე განიმსჭვალებით ქრისტიანობრივისა და წარსულთა დროთა პატივისცემის გრძნობითა. სამწუხაროდ დრო აღარ გვქონდა დანერვილებით აგვენერა ის. სხვა მრავალ მხატვრობათა შორის, რომელთაგან ზოგი მთლად ნაშლილია და ნაბლალული, განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ბედიის ტაძრის სამხრეთ კედელზედ დახატული თამარ დედოფლის სახე. ჟამთა ვითარების ულმოებელ ძალას მისთვისაც დაუსვამს თავისი დალი: მხრები, პირისახე და თავი, გვირგვინით შემკობილი ამ ნახატზედ კარგად დარჩენილია, განსაკუთრებით თვალები და წარბები თითქმის სრულიად უვნებლად არის დაცული დღემდე. მხოლოდ ცალი ლოყა ნაშლილია; ცალი ხელის ხუთივე

თითი კარგად სჩანს. იქ, სადაც თამარ დედოფალია დახატული, წარწერებიც შედარებით უფრო კარგად მოსჩანს ... ტაძარს გუმბათიცა აქვს, მაგრამ გუმბათის თავი (შუაგული) ჩამოცვივებულია და დანარჩენიც გამზადებულია ჩამოსაცვენად ... და საზოგადოდ ეს დიდებული და სახელოვანი ნაშთი ჩვენის წარსულისა ირღვევა, იშლება“. გაზეთის კორესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ ახლომახლო მცხოვრებთ ეკლესიის ქვები მიჰქონდათ, ზოგს საფლავისთვის და ზოგს ბუხრისთვის (ივერია 1894).

ამ კორესპონდენციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ავტორი აღნიშნავს ტაძარში თამარ მეფის ფრესკის არსებობას, რომელიც საკმაოდ კარგ მდგომარეობაში ყოფილა.

1894 წელს ბედიის ტაძარი ეთნოგრაფმა თედო სახოკიამ (1868-1956) მოინახულა. მისი ცნობით, ტაძრის სახის გარჩევა ჭირდა. „კამარები ჩამოქცეული აქვს, გუმბათი ნახევრად ჩამონგრეულია და მეორე ნახევარიც, საცაა ჩამოინგრევა. კედლებზე, ეტყობა, მხატვრობა ყოფილა, გარნა წვიმას ჩამოურეცხნია. მხატვრობა დარჩენილია ცოტაოდნად სამხრეთის კარ ზევით, სადაც მკაფიოდ სჩანს „იესო ქრისტე წყაროსთან“. შესავალ კარებზე ქვების ყორეები დგას. იქით-აქეთ სამწირველოები მრთელად შენახულა“ (სახოკია 1896). თ. სახოკია არაფერს წერს თამარ მეფის ფრესკის შესახებ, თუმცა არც ბაგრატ მეფის ფრესკას იხსენიებს. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ტაძარში ბევრი ეძება ბაგრატ მეფის საფლავის კვალი, მაგრამ ამაოდ (სახოკია 1896).

XX საუკუნის დასაწყისში გურია-სამეგრელოს ეპარქიის თეკლათის მთავარანგელოზთა ეკლესიის მღვდელმა იესე შელიამ, რომელიც ადრე მღვდელმსახურებას აფხაზეთში ეწეოდა, ხოლო 1897-1904 წწ. ათონის მთაზე მოღვაწეობდა, ბედიის ტაძრის აღდგენა და იქ ღვთისმსახურების განახლება გადაწყვიტა. 1909 წელს მან სოხუმის ეპისკოპოსს დიმიტრის (სპეროვსკი) სოხუმის ეპარქიაში გადაყვანის და ბედიის ტაძრის ნანგრევებთან ცხოვრების თხოვნით მიმართა. ეპისკოპოსი დიმიტრი (1907-1911) დათანხმდა სოხუმის ეპარქიაში იესე შელიას გადმოყვანას, მაგრამ ბედიის

ტაძრის ნანგრევებთან მისი ცხოვრების კატეგორიული წინააღმდეგი იყო (ამბროსი ხელაია 2006: 669-670). 1909 წლის ივნისში მღვდელი იესე შელია სოხუმის ეპარქიაში ბედიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის პირველ წინამძღვრად დაინიშნა (ტოგონიძე და მაჩუროშვილი 2008: 18). აკრძალვის მიუხედავად, იესე შელიას ბედიის ტაძართან ცხოვრებისა და მისი აღდგენის სურვილი არ განელეზა. მისმა მცდელობამ სამურზაყანოს საერო და სასულიერო საზოგადოებაში მხარდაჭერა ჰპოვა. 1910 წელს ბედიის თემის მცხოვრებმა თავადებმა გრიგოლ და კონია შარვაშიძეებმა სოხუმის ეპისკოპოს ღიმიტრის ბედიის ტაძართან ეკლესიის აგების ნება-რთვა სთხოვეს და მისი გეგმაც წარუდგინეს. ამ თხოვნას ეპისკოპოსმა შემდეგი რეზოლუცია დაადო: „დაუბრუნდეს მთხოვნელებს ეკლესიის გეგმა, რადგან ისინი თხოულობენ არა ეკლესიის, არამედ საჯვარის აგების ნება-რთვას. ეკლესიის აგება ზედმეტად მიმაჩნია, ხოლო მღვდელ შელიას მე უნინაც ვუბრძანე, რომ არ ეცხოვრა ბედიის ნანგრევებში და ახლაც ვაფრთხილებ, რომ მას არასოდეს მივცემ ნებას აღასრულოს იქ წირვა-ლოცვა, თუნდაც აშენებულ იქნას საჯვარე (ამბროსი ხელაია 2006: 670-671).

ამბროსი ხელაია აღნიშნავდა, რომ ბედიის ტაძრის აღდგენას ხელს უშლიდა პოლიტიკა. ხელისუფლებისა და რუსი სამღვდელოებისათვის ქართველი ბერების ბედიაში დამკვიდრება სასურველი არ იყო. სოხუმის ეპისკოპოსებს სურდათ ბედიაც ისეთივე რუსულ მონასტრად გადაექციათ, როგორც ახალი ათონი, ბიჭვინთა, კამანი, დრანდა და მოქეი(ამბროსი ხელაია 2006: 671-672). მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, იესე შელია ბედიის ტაძართან დამკვიდრდა და სიცოცხლის ბოლომდე ის არ მიუტოვებია.

1910 წელს სანკტ-პეტერბურგის არქიტექტორთა საიმპერატორო საზოგადოების დაკვეთით, ბედიის ტაძარს მხატვარი იაკობ რეისნერი ეწვია. მას იესე შელიამ დაათვალიერებინა ტაძარი. მღვდელს რეისნერისთვის უთქვამს, რომ სიყმაწვილეში მას კიდევაც უნახავს ტაძრის მთელი მხატვრობა; გუმბათი

20-25 წლის წინ დანგრეულა მეხის დაცემით; ღვთისმსახურება უკანასკნელად 1816 წელს ყოფილა, შემდეგ კი შეწყვეტილა, მრევლში რწმენის დახშობის და უსახსრობის გამო (რეისნერი 2004: 232).

1912 წლის მაისში გაგრაში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II (1894-1917) ჩამოვიდა. 16 მაისს აფხაზთა დეპუტაციამ ალექსანდრე შარვაშიძის მეთაურობით იმპერატორს ბედიის ტაძრის აღდგენის შესახებ თხოვნა მიართვა, რაზეც იმპერატორმა თანხმობა განაცხადა. იმავე ხანებში სოხუმის ეპისკოპოსმა ანდრიამ (უხტომსკი) ყურადღება მიაქცია აფხაზეთის ტაძრების სავალალო მდგომარეობას და მათი აღდგენა-განახლების საკითხი დააყენა. ეპისკოპოსმა ანდრიამ (1911-1913) ნება დართო იესე შელიას ტაძართან ახლოს დასახლებულიყო და წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია განეახლებინა. იესე შელიამ მართლაც განაახლა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქვის ეკლესია, რომელიც 1912 წლის 26 აპრილს ეპისკოპოსმა ანდრიამ აკურთხა. მღვდელმთავარმა იესე შელიას ნება დართო ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღესრულებინა. სოხუმის ეპისკოპოსი ბედიის მონასტრის გახსნის თანახმაც იყო. 1913 წლის 13 იანვარს ეპისკოპოს ანდრიას ინიციატივით სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ოკრუგის ეკლესია-მონასტრების აღსადგენად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემონიშნულობების შეგროვების შესახებ. შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელშიც პირველი შენატანი, 2 ათასი მანეთი, იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ გააკეთა; უწმინდესმა სინოდმა 6 ათასი მანეთი გამოყო. ერთ წელიწადში 30 ათასი მანეთი შეგროვდა. ეპისკოპოს ანდრიას ინიციატივით ჩამოყალიბდა საეპარქიო საეკლესიო-სამშენებლო კომიტეტი სოხუმის ოკრუგის უფროსის პოლკოვნიკ ნიკოლაი ვეტცელის თავმჯდომარეობით. სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოები 1913 წლის ზაფხულში დაიწყო. იმავე წლის 28 სექტემბერს ეკურთხა ახალაგებული ეკლესია დურიფშში, შეკეთდა ლიხნის ტაძარი, მიმდი-

ნარეობდა სამუშაოები ჯირხვაში, ოთჰარაში, ააცში (გამახარია 2005: 694).

სინოდის 1913 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით ბედიში ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტერი დაფუძნდა. იმავე წლის 20 ნოემბერს მღვდელი იესე შელია სოხუმის საკათედრო ტაძარში იოსების სახელით ბერად აღიკვეცა. მეორე დღეს იგი ბედიის ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა (ტოგონიძე და მაჩუროშვილი 2008: 18). იმხანად, გაზ. „იმერეთის“ კორესპონდენტი წერდა, რომ ბედიის ტაძრის მახლობლად იოსებ შელიამ ააგო პატარა საყდარი, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა (იმერეთი 1914) იოსებ შელიას მიერ აგებული ეკლესია გალავნის გარეთ იყო, ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთით. ადგილობრივმა თავადებმა, შარვაშიძეებმა, მონასტერს 50 დესეტინაზე მეტი მიწა შესწირეს (ედილი 1917). იოსებ შელიას მეორე პატარა ეკლესიაც აუგია გალავნის გარეთ, ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთით, რომელიც იოანე ღვთისმეტყველის სახელზე უკურთხებიან. მას ბერმონაზვნების საცხოვრებლად ხის შენობაც აუგია. იგი ძველი ტაძრის განახლებასაც შედგომია. „თუ ეს ტაძარი განვაახლო, ეს კუთხე საქართველოს არ დაეკარგებაო“, – უთქვამს იოსებ შელიას (სახალხო გაზეთი 1914). როგორც ჩანს, მას აფიქრებდა ბიჭვინთის, ახალი ათონის, დრანდის, მოქვის რუსულ მონასტრებად გადაქცევა და ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა რუსები ბედიასაც დაპატრონებოდნენ. ამიტომ იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ბერმონაზონი ყოფილიყო ბედიის მონასტერში, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტერი რუსებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, იოსებ შელიამ გადაწყვიტა ის დედათა მონასტრად ექცია და თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვართან მოლაპარაკება გამართა. ასეთ ვითარებაში, 1916 წელს, იოსებ შელია მოულოდნელად გარდაიცვალა (ამბროსი ხელაია 2006: 672-673). ამის შემდეგ

მონასტრის წინამძღვარი მღვდელმონაზონი გიორგი (ბარკალაია) იყო.

1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. იმავე წლის სექტემბერში პირველმა საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება დაამტკიცა. შეიქმნა 13 ეპარქია, მათ შორის ცხუმ-ბედიის ეპარქია, რომლის მღვდელმთავრის პატივად „ცხუმ-ბედიელი ეპისკოპოზი“ განისაზღვრა. ახალშექმნილი ეპარქია დროებით დაუქვემდებარეს ჭყონდიდის ეპარქიას, რომელსაც მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) ედგა სათავეში.

1919 წლის 7 ოქტომბერს აფხაზეთის სამღვდელოებისა და საერო საზოგადოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა საგანგებო კრება გაიმართა. კრებამ მიიღო დადგენილება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელების შესახებ; სოხუმის ეპარქიის სახელი გადაერქვა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა; კრებამ მღვდელმთავრად მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) აირჩია. 1919 წლის 28 ოქტომბერს საკათალიკოსო საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის საეპარქიო კრების გადწყვეტილება მიტროპოლიტ ამბროსის ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად არჩევის შესახებ, ამასთანავე ეპარქიის საქართველოს საკათალიკოსოს შემადგენლობაში მიღება დაადგინა (გამახარია 2012: 115-120).

მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) ბედიის ტაძრის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა. ჯერ კიდევ 1917 წლის მიწურულს მიღებულ იქნა გადწყვეტილება ბედიის მამათა მონასტრის დედათა მონასტრად გადაკეთების თაობაზე. 1919 წლის 30 ოქტომბერს მიტროპოლიტმა ამბროსიმ (ხელაია) საკათალიკოსო საბჭოს ბედიის მონასტრისათვის დახმარების თხოვნით მიმართა: „როგორც უკვე მოეხსენება საკათალიკოზო საბჭოს, ბედიის მამათა მონასტერი დადგენილია გადაკეთდეს დედათა მონასტრად და წინამძღვრად დანიშნულია ჯიხეთის მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანასტასია. ამას უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთში ქრისტიანო-

ბის განმტკიცებისათვის, მით უმეტეს, რომ ამ მონასტერში განზრახულია წერა-კითხვის და ხელსაქმის სკოლის გახსნაც. ამისთვის ვს-თხოვ საკათალიკოზო საბჭოს აღმოუჩინოს ამ მონასტერს რაიმე დახმარება ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების თანხებიდან იმ ხარჯების დასაფარავად, რომელსაც გამოიწვევს წინამძღვრის და დათა გადასვლა, ბარგის გადატანა და მათი მონასტერში დაბინავება“. ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად საკათალიკოსო საბჭომ 5 ათასი მანეთი გამოყო (შარია 2021: 351-352).

ილუმენია ანასტასიას (ლორთქიფანიძე) შემდეგ, 1920 წელს, ბედიის დედათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს მონაზონი ნინო (ბოკერია), რომელიც ილუმენის ხარისხში აიყვანეს (შარია 2021: 351-352).

1920 წლის მიწურულს მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაასრულა მუშაობა ნაშრომზე „ბედია და ბედიის ტაძარი“. ნაშრომი ბედიის ტაძრისა და მისი სამონასტრო კომპლექსის ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. ნაშრომში მიტროპოლიტი ამბროსი ბედიის ტაძრის აღდგენის სურვილს გამოთქვამდა. იგი აღნიშნავდა, რომ დრო შეიცვალა, სოხუმში ქართველი მღვდელმთავარი იჯდა და ბედიის ტაძრის აღდგენას წინააღმდეგობა არ შეექმნებოდა. მისი აზრით, საამისოდ სახსრებს მთავრობაც არ დაიშურებდა. მიტროპოლიტი ამბროსი აღნიშნავდა, რომ ბედიის ტაძრის აღდგენა დიდ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას: აფხაზები მამა-პაპათა რწმენას დაუბრუნდებოდნენ; ისინი ნათლად გააცნობიერებდნენ იმ სარწმუნოებრივ კავშირს, რაც მათ ქართველებთან ჰქონდათ, რა მტკიცე იყო ძველად კულტურულ-პოლიტიკური კავშირები ქართველებსა და აფხაზებს შორის; დაინახავდნენ, რომ აფხაზეთი ეკლესიურად და პოლიტიკურად საქართველოსთან ერთ მთლიანობას შეადგენდა და ამ ერთობის გზიდან გადახვევა შეუძლებელი იყო (ამბროსი ხელაია 2006: 673).

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ შექმნილი ახალი რეალობის

პირობებში ბედიის ტაძრის აღდგენა ვერ მოხერხდა. 1921 წელს ბედიის მონასტრის კრებულს შეადგენდა: წინამძღვარი, ილუმენია ნინო (ბოკერია); სულიერი მოძღვარი და მწირველი, მღვდელმონაზონი პავლე (გეგია); კანდელაკი ივლიანე (ბერაია), მონაზვნები: ელისაბედი (ივანიძე), მაკრინე (ყოლბაია), მორჩილები თეკლე რიგვავა, ევგენია ძაძუა, დარია ჯობავა, ეკატერინე დვალისვილი, თამარ მჟავანაძე (ტოგონიძე და მაჩუროშვილი 2008: 18). საბჭოთა ხელისუფლებამ მასიურად დაიწყო ეკლესია-მონასტრების დახურვა. ასეთ ვითარებაში არაერთი ისტორიული ღირებულების ძეგლი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ხელისუფლება იძულებული გახდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების დაცვის მიზნით გარკვეული ზომები მიეღო. 1923 წლის 21 მარტს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მიზნით სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი შეიქმნა (სოსიაშვილი 2014: 28). ამ უკანასკნელმა, იმავე წლის 17 აპრილს, სამაზრო აღმასკომებს გაუგზავნა „განსაკუთრებით დიდი ფასეულობის ძეგლების ნუსხა, რომელთაც საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ“. ამ ნუსხაში აფხაზეთის ძეგლებს შორის დასახელებულია: დრანდა, ბედია, ბიჭვინთა, მოქვი, ილორი (საქართველოს ეროვნული არქივის...; სოსიაშვილი 2014: 29-34).

1925-1928 წლებში ბედიის დედათა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას დროებით მონაზონი იულიანა (ბერაია) ასრულებდა. მონასტერში იყო 11 მონაზონი და მორჩილი; მოძღვარი, მღვდელ-მონაზონი პავლე (გეგია). სულ მალე, საბჭოთა ხელისუფლებამ ბედიის მონასტერი დაარბია და დახურა. 1930 წელს ბედია მოქმედ ეკლესია-მონასტრებში უკვე აღარ იხსენიება (შარია 2021: 351-352).

ამდენად, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი და უცხოელი მკვლევრები, ქართული პრესა საინტერესო და ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ბედიის ტაძრისა და მისი სამონასტრო კომპლექსის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბროსე, მ. 2011. არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა, თბილისი.

გამახარია, ჯ. 2005. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი.

გამახარია, ჯ. 2012. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბილისი.

დადიანი, ნ. 1962. ქართველთ ცხოვრება, თბილისი.

ედილი, ზ. 1917. „აფხაზეთის სინმინდენი.“ *საქართველო*, №237, 27 ღვინობისთვე, 1917.

სახალხო გაზეთი. 1914. „ბედიის მონასტერი (მისი განახლების გამო).“ *სახალხო გაზეთი*, №1167, 20 აპრილი, 1914.

იმერეთი 1914. „ქართული ენა და სამურზაყანოელნი.“ *იმერეთი*, №99, 8 ივლისი, 1914.

ივერია 1894. „აფხაზეთ-სამურზაყანო.“ *ივერია*, №52, 10 მარტი, 1894.

ოქუშელი ვანო (ივანე გეგია). 1892. „სამურზაყანო.“ *ივერია*, №120, 11 ივნისი. 1892.

რეისნერი, ი. 2004. „მონასტრები და ტაძრები აფხაზეთში.“ *გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები*, თბილისი.

სოსიაშვილი, გ. 2014. მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში, თბილისი.

სახოკია, თ. 1896. „სამურზაყანო.“ *მოამბე*, №12, 1896.

საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფ. 3, აღწ.

1, საქმე 37, ფურც.39.

ტოგონიძე, ლ და მაჩუროშვილი, ი. 2008. „მღვდელმონაზონი იოსები (შელია) და

ბედიის მონასტრის ბედი XX საუკუნის 10-20-იან წლებში.“ *საპატრიარქოს უწყებანი*. №34, 2-8 ოქტომბერი, 2008.

შარია, შ. ბედიის ტაძარი, თბილისი (მზადდება გამოსაცემად)

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. 2007. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარია, თბილისი.

ხორავა, ბ. 2000. „ბედიის საეპისკოპოსო.“ *საისტორიო ძიებანი*, III, თბილისი.

ხელაია, ამბროსი. 2006. „ბედია და ბედიის ტაძარი.“ *წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი*, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარია, თბილისი.

АКАК. 1868. т. II, Тифлис.

Бакрадзе, Д. 1873. „Кавказ в древних памятниках христианства“, АКАК, V, Тифлис. „Нечто о Самурзакани.“ 1864. ЗКОИРГО, кн. VI, Тифлис. Павлинов, А. М. 1893. „Экспедиция на Кавказ 1888 года.“ *Материалы по археологии Кавказа*, Москва.

Bedia Cathedral

19th century – the beginning of the 20th century

Prof. Bezhan Khorava
Sokhumi State University

Bedia Cathedral was the centre of the diocese in the 10th-18th centuries. Due to the Abkhaz intervention in the northwestern part of Odishi principality, the diocese of Bedia was disestablished in the 1760s (Khorava 2000: 41).

The church services in the cathedral ceased after the disestablishment of Bedia diocese but were later resumed. The queen of Mingrelia, Nino Dadiani, noted in 1805 that services were held in Bedia Cathedral (Akty (akak) 1868:528). In October 1812, a military expedition to Bedia village was organized, led by the Prince of Odishi (Mingrelia) Levan V (1805 – 1846). According to the references of the commander and historian of the principality, Niko Dadiani (circa 1780 – 1834), the fortress of Bedia was in the possession of Levan Shervashidze, who was present there with his family. When the troops of Odishi, alongside a Russian military unit, approached the fortress of Bedia, Levan Shervashidze ceded the fortress to the Prince of Odishi after a brief fire-fight from both parties (Dadiani 1962: 204).

The fact of a fortress existing in Bedia has not confirmed, yet, it may be the case that Bedia Cathedral, enclosed by walls, and its monastery complex, which was inaccessible on the three sides, functioned as a

castle after the settling of the Abkhazians there at the end of 18th century. Conceivably, within the walls was the wooden residence of the owner of Bedia, the family of Shervashidze. Ambrosius Khelaia, who dedicated a special study to Bedia Cathedral, noted that the cathedral remained intact until the beginning of the 19th century, and stated that it was damaged during the 1812 expedition, when the Russians aimed cannons at it (khelaia 2006:669). However, member of the October events of 1812, Niko Dadiani, did not confirm the fact of cannons being employed by the Russians. According to one reference, church services were held in Bedia Cathedral even in 1816, but evidence stating the time when the services ceased are nowhere to be found⁵ (Sakhokia 1896: 26).

Nevertheless, Bedia Cathedral was already damaged in the 1830s. In 1832, Metropolitan Bishop Davit (Tsereteli), who was the head of the diocese of Mingrelia in 1829 – 1834, sent clergymen to Samurzakano to preach Christianity there. Furthermore, he persuaded his sister, Queen Martha, the spouse of Levan V, the Prince of Mingrelia, to renovate Bedia Cathedral. Masters were sent to Bedia to burn limestone, but the sudden death of

Queen Martha and the transfer of Metropolitan Bishop Davit from the diocese thwarted the project (Zapiski 1864: 79).

In the 1840s, a Russian architect, Petr Norov (1815-1858), who had served in the Caucasus since 1846 and studied the architectural monuments, took interest in Bedia Cathedral. He gauged the dimensions of Bedia Cathedral and made copies of lapidary and fresco inscriptions. He then sent the copies to French archeologist Marie Brosset (1802-1880) (Brosset 2011: 98). Marie Brosset visited Bedia Cathedral in April 1848, and also assessed the cathedral and noted the lapidary and fresco inscriptions. According to him, the deserted and damaged cathedral was covered with vegetation⁸ (Brosset 2011, 94-95). Renowned Georgian historian Dimitri Bakradze (1826-1890), was in Abkhazia on a science trip in both 1859 and 1865, and visited Bedia Cathedral. He also claimed the cathedral was greatly damaged. “Reveted with hewn stones and adorned with ornaments, the cathedral was not very large in size, but was exquisite. It was thickly covered with vegetation, including trees; the dome on the brink of collapsing” (Bakradze 1873: 1007).

Russian authorities were considering the reinstatement of Christianity in Abkhazia. Thus, the idea of rehabilitating Bedia Cathedral was born in the Society for the Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus in 1861, followed by the Society’s relevant resolution of 4th February 1867 (Khelaia 2006: 669-670). In that period, on 14th November 1867, in a report addressed to the Viceroy of the Caucasus, General Governor of Caucasia, Grand Duke Michael Nikolaevich of Russia (1862-1881), the Chief of the Sukumi Military Division Major General Vasiliy Gaiman (1867-1872) raised the issue of the rehabilitation of Bedia and Dranda cathedrals, as well as the renovation of Likhni cathedral (Tsminda mǧvdelmtavari Gabrieli (kikodze) 2007, 200-204). Despite the interest of the authorities, the rehabilitation of Bedia Cathedral could not be implemented.

Bishop of Imereti Gabriel (Kikodze), whose jurisdiction included the Abkhazian diocese, visited Bedia on 28th May, 1868. Bishop Gabriel recorded about Bedia Cathedral in his report: “The scenery around it and the place itself, where it is situated, are very attractive...the walls of the church are

intact and solid. The arches are also intact, except for the western part, which has collapsed. Sunlight penetrates through the vaults of the dome and trees growing on it can be seen. The inside of the church is fouled by livestock, which the locals keep here at night. The small area where the church is built is surrounded by ravines. To the west, the ruins of a belltower are preserved, and below it, monastic stone cells. It seems that there used to be a monastery here, the restoration of which will bring a lot of good for the Christian purpose, and it will not be costly” (Tsminda mǧvdelmtavari Gabrieli (kikodze) 2007, 398-399.). Bishop Gabriel returned once more to the issue of the rehabilitation of Bedia Cathedral in his letter of 7th July that year, about the state of religious affairs in Abkhazia. In his opinion, the restoration of the three cathedrals altogether – in Dranda, Bedia, and Mokvi – would amount to 12-16 thousand Roubles (Tsminda mǧvdelmtavari Gabrieli (kikodze) 2007: 217). .

In 1888, Bedia was visited by Andrey Pavlinov – an academician of Russian Academy of Sciences, an architect and restorer. In 1893, he published the description of Bedia Cathedral and its complex, illustrated with photographs. He also made graphic sketches of the reconstruction of the church and the ornaments. According to his report, Bedia Cathedral was in a pitiful state: the arches and part of the dome had collapsed, the facades and dome were thickly covered with vegetation, the facing gone. Part of the dome was still in place, but due to its condition, A. Pavlinov was not able to assess the dimensions and made only approximate sketches of it. According to him, the overall capacity of the cathedral could still be estimated quite well, and the preserved architectural shapes allowed them to picture the original state of the structure. Most of the murals preserved in the church were on the northern wall. A. Pavlinov concluded that a complete restoration of the cathedral to its original state was quite possible (Pavlinov 1893: 27).

On 24th May 1892, a meeting of the deputies elected by the residents of Samurzakano was held in the town of Okumi. The issue of the restoration of Bedia cathedral was raised. The meeting resolution announced: “The wonderful cathedral of Bagrat III, which has been transformed into a den where thieves

keep their stolen livestock, must be renovated.” The meeting resolved that, in order to rebuild the cathedral, a tax was to be introduced, demanding the local residents to pay 10 Abazi per capita. The rest could be funded by donations (Okumeli Vano: 1892.)

In that period, a journalist of “Iveria” newspaper wrote about Bedia Cathedral: “...the cathedral was severely damaged in the course of ruthless time, but its past greatness is so evident even today that, on entering the place, you remove your hat with reverence, as a feeling of respect for Christianity and times past overwhelms you. Unfortunately, we did not have enough time to assess it. Among the many murals, some of which are completely blurred or faded, the face of Queen Tamar, portrayed on the southern wall of Bedia Cathedral, deserves particular attention. Merciless time took its toll on this as well, but the shoulders, the face and head, adorned with a crown, are preserved well in this painting, especially the eyes and brows. It has been preserved almost intact to this day. Just the colour on one cheek is faded: all five fingers on one hand can clearly be seen. The inscriptions where Queen Tamar is portrayed are comparatively legible...there is also a dome in the cathedral, but its centre has fallen down and the rest is about to collapse...and these great and famous remnants of our past are failing, falling to pieces.” The journalist also mentions that the people residing nearby would take the church stones, some for the cemetery, and some for their fireplaces (Iveria: 1894).

The fact that the author mentions in the correspondence the existence of the fresco of Queen Tamar, which was in quite good condition, is particularly important.

In 1894, the cathedral was visited by ethnographer Tedo Sakhokia (1868 – 1956). According to his records, it was difficult to identify the cathedral. “The vaults have caved in, the dome partially collapsed, the rest is on the brink of collapsing. The walls seem to have had murals on them, but they have been washed away by rain waters. The paintings are sparsely preserved above the southern door, where “Jesus Christ by the Spring” can clearly be seen. There are heaps of stones at the entrance doors; in some places chapels are preserved intact” (Sakhokia 1896: 26). T. Sakhokia did not write anything about the fresco of Queen Tamar, but he did not mention

the fresco of Bagrat III either. He just stated that he searched for evidence of King Bagrat’s resting place for a long time, but in vain (Sakhokia 1896: 26)

At the beginning of 20th century, priest of the Teklati Church of the Archangel in the diocese of Guria and Mingrelia, Iese Shelia, who had served God in Abkhazia before, and performed on Mount Athos in 1897 – 1904, decided to restore Bedia Cathedral and resume services there. In 1909, he appealed to the Bishop of Sukhumi, Dimitry (Sperovsky) to be transferred to Sukhumi diocese and reside near the ruins of Bedia. Bishop Dimitry (1907-1911) consented to Iese Shelia’s being transferred to Sukhumi diocese, but strongly objected to his living near the ruins of Bedia Cathedral (Khelaia 2006:669-670).

In July 1909, priest Iese Shelia was appointed a Senior Priest of the Church of the Dormition of the Mother of God in Pirveli-Bedia in Sukhumi diocese (Togonidze and Machurishvili, 2008). Despite the prohibition, Iese Shelia did not part with the desire to live near Bedia Cathedral and restore it. His attempt found support in the general as well as the religious society of Samurzakano. In 1910, the residents of Bedia community, the nobles Grigol and Kotsia Shervashidze, asked Bishop Dimitry of Sukhumi to allow them to erect a church next to Bedia Cathedral. They also proposed a plan. Bishop Dimitry imposed the following resolution: “The petitioners are to receive their plan back, as they are not asking for permission to build a church, but a shrine. I find the building of a church unnecessary, while Priest Shelia has previously been given an order not to live in the ruins of Bedia Cathedral. I am warning him now, that I will never allow him to perform services even if a shrine is built there” (Khelaia 2006: 670-671).

Ambrosius Khelaia noted that politics hindered the rehabilitation of Bedia Cathedral. The settlement of Georgian monks in Bedia was not what the authorities and Russian clergy desired. Sukumi bishops wished to transform Bedia into a Russian monastery, just like New Athos, Pitsunda, Kamani, Dranda, and Mokvi (Khelaia 2006: 671-672). Despite the great opposition, Iese Shelia settled near Bedia Cathedral, and did not leave the place until his death.

In 1910, after the order issued by St. Petersburg Emperor Society of Architects, painter Jacob

Reisner paid a visit to Bedia. Iese Shelia showed him around the cathedral. The priest told Reisner that, in his youth, he had seen the complete collection of murals in the cathedral; that the dome had collapsed 20-25 years before, after being struck by lightning; that services were last held there in 1816, then ceased in order to suppress the faith in the parish and due to a lack of funds (Reisner 2004: 232).

In May 1912, the Emperor of Russia Nicholas II (1894-1917) went to Gagra. On 16th May, the Abkhaz deputation, presided over by Aleskadre Shervashidze, applied to the Emperor with a request about the restoration of Bedia Cathedral. The Emperor granted his consent. In the same period, Bishop Andria of Sukhumi (Ukhtomsky) drew attention to the lamentable state of Abkhazian cathedrals and raised the issue of their restoration and renovation. Bishop Andria (1911 – 1913) granted Iese Shelia permission to settle near the cathedral and restore the Church of St. Andrew the Apostle. Iese Shelia did renovate the stone Church of St. Andrew the Apostle, which was consecrated by Bishop Andria on 26th April 1912. The Bishop then allowed Iese Shelia to conduct services in Georgian. The Bishop of Sukhumi also agreed to open Bedia monastery.

On 13th January 1913, at the initiative of Bishop Andria, the Synod made the decision to collect donations throughout the Russian Empire in order to restore churches and monasteries in Sukhumi district. A special fund was created and the first contribution to the amount of 2 thousand Roubles was made by Emperor Nicholas II. The Holy Synod donated 6 thousand Roubles. 30 thousand Roubles was collected in one year. At the initiative of Bishop Andria, the diocese church building committee was established, chaired by Commander of Sukhumi district Colonel Nikolay Vetsel. The construction and restoration works began in summer 1913. On 28th September, a newly built church in Duripshi was consecrated, Likhni Cathedral was reconstructed, and other works were in progress in Jirkhva, Othara, and Aatsi (Gamakharia 2005: 694)

After the resolution of the Synod of 17th October 1913, the monastery of St. Mary of the Blachernae Icon was founded in Bedia. On 20th November that year, priest Iese Shelia became a monk under

the name of Ioseb in Sukhumi Cathedral. He was appointed the head of the monastery of St. Mary of the Blachernae Icon in Bedia the following day (Togonidze and Machurishvili 2008).

A journalist of “Iveria” newspaper wrote in that period, that Ioseb Shelia built a small church where services were held in Georgian (Imereti 1914).

The church built by Ioseb Shelia was outside the wall, to the west of the Cathedral of the Mother of God. The local Shervashidze princes donated more than 50 dessiatins (1 dessiatin = 2.702 English acres) to the monastery (Edili 1917). Ioseb Shelia built another small church outside the monastery walls, to the north of the Cathedral of the Mother of God, which was consecrated as the Church of John the Apostle. He also built a wooden construction to provide accommodation for monks. He also commenced the restoration of the old cathedral. “If I manage to restore this cathedral, Georgia will never lose this region”, said Ioseb Shelia (sakhalkho gazeti 1914).

Apparently, he reflected on the transformation of Pitsunda, New Athos, Dranda, and Mokvi into Russian monasteries, and thought that Russia could probably come into possession of Bedia monastery as well. Thus, he tried to accommodate as many monks in Bedia monastery as possible, but to no avail. In order to prevent the monastery from falling into the hands of Russian authorities after his death, Ioseb Shelia took the decision to transform it into a nunnery, and began talks with the head of the Teklati Convent. During this process, Ioseb Shelia suddenly died in 1916 (Khelaia 2006: 672-673). and Hieromonk Giorgi (Barkalaia) became the superior of the monastery.

The autocephaly of the Georgian Church was restored in 1917. In September that year, the first church council approved a decree for managing the Church of Georgia. 13 eparchies were created, including the Tskhumi-Bedia diocese, the honour of being the head of which was granted to the bishop of Tskhumi-Bedia. The newly created diocese was temporarily the subordinate of Chkondidi Diocese, whose head was chosen in Metropolitan Ambrosius (Khelaia).

On 7th October 1919, a special council of the clergy and plenipotentiary representatives of the

secular society of Abkhazia was held. The meeting arrived at the resolution of including Abkhazia in the jurisdiction of the Georgian Church; Sukhumi diocese was to change its name and become the Tskhumi-Abkhazia diocese; Metropolitan Ambrosius was elected the bishop of the diocese at the meeting. On 28th October 1919, the Catholicos board approved the resolution of the diocese of Abkhazia to appoint Metropolitan Ambrosius as the bishop of the Tskhumi-Abkhazia diocese. The inclusion of this eparchy into the Catholicate of Georgia was also approved (Gamakharia 2012: 115-120).

Metropolitan Ambrosius showed great care for Bedia Cathedral. At the end of 1917, the decision to transform Bedia monastery into a nunnery was made. On 30th October 1919, Metropolitan Ambrosius appealed to the Catholicos board to receive aid for Bedia monastery: “As the Catholicos board may already know, the resolution to transform Bedia monastery into a convent was approved; Mother Superior Anastasia, the head of Jikheti monastery, was appointed the superior of the convent. This will undoubtedly have a great impact on the consolidation of Christianity in Abkhazia; moreover, the opening of a reading and writing school, as well as a handicraft school, is proposed. For this purpose, I would like to ask the Catholicate to provide some aid from the funds of the Society for the Restoration of Orthodox Christianity in order to cover the costs which may be incurred when transferring the Bishop and the nuns, the transportation of the luggage, and their accommodating at the monastery”. The Catholicos board allotted 5 thousand Roubles for this cause (Sharia 2021: 351-352. Nun Nino (Bokeria), who was promoted to Mother Superior, became the head of Bedia monastery after Mother Superior Anastasia (Lortkipanidze) (Sharia 2021: 352).

At the end of 1920, Metropolitan Ambrosius finished his work “Bedia and Bedia Cathedral”. This piece of writing represents the first attempt of a monographical study of the history of Bedia Cathedral and the monastery complex. In this work, Metropolitan Ambrosius spoke about his desire to restore Bedia Cathedral. He mentioned that the times were different, there was the first Georgian Bishop in Sukhumi, and there would be no objection to the restoration of the cathedral. In his opinion, the

government would not deny funds for this cause. Metropolitan Ambrosius noted that the country would benefit enormously from the restoration of Bedia Cathedral: the Abkhazians would be able to return to the faith of their ancestors; they would clearly realize the religious connection between them and the Georgians; how strong the cultural-historical bond between the Abkhazians and Georgians in the olden times was; they would see that Abkhazia constituted one whole with Georgia from the ecclesiastical and political point of view. It was impossible to deny this unity (Khelaia 2006: 673).

In February and March 1921, the restoration of Bedia failed due to the occupation and annexation of Georgia by Soviet Russia, and the new state that the country was plunged into. The council of Bedia Cathedral in 1921 included: the Head of the convent Mother Superior Nino (Bokeria); Confessor Hieromonk Pavle (Gegia); Chartophylax Ivliane (Beraia); nuns: Elisabed (Ivanidze), Makrine (Kolbaia); and novices Tekle Rigvava, Evgenia Dzadzua, Daria Jobava, Ekaterine Dvalishvili, and Tamar Mzhavanadze (Togonidze and Machurishvili, 2008). The Soviet authorities began the massive closure of churches and monasteries. In such circumstances, many historic monuments faced the danger of destruction and the authorities were compelled to take measures in order to protect the historic monuments of great importance. On 21st March 1923, a special committee of protection of antiquities and art monuments was established in order to protect historic and cultural monuments (Sosiashvili 2014: 28). On 17th April that year, the committee sent “a list of particularly valuable monuments which had historic and scientific value” to the district executive committees. The list included the following monuments in Abkhazia: Dranda, Bedia, Pitsunda, Mokvi, and Ilori (Sosiashvili 2014, 29-32).

In 1925 – 1928, nun Iuliana (Beraia) temporarily performed the duties of the head of the convent. There were 11 nuns and novices in the monastery, alongside Confessor Hieromonk Pavle (Gegia). Soon, the Soviet authorities raided the monastery and closed it down. In 1930, Bedia Cathedral was no longer among the functioning churches and monasteries (Sharia 2021: 351-352).

As such, in the second half of 19th and the beginning of XX century, Georgian and foreign researchers, and the Georgian press, provided interesting and important information about Bedia Cathedral and its monastery complex.

References:

“Afkhazet-samurzaqano.” *Iveria*, n 52, March 10, 1894 (in Georgian).

Akty, Sobrannye kavkazskoj archeograficeskoj komissiej (akak). 1868. Vol. II, 528, Tiflis, (in Russian).

Brosset, M. 2011. Arkeologiuri mogzauroba samegrelosa da afkhazetshi, translated from French by Khatuna Tsiklauri, Tbilisi (in Georgian).

Bakradze, D. 1873. “Kavkaz v drevnikh pamâtnikah hristianstva.” in *Akty, sobrannye kavkazskoj arheograficeskoj komissiej (akak)*, Vol. V, Tiflis (in Russian).

“Bediis monast’eri (misi ganakhlebis gamo).” 1914. *Sakhalkho gazeti*, no 1167, April 20, 1914.

Dadiani, N. 1962. Kartvelt tskhovreba, Tbilisi (in Georgian).

Edili, Z. 1917. “Afkhazetis sitsmindeni.” *Sakartvelo*, no 237, October 27, 1917 (in Georgian).

Gamakharia, J. 2005. Afkhazeti damartmadidebloba, Tbilisi, 2005 (in Georgian).

Gamakharia, J. 2012. Tsminda aghmsarebeli ambrosi (khelaia), Tbilisi (in Georgian).

Khelaia, Ambrosi. 2006. Bedia da bediis t’adzari, *tsminda agmsarebeli ambrosi (khelaia) da afkhazeti*, the collection compiled, the research and comments added by J. Gamakharia, 669, Tbilisi (in Georgian).

Khorava, B. 2000 “bediis saepisk’oposo”, *saist’orio dziebani*, Vol. III, 41, Tbilisi, 2000 (in Georgian).

“Kartuli ena da samurdzaqanoelni.” 1914, *Imereti*, no 99, July 8, 1914 (in Georgian).

Okumeli Vano (Ivane Gegia). 1892. “Samurzaqano.” *Iveria*, n 120, June 11, 1892.

Reisner, J. 2004. “Monastrebi da t’adzrebi afkhazetshi.” in *G. Kalandia, odishis saepiskop’oebi*, Tbilisi (in Georgian).

Pavlinov, A. 1893. “Ekspediciâ na Kavkaz 1888 goda.” in *materialy po arheologii kavkaza*, Vol. 3, Moscow (in Georgian).

Sakhokia, T. 1896. “samurzakano”, *Moambe*, n. 12: 26 (in Georgian).

Zapiski kavkazskogo otdela imperatorskogo russkogo geografičeskogo obšestva. 1864. Vol. VI, Tiflis (in Russian).

Sharia, Sh. 2021. Bediis t’adzari, Tbilisi (is being printed) (in Georgian).

Sosiashvili, G. 2014. Martmadidebeli ek’lesia da religiuri umtsiresobani shida kartlshi meotse saukunis pirvel meotkhedshi, Tbilisi (in Georgian).

Sakartvelos erovnuli arkivis t’erit’oriuli organo goris arkivi, f. 3, desc. 1, case 37, p.39.

Tsminda mğvdelmtavari gabrieli (kikodze) da afkhazeti. 2007. Edited by J. Gamakharia, Tbilisi.

Togonidze, L and Machurishvili, I. 2008. “Mghvdekmonazoni iosei (shelia) da bediis monast’ris bedi XX saukunis 10-20-ian ts’lebshi.” *sapatriarkos uts’qebani*, n 34, October 2-8, 2008 (in Georgian).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის აფხაზი ქომავლი – იოსებ აძინბა

ლია ახალაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აფხაზეთში მხარეთმოცდნეობითი საქმიანობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების პირველი აფხაზი ქომავლი და დამცველი იყო იოსებ ესხაკის ძე აძინბა (1901-1942). მიმდინარე წელს მას დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი განათლება სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში მიიღო და შემდეგ თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა, იოსებ აძინბამ თავისი ხანმოკლე ცხოვრება აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შეგროვებასა და შესწავლას მიუძღვნა.

იოსებ აძინბამ ბავშვობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებით მდიდარ აფხაზურ სოფელ ჯგერდაში გაატარა, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ძველ არტეფაქტებსა და ისტორიული მნიშვნელობის ადგილებს (Соповьев 1974, 196). ბავშვობისდროინდელმა შთაბეჭდილებებმა მისი პროფესიული ინტერესების ბედი საბოლოოდ გადანყვიტა.

თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მცირე ხანი იმუშავა პროფესიით – ეკონომისტად და მალე, 1931 წლიდან სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის პედაგოგიურ ტექნიკუმს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მუდმივად უწევდა მოგზაურობა აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში, სადაც პოულობდა ძველ არტეფაქტებს, ინერდა ტოპონიმებს, მიკროტოპონიმებს, აფხაზურ ლეგენდებსა და ხალხურ თქმულებებს. შეგროვილ ძველ ნივთებს, რელიეფურ ქვებსა და ჩუქურთმებს სოხუმში ეზიდებოდა და მუზეუმს აბარებდა. ბუნებრივია, გულგრილი ვერ რჩებოდა იმ ძეგლების მიმართ, რომლებიც უყურადღებოდ იყო მიმოფანტული აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში. სწორედ, ამ პერიოდიდან დაიწყო მან ფიქრი აფხაზეთის სოფლებსა და დაბებში გაფანტული მატერიალური კულტურის ძეგლი ნაშთების გადარჩენაზე. ხშირად სტუმრობდა თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებს, სადაც აკვირდებოდა და ინერდა ძველი არტეფაქტების მოვლის, შენახვისა და კონსერვაციის მაშინ მიღებულ მეთოდებს.

მოგვიანებით მან ეს ცოდნა წარმატებით გამოიყენა აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო მუზეუმში საქმიანობის დროს.

XX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ენთუზიასტების მიერ იყო დაარსებული, საჭიროებდა ასეთ გულწრფელ და თავდადებულ ადამიანს, რომელიც რეგიონის მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლასა და გადარჩენაზე იზრუნებდა. 1933 წელს იოსებ აძინბა, რომელსაც არ ჰქონდა არც ისტორიკოსის და არც ეთნოგრაფის განათლება, დაინიშნა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად. მუზეუმში მისვლისთანავე, ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა ენთუზიასტები, რომლებთან ერთად რამდენიმე მიმართულებით გააჩალა მუშაობა: 1. ძველი არტეფაქტების შეგროვება და მუზეუმში დაცვა, 2. აფხაზური ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება, 3. მუზეუმის ფონდებსა და კოლექციებში უკვე არსებული მასალების კატალოგიზაცია და მონესრიგება, 4. საგამოფენო სივრცის შექმნა და გაფართოება. დროის მცირე მონაკვეთში, ყველა ამ მიმართულებით მუზეუმმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. პირველ რიგში, შეძლო მუზეუმის საგამოფენო სივრცის გამდიდრება და მონესრიგება.

იოსებ აძინბას როგორც ხელმძღვანელისა და მეცნიერის ნიჭი გამოვლინდა, როდესაც აფხაზეთის ისტორიაში პირველმა ყურადღება მიაქცია ისეთ თემებს, როგორიცაა აფხაზი მუჰაჯირებისა და აფხაზი დღევანდლების ისტორიის შესწავლა. მაშინ, საბჭოთა ოკუპაციის პირველ ეტაპზე, 30-იანი წლების ტერორის პირობებში, აფხაზი მუჰაჯირების საკითხის წამოწევა, თანაც რუსულ ენაზე, მისი მხრიდან დიდ რისკსა და გამბედაობას მოითხოვდა.

აფხაზი დღევანდლების ისტორიისა და სიცოცხლის ფენომენის შესწავლაც აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში იოსებ აძინბას ხელმძღვანელობით დაიწყო. ამ დროიდან მუზეუმში ჩამოყალიბდა ცალკე მიმართულება, რომელიც დაინტერესებული იყო როგორც აფხაზი დღევანდლების სიცოცხლის ხანგრძლივობის შესწავლით, ასევე მათგან ეთნოგრაფიული ჩანაწერების მოგროვებითა და კონსერვაციით. სწორედ ამ დროს დაინტერესდა

ცნობილი უკრაინელი პათფიზიოლოგი აკადემიკოსი ალექსანდრე ბოგომოლეცი აფხაზი დღევანდლების ცხოვრების წესით და მათთან ცოცხალი კომუნიკაციით ცდილობდა ამოეხსნა აფხაზთა დღევანდლობის საიდუმლოება (Соловьев 1974, 195) (საგულისხმოა, რომ ამ დროს აფხაზეთის მთის ზონის თემებში დაფიქსირდა 117, 120 წლის დღევანდლები, რომლებსაც კარგად ახსოვდათ ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომები). იმავე შავკანიანი აფხაზების – „კავკასიელი ნეგრების“ წარმოშობის შესწავლით (Соловьев 1974, 195) ამ პერიოდში იწყება იოსებ აძინბას დაინტერესება აფხაზეთის მთისწინეთში მცხოვრები. მან პირველმა დააყენა საკითხი და დაინტერესა ანთროპოლოგები, ეთნოგრაფები და ისტორიკოსები ამ ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის, ტრადიციების, წარმომავლობისა და აფხაზეთში მოსვლის ისტორიის შესწავლით.

იოსებ აძინბას ინიციატივით პირველად მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გამოტანილი იქნა აფხაზური საცხოვრებელი სახლი „აფაცხა“ – ეს იყო ტრადიციული აფხაზური საცხოვრებელი პატარა მოწნული ქოხი, რომელიც მნახველებში დიდ ინტერესს იწვევდა (Соловьев 1974, 194-198). მეცნიერები პირველად ამ პერიოდიდან დაინტერესდნენ აფხაზური საცხოვრებელი სახლის ტიპების შესწავლით და მოგვიანებით შესწავლილი იქნა აფხაზური საცხოვრისის კიდევ ერთი ტიპი – „აკუასკა“.

იოსებ აძინბას ყოველი გასვლა აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში, სრულდებოდა ახალი ძეგლების გამოვლენით, აღწერით, დასურათებით, ან მუზეუმში ახალი ექსპონატის გამოჩენით. ასეთმა ინტენსიურმა საქმიანობამ მალე გაუთქვა სახელი აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმსა და აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს, რომელიც იმავე შენობაში იყო განთავსებული, სადაც სახელმწიფო მუზეუმი. მთელი მისი საქმიანობა მიმართული იყო იქეთკენ, რომ მუზეუმში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დანერგილიყო. ამისთვის ეძებდა ახალგაზრდა კადრებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებოდნენ მუზეუმში სამეცნიერო საქმიანობით. თავადაც მუზეუ-

მში მუშაობისას დაინტერესდა მატერიალური კულტურის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევით, ცდილობდა მის მიერ მოპოვებული არტეფაქტები სამეცნიერო ყურადღების გარეშე არ დაეტოვებინა.

იოსებ აძინბა ივანე აჯინჯალთან ერთად პირველად დაინტერესდა ძველი აფხაზეთის ჩაცმულობისა და ტანსაცმლის შესწავლით (Аджинджал 1947, 223-260). მართალია, ეს მაშინ მხოლოდ მთის აფხაზეთის ეთნოგრაფიული ყოფის აღწერის საფუძველზე განხორციელდა და ნაშრომში არ იყო გათვალისწინებული არქეოლოგიური მონაცემები¹, ასევე საეკლესიო ფერწერაში ასახული მდიდარი მასალა, მაგრამ ეს იყო ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობა.

და მაინც, იოსებ აძინბას სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის მთავარი მიმართულება აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძველი ძეგლების, საერო და საკულტო ნაგებობების შესწავლა იყო. 1938 წელს, როგორც კი დიმიტრი გულიას მიერ დაარსდა ხელოვნების საქმეთა სამმართველო, იოსებ აძინბა დაინიშნა ამ სამმართველოს კულტურის ძეგლების დაცვის განყოფილების უფროსად. ამიერიდან მისი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა მთლიანად კულტურის ძეგლების დაცვასა და შესწავლას დაეთმო.

აფხაზეთის კულტურის ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ცნობილი ძეგლის, სოხუმთან, მდ. ბესლეთზე არებული თამარის ხიდის განმენდის დროს იოსებ აძინბამ 1935 წელს, პირველმა შეამჩნია წარწერა ხიდის თალის დასავლეთის კიდეზე. მიუხედავად იმისა, რომ ხიდს ადგილობრივი მოსახლეობა „თამარის ხიდს“ უწოდებდა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, რუსმა სიძველეთმცოდნე-

¹ ამ დროს აფხაზეთში არქეოლოგია სუსტად იყო განვითარებული. პირველი ვინც აფხაზეთში არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევა – ძიება დაიწყო იყო გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც 1922 წელს აფხაზეთში დიმიტრი გულიას მიერ ახლადდაარსებული სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით, ლეონ მელიქსეთ-ბეგთან ერთად ჩავიდა და სოხუმსა და მის მიდამოებში გათხრებს აწარმოებდა. ამის შემდეგ, არქეოლოგიური გათხრები აქ დიდი ხნის მანძილზე არც ჩატარებულა. შესაბამისად, იოსებ აძინბას და ივანე აჯინჯალს ეს მონაცემები ვერ ექნებოდა.

რულმა პრასკოვია უვაროვამ მას „ვენეციური ხიდი“ უწოდა. ხიდიც და წარწერაც პირველად შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა ნიკო ჩუბინაშვილმა და ლევან რჩეულიშვილმა, რომლებმაც დაასკვნეს, რომ ის წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართულ ნაგებობას, რომლის ხუროთმოძღვარს კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ მდინარის (ბესლეთის) თვისება. რაც გამოიხატა „ხიდის ასაგებად ადგილის კარგად მოფიქრებულ“ შერჩევაში და ხიდისთვის შესაფერისი კონსტრუქციის ზედმიწევნით მიგნებაში, წყალდიდობის დროს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. „ეს ძველი ხიდი თანამედროვე ხიდთაშენებლობის კანონებსაც კი სრულიად აკმაყოფილებს და 8 ტონიანი მანქანების მთელი შეუწყვეტელი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდი დიდ სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზე უნდა მდგარიყო“ (ჩუბინაშვილი და რჩეულიშვილი 1938, 267-268). თავისი ადგილმდებარეობით ხიდი დაკავშირებულია ძველი ეკლესიის ნანგრევებთან და სხვა ნაგებობებთან, რომელიც ხეობაში 300 მეტრის დაშორებით გვხვდება. შესაძლოა, წერს, იოსებ აძინბა – ეს ხიდი აკავშირებდა ამ დასახლებას ზღვასთან და ძველ ცხუმთან (Аджинджа 1958, 69). საგულისხმოა, რომ პირველი ვინც გააპროტესტა ხიდის „ვენეციურად“ მონათვლის ამბავი, სწორედ იოსებ აძინბა იყო (Аджинджа 1958, 7). მოგვიანებით წარწერა სპეციალურად შეისწავლა თეიმურაზ ბარნაველმა და აღმოჩნდა, რომ ხიდი თამარის ეპოქაში სულაც არ ყოფილა აგებული, რადგან ასომთავრულ წარწერაში ბაგრატ მეფე იკითხება (ბარნაველი, 1973: 139-144)² და იგი სავარაუდოდ, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (978-1014), ან მისი შვილიშვილი მეფე ბაგრატ IV (1027-1072) უნდა იყოს.

აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წელს აფხაზეთში ისტორიკოსებმა ოლეგ ბლაჟბამ და სტანისლავ ლაკობამ სა-

² მომდევნო პერიოდში ხიდის წარწერა გამოქვეყნდა ვ. სილოგავას მიერ ორჯერ (სილოგავა 1980:73; სილოგავა, 2004: 265) და ლ. ახალაძის მიერ ქართულ (ახალაძე, 2005: 180-182) და რუსულ ენებზე (Ахаладзе 1999: 368).

სკოლო სახელმძღვანელოში „История Абхазии“ ეჭვქვეშ დააყენეს ბესლეთის (თამარის) ხიდის და ზოგადად აფხაზეთში არსებული ქართული წარწერების ავთენტურობა, თითქოს ბესლეთის ხიდის წარწერა „თვითმხილველთა თქმით, XX საუკუნის 30-იან წლებში იყოს გაკეთებული“ (Бгажба და Лакоба 2015, 170-171). აქ კომენტარიც ზედმეტია, მაგრამ ამ მოსაზრებით ოლეგ ბლაჟბამ და სტანისლავ ლაკობამ, პირველ რიგში, ეჭვქვეშ დააყენეს იოსებ აძინბას მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერება, ხოლო საკუთრივ ბლაჟბა წავიდა მაღალი მეცნიერული ავტორიტეტის მქონე საკუთარი მამის წინააღმდეგ. ოლეგ ბლაჟბას მამა ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერი ხუხუტი ბლაჟბა მიუთითებს ამ წარწერების ავთენტურობაზე და მოგვითხრობს ბესლეთის ხიდის წარწერის აღმოჩენის ისტორიას აფხაზი მხარეთმცოდნის იოსებ აძინბას მიერ (Бгажба 1967, 20). დასაბუთებულია, რომ მეცნიერი, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, არამეცნიერული მეთოდით, ცდილობს თავი აარიდოს მნიშვნელოვან ისტორიულ მტკიცებულებას და პასუხი გასცეს ელემენტარულ კითხვას, საიდან გაჩნდა ქართული წარწერები აფხაზეთში, თუ ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ? განსაკუთრებით ღიმილისმომგვრელია ეს მეთოდი, მაშინ, როცა ქართული წარწერების უმრავლესობა აფხაზი მხარეთმცოდნეების, მეცნიერების, ან უბრალო მოსახლეობის აღმოჩენილია.

1938 წელს წებელდის ერთ-ერთი ეკლესიის ნანგრევებში იოსებ აძინბამ აღმოაჩინა ორნამენტირებული ქვის ფილა, რელიეფური ჯვრითა და 5 სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერით. ქვის ფილა იოსებ აძინბამ აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო სივრცეში განათავსა¹. 1967 წელს, წარწერის ფოტო და წარწერის ტექსტი თამარ ხაჟომიას წაკითხვით გამოაქვეყნა ხუხუტი

ბლაჟბამ ნაშრომში „აფხაზეთში დამწერლობის ისტორიიდან“ (Бгажба 1967, 22). წარწერა მოგვითხრობს ადგილობრივი მკვიდრის ლუკა მარტინავას მიერ ჯვრის მშენებლობის ისტორიას წმინდა გიორგის ტაძრის აგების ადგილზე.

დიდია იოსებ აძინბას დამსახურება ანუხვის წარწერების გადარჩენის საკითხში. ანუხვის ოთხი ლაპიდარული წარწერიდან ორი XIX საუკუნეში პირველად იხილა არქიმანდრიტმა ლეონიდემ და მხოლოდ ფოტოები გამოაქვეყნა (Абхазия и в ней..., 1885). ამ წარწერებიდან ერთ-ერთი, გიორგი ბასილისძის წარწერა ამოკვეთილია სვეტზე, რომლის მეორე მხარე ასევე წარწერებითაა წარმოდგენილი. წარწერები ხელმეორედ აღმოაჩინა იოსებ აძინბამ და სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო სივრცეში განათავსა. ანუხვის გიორგი ბასილისძის წარწერა მოგვითხრობს ტაძრის მშენებლობის ისტორიას და კიდურწარწერილი დამწერლობის ქვის კალიგრაფიული სკოლის კლასიკური ნიმუშია. ანუხვის წარწერებიდან დღეს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის გამოფენაში არცერთი არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ინახება მუზეუმის საცავში (Ендольцева 2019, 9-30). რომ არა იოსებ აძინბას დამსახურება, შესაძლოა, ამ ძეგლების შესახებ ინფორმაციაც კი არ გვექონოდა.

მნიშვნელოვანია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში დაცული არქიტექტურული დეკორაციების დეტალები წარწერების გარეშე, რომლებიც 1938 წელს ასევე იოსებ აძინბამ განათავსა მუზეუმში. აღნიშნული ხუროთმოძღვრული დეტალები დღეს მუზეუმის საცავში ინახება (მუზეუმის კატალოგი N 8, 9, 11, 12, 13; ე. ენდოლცევა მხედვით, Ендольцева 2020, 189).

თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე იოსებ აძინბამ მოახერხა და ადგილზე შეისწავლა აფხაზეთის ძველი ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვანი ნიმუშები, რომელთა აღწერილობა და ისტორიული მნიშვნელობა დატოვა ხელნაწერის სახით და მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, 1958 წელს გამოქვეყნდა (Адзинба, 1958). ნაშრომში საეკლესიო არქიტექტურის ძეგლებიდან ავტორს შესწავლილი აქვს გაგრის, ბზიფის, ბიჭვი-

¹ სამწუხაროდ, დღეს ამ წარწერის ადგილსამყოფელი უცნობია და მისი წაკითხვა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით საკითხებზე მსჯელობა მხოლოდ ხ. ბლაჟბას ნაშრომში გამოქვეყნებული ფოტოს საფუძველზე შეგვიძლია (სილოგავა, 2004: 287-288; ახალაძე, 2005: 174-176;).

ნთის, ლიხნის, დრანდის, მარმალ – აბაას, მოქვის, ილორის, ბედიის, ხასათ აბაას, ბომბორის, ფსკალის, ქიაჩის, გვადას, გურჩხის და ა.შ. ეკლესიები. საერო დანიშნულების ძეგლებიდან აღწერილია სოხუმისა და ბაგრატის ციხეები, გაგრისა და ბზიფის, სათანჯოს, ოცარცეს, ჭუბურხინჯის, რეჩხო-ცხირის, აძიუბჟის, მერკულის, ჯიხუს¹ და სხვა ციხესიმაგრეები, რომელთა ნაწილი დღეს დაზიანებულია და მძიმე ვითარებაშია, ან არ არსებობს და მხოლოდ იოსებ აძინბას ნაშრომით ვეცნობით. მაგალითად სოფ. დიხაზურგასთან ენგურის მარჯვენა ნაპირზე, დადაბლებულ ადგილას შემონახული იყო ძველი ნანგრევები, რომელიც მაშინაც ძლივს განირჩეოდა, დღეს აღნიშნული ნაგებობა აღარ არსებობს და ინფორმაცია ამ გამაგრებული ადგილის შესახებ მხოლოდ იოსებ აძინბას წიგნიდან გვაქვს. იგივე ვითარებაა ე. წ. აფხაზეთის დიდი კედლის შემადგენელი კოშკებისა და კედლის ნაწილის აღწერილობის შემთხვევაში.

საინტერესოა იოსებ აძინბას მიერ შემოთავაზებული ძეგლების აღწერის მეთოდი, როცა ავტორი ცდილობს მოგვანოდოს ძეგლის ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა, მაგ. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან, მდინარიდან, აზუსტებს ძეგლის მდებარეობას ბუნებრივ რელიეფთან მიმართებით, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებლობის მიხედვით წარმოგვიდგენს ძეგლის ანაზომებსაც, საუბრობს ძეგლის არქიტექტურულ ფორმებზე, მხატვრულ-დეკორატიულ მორთულობებზე, მცირე ფორმის ქვის რელიეფებზე, რომლებიც ჩუქურთმით ყოფილა შემკული, ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე და ა. შ. მეტწილად ძეგლები დათარიღებული აქვს და საუბრობს მათ ისტორიულ მნიშვნელობაზე. მართალია, იოსებ აძინბამ ქართული ენა იცოდა, მაგრამ თავს უფლებას არ აძლევდა წარწერები გაეშიფრა და ცდილობდა ეს საქმე პროფესიონალებისთვის დაეთმო. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მას ესმოდა რამდენად ღირებული იყო ძეგლის დათარიღების, ან ისტორიული

მნიშვნელობის დადგენის დროს მცირე ფორმის ჩუქურთმიანი ქვები, რომლებსაც ძეგლიდან დამოუკიდებლად პოულობდა. ასეთი არტეფაქტების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათზე წარწერები არ იყო, ავტორმა სოხუმში ჩაიტანა და აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ქვის საცავში განათავსა, ზოგიერთი მათგანი საგამოფენო სივრცის ნაწილიც გახდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ღირებულია ბედიის, ნებელდის, დრანდის, ანუხვის, ფსკალის მონატრებიდან და ეკლესიებიდან სოხუმში ჩატანილი რელიეფური ქვები, რომლებსაც მხატვრული ღირებულება აქვთ. აღნიშნული ქვები დღეს დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

იოსებ აძინბამ, როგორც ჭეშმარიტმა აფხაზმა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აფხაზეთის დიდი კედლის აღწერას და ეს ძეგლი მისთვის სიცოცხლის ბოლომდე ამოუხსნელ ფენომენად დარჩა. კედლის გასწვრივ პირველად ათდღიანი ექსპედიცია განახორციელა, დააფიქსირა თითქმის ყველა ნაგებობა, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო აფხაზეთის დიდი კედლის ნაწილი. აზომა, აღწერა და პირველმა გამოთქვა მოსაზრებები კედლის მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ. ის პირველი მივიდა დასკვნამდე, რომ აქ – ამ კედლის გასწვრივ გადიოდა უძველესი სახმელეთო – სავაჭრო გზა და კავკასიის გადასასვლელებით უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიას (Адзинба, 1958, 106-112; Пачулия, 1968, 23). მართალია, კედლის აღწერის დროს, ძეგლის ნაწილად შეცდომით მიიჩნია ამ ნაგებობისგან დამოუკიდებელი ციხეები და სამეთვალყურეო კოშკები, მაგრამ ამ აღწერილობას არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან კედლის ნაგებობათა სისტემიდან ზოგიერთი შემორჩენილი არ არის.

1939 წელს იოსებ აძინბამ პირველმა შექმნა აფხაზეთის ძველი კულტურის ძეგლების რუკა, რომელზეც დატანილია ტაძრები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, წარმართული სამსხვერპლო ადგილები, პირველყოფილი ადამიანების სადგომები და სხვა ობიექტები (Соловьев და Пачулия 1974, 197). მსგავსი რუკა აფხაზი და რუსი მეცნიერების მიერ შემდეგშიც შეიქმნა, მაგრამ მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

¹ ავტორი უთითებს ჯიხუს ციხეს, როგორც ჩანს, ეს არის ჯიხა, ანუ ციხე. მდინარე ოხოჯის მარცხენა შენაკადის ჯუხუს ხეობის შესასვლელთან.

მიუხედავად იმისა, რომ იოსებ აძინბა არ იყო ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე, ზოგიერთი მისი დასკვნა მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, ხშირად ტოპონიმებს აძლევს აფხაზური ენისთვის დამახასიათებელ ფორმას, განიცდის საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიურ გავლენას – ინფორმაცია, რომელსაც ის გვანდის უაღრესად საყურადღებოა განსაკუთრებით იმ ძეგლებთან მიმართებით, რომლებიც მომდევნო პერიოდში დაზიანდა ან უკვე აღარ არსებობს.

დაბოლოს, დასაწინაა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის აფხაზ ქომავს – იოსებ აძინბას თანამედროვე აფხაზეთში საქმის გამგრძელებელი არ გამოუჩნდა. ვინც შეძლებდა ქართველთა და აფხაზთა საერთო კულტურულ ფასეულობათა გადარჩენას, ძველი ხუროთმოძღვრული ფორმებისა და ძეგლის ენის შენარჩუნებას, რაც გადამწყვეტია კულტურული მემკვიდრეობის ავთენტური ძეგლის შენარჩუნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალაძე ლ., 2005. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები) თბილისი.

ბარნაველი თ., 1973 . ბესლეთის ხიდის დათარიღების საკითხისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, N2.

სილოგავა ვ., 1980 – ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი II. ნაკვეთი I, დასავლეთ საქართველოს წარწერები IX-XIII სს. შემდგენელი: ვალერი სილოგავა , თბილისი.

სილოგავა ვ., 2004. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. და რჩეულიშვილი ლ., 1938. XI-XII საუკუნეების ხიდი მდინარე ბესლეთზე, კრ. შოთა რუსთაველის ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი.

Абхазия и в ней ..1885,1899 – Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь. Составил. А.Л. (Архимандрит Леонид (Кавелин)) Москва.

Адзинба И. Е., 1958. Архитектурные памятники Абхазии, Сухуми.

Аджинджал И. А. და Адзинба И. Е., 1947. Материалы по изучению одежды Абхазов, Труды Абхазского государственного музея. Выпуск

I «Труды Абхазского государственного музея. Выпуск I, Сухуми.

Ахаладзе Л., 1999. Эпиграфические памятники Абхазии, в книге: Разыскания по истории Абхазии/ Грузия. Тбилиси.

Бгажба Х. С., 1967. Из истории письменности в Абхазии, Тбилиси.

Бгажба Х. და Лакоба С. З., 2015. История Абхазии с древнейших времен до конца наших дней, Сухум, 2015.

Соловьев Л. Н. და Пачулия В. П., 1974. Большой этузиаст Абхазского краеведения. Труды Абхазского государственного музея, Выпуск IV, Сухуми.

Ендольцева Е. Ю., 2019. Архитектурная пластика Абхазского царства, (VIII-XI вв.). Из коллекции Абхазского государственного музея (г. Сухум, РА), Вестник ПСТГУ. Серия V: Вопросы истории и теории христианского искусства, Вып. 33.

Ендольцева Е. Ю., 2020. Архитектурная пластика Абхазии в период Абхазского царства (VIII-XI вв.). Москва: ИВ РАН.

Пачулия В. П., 1968. Великая Абхазская стена, Знание – Сила, N 5.

The Abkhaz Enthusiast of the Cultural Heritage of Georgia – Ioseb Adzinba

Prof. Lia Akhaladze
Sokhumi State University

Ioseb Adzinba (1901-1942) was one of the founders of the local historical endeavours in Abkhazia, and the first Abkhaz enthusiast and guardian of the tangible historical monuments on the territory of the autonomous republic of Abkhazia. This year celebrated 120 years since his birth. In spite of the fact that he received his initial education in Sukhumi Teachers' Seminary, and later graduated from Tbilisi State Polytechnic Institute faculty of economics, Ioseb Adzinba dedicated his brief life to the study and collection of the monuments of Abkhazian history, ethnography, and material cultural heritage.

Ioseb Adzinba spent his childhood in the Abkazian village of Jgerda, abundant with historical and ethnographic monuments, ancient artefacts and historic sites (Solov'ev, Pačuliâ, 1974:196). His childhood impressions made a great and decisive impact on his professional interests. Following his graduation from Tbilisi State Polytechnic Institute, he worked in his professional field as an economist for a short period. However, he soon became the head of the Pedagogical College of Abkhazia in 1931. When performing his work duties, he

travelled to different parts of Abkhazia, where he would find ancient artefacts, and record toponyms, microtoponyms, Abkhazian legends, and folk tales. He would then bring the collected ancient objects, relief stones and ornaments to Sukhumi and hand them over to the museum. Of course, he could not remain unconcerned about the monuments which had been scattered unattended across different parts of Abkhazia, and it was in that period that he started thinking about recovering those ancient remnants of tangible cultural heritage. Adzinba paid frequent visits to museums in Tbilisi and other Georgian towns, where he would observe and record those methods of maintenance, storage and conservation of ancient artefacts that were in place. Later, he would successfully apply this knowledge during his work at the State Museum of the Autonomous Republic of Abkhazia.

The Abkhaz State Museum, founded by enthusiasts, was in need of an earnest and devoted person in the 1930s to undertake responsibility for the study and recovery of the numerous tangible cultural monuments of the region. In 1933, Ioseb Adzinba, who had received an education neither in history

nor ethnography, was appointed the director of the Abkhaz State Museum. He immediately assembled young enthusiasts, with whom he commenced work in different directions: 1. collection of ancient artefacts and their protection at the museum; 2. collection of Abkhazian ethnographic materials; 3. cataloguing and arrangement of the materials already existing in the museum funds and collections; 4. the creation and expansion of exhibition spaces. The museum managed to achieve considerable success in every aspect during a short period of time. First and foremost, they succeeded in enhancing and organizing an exhibition space in the museum.

Adzinda revealed his leadership and scientific skills when he became the first person in the history of Abkhazia to highlight topics of study, among them the history of Abkhaz Muhajirs and centenarians. The promotion of the issue of Abkhaz Muhajirs, especially in the Russian language, involved high levels of risk and required a lot of courage during the first stage of the Russian occupation, particularly during the terrifying repressions of the 1930s.

The study of the phenomenon of history of Abkhaz centenarians and their lives also began in the Abkhaz State Museum under the guidance of Ioseb Adzinba. In that period, a separate group was founded at the museum of those interested in the study of the life expectancy of Abkhaz centenarians, as was a collection of their ethnographic records. It was exactly at that time that a famous Ukrainian pathophysiologist and academician, Alexander Bogomolets, became interested in the way of life of Abkhaz centenarians. He tried to solve the mystery of their longevity by live communication (Solov'ev, Pačuliâ, 1974:195) (it is noteworthy that, in that period, there were 117 120-year-olds in the tribes residing in the mountainous region of Abkhazia, who remembered the Crimean and the Ottoman-Russian wars of 1877–1878). Ioseb Adzinba took interest in the subject of the origin of Afro-Abkhazians – “African Caucasians” (Solov'ev, Pačuliâ, 1974:195). He was the first to raise this question and attract the interest of anthropologists, ethnographers, and historians in the way of life, traditions, and origin of these people, as well as the history of their arrival in Abkhazia.

At Adzinba's initiative, for the first time, in the exhibition space of the museum, an Abkhazian dwelling house “aphatskha” was displayed – a traditional Abkhazian wicker hut, which attracted visitors' great interest (Solov'ev, Pačuliâ, 1974: 194–198). Scientists became interested in researching Abkhazian dwelling houses for the first time in that period; another Abkhazian accommodation type, “akuaska”, was studied later.

Each of Adzinba's field trips to the various parts of Abkhazia resulted in the discovery, assessment, and illustration of new monuments, or in the arrival of a new exhibit in the museum. Through this intensive activity, the Abkhaz State Museum soon gained fame, along with the Institute of Local History of Abkhazia, which was situated in the same building. Adzinba's whole work was aimed at introducing scientific research activities at the museum. He sought young employees who would be interested in scientific work at the museum, while he himself became engrossed researching the material culture, ethnography, and folklore, trying to include the artefacts he had found in scientific research.

Ioseb Adzinba, together with Ivane Ajinjali, were the first to become interested in the clothing and study of ancient Abkhazians (Adžindžal, Adzinba, 1947: 223–260). In fact, while this work was carried out only on the basis of the description of the ethnographic way of life of Abkhazians in the mountainous region, and did not reflect archeological data¹, nor the rich material depicted in church paintings, it was the first trial of scientific research conducted in this direction.

Still, the principal direction of Ioseb Adzinba's scientific-practical activity was the study of the ancient monuments of the tangible culture of Abkhazia, secular and cult structures. In 1938, when Dimitri Gulia founded the Office of Art Affairs, Ioseb Adzinba was appointed the Head of Monuments Protection in the Department of Culture in this

¹Archeology was insufficiently developed in Abkhazia at the time. Giorgi Chubinashvili was the first to start archeological research in Abkhazia. In 1922, he visited Abkhazia together with Leon Melikset-Beg, at the initiative of the new scientific society founded by Dimitri Gulia. They conducted digs in Sukhumi and its surrounding area. Archeological digs were not conducted there for a long time afterwards. Therefore, Ioseb Adzinba and Ivane Ajinjali could not possess this information.

office. Thereafter, his scientific-practical activity was completely dedicated to the protection and study of monuments of culture.

One of the most popular and famous monuments among Abkhazian culture monuments was uncovered during the cleaning works of the bridge of Queen Tamar, which is situated over the river Besleti, near Sukhumi; Ioseb Adzinba was the first to notice an inscription on the eastern edge of the bridge arch in 1935. In spite of the fact that the local population named the bridge “Queen Tamar’s Bridge”, a Russian paleologist, Praskovia Uvarova, called it the “Venice Bridge” in the 19th century. Georgian scientists Niko Chubinashvili and Levan Rcheulishvili concluded that the bridge represented a Medieval Georgian construction, the architect of which understood the features of the River Besleti very well. Theirs was the first study of the bridge and the inscription. The knowledge of the characteristics of this river had helped the creator of the bridge to “carefully select the place for the construction of the bridge” and decide on the right structure for the bridge, in order to avoid a disaster in case of floods. “This ancient bridge complies even with the modern regulations of bridge construction, and it is capable of bearing the weight of 8-ton vehicles following in a row. This strong bridge of high technical quality must have been part of a great trade and political route” (Č’ubinašvili, Rčeulišvili, 1938L 267-268). The bridge, by its location, is connected to the ruins of an ancient church and other buildings, which can be found in the valley, 300 m from each. Adzinba wrote that “it is possible that this bridge used to connect this settlement with the sea and the old Tskhum (Adzinba, 1958:69). It is noteworthy that Adzinba was the first to object to the bridge being titled “Venice Bridge” (Adzinba, 1958:7). Later, the inscription was specifically studied by Teimuraz Barnaveli, and it was discovered that the bridge had not been constructed in the times of Queen Tamar, as the name of King Bagrat can be distinguished in the Asomtavruli inscription (Barnaveli, 1973:139-144)², supposedly the first king of united Georgia, Bagrat III Bagrationi (978-1014), or his grandson King Bagrat IV (1027-1072).

It should also be noted with deep regret that, in 2015, Abkhaz historians Oleg Bghazhba and

Stanislav Lakoba called into question the authenticity of the Bridge of Besleti (Tamar’s) inscriptions and the Georgian inscriptions in Abkhazia in general in the school textbook “History of Abkhazia”; as though the inscription of Besleti Bridge “according to the witnesses, was made in the 1930s” (Bgažba, Lakoba, 2015:170-171). Any comments here would be unnecessary, but, by this supposition, Oleg Bghazhba and Stanislav Lakoba called into question scientific and humane conscientiousness in the first place, while Bghazhba in particular opposed his own father, a high scientific authority. Oleg Bghazhba’s father, famous Abkhaz linguist Khukhuti Bghazhba, had noted the authenticity of these inscriptions, and had given an account of the discovery of an inscription on Besleti bridge by Abkhaz local historian Ioseb Adzinba (Bgažba, 1967: 20). Regrettably, the scientist, for political reasons, via unscientific ways, tried to ignore such important historical evidence, and refused to answer the simple question, “How did Georgian inscriptions appear in Abkhazia if Georgians never lived there?” This is especially curious, considering the majority of Georgian inscriptions were discovered by Abkhaz local historians, scientists, or regular local residents.

In 1938, in the ruins of a church in Tsebelda, Ioseb Adzinba discovered an ornamented stone slate with a relief cross and 5-line Georgian Asomtavruli writings. Adzinba placed the stone slate in the Abkhaz State Museum exhibition hall.² In 1967, Khukhuti Bghazhba published a photo of the slate and the text of the inscription, rendered by Tamar Khazhomia, in his work “From the History of Writing in Abkhazia” (Bgažba, 1967:22). The inscription tells us a story about the erection of a cross by a local resident, Luka Martinava, on the building site of the Cathedral of St. George.

The merits of Ioseb Adzinba are also great in rescuing the inscriptions of Anukhvi. Two out of the four lapidary inscriptions of Anukhvi were first viewed by Archimandrite Leonide in the 19th century; only photos of them were published (Abkhazia and its ... 1885). One of these inscriptions, that of Giorgi Basilidze, is carved on the pillar, the second side of which is also represented by inscriptions. These were rediscovered by Ioseb Adzinba and placed in the exhibition hall of the Sukhumi State Museum.

Basilisdze's inscription in Anukhvi describes the history of the building of the cathedral, and is a classic example of the stone calligraphy school of Kidurtsaisruli writing. None of the inscriptions of Anukhvi are displayed today in the Abkhaz State Museum: they are stored in the museum depository (Endol'ceva 2019:9-30). But for the merits of Ioseb Adzinba, it is likely that no information about these monuments would be available for us today.

The architectural decoration details without inscriptions preserved at the Abkhaz State museum, are also quite important. They were placed in the museum by Ioseb Adzinba in 1938. These elements of architecture are stored in the museum depository (Museum Catalogue N 8,9,11,12,13; ref. Endol'ceva, 2020:189).

During his brief active years, Ioseb Adzinba managed to research numerous examples of Abkhazian ancient architecture, the description and historic importance of which were preserved as a manuscript, published 10 years after his death. (Adzinba, 1958). In his work, the author studied the following monuments of church architecture: the churches of Gagra, Bzipi, Bichvinta, Likhni, Dranda, Marmal-Abaa, Mokvi, Ilori, Bedia, Khasat Abaa, Bombori, Pskali, Kiachi, Gvada, Gurchkhi, and others. The following secular monuments are described: the forts of Sukhumi and Bagrati, the fortresses of Gagra, Bzipi, Satanjo, Otsartse, Chuburkhinji, Rechkho-Tskhiri, Adziubzhi, Merkuli, Jikhu¹, and others, part of which are either damaged and in grave condition today, or no longer exist, and we can only find information about them in Ioseb Adzinba's work.

For instance, on the right bank of the River Enguri, near Dikhazurga village, ancient ruins were preserved on the lower part which were difficult to distinguish even then; today these ruins no longer exist, and we can only find information about this fortified place in Ioseb Adzinba's book. The same applies to the description of the towers and part of the so-called Great Abkhazian Wall.

¹ The author indicates the fort of Jikhu. As it appears, this is Jikha, or Jikhu, i.e. "a fort", near the right branch of the River Okhoji, at the entrance to Jukhu valley.

The method of monument description proposed by Ioseb Adzinba is quite interesting. When the author aimed to provide the exact geographic location of a monument, e.g. the distance from the nearest settlement or river, he defined the location of the monument in relation to the natural landscape. He often provided the measurements of the monument if possible, talked about the architectural shape of the monument, artistic and decorative embellishments, stone reliefs, however small, ornaments, and their historic importance. While Ioseb Adzinba did speak Georgian, he did not take the time to decipher the inscriptions, leaving it to professionals to do so. It is also noteworthy that he understood how important it was to determine the date of the monuments, or to define their historic value, including ornamented stones of small size, which he would find separately from the monuments. The majority of such artefacts, despite containing no inscription, were taken to Sukhumi by the author and placed in the stone depository of the Abkhaz State Museum. Some of them were displayed in the exhibition halls. The relief stones taken to Sukhumi from the monasteries and churches of Bedia, Tsebeldi, Dranda, Anukhvi, and Pskali, which represent artistic value, are especially important in this respect. The stones mentioned above are preserved in the Abkhaz State Museum.

Ioseb Adzinba, as a true Abkhaz, dedicated special attention to the description of the Great Abkhazian Wall, and this monument remained an unsolved phenomenon for him until the last days of his life. Initially, he conducted a ten-day expedition along the wall, recording almost every structure that could have been part of the Great Abkhazian Wall; he measured and described them, and was the first to make suppositions about the importance and functions of the wall. He was also the first to conclude that there, along that wall, ran an ancient trade land-route, which was connected to the North Caucasus by passes through the Caucasus. (Adzinba, 1958:106-112, Pačuliâ, 1968:23). It is true that, when describing the wall, he mistakenly included forts and watchtowers as part of the monument which were in fact separate, but the description itself did not lose its value, as some components of the wall structure system have not survived.

In 1939, Ioseb Adzinba was the first to create a map of the ancient cultural monuments of Abkhazia, which included cathedrals, fortification structures, pagan sacrificial sites, primeval people's dwellings, and other objects (Solov'ev, Pačuliâ, 1974:197). A similar map was later drawn up by Abkhaz and Russian scientists, but Ioseb Adzinba's map still retains its significance.

Despite the fact that Ioseb Adzinba was neither a historian nor an art historian, and some of his deductions lacked a scientific basis, and despite the fact that he often gave toponyms the form typical of Abkhazian language, and he himself suffered from the ideological influence of the Soviet era – the information which he provided is highly noteworthy, especially in relation to the monuments which were later damaged, or no longer exist.

In conclusion, it is quite regrettable that the Abkhaz enthusiast of the cultural heritage of Georgia, Ioseb Adzinba, has no successor in modern Abkhazia; a successor who would be able to rescue the Georgian and Abkhaz common cultural values, the ancient architectural shapes, and the language of the monuments, which is crucial in order to preserve the authentic monuments of cultural heritage.

References:

Axalaje, L. *Ap'xazet'is epigrap'ika, rogorc' saistorio cqaro (lapidaruli da p'reskuli carcerebi)*, T'bilisi 2005

Barnaveli, T'. *Beslet'is xidis dat'ariġebis sakit'xisat'vis. Mac'ne, istoriis seria*, N2, 1973

Silogava, V. *K'art'uli lapidaruli carcerebis korpusi II. Nakvet'I I, dasavlet' sak'art'velos carcerebi IX-XIII ss. Šemdgeneli: valeri silogava*, T'bilisi, 1980

Silogava, V. *Samegrelo-ap'xazet'is epigrap'ika*, T'bilisi 2004

Č'ubinašvili, N. Rčeulišvili, L. *XI-XII saukuneebis xidi mdinare beslet'ze, kr. Šot'a rust'avelis xanis materialuri kulturis jeglebi*. T'bilisi, 1938.

Abxaziâ I vnej ... 1885, 1899 Novo-afonskij simonokanantskij monastyr'. Sostavil A.L. (Arximandrit Leonid (Kavelin)) Moskva. 1885

Adzinba, I.E. *Arxitekturnye pamâtniki Abxazii*, Suxumi, 1958

Adžindžal, I.A. Adzinba, I.E. *Materialy po izučeniû odeždy Abxazov, Trudy Abxazskogo gosudarstvennogo muzeâ*. Vypusk I. Suxumi, 1947

Axalaje, L. 1999. *Ėpigrafičeskie pamâtniki Abxazii, v knige: Razyskaniâ po istorii Abxazii/Gruziâ*. Tbilisi, 1999

Bgažba, X. S. *Iz istorii pismennosti v Abxazii*, Tbilisi, 1967

Bgažba, X. Lakoba, S.Z. *Istoriâ Abxazii s drevnejšix vremen do konca našix dneġ*, Suxum, 2015.

Solov'ev, L.N. Pačuliâ, V.P. *Bolšoj ěntuziast Abxazskogo kravevedeniâ. Trudy Abxazskogo gosudarstvennogo muzeâ*. Vypusk IV, Suxumi. 1947

Endol'ceva, E. Ŭ. *Arxitekturnâ plastika Abxazskogo carstva, (IX-XI vv.) Iz kollekcii Abxazskogo gosudarsvennogo muzeâ* (g. Suxum, RA) Vestnik PSTGU. Seriâ V: *Voprosy istorii I teorii xristianskogo iskusstva*. 2019. Vyp.33

Endol'ceva, E. Ŭ. *Arxitekturnâ plastika Abxazii v period Abxazskogo carstva (VII-XI vv.)* Moskva: IV RAN.2020.

Pačuliâ, V. P. *Velikaâ Abxazskaâ stena, žyrn. "Znanie-Sila"*, N 5. 1968.

გასული საუკუნის არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის

მედეა აბულაძე

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი

კულტურის სფეროს მკვლევართა და მეცნიერთა ფართო ჯგუფებისათვის, დღევანდელი მდგომარეობით, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი მიუწვდომელია. რთულია ისაუბრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე არაკონტროლირებად რეგიონებში, როცა ეს საკითხი ხელმისაწვდომ ტერიტორიებზეც ვერ მიმდინარეობს სათანადოდ, მოითხოვს პროფესიონალების, სამეცნიერო პოტენციალის, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების, ქველმოქმედთა, ალტრუისტთა, კანონმდებელთა და ფინანსური უზრუნველყოფის ორგანიზებულ, სინქრონულ მიდგომას.

კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვისა და გადარჩენისათვის მოძრაობა საქართველოში არახალია, დასტურად ექვთიმე თაყაიშვილის მაგალითის გახსენებაც საკმარისია. „კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას“ 1958 წელს ჩაეყარა საფუძველი. მას

ევალეზოდა „შეუწყოს ხელი ისტორიული და კულტურის ძეგლთა დაცვას, აღრიცხვა-გამოვლინებას, აღწერა-შესწავლას და მოვლა-პატრონობას“ (სოხაძე..., 1971). ძეგლთა ასეთი ნუსხა გამოიცა 1959 წელს სათაურით „საქართველოს კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე“, წიგნი გამოიცა გიორგი ჩუინაშვილის წინასიტყვაობით. ძეგლთა ნუსხის შევსება დღემდე მიმდინარეობს და პრიორიტეტულია ქვეყნისათვის. ბუნებრივია, ამ გამოცემებში შესული იყო დღეს არაკონტროლირებადი ტერიტორიების კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ნიმუშებიც, რომელთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა პერიოდულად ჩნდება ხოლმე სოციალურ მედიაში და დიდ გულისტკივილს იწვევს.

უმძიმესი სიტუაციაა ამ მხრივ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშიც, სადაც პირწმი-

ნდად აღგვილია უძველესი ქართული სოფლების უდიდესი ნაწილი და მათთან ერთად დაკარგულია ხალხური არქიტექტურის გამოჩეული ნიმუშები. სასწრაფოდ მოსაძიებელია და გადასარჩენია ხალხური და სხვა ტიპის საინტერესო გადარჩენილი ნიმუშები.

მნიშვნელოვანია ასევე საკითხი, რომელზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და რომელზეც დღეს ნაკლებადაა საუბარი, თუმცა ერთ დღეს უკვე აუნაზღაურებელი იქნება ეს დანაკარგი. საქმე ეხება გასული საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვას.

ქართული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ე. წ. „საბჭოთა არქიტექტურის“ მოკლე 70 წლიანი პერიოდი, მნიშვნელოვანი რგოლია და დღეს ცხოველ ინტერესს იწვევს მსოფლიოში, ის აღმოჩენა გახდა არქიტექტურული სამყაროსათვის. მათთვის საინტერესო აღმოჩნდა ამ პერიოდის არამარტო ნაგებობები, არამედ ამ პერიოდის საპროექტო დოკუმენტაცია, ნახაზები, ჩანახატები, ესკიზები, ე. წ. „ქალაქის არქიტექტურის“ ნიმუშებიც, რომელთაც არ ეწერათ აშენება თავისი განსხვავებულობის, კონსტრუქციის სირთულის ან სიძვირის გამო. ისინი მხოლოდ ავტორთა ან მათი შთამომავლების საკუთრებად დარჩა.

ეს სავარაუდო მოძრავი ძეგლები და ნაგებობები ოკუპირებულ რეგიონებში შესაძლოა მძიმე 1991-1992 და 2008 წლებში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ხანძარმა სრულად გაანადგურა, მაგრამ ძიების და ძეგლთა დაცვის პროცესი პირობითი საზღვრების ორივე მხარეს, აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს, რადგან ეს მემკვიდრეობა ერთიანად ძვირფასია კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის კულტურისათვის, ყველა უნდა იყოს დაინტერესებული და ზრუნავდეს თავის ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე.


არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო აქ არსებული მცირე არქიტექტურული ფორმები, ქა-

ნდაკებები და სხვა, რომელთა დიდი ნაწილი შესრულებულია ქართველი ხელოვანების მიერ, რად ღირს თუნდაც ბიჭვინთაში მდგარი მ. ბერძენიშვილის „მედეას“ ქანდაკება, რომელიც აღფრთოვანებას იწვევდა ტურისტებში და დამსვენებლებში.

სოციალურ ქსელებში გამოჩნდა საინტერესო სტატია „ავტობუსის უნიკალური გაჩერებები აფხაზეთში“ (ქარაია, 2017). ამ გაჩერებების უმრავლესობას გაგრას, ბიჭვინთასა და ახალ ათონს შორის დამაკავშირებელ გზებზე შეხვდებოდით (ფოტო 1). ასეთი ნამუშევრები ძალიან უცხო იყო საბჭოთა დროისათვის. პროექტებზე პასუხისმგებელი არქიტექტორი, მხატვარი და მოქანდაკე ზურაბ წერეთელი იყო. ეს მემკვიდრეობა დღეს, განადგურების პირზეა.

აღსანიშნავია, რომ საკურორტო ზონად მოაზრებულ აფხაზეთის რეგიონში მოღვაწეობას ეწეოდნენ საკავშირო მნიშვნელობის მაღალი რანგის ცნობილი არქიტექტორები, მათ შორის ბევრი საინტერესო ობიექტის ავტორები იყვნენ ქართველი არქიტექტორებიც, შენდებოდა გამორჩეულად საინტერესო არქიტექტურული ნიმუშები, განსხვავებული თემატიკის და მოცულობის ნაგებობები, ხდებოდა მთიანი რელიეფის გამოყენება მშენებლობისათვის, რაც საინტერესო პანორამულ ხედებს უქმნიდა სანაპირო ქალაქებს (ფოტო 2, 3).

დიდი სამუშაო სრულდებოდა ქალაქგეგმარებითი მიმართულებითაც. იმ დროს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით, რომლებიც მუშავდებოდა უცხოურ სამშენებლო ნორმებზე დაყრდნობით, სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ, სრულდებოდა მოცულობითი და ქალაქმშენებლობითი ობიექტების საპროექტო დოკუმენტაცია, ასევე კეთდებოდა მაკეტები და შემდეგ ობიექტი ეგზავნებოდა დამკვეთს. ყველაფერი კეთდებოდა ხელით, დიდი ზომის პლანშეტებზე. ეს იყო შემოქმედებითი პროცესი, ხოლო ნამუშევრები იყო არქიტექტურული შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც დიდი საპროექტო ინსტიტუტების გაუქმების შემდეგ, სამუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში განადგურდა,




ფოტო 1 – ავტობუსის გაჩერებები აფხაზეთში

დაიკარგა უნიკალური საარქივო მასალაც. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა „საქქალაქმშენსახპროექტი“, სათაო საპროექტო ინსტიტუტი 1500 კაციანი კოლექტივით, რომელსაც ჰქონდა ფილიალები ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებშიც: ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში.

გაგრის გენერალურ გეგმაზე მუშაობა „საქქალაქმშენსახპროექტში“ მიმდინარეობდა 1970-იან წლებში. გაგრის გენგეგმის ავტორები იყვნენ დამსახურებული არქიტექტორები ედიშერ ბაგრატიონი და ლერი გოშაძე (ფოტო 4). ვინაიდან გაგრა ითვლებოდა საკავშირო მნიშვნელობის კურორტად, მისი გეგმარებითი პროექტის შეთანხმება ხდებოდა მოსკოვში, სხვადასხვა საკავშირო ორგანოებში, მათ შორის ჯანმრთელობის სამინისტროში და საკავშირო პროფკავშირებში, სადაც ავტორთა ჯგუფი პერიოდულად მიემგზავრე-

ბოდა მივლინებით. გაგრის პროექტირებაზე კონსულტაციები ევალებოდა „მოსგიპროგორსტროის“ მთავარ არქიტექტორს, საშა (ალექსანდრე) კუზნეცოვს, უდიდესი გამოცდილების და ერუდიციის პროფესიონალს. შემორჩენილია მისი ხელით შესრულებული ესკიზები (ფოტო 5).

ასეთი მივლინებები ხშირი იყო გაგრაშიც, სადაც ავტორები ხვდებოდნენ აფხაზ კოლეგებს და მეგობრებს. პროფესიონალთა შორის ურთიერთობა იყო საკმიანი და კეთილგანწყობილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ავტონომიური ერთეულებიდან, არქიტექტურის პროფესიის დასაუფლებლად დაშვებული იყო ლიმიტები ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის თბილისში სწავლის გასაგრძელებლად. ერთერთი ავტორის მოგონებიდან, მაშინაც იგრძნობოდა დამოკიდებულებებში გარკვეული დაძაბულობა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა



ფოტო 2, 3 – გასული საუკუნის ნაგებობები გავრაში



მოძმე ერებს შორის ვითარების ასეთ გართულებას, სადაც აშკარად ერია „სხვისი ხელი“.


გენგეგმის დამტკიცების შემდეგ მუშაობა გაგრძელდა დეტალური დაგეგმარების პროექტებზე, გაგრის ახალი ცენტრის დეტალურ დაგეგმარებაზე, ჟოეკვარას განაშენიანების გეგმაზე, გაკეთდა საპლიაჟო ნაგებობები აგუძერაში, ახალი ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, ბანკი და ა. შ. შესრულდა გაგრის მე-4 და მე-5 საცხოვრებელი მიკრორაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტები (ფოტო 6).

ავტორის თქმით, აღნიშნული ტერიტორიის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ სარეკონსტრუქციო ტერიტორიაზე მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა იყო ეთნიკურად სომხური მოსახლეობა, რომელთა აქ ჩასახლებას კორუფციული გარიგებებით ხელს უწყობდა რაიკომის მეორე მდივანი, ვინმე გარანიანი. სომხები დიდ ფულს ხარჯავდნენ გაგრაში ჩასანერად და აქ დასამკვიდრებლად. საკითხის


გახმაურების შემდეგ, დაისვა კიდეც საკითხი გარანიანის მოხსნის შესახებ.

მე-4 და მე-5 მიკრორაიონების განხორციელების პერიოდს მოუსწრო აფხაზეთთან სიტუაციის გამწვავებამ და სამუშაოები განხორციელების პროცესში შეწყდა. არავინ იცის რა ბედი ეწია ამ მრავალწლიანი ნაშრომის საპროექტო დოკუმენტაციას გაგრაში, ის სავარაუდოდ შეენირა ხანძარს. ნარმოდგენილი ფოტოები მოძიებულ იქნა ერთ-ერთი ავტორის, ლერი გოშაძის პირადი არქივიდან.

მჭიდრო პროფესიული და მეგობრული ურთიერთობები იყო ცხინვალის რეგიონშიც. სრულდებოდა მრავალი საინტერესო მოცულობითი და ქალაქგეგმარებითი პროექტი. დამუშავდა ცხინვალის გენგეგმა (ფოტო 7), რეგიონში დაპროექტდა განაშენიანების რეგულირების გეგმები სალთვისის არხის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ომის დანყების მომენტი-სათვის სანახევროდ აშენებული იყო. ასევე სოფელ ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე,



ფოტო 4 – გაგრის გენგეგმის ძირითადი ნახაზი, შეთავსებული საკურორტო ზონის განვითარების სქემასთან 2000 წლისთვის.



ფოტო 5 – გაგრის გენგეგმის ერთერთი ესკიზი. ავტორი ალექსანდრე კუზნეცოვი 1971 წ.




რომელთაც თანდართული ჰქონდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სრული მუშა დოკუმენტაცია მაკეტით. ყველაფერი ჩაბარდა დამკვეთს ცხინვალში. სავარაუდოთ, ეს ნამუშევრებიც ხანძარმა შთანთქა (ფოტო 8,9).

დღევანდელი გადასახედიდან, როცა კომპიუტერული არქიტექტურა დაეუფლა მსოფლიოს, კომპიუტერი გახდა არქიტექტორის მარჯვენა ხელი, ხოლო ხელით შესრულებული ნამუშევრები იშვიათობა, გასული საუკუნის შემოქმედებითი ნიმუშები სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული და შენახული მომავალი თაობებისათვის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები. მიგვაჩნია, რომ ასეთი მასალის ძიება და ერთ მოცულობაში თავმოყრა ყველა მხარისთვის მომგებიანი და აუცილებელია.

დროა უფრო მეტი ძალისხმევით დავიწყოთ ფიქრი გასული საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღრიცხვის საქმიანობაზე პირობითი საზღვრების ორივე მხარეზე, მთელი საქართველოს მასშტაბით.

გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება ამ საკითხის ადგილიდან დაძვრისათვის. ჩვენ არაერთხელ წამოვჭერით საკითხი და დღესაც ვთვლით, რომ „არქიტექტურისა და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის მუზეუმი“, ყველაზე სანდო და კარგი გამოსავალია არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) მე-18 გენერალურ კონფერენციაზე (ბარსელონა, 2001) მითებული გადანყვებით მუზეუმი შემდეგნაირადაა განმარტებული: „მუზეუმი არის მუდმივმოქმედი, არაკომერციული და ღია ინსტიტუცია, რომელიც ემსახურება საზოგადოებას, ზრუნავს მის განვითარებაზე და აგროვებს, იცავს, იკვლევს, გამოფენს და პოპულარიზაციას უწევს ადამიანთა ცხოვრებისა და მისი საარსებო გარემოს ამახველ მატერიალურ და არამატერიალურ მტკიცებულებებს საზოგადოების განათლების და სიამოვნების მიიჭების მიზნით“. შესაბამისად, ისეთი სამეცნიერო აპოლიტი-




ფოტო 6 – გავრის მე-4 და მე-5 საცხოვრებელი მიკრორაიონების
დღე და მაკეტის ფოტო


კური ორგანიზაცია, როგორცაა მუზეუმი, აღძრავს სანდოობის ფაქტორს და ინტერესს პროფესიონალებს შორის ოკუპირებული რეგიონებიდან და დანარჩენი საქართველოდან თანამშრომლობისათვის. მუზეუმი მხარში ამოუდგება კულტურის სამინისტროს ამ სფეროში ბევრი სასიკეთო საქმის განხორციელებაში.

ახალი მოდელის „არქიტექტურისა და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის მუზეუმი“, გადარჩენილი საარქივო ცენტრით, საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებით, მაღალი ტექნოლოგიით აღჭურვილი გამომცემლობითა და ფოტოლაბორატორიით, უნიკალური ბიბლიოთეკით, შემოიკრებს სხვადასხვა თაობის არქიტექტორებს, მათ შორის ოკუპირებული რეგიონებიდან დევნილ და დღეს იქ მოღვაწე კოლეგებს ერთი მიზნის – კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმის გარშემო. აქ ყველა თაობის და მხა-


რის არქიტექტორებისთვის შეიქმნება საინტერესო გარემო, ჩატარდება სამეცნიერო კვლევები, კონფერენციებზე მოუსმენენ ერთმანეთს, მოიძიებენ ჯერ კიდევ შემორჩენილ მასალებს, მოინვევენ უცხოელ კოლეგებს და ისაუბრებენ არქიტექტურაზე, ხოლო ახალგაზრდა და მომავალი არქიტექტორებისათვის შეიქმნება ადგილი მათი დახელოვნებისათვის, დამეგობრებისათვის და სამეცნიერო მუშაობისათვის, წინა თაობის პროფესიონალებთან შეხვედრისათვის და მათი შემოქმედების გაცნობისათვის, რადგან ახალგაზრდები უცხოელ არქიტექტორებზე უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ, ვიდრე თავიანთ წინამორბედებზე. მუზეუმი ასევე უხელმძღვანელებს არქიტექტურის ოსტატების შემოქმედებითი ალბომების შექმნას და გამოცემას, შესაძლებელი იქნება მუზეუმის ფილიალების გახსნაც.



ფოტო 7 – ცხინვალის რეკონსტრუქციის და განვითარების გენგეგმა, საყრდენი გეგმა



ფოტო 8, 9 – ცხინვალის მიკრორაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტები



ფოტო 10 – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები სალთვისის დასახლებისთვის

გასული საუკუნის არქიტექტურის მოღვაწენი ან მათი შთამომავლები, დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით შეავსებენ თავიანთი საოჯახო არქივებით და მდიდარი ბიბლიოთეკით ამ მეტად საჭირო მუზეუმს – „არქიტექტურისა და ქალაქგეგმარებითი მემკვიდრეობის მუზეუმს“, რომელიც მომავალ თაობებს შემოუნახავს თავისი ქვეყნის აღმშენებლობის ისტორიას.

<https://www.musei.ge/>
<https://www.musei.ge/>

გამოყენებული ლიტერატურა:

სოხაძე, კ., პაპიძე, შ. 1971 – ადამიანები და ძეგლები. (საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება). თბილისი „ხელოვნება“.

ქარაია, ი. 2017 – მუზეოლოგიის განვითარების თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ასპექტები – ბათუმი, საკონფერენციო მასალები.

Isabelle, Van Assche, Violeta, Draseikaitė. 2020 – ავტობუსის უნიკალური გაჩერებები აფხაზეთში – <https://at.ge/2020/02/12/gachereba-afxazetshi/>

Feeds – ოჩამჩირე დღეს – ფოტოკოლაჟი – <https://feedc.com/post/69250?fbclid=IwAR3nk-9cews8Hm3UZuERmwfK6wKN6f2pFMw3YqhNp9eLy3I3IMDfVieRX8>

ინტერმედია 2019–აფხაზეთის 1960-80-იანი წლების უცნობი ფოტოები – <http://intermedia.ge/>

Preserving the Architectural and Urban Heritage of the 20th century

Prof. Medea Abuladze

Tbilisi State Academy of Art

At present, the Abkhazia and Tskhinvali regions are inaccessible for the majority of cultural researchers and scholars, and it is difficult to talk about protection of cultural heritage in such areas when the exact same issue is not properly addressed even in accessible areas. This is a fact which, requires an organized, synchronized approach by professionals, scientific, national-minded people, as well as philanthropists, altruists, legislators, and financiers.

The movement in support of making an inventory and preserving cultural heritage is not new in Georgia, suffice to mention the example of Ekvtime Takaishvili. The Society for the Protection of Cultural Monuments was founded in 1958, and was incumbent in “promoting the protection, registration, identification, depiction, studying, and maintenance of historical and cultural monuments” (Sokhadze et al., 1971). A list of statues was published in 1959 under the title “Georgian Cultural Monuments Taken up for State Protection”, a book published with a foreword by Giorgi Chuninashvili. The list of statues

is still being added to as a priority for the country, and includes distinctive samples of cultural heritage in prohibited areas, the current state of which is often shown in disturbing messages and photographs on social media.

In the occupied Tskhinvali region, where most of the ancient Georgian villages were completely destroyed in the August war of 2008, numerous outstanding samples of folk architecture have been lost. Any remaining samples are thus in urgent need of salvaging.

It is equally imperative to direct our attention to a less talked about issue, which one day will be the cause of irreparable loss: the protection of the architectural heritage of the 20th century.

In the centuries-old history of Georgian architecture, the short 70-year period of “Soviet Architecture” is an important link and a major matter of interest to the world. Interest has been shown not only in the buildings of this period, but also in the design documentation, architectural drawings, sketches, and esquisses – samples of

“paper architecture” that were not built due to the complexity of construction or material cost. These last are the sole property of the authors or their descendants.

Such movable monuments and structures in the occupied territories may have been completely destroyed by fires during the 1991-1992 and 2008 wars; however, the process of searching for and protecting monuments on both sides of the border must continue, as this heritage is precious to the culture of all parties of the conflict. Everyone should be interested in taking care of the cultural heritage on the territory.

Small architectural forms, sculptures and other samples are of no less of importance, most of which are made by Georgian artists, among which we can note M. Berdzenishvili’s statue of Medea, admired by tourists and vacationers from around the world.

An interesting article, “Unique Bus Stops in Abkhazia” (Karaia, 2017), appeared on social

media, describing bus stops on the roads connecting Gagra, Bichvinta and New Athos. (Photo1), created by architect, artist and sculptor Zurab Tsereteli. Such works were quite foreign to Soviet times, and yet are, apparently, a legacy on the verge of destruction.

It must be noted that in the region of Abkhazia, which is considered a resort destination, eminent architects of the Soviet Union, among them renowned Georgian architects, worked to create many compelling objects and buildings of different theme and volume, often reflecting the mountainous relief of the area and offering alluring panoramic over the coastal cities (Photos 2, 3).

A great deal of effort was also made in the field of urban planning. Following the construction norms in force at the time, which were developed based on foreign construction norms by a large group of scientists of different profile, the

Photo 1 – Bus stops in Abkhazia





Photos 2, 3 – Monuments of the past century in Gagra



design documentation of volumetric and urban construction facilities was completed, and then models were created and all were sent to the customer. Everything was done by hand, on large tablets. It was a creative process, and the resulting works were exquisite examples of architectural ingenuity. After the abolition of large design institutes, unfortunately, in most cases, these unique archival materials were lost. The City Planning State Project of Georgia, a head design institute with a staff of 1,500 people, which had branches in other large cities throughout the country, among them in Kutaisi, Batumi and Sokhumi, found itself in a similar situation.

Work on the Gagra master plan was done at the The City Planning State Project of Georgia in the 1970s. The authors were honored architects Edisher Bagrationi and Leri Goshadze (Photo 4). Since Gagra was considered a resort of All-Union importance, its planning project was sent to Moscow for approval, where it was seen by multiple Soviet Union bodies, including the Ministry of Health and the trade unions, with whom the architects met periodically. The design of Gagra was supervised by Sasha (Alexander) Kuznetsov, the chief architect of “Mosgiprogorstroy”, a professional with great experience and erudition. The esquisses created by him are still preserved (Photo 5).

Such business trips were also frequently made to Gagra, where the architects met their Abkhazian colleagues. The relationship between the professionals was not only businesslike, but friendly. It should be noted that within the autonomous units of Georgia, it was extremely difficult for local youth to master in the profession of architecture in Tbilisi. From the memoirs of one architect, we learn of a certain tension in the relations between Georgians-proper and those residing in the autonomous regions even then, but no-one could then have imagined such complications appearing between the brotherly nations, the fact of which surely came from the interference of “someone else’s hand”.

After the approval of the master plan, the work continued on the detailed planning projects, the planning of the new center of Gagra, the development plan of Zhoekvara, the construction of beaches in Agudzera, the new post-telegraph building, the bank,

etc. Detailed planning projects of Gagra 4th and 5th residential micro-districts have been completed (Photo 6).

In the process of studying the area, it was found that the vast majority of the population in the reconstruction area were ethnic Armenians, who had been settled there through corrupt deals with the consent of the Second Secretary of the District Committee, someone Garanian. Armenians spent great amounts of money to settle in Gagra. Once this fact became public, the matter of Garanian’s removal from his position was raised.

The period of implementation of the 4th and 5th micro-districts was met by the aggravation of the situation with Abkhazia and the works were interrupted. No one knows what happened to the design documentation of this perennial work in Gagra and it is presumed they were destroyed. The submitted photos were found in the personal archive of one of the architects, Leri Goshadze.

There were close professional and friendly relations presented in the Tskhinvali region as well, and many interesting, large-scale, urban planning projects were completed. A General Plan for the Tskhinvali region was developed (Photo 7), and plans for the improvement of the areas surrounding Saltvisi Canal were projected, which at the start of the war was half-built. In addition, in the vicinity of the village of Akhalsopeli, were plans and models for apartment blocks. The relevant documentation is known to have been handed to the customer in Tskhinvali, but also seems to have been destroyed (Photos 8, 9).

Today the computer is an architect’s “right hand” and handmade works are a rarity. With this in mind, the creative designs of the 20th century should be properly valued and preserved for future generations as part of cultural heritage. We believe that searching for such material and gathering it in one volume is beneficial and necessary for all parties. We need to start thinking more about the preservation and recording of the architectural heritage of the last century on both sides of the conditional borders, throughout the whole territory of Georgia.

Thus, we would like to present our idea on how best to get this issue off the ground: The “Museum of Architecture and Urban Planning Heritage, which we




Photo 6 – DDP and mock-up of Gagra’s 4th and 5th residential micro-districts

view as”, the most reliable solution to the problem of preserving architectural heritage in Georgia.

According to the decision of the 18th General Conference of the International Council of Museums (ICOM) (Barcelona, 2001), the definition of a museum is as follows: “A museum is a permanent, non-profit and open institution that serves the community, takes care of its development and collects, protects, researches, exhibits and promotes material and intangible evidence of human life and its environment for the education and enjoyment of the society”.

As such, a scientific apolitical organization such as the above Museum, which raises the factor of credibility and interest in cooperation between professionals from the occupied regions and the rest of Georgia, will support the Ministry of Culture in carrying out many good deeds in this field.

The new model – “Museum of Architecture and Urban Planning Heritage”, with an archive center, exhibition and conference halls, high-tech publishing house, photo laboratory and unique library, will bring together different generations of architects, including those from the occupied territories, around this

important matter – preserving the aforementioned cultural heritage.

It will also create an interesting environment for architects of all generations and parties; scientific researches will be conducted; conferences and discussions will be held; searches for surviving materials will be initiated, and foreign colleagues will be invited to talk about architecture, while the young generations will have a place to collect new skills, form relationships and gain new experiences, since young people tend to have more information about foreign architects than about their own national predecessors.

The Museum will also lead the creation and publication of creative albums by masters of architecture. Furthermore, branches of the institution can also be opened elsewhere.

Architects of the past century and even their descendants, I am sure, will gladly fill this much-needed Museum with their family archives and affluent libraries. The Museum of Architecture and Urban Planning will preserve the history of its country’s construction for future generations.





Photo 7 – Tskhinvali reconstruction and development master plan, support Plan

Photos 8, 9 – Detailed planning projects for Tskhinvali micro-districts






Photo 10 – Apartment blocks for Saltvisi settlement

References:

Sokhadze, K., Papidze, Sh. 1971, Adamianebi da Dzeglebi (sakartvelos kulturis dzeblta dacvis sazogadoeba). (People and Monuments. (Georgian Society for the Protection of Cultural Monuments). Tbilisi, “Khelovneba”, 1971.

Karaia, Inga (Clara) 2017, Muzeologiis Ganvitarebis Tanamedrove Teoriuli da Praktikli Aspektebi. (Modern Theoretical and Practical Aspects of the Development of Museology). Conference Proceedings, Batumi, 2017.

Isabelle, Van Assche, Violeta. Draseikaite 2020 – Unique bus stops in Abkhazia – <https://at.ge/2020/02/12/gachereba-afxazetshi/>

Feeds – Ochamchire Today – Photo Collage – <https://feedc.com/post/69250?fbclid=IwAR3nk-9cews8Hm3UZuERmwfK6wKN6f2pFMw3YqhNp9eLy3I3IMDfjVIeRX8>

Intermedia 2019 – Unknown photos of Abkhazia in 1960-80 – <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/115945/47/>

ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობისათვის (დედოფალი ქურდაბი)

თემო ჯოჯუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბედიის ღმრთისმშობლის საეპისკოპოსო ეკლესიაში შვიდი ისტორიული პირის ფერწერული პორტრეტი შემორჩენილი. ამათგან, სამი პორტრეტი ტაძრის სამხრეთ კედლის მოხატულობის ქვედა რეგისტრშია გამოსახული. სამივე პორტრეტთან შესრულებულია განმარტებითი ხასიათის ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებზე დაყრდნობითაც დადგენილია, რომ აქ გამოსახული არიან ცნობილი ისტორიული მოღვაწეები:

1. ბედიის ეკლესიის აღმშენებელი, საქართველოს მეფე ბაგრატ III (975-1014 წწ.); 2. მანდატურთუხუცესი და ოდიშის ერისთავი გიორგი III დადიანი (1396-1397 (?) წწ.); და 3. გიორგი III დადიანის დედა, დედოფალი მარეხი (Толмачевская 1931, 8; Вирсаладзе 1957-59)¹; ახალაძე 1999, 61-70; ახალაძე 2000, 49-50; ახალაძე 2005, 62-74).

ბედიის ეკლესიაში გამოსახული დანარჩენი ოთხი ისტორიული პირის პორტრეტი ტაძრის

¹ 1957-1959 წლებში თინათინ ვირსალაძემ მუშაობა დაიწყო ნაშრომზე, რომლის პირობითი სახელწოდება იყო „Росписи Бедия“. სამწუხაროდ, მეცნიერმა ნაშრომი არ დაასრულა და შესაბამისად, ის არ გამოუქვეყნებია. ბოლო პერიოდში ამ ნაშრომს გამოსაცემად ამზადებდნენ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის თანამშრომლები – დიმიტრი თუმანიშვილი (+) და მარინე ყენია. სწორედ მარინე ყენიას დახმარებით გავეცანი ნაშრომის გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვასხენებ. ტექსტის გაცნობამ აჩვენა, რომ ნაშრომი, თვით დაუმთავრებელი სახითაც კი, ბედიის ეკლესიის მოხატულობისადმი მიძღვნილ საეტაპო მნიშვნელობის გამოკვლევას წარმოადგენს და უძვირფასეს დაკვირვებებს შეიცავს ბედიის ეკლესიაში გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობის საკითხის შესწავლისათვის. თინათინ ვირსალაძის ნაშრომის ასეთი დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის გათვალისწინებით, მის ტექსტს არაერთგზის ვიხსენიებ წინამდებარე მოხსენებაში და ყოველი ასეთი მოხსენიებისას ვიმოწმებ არა უშუალოდ ნაშრომის დედანს, რომელზეც ხელი არ მიმიწვდება, არამედ დიმიტრი თუმანიშვილისა და მარინე ყენიას მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტს.

ჩრდილოეთ კედლის მოხატულობის ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი. პორტრეტებს ახლავს განმარტებითი ხასიათის ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც XIX საუკუნის შუახანებისათვის უკვე ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული იყო. დღეისათვის პორტრეტებისა და წარწერების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულია და დიდი გაჭირვებით განირჩევა.

ისტორიულ პირთა რიგის დასაწყისში ანუ აღმოსავლეთ კიდეში უწვერული ჭაბუკის პორტრეტია გამოსახული. პორტრეტთან შესრულებული იყო წარწერა, რომელიც თითქმის მთლიანად გადასულია. მისი ტექსტიდან ჩვენამდე მცირე ფრაგმენტმა მოაღწია. თავად ამ ფრაგმენტის გარჩევაც მკვლევართაგან მხოლოდ თინათინ ვირსალაძემ შეძლო. მეცნიერის აზრით, აქ იკითხება ერთმანეთისაგან გარკვეული ინტერვალით დაშორებული ორი გრაფემა – ҄ (ე) და ყ (ყ), რომლებიც პორტრეტზე გამოსახული ჭაბუკის სახელის – „ე[ამე]ყ“-ის პირველ და ბოლო ასოებს უნდა წარმოადგენდეს (Вирсаладзе 1957-59).

ისტორიულ პირთა რიგში შემდეგი ანუ აღმოსავლეთიდან მეორე პორტრეტი გრძელთმიან ყმანვილს ეკუთვნის. ყმანვილის შარავანდიანი თავის მარჯვნივ (აღმოსავლეთით) მუქი (შავი?) საღებავით რამდენიმესტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა შესრულებული. ამ წარწერის ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებული ტექსტი შალვა ამირანაშვილმა და რენე შმერლინგმა ერთმანეთისაგან განსხვავებული სახით წაიკითხეს: 1. შალვა ამირანაშვილი – „მხატვარი“ („Художник“) (Толмачевская 1931, 8); და 2. რენე შმერლინგი – „[...] | ҄(?) | Q(//)EC | [-]҄“ ანუ „[...] | ძე კახაბერი“ (შმერლინგი 1957, 504-505, სურ. 1.1, 2.4, 2.5).

ისტორიულ პირთა რიგის მომდევნო ანუ აღმოსავლეთიდან მესამე პორტრეტზე შუახნის წვეროსანი მამაკაცია გამოსახული. პორტრეტის თანმხლები წარწერა მთლიანად გადასულია და მისი ტექსტიდან აღარაფერი განირჩევა.

ისტორიულ პირთა რიგის ბოლოს ანუ დასავლეთ კიდეში თეთრმანდილიანი ქალის პორტრეტია წარმოდგენილი. ქალის შარავანდიანი თავის მარჯვნივ (აღმოსავლეთით) თეთრი საღებავით შესრულებულია წარწერა, რომე-

ლიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ სიტყვას – ქალის სახელს შეიცავს. წარწერა საკმაოდ დაზიანებული და ფრაგმენტირებულია. მისი ტექსტი მარი ბროსემ, რენე შმერლინგმა, თინათინ ვირსალაძემ, ლეონიდე შერვაშიძემ და ლია ახალიძემ ერთმანეთისაგან მეტნაკლებად განსხვავებული სახით წაიკითხეს: 1. მარი ბროსე – „+აჰოჲ“ ანუ „ქურდაბ“ („Kourdab“) (Brosset 1849, 92; Brosset 1856, 646); 2. რენე შმერლინგი – „QᄢC҄[...]" ან კიდევ, „QᄢC҄[...]" (შმერლინგი 1957, 507, სურ. 1.1, 2.6); 3. თინათინ ვირსალაძე – „QᄢC҄[҄]" ანუ „ოსდანი“ („осдани“) ან კიდევ, „҄QᄢC҄[ᄢC҄“ (Вирсаладзе 1957-59); 4. ლეონიდე შერვაშიძე – „QᄢC҄“ ანუ „როდაბ“ (Шервашидзе 1971, 14); და 5. ლია ახალაძე – „[҄]QᄢC҄“ ანუ „[რ]ოდაბ“ ან კიდევ, „[҄]QᄢC҄[ᄢC҄[ᄢC҄“ ანუ „[რ]ე[სუ]და[ნ]“ (ახალაძე 2000, 48; ახალაძე 2005, 60-62).

ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობის საკითხი სხვადასხვა კუთხითა და სისრულით შეისწავლეს XIX-XXI საუკუნეების ქართველმა და უცხოელმა მკვლევრებმა – მარი ბროსემ, შალვა ამირანაშვილმა, რენე შმერლინგმა, თინათინ ვირსალაძემ, ლეონიდე შერვაშიძემ, ლია ახალაძემ და სხვებმა.

დასახელებულ მეცნიერთაგან საკვლევი საკითხის გადნევის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს თინათინ ვირსალაძემ და ლია ახალაძემ, რომლებმაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეძლეს ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ისტორიულ პირთა იდენტიფიცირება. სწორედ მათ ეკუთვნის მოსაზრება, რომ განსახილველ პორტრეტებზე გამოსახული არიან XIV საუკუნეში მოღვაწე ცნობილი ისტორიული პირები: 1. ოდიშის ერისთავ გიორგი II დადიანის უფროსი ვაჟი ვამეყი, შემდგომში მანდატურთუხუცესი და ოდიშის ერისთავი ვამეყ I დადიანი; 2. გიორგი II დადიანის უმცროსი ვაჟი კახაბერი, შემდგომში გურიის ერისთავი კახაბერ I გურიელი; 3. თავად გიორგი II დადიანი, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-1745 წლებში შედგენილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ცნობით, ოდიშის ერისთავის სახელს 1345-1384 წლებში ფლობდა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 802-

803); და 4. გიორგი II დადიანის ცოლი – რუსუდანი (Вирсаладзе 1957-59).

თინათინ ვირსალაძისა და ლია ახალაძის მიერ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების დეტალური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი აჩვენებს, რომ ეს მოსაზრებები სავსებით სარწმუნო და მისაღებია. თუმცა, არის განსახილველ პორტრეტებთან დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც, ჯერჯერობით, გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს. მხედველობაში მაქვს ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტზე გამოსახული ქალის იდენტიფიკაციის პრობლემა.

დღეისათვის დადგენილია, რომ გიორგი II დადიანს ჰყავდა ორი ცოლი: 1. თამარი, რომელიც მოგვიანებით თომაიდას სახელით შემონახუნდა; და 2. რუსუდანი (არახამია 2003, 45). აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნებოდა, რომ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული ყოფილიყო ან თამარი ან კიდეც, რუსუდანი. თუმცა, რეალური ვითარება სრულებით სხვაგვარია: ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული გიორგი II-ის ცოლის პორტრეტთან შესრულებულ განმარტებით წარწერაში არა სახელი „თამარი“ ან „რუსუდანი“, არამედ სულ სხვა სახელია მითითებული.

ეს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა იმთავითვე შენიშნა ლია ახალაძემ, რომელმაც მისი ახსნა შემდეგი გზით სცადა. მკვლევარმა თავდაპირველად აღნიშნა, რომ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტთან შესრულებულ წარწერაში მითითებულია სახელი „როდაბი“, რომლის დაწერილობაც – „[ჰ]QDC[ჲ]“ გარკვეულ მსგავსებას ავლენს ჯუმათის მონასტრის კუთვნილი მთავარანგელოზის ხატის წარწერაში მოხსენიებული დედოფალ რუსუდანის სახელის დაწერილობასთან – „[ჰ]Q[სQ]DC[ჲ]“ ანუ „[რ]უ[სუ]და[ნ]“ და გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი, რომ ბედიის ტაძრის წარწერაში მითითებული სახელი, აგრეთვე, „რუსუდანის“ სახით უნდა იქნეს წაკითხული, ხოლო იმავე წარწერის ბოლო გრაფემა [ჲ] (ბ) რომელიღაც სხვა სიტყვის დასაწყისს უნდა წარმოადგენდეს (ახალაძე 2005, 61-62).

მიუხედავად იმისა, რომ ლია ახალაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ლოგიკური ჩანს, მისი გაზიარება, სამი მიზეზის გამო, შეუძლებელია:

1. ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის პორტრეტების პირველმკვლევარმა – მარი ბროსემ მეოთხე პორტრეტთან შესრულებული წარწერა სრული სახით, ყოველგვარი ლაკუნების გარეშე წაკითხა. მეცნიერის ცნობით, წარწერაში გარკვევით იკითხება ქალის სახელი „ქურდაბი“ (Brosset 1849, 92; Brosset 1856, 646). ჩემი დაკვირვებით, განსახილველი წარწერის მარი ბროსეს წაკითხვა სავსებით სარწმუნოა და მასში ეჭვის შეტანისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობს. უფრო მეტიც, წარწერის მარი ბროსეს წაკითხვა, აგრეთვე, იმავე წარწერის რენე შმერლინგის მიერ 1957 წელს გამოქვეყნებული გრაფიკული მონახაზი (შმერლინგი 1957, სურ. 1.1) და გიორგი ერისთავის მიერ 1939 წელს გადმოღებული ფერწერული ასლი (შდრ: კალანდია 2004, 76-77, 109; ახალაძე 1999, 61; ახალაძე 2005, 60), საშუალებას გვაძლევს, ზედმიწევნით ზუსტად აღვადგინოთ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის მეოთხე პორტრეტის თანმხლები წარწერის თავდაპირველი დაწერილობა. როგორც ირკვევა, წარწერა სულ სამ სტრიქონს შეიცავდა და ამ სამ სტრიქონზე ტექსტი შემდეგი სახით იყო განაწილებული – „[Q]DC[ჲ]“ ანუ „ქურ/და/ბ“ (შდრ.: წარწერის ჩვენამდე მოღწეული ტექსტის დაწერილობა: „[Q]DC[ჲ]“ ანუ „[ქ]უ[რ]/და/ბ“).

2. ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტთან შესრულებულ წარწერაში სახელი „როდაბი“ არ იკითხება და ეს სახელი სამეცნიერო მიმოქცევაში ლეონიდე შერვაშიძის მიერ დაშვებული უზუსტობის შედეგად არის შემოსული. როგორც ირკვევა, მკვლევარმა თავის ცნობილ მონოგრაფიაში „Некоторые Средневековые Стенные Росписи на Территории Абхазии“ ჩვენთვის საინტერესო პორტრეტის თანმხლებ წარწერაზე საუბრისას შეცდომით გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ წარწერაში მითითებული სახელი მარი ბროსემ „როდაბის“ სახით წაკითხა (Шервашидзе 1971, 14). მოგვიანებით ეს მოსაზრება სხვა ქართველი მკვლევრების მიერ უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული და საბოლოოდ, სპეციალურ

ლიტერატურაში მყარად დამკვიდრდა თეზა, რომ მარი ბროსე განსახილველ წარწერაში სახელ „როდაბს“ კითხულობდა. სინამდვილეში, მარი ბროსემ ქალის პორტრეტის თანმხლებ წარწერაში მითითებული სახელი „ქურდაბის“ სახით წაიკითხა და მას სახელი „როდაბი“ საერთოდ არ უხსენებია.

3. ჰიპოთეტურად, რომც დავუშვათ კიდეც, რომ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტთან შესრულებულ წარწერაში სახელი „როდაბი“ იყო მითითებული, ამ სახელის დაწერილობას მაინც ვერ გავაიგივებთ გიორგი II დადიანის ცოლის – რუსუდანის სახელის დაწერილობასთან. ასეთი გაიგივების შესაძლებლობას, აპრიორი, გამორიცხავს წარწერის ბოლო გრაფემა Ʒ (ბ), რომელსაც ვერანაირი პალეოგრაფიული მანიპულაციით ვერ მივაკუთვნებთ სახელ „რუსუდანს“. მართალია, ღია ახალაძემ გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი, რომ შესაძლოა, ეს გრაფემა რომელიმე სხვა სიტყვის დასაწყისი იყოს, თუმცა ამგვარი ვარაუდისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობს: წარწერის რენე შმერლინგის გრაფიკული მონახაზიდან და გიორგი ერისთავის ფერწერული ასლიდან გარკვევით ჩანს, რომ ხსენებული გრაფემა Ʒ (ბ) პორტრეტზე გამოსახული ქალის მიერ ვედრების ნიშნად გაწვდილ ხელთან მიჯრით არის შესრულებული და აქ ახალი სიტყვის განსათავსებლად თავისუფალი ადგილი, უბრალოდ, არ რჩება (შმერლინგი 1957, სურ. 1.1; კალანდია 2004, 76-77, 109).

თუ ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი მსჯელობა სწორია, რაც თითქოს ასეც ჩანს, მაშინ აქ ბუნებრივად დაისმის კითხვა – ვინ არის ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტზე გამოსახული ქალი?

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია სამი მნიშვნელოვანი გარემოება:

1. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი პორტრეტები გიორგი II დადიანის ოჯახის წევრებს ეკუთვნის და ამ პორტრეტებზე, გიორგი II-ისა და მისი ვაჟების გვერდით გამოსახული ქალი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა გიორგი II-ის ცოლი.

2. ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტის თანხმლები წარწერა პირდაპირ გვაუწყებს, რომ ამ პორტრეტზე გამოსახულ ქალს სახელად ქურდაბი ერქვა.

3. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია გიორგი II დადიანის მხოლოდ ორი ცოლი – თამარი და რუსუდანი.

ამ სამი გარემოების ერთმანეთთან შეპირისპირებას, ვფიქრობ, ლოგიკურად მივყავართ ერთადერთ შესაძლო სწორ დასკვნამდე: გიორგი II დადიანს, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის მოხსენიებული ორი ცოლის – თამარისა და რუსუდანის გარდა, ჰყავდა მესამე ცოლიც – ქურდაბი, რომლის შესახებაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

მიღებულ დასკვნასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტზე გამოსახული ქალის ვინაობის საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ არასოდეს ყოფილა გამოყენებული. ეს არის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კუთვნილი XI საუკუნის სვინაქსრის (Jer.24-25) ერთ-ერთ ფურცელზე (273v) შესრულებული №272 ალაპი, რომელიც ვინმე დედოფალ ქურდაბისთვისაა განწესებული.

ვიდრე უშუალოდ №272 ალაპის განხილვაზე გადავიდოდე, აღვნიშნავ, რომ ჯვრის მონასტრის სვინაქსრის ფურცლებზე XI-XVII საუკუნეების 300-ზე მეტი ალაპია შესრულებული. ამ ალაპებს შორის ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ექვსი ალაპი, რომლებიც ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი. ესენია: №10. დედოფალ თამარ-ყოფილი თომაიდას ალაპი; №213. ერისთავ გიორგი დადიანის ალაპი; №214. მეფე გიორგის ალაპი; №264. ოქროპირ ქუთათელისა და მისი ძმისწულის – მახარებელ ქუთათელის ალაპი; №272. დედოფალ ქურდაბის ალაპი; და №299. აფხაზეთის კათოლიკოს დანიელისა და მისი შვილის – გიორგი ჭყონდიდელის ალაპი. ელენე მეტრეველმა ეს ექვსი ალაპი ერთ ჯგუფად გააერთიანა და ამ ჯგუფს, სვინაქსრის ალაპების მისსავე მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის სისტემის გათვალისწინებით, XXX ტაბულა უწოდა. გარდა ამისა, ელენე მეტრეველმა დაწვრილებით შეისწავლა XXX ტაბულაში გაერთიანებულ ალაპებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა

ცხოვრება-მოღვაწეობის საკითხები და ექვსივე ალაპი 1390-იანი წლებით დაათარილა (მეტრეველი 1962, 118-119, 165, 173, 176).

მოვიტან დედოფალ ქურდაბის ალაპის ტექსტის ჩემეულ წაკითხვას, რომელიც ჯვრის მონასტრის სვინაქსრის მაღალი გარჩევადობის დიგიტალურ ვერსიაზეა დამყარებული:

„თ(უეს)ა ივლის(ს)ა იზ (17). /

ალაპი და პანაშვიდი დი/ოფ(ა)ლთა დიოფ/ლისა ქურდა/ბისი.

{წყალობაჲ} დიდი მოვ/იდა მისი.

და ვინ/ცა არ გარდაიწადოს და შეცვ/ალოს, კრულმ/ცა არის ლ(მრ)თისა / მაღლითა და / გამათებ(ე)ლნი / ლ(მერ)თ(მა)ნ აკ(უ)რთხნეს“ (Image 55 of Georgian 25. Synaxarion; შდრ.: მეტრეველი 1962, 104, ტაბ. 24).

ციტირებულ ალაპში მოხსენიებული დედოფალ ქურდაბის შესახებ აქამდე რაიმე მოსაზრება გამოთქმული არ ყოფილა. უფრო მეტიც, დღემდე თვით ქურდაბის სახელიც კი არასწორად იყო წაკითხული. კერძოდ, ელენე მეტრეველი ფიქრობდა, რომ ალაპში მოხსენიებულ დედოფალს სახელად ქურდაბისი ერქვა (ibid., 173, 191). არადა, ალაპის ტექსტზე დაკვირვება თვალნათლივ აჩვენებს, რომ დედოფლის სახელი იყო „ქურდაბ“-ი, ხოლო ამ სახელზე დართული გრაფემები – „ის“ და „ი“, შესაბამისად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანსა და სავრცობს წარმოადგენდა: „ალაპი და პანაშვიდი... ქურდაბ-ის-ი“.

ჩემი დაკვირვებით, ჯვრის მონასტრის სვინაქსრის №272-ე ალაპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტზე გამოსახული ქალის იდენტიფიკაციისათვის: როგორც ჩანს, ალაპში მოხსენიებული დედოფალი ქურდაბი და პორტრეტზე გამოსახული გიორგი II დადიანის ცოლი ქურდაბი ერთი და იგივე პირი იყო.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას, ძირითადად, ორ არგუმენტს ვემყარები:

1. ერთმანეთს ზედმინევნით ზუსტად ემთხვევა №272 ალაპში მოხსენიებული დედოფლისა და ბედიის ეკლესიაში გამოსახული გიორგი II-ის ცოლის სახელი, მოღვაწეობის დრო და სამოღვაწეო არეალი. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელის დამთხვევას: რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ქალის სახელი „ქურდაბი“ შუა საუკუნეების

ქართულ წერილობით წყაროებში, განსახილველი ალაპისა და წარწერის გარდა, საერთოდ არ გვხვდება. საკმაოდ მნიშვნელოვანია სამოღვაწეო დროისა და არეალის დამთხვევა: ბედიის ეკლესიაში გამოსახული ქურდაბი, მისი ქმრის – გიორგი II დადიანის მოღვაწეობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, XIV საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა, ჯვრის მონასტრის სვინაქსრის ალაპების XXX ტაბულაში გაერთიანებული ექვსივე ალაპი კი, ელენე მეტრეველის მართებული დაკვირვებით, სწორედ XIV საუკუნის II ნახევრის „დასავლეთ საქართველოს წარჩინებული საერო და სასულიერო პირებისათვის“ იყო განწესებული (ibid., 119).

2. ჯვრის მონასტრის სვინაქსრის ალაპების XXX ტაბულაში, დედოფალ ქურდაბის ალაპის გარდა, ერისთავ გიორგი დადიანის ანუ ჩვენთვის საინტერესო გიორგი II დადიანისა და დედოფალ თამარ-ყოფილი თომაიდას ანუ გიორგი II დადიანის ერთ-ერთი ცოლის – დედოფალ თამარის ალაპებიც არის გაერთიანებული. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ქურდაბის, თამარისა და გიორგი II-ის ალაპების ტექსტები, ამ ტაბულაში გაერთიანებული დანარჩენი სამი ალაპის ტექსტებისაგან განსხვავებით, სტრუქტურული და ლექსიკური თვალსაზრისით, პრაქტიკულად, იდენტურია, რაც, თავისი მხრივ, იმით უნდა აიხსნას, რომ ეს სამი ალაპი ერთი და იმავე პირის მიერ, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე ოჯახის წევრებისათვის იყო დაწერილი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საბოლოოდ დგინდება, რომ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტზე გამოსახულია ოდიშის ერისთავის გიორგი II დადიანის ცოლი – დედოფალი ქურდაბი, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მეოთხე პორტრეტზე გამოსახული ქალის ვინაობის დადგენის შემდეგ ავტომატურად დაისმის მთელი რიგი საინტერესო კითხვები, რომელთაგანაც აქ მხოლოდ დედოფალ ქურდაბთან

უშუალოდ დაკავშირებულ ოთხ ძირითად კითხვას მოვიტან:

1. გიორგი II დადიანის რომელი ცოლი იყო ქურდაბი?

2. რა პერიოდში ჰყავდა გიორგი II-ეს ცოლად ქურდაბი?

3. იყვნენ თუ არა ვამეყი და კახაბერი ქურდაბის შვილები?

4. რა დროით თარიღდება ქურდაბის პორტრეტი?

ამ და სხვა კითხვების ფარგლებში წამოჭრილი საკითხები დაწვრილებით სხვა ნაშრომში მექნება განხილული, აქ კი მხოლოდ წინსმინებად ვუპასუხებ დასმულ კითხვებს:

1. ქურდაბი გიორგი II დადიანის მეორე ცოლი იყო.

2. გიორგი II-ეს ქურდაბი, დაახლოებით, 1360-1370-იან წლებში ჰყავდა ცოლად.

3. ვამეყი და კახაბერი გიორგი II-ის პირველი ცოლის – თამარის შვილები იყვნენ.

4. ქურდაბის პორტრეტი, ბედიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ დანარჩენ სამ პორტრეტსა და ტაძრის მოხატულობის შესაბამის ფენასთან ერთად, დაახლოებით, 1360-1370-იანი წლებით თარიღდება.

გამოყენებული ლიტერატურა

არახამია გ., 2003. ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI საუკუნე – XVI საუკუნის I ნახევარი). თბილისი: მემატიანე.

ახალაძე ლ., 2005. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები). თბილისი: ლევა.

ახალაძე ლ., 1999. „ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერა და დადიანთა მანდატურთუხუცესობის საკითხი.“ საისტორიო ძიებანი, II, წელიწდეული, თბილისი: პირველი სტამბა.

ახალაძე ლ., 2000. „...მეოხ ექმენ საყდრის აღმშენებელს.“ საისტორიო ძიებანი, III, წელიწდეული, თბილისი: მეცნიერება.

ბატონიშვილი ვ., 1973. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ-

ნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კალანდია გ., 2004. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბეღია, მოქეი, ხობი), თბილისი: არტანუჯი.

მეტრეველი ე., 1962. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII საუკუნეები), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა.

შმერლინგი რ., 1957. „ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის.“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XVIII, №4, ძირითადი, ქართული გამოცემა, აპრილი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

Brosset, Marie-Felicite. 1856. « Histoire de la Géorgie.” *Depuis l’Antiquité Jusqu’au XIX^e Siècle, II^e Partie, Histoire Moderne, I^{re} Livraison*, Sankt-Petersbourg: De l’Imprimerie de l’Académie Impériale des Sciences.

Brosset, Marie-Felicite. 1849. « Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l’Arménie, Exécute en 1847-1848.” *I^{re} livraison, Avec un Atlas de 18 planches lithographiées, Huitième Rapport*, Sankt-Petersbourg: Imprimerie de l’Académie Impériale des Sciences.

Вирсаладзе, Тинатин. [1957-59]. Роспись Бедия, [ნაშრომის გამოსაცემად მზადდება გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის თანამშრომლების – დიმიტრი თუმანიშვილისა (+) და მარინე ყენიას მიერ].

Image 55 of Georgian 25. Synaxarion Vol. II (MS 24 -Vol. I). 11th cent. 186 f. p. 38 ft. From Library of Congres : *Manuscripts in the libraries of the Greek and Armenian patriarchates in Jerusalem*. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271072466-jo/?sp=55&r=-0.128,0.106,0.468,0.227,0>

Толмачевская, Наталия. 1931. Фрески Древней Грузии. Тифлис: Государственное Издательство Грузии.

Шервашидзе, Леонид. 1971. Некоторые Средневековые Стенные Росписи на Территории Абхазии, Тбилиси: Хеловнеба.

Identities of Historical Figures Depicted on the Northern Wall of the Church of Bedia (Queen Kourdab)

Prof. Temo Jojua
Ilia State University

Seven portrait paintings of historical figures are preserved in the episcopate Church of the Mother of God in Bedia. Three of them are portrayed in the lower register of the painting on the southern wall of the cathedral. All the three portraits are accompanied by explanatory inscriptions in Georgian Asomtavruli, based on which it was determined that the following famous historical figures are depicted there: 1. The Builder of Bedia Church, King of Georgia, Bagrat III (975 – 1014); 2. Interior Minister, Prince of Odishi Giorgi III Dadiani (1396-1397 (?)); 3. Mother of Giorgi III Dadiani, Queen Marekhi (Tolmachevskaya 1931,

8; Virsaladze 1957-59¹; Akhaladze 1999, 61-70; Akhaladze 2000, 49-50; Akhaladze 2005, 62-74).

The portraits of the other four historical figures depicted in Bedia Church are presented in the lower register of the painting on the northern wall of the cathedral. The portraits are accompanied by explanatory inscriptions in Georgian Asomtavruli, which were already greatly damaged and fragmented in the middle of the 19th century. Today, the condition of the portraits and inscriptions have deteriorated even more and can barely be distinguished.

A portrait of a beardless youth is depicted at the beginning of the line of historical figures, i.e. the

¹ In 1957-1959, Tinatin Virsaladze began her work, the notional title of which was “Mural Painting of Bedia”. Unfortunately, the scientist did not finish the work and, consequently, did not publish it. Recently, the scientists of the G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation, Dimitri Tumanishvili (†) and Marine Kenia, were preparing this work for publishing. It was with the assistance of Marine Kenia that I was able to examine the text of the work prepared for publishing, for which I would like to express my sincere gratitude to her. Studying the text revealed that the work, even being unfinished, represents a landmark research dedicated to the murals of Bedia Church, and contains invaluable observations that facilitate the inquiry into the identification of the historical figures depicted in Bedia Cathedral. Considering the great scientific importance of Tinatin Virsaladze’s work, I will refer to her text a number of times in this report, and, with each such reference, I will rely on the text prepared by Dimitri Tumanishvili and Marika Kenia, and not the original, which I have no access to.

eastern edge. An inscription had been made next to the portrait, but it has almost completely faded. A brief fragment of it has survived to this day. Of all the researchers, Tinatin Virsaladze was the only one who succeeded in recognizing the fragment. According to this scientist, two graphemes separated from each other by certain intervals can be read here: v (V) ვ (K), which must convey the name of the youth depicted in the portrait – “V[M E] K” most likely represent the first and last letters (Virsaladze 1957-9).

The next portrait in the row of the four historical figures, i.e. the second from the east, represents an image of a long-haired youth. To the right of the youth's haloed head (to the east), a several-line inscription in Asomtavruli is made in dark (black?) paint. The damaged and greatly fragmented text was read by Shalva Amiranashvili and Rene Schmerling in a different manner: 1. Shalva Amiranashvili – “A Painter” (Tolmachevskaya, 1931, 8); 2. Rene Schmerling – „[...] | ჟ(?) | Q(//C)EC | [-]J7 აბჯ „[...] ძე კახაბდგო“ that is “son Kakhaber” (Schmerling 1957, 504 – 505, image 1.1, 2.4, 2.5).

The next, i.e. the third from the east, in the row of historical figures is a bearded middle-aged man. The inscription accompanying the portrait is completely faded and nothing can be recognized in its text.

The last in the row, at the western edge, is a portrait of a woman in a white headscarf. To the right of the woman's haloed head (to the east of it), there is an inscription in white paint, which seems to consist of only one word – the woman's name. The inscription is rather damaged and fragmented. Marie Brosset, Rene Schmerling, Tinatin Virsaladze, Leonide Shervashidze, and Lia Akhaladze interpreted its text in a relatively different manner : 1. Marie Brosset – „qordab“ that is “*Kourdab*” (Brosset 1849, 92; Brosset 1856, 646) ; 2. Rene Schmerling – „QOC[...]" QJ „QOC[...]" (Schmerling 1957, 507, image 1.1, 2.6) ; 3. Tinatin Virsaladze – „QOC[...]" « Osdani » or rusuda“ « Rusuda » (Virsaladze [1957-59]); 4. Leonide Shervashidze – „odab“ that is « Rodab » (Shervashidze 1971, 14) ; 5. Lia Akhaladze – „[J]QOC[...]" « [r]odab » or „[J]Q[...Q]OC[...]" « [r]u[su]da[n] » (Akhaladze 2000, 48; Akhaladze 2005, 60-62).

The matter of the identities of the historical figures depicted on the northern wall of Bedia Church was studied by Georgian and foreign researchers of the 19th-20th cc. – Marie Brosset, Shalva Amiranashvili,

Rene Schmerling, Tinatin Virsaladze, Leonide Shervashidze, Lia Akhaladze, and others – from different angles and with different thoroughness.

From all the scientists listed above, Tinatin Virsaladze and Lia Akhaladze, who succeeded in identifying the historical figures depicted on the northern wall of Bedia Cathedral, made significant contributions to the solution of the research matter in question. Both these scientists managed to achieve results independently from each other. It is they who considered that the portraits in question represented famous historical figures of the 14th century : 1. The elder son of the Prince of Odishi, Giorgi II Dadiani, Vamek, who later became Interior Minister and the Prince of Odishi Vamek I Dadiani; 2. The younger son of Giorgi II Dadiani, Kakhaber, who later became the Prince of Guria, Kakhaber I of Guria; 3. Giorgi II Dadiani himself, who bore the title of Prince of Odishi in 1345 – 1384, according to “The Census of the Kingdom of Georgia” compiled by Vakhushti Bagrationi in 1742 – 1745 (Vakhushti Batonishvili 1973, 802 – 803); 4. The spouse of Giorgi II Dadiani, Rusudan (Virsaladze [1957-59]).

A detailed historical source evaluation analysis of the assumptions made by Tinatin Virsaladze and Lia Akhaladze regarding the identities of the historical figures depicted on the northern wall of Bedia Church demonstrates that these assumptions are quite reliable and reasonable. However, there is an important matter related to the portraits in question which cannot be considered as resolved yet: the problem of identifying a woman depicted in the fourth portrait on the northern wall of Bedia Cathedral.

Today, it has been determined that Giorgi II Dadiani had two spouses : 1. Tamar, who later became a nun under the name of Tomaida, and 2. Rusudan (Arakhamia 2003, 45). Taking this fact into consideration, it would be logical to assume that either Tamar or Rusudan could have been portrayed on the northern wall of Bedia Church. Yet, the explanatory inscriptions next to the portrait of the spouse of Giorgi II on the northern wall of Bedia Cathedral display a completely different name, rather distinct from either Tamar or Rusudan.

This considerable inconsistency was immediately registered by Lia Akhaladze, who tried to provide the following explanation: Initially, the scientist stated

that in the inscription made next to the fourth portrait on the northern wall of Bedia Church the name “Rodab” is indicated, the transcription of which – „[Ⴆ]QႦႦႦ“ “[r]odab” seems to bear a particular resemblance to the transcription of the name of Queen Rusudan – „[Ⴆ]Q[Ⴆ]ႦႦႦ“ [r]u[su]da[n] – in the Icon of Archangel in Jumati monastery. Lia Akhaladze also made a cautious supposition that the name indicated in the inscription in Bedia ought to be rendered as “Rusudan”, while the last grapheme in the same inscription – b (b) – must represent the beginning of the next word (Akhaladze 2005, 61-62).

Despite the fact that the presumption made by Lia Akhaladze appears logical, it cannot be agreed with for three reasons :

1. The initial researcher of the portraits on the northern wall of Bedia Church, Marie Brosset, read the inscription next to the fourth portrait in full, without any lacunae. According to this scientist, a female name “Kourdab” can clearly be read (Brosset 1849, 92; Brosset 1856, 646). According to my observations, Marie Brosset’s version of reading the inscription in question is absolutely trustworthy, without any fundamental reasons for doubting it. Moreover, Marie Brosset’s interpretation of the inscription, along with the graphic sketch of the same inscription published by Rene Schmerling in 1957 (Schmerling 1957, image1.1), and painting copies made by Shalva Amiranashvili in 1939 (Kalandia 2004, 76-77, 109; Akhaladze 1999, 61; Akhaladze 2005, 60), allow us to restore the initial transcription of the legend accompanying the fourth portrait on the northern wall of Bedia Church with great precision. As it becomes clear, the inscription consisted of three lines, and the text in these three lines was divided in the following way: „ႦQႦႦႦႦ“ “Kour/da/b” (comp.: the version of the inscription that has survived to this day is „[Ⴆ]Q[Ⴆ]ႦႦႦ“ or [K]ou[r]/da /b).

2. The name « Rodab » cannot be read in the inscription made next to the fourth portrait on the northern wall of Bedia Church. This name started circulating in scientific language as a result of a mistake made by Leonide Shervashidze. Apparently, this researcher made an incorrect supposition when speaking about the portraits in question in his famous monograph ‘Some Medieval mural paintings on the territory of Abkhazia’, stating that Marie Brosset had interpreted the name presented

in the inscription as ‘Rodab’ (Shervashidze 1971, 14). Later, this supposition was adopted by other Georgian researchers without any analysis, and eventually the hypothesis that Marie Brosset read the name ‘Rodab’ in the inscription in question became fixed in specialized literature. In fact, Marie Brosset interpreted the name in the inscription accompanying the woman’s portrait as ‘Kourdab’; he never mentioned the name ‘Rodab’.

3. Hypothetically, even if we assume that the the name “Rodab” was implied in the inscription next to the fourth portrait on the northern wall of Bedia Church, the transcription of it still could not be identical to the one of “Rusudan”, the spouse of Giorgi II Dadiani. Any possibility of this is excluded by the last grapheme of the inscription – b (b), which cannot be attached to the name “Rusudan” by any paleographic technique. It is true that Lia Akhaladze made a cautious supposition of this grapheme being the first letter of the following word, however, this assumption has no grounds: Rene Schmerling’s graphic sketch of the inscription, and Shalva Amiranashvili’s painting copy clearly illustrate that the grapheme b (b) is depicted in immediate proximity to the woman’s hand, which is extended in a plea, and there is not sufficient space for a new word (Schmerling 1957, image1.1; Kalandia 2004, 76-77, 109).

If the above reasoning is correct, which seems to be the case, then there is a logical question – who is the woman depicted in the fourth portrait on the northern wall of Bedia Cathedral ?

This question requires that the following three circumstances be considered:

1. The portraits depicted on the northern wall of the cathedral belong to Giorgi II Dadiani’s family members, and the woman next to the king and his sons cannot possibly be anyone but the spouse of Giorgi II.

2. The inscription accompanying the fourth portrait on the northern wall of the church clearly conveys that the woman’s name was ‘Kourdab’.

3. Only the names of the two wives of Giorgi II Dadiani are known from the scientific literature existing today.

The juxtaposition of these three circumstances leads us to the sole conclusion that besides the two spouses of Giorgi II Dadiani, Tamar and Rusudan, who are

mentioned in scientific literature a number of times, the king had a third wife, Kourdab, about whom Georgian historiography has had no information to date.

In connection with this conclusion, special attention is drawn to one written source that has never been used by researchers interested in the matter of the identity of the woman depicted in the fourth portrait on the northern wall of Bedia Cathedral. It is №272 remembrance record, agape, written on a piece of paper (273v), in commemoration of a Queen Kourdab. This piece of paper belongs to the XI century synaxarion (Jer.24-25) in the Monastery of the Cross in Jerusalem.

Before reviewing entry №272, it is worth noting that there are more than 300 remembrance records on the pages of the 11th-17th century synaxarion in the Monastery of the Cross in Jerusalem. Among them, six records can be distinguished as a separate group, which were written in the same handwriting. They are: №10_ memory of Tomaida, former Queen Tamar; №213_ memory of Prince Giorgi Dadiani; №214_ memory of King Giorgi; №264_ memory of Okropir Kutateli and his niece Makharebeli Kutateli; №272_ memory of Queen Kourdab; №299_ Catholicos Daniel of Abkhazia and his son, Giorgi Chkondideli. Elene Metreveli united these remembrance records into one group under the title “Table XXX”, in accordance with the classification system of synaxarion remembrance records which she herself developed. Additionally, Elene Metreveli scrupulously studied the lives and works of the historical figures mentioned in the records, compiled in Table XXX, and dated six of the remembrance records in the 1390s (Metreveli 1962, 118-119, 165, 173, 176).

Below is my rendering of the agape of Queen Kourdab, based on the high resolution digital version of synaxarion in the Monastery of the Cross in Jerusalem:

“The month of July (17). /

Agape and requiem for the Queen of Queens Kourdab.

Revered was her arrival.

May those who fail to stand by the service and alter it be exposed to the wrath of God, and may those who execute the pledge be blessed.”

(Image 55 of Georgian 25. Synaxarion ; comp.: Metreveli 1962, 104, tab. 24).

There have been no accounts made about the Queen Kourdab mentioned in the remembrance record above.

Moreover, the name Kourdab itself has been misread. In particular, Elene Metreveli suggested that the name of the queen in this entry was Kourdabisi (ibid., 173, 191). A thorough observation of the remembrance record text clearly demonstrates that the name of the queen was Kourdab, whilst the attached graphemes « is » and « i » represented the genitive case and the ending added to Georgian nouns in dative, instrumental, adverbial and genitive cases respectively: “Remembrance and funeral service ...of Kourdab –is –i”.

According to my observations, the №272 entry in the synaxarion in the Monastery of the Cross in Jerusalem is of crucial importance in the identification of the woman depicted in the fourth portrait on the northern wall of Bedia Church: the Queen Kourdab mentioned in the remembrance record and the wife of Giorgi II Dadiani, Kourdab, portrayed in the mural in question, appear to have been the same person.

The above reasons are guided by two arguments:

1. The name of the spouse of Giorgi II presented in Bedia Church, her active years, and the area of work coincide with the queen mentioned in the №272 remembrance record. The accordance of the name is of special importance in this respect: as far as my knowledge goes, the female name “Kourdab” is not found in any Georgian written sources of the Medieval Ages, besides the above-mentioned remembrance record and the inscription. The concurrence of the active years and the area of work is also quite important: the Kourdab depicted in Bedia Cathedral, according to the chronological order of the active years of her spouse, Giorgi II Dadiani, lived in Western Georgia in the late 14th century. As rightly stated in the observation of Elene Metreveli, the six entries united in Table XXX in the synaxarion in the Monastery of the Cross in Jerusalem, were dedicated to the “celebrated figures of secular and religious society” of the late 14th century. (ibid., 119).

2. In Table XXX of the remembrance records in the synaxarion in the Monastery of the Cross in Jerusalem, the remembrance records of Prince Giorgi Dadiani, i.e. Giorgi II Dadiani, and Tomaida (former Queen Tamar), one of the spouses of Giorgi II Dadiani, are also united. Furthermore, the following

circumstance is especially thought-provoking: the texts of the memories of Kourdab, Tamar and Giorgi II, in contrast to the texts of the other three entries compiled in the table, are virtually identical in terms of structure and vocabulary; which, in turn, must be explained by these three remembrance records having been written by the same person, in the same period, for the members of the same family.

Thus, taking all these facts into consideration, I presume it can finally be determined that the spouse of the Prince of Odishi, Giorgi II Dadiani, Queen Kourdab, is depicted in the fourth portrait on the northern wall in Bedia Church. To this day, no further information has been found regarding Queen Kourdab.

Finally, I would like to mention that a number of interesting questions automatically arise after the identification of the woman depicted in the fourth portrait on the northern wall of Bedia Church. The following are four principal questions related only to Queen Kourdab:

1. Which spouse of Giorgi II Dadiani was Kourdab?
2. In what period was Kourdab the spouse of Giorgi II?
3. Were Vamek and Kakhaber Kourdab's sons?
4. Which year is Kourdab's portrait dated to?

The questions that arise here will be reviewed thoroughly in another article. I would like to answer the previous questions in advance:

1. Kourdab was the second spouse of Giorgi II Dadiani.
2. Kourdab was the spouse of Giorgi II Dadiani in the 1360-1370s.
3. Vamek and Kakhaber were the sons of Giorgi II and his first wife, Tamar.
4. The portrait of Kourdab, along with the other three portraits depicted on the northern wall of Bedia Cathedral, and with the relevant layer of the murals of the cathedral, date approximately as far back as the 1360-1370s.

References:

Arakhamia G., 2003. „Odishis saeristaovos ist'oriidan (XI saukune – XVI saukunis p'irveli nakhevari). » in *mematiane*, Tbilisi (in Georgian).

Akhaladze L., 2005. *Lap'idaruli da presk'uli tsartserebi, apkhazetis ep'igrapika, rogorc saistorio tsaro*, Vol. 1, Tbilisi (in Georgian).

Akhaladze L., 1999. *Bediis t'adzris preskuli tsartsera da dadiana mandat'urtukhutsesobis sakitkhi, saistorio dziebani*, Vol. 2, Tbilisi (in Georgian).

Akhaladze L., 2000. ... meokh ekmen saqdris amshenebels, *saist'orio dziebani*, Vol. 3, Tbilisi (in Georgian).

Batonishvili V., 1973. «Agtsera sameposa sakartvelosa. » in *kartlis tskhovreba*, Vol.

4, edited by Simon kaukhchishvili (in Georgian).

Brosset, Marie-Felicite. 1856. « Histoire de la Géorgie. » *Depuis l'Antiquité Jusqu'au XIX^e*

Siècle, II^e Partie, Histoire Moderne, I^{re} Livraison, Sankt-Petersbourg: De l'Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences.

Brosset, Marie-Felicite. 1849. « Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Exécute en 1847-1848. » *I^{re} livraison, Avec un Atlas de 18 planches lithographiées, Huitième Rapport*, Sankt-Petersbourg: Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences.

Image 55 of Georgian 25. Synaxarion Vol. II (MS 24 -Vol. I). 11th cent. 186 f. p. 38 ft. From Library of Congress: *Manuscripts in the libraries of the Greek and Armenian patriarchates in Jerusalem*. <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271072466-jo/?sp=55&r=-0.128,0.106,0.468,0.227,0>

Kalandia G., 2004. *Odishis saepiskopoebi (tsaishi, bedia, mokvi, khobi)*, Tbilisi (in Georgian).

Metreveli E., 1962. *Masalebi ierusalimis kartuli k'oloniis istoriistvis (XI-XVII saukuneebi)*, Tbilisi (in Georgian).

Schmerling R., 1957. «Bediis t'adzris mkhat'vrobis datarighebis sak'itkhistvis.» *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis moambe*, Vol. XVIII, no 4, Tbilisi (in Georgian).

Shervashidze L., 1971. *nekotorye srednevekoveye stennye rospisi na teritorii abkhazii*, Tbilisi (in Russian).

Tolmachevskaya N., 1931. *freski drevnej gruzii*, Tiflis (in Russian).

Virsaladze T., 1957-59. *rospis bedia*, The work is being prepared for publishing by the scientists of the G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation, Dimitri Tumanishvili (†) and Marine Kenia.

აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა

(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული
საისტორიო დოკუმენტების მიხედვით)

თეა ქართველიშვილი

კ. კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილების
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

აფხაზეთის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია) რეგიონიდან სხვადასხვა ტიპის ისტორიული არტეფაქტი შემოგვრჩა. დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ყველაზე უკეთ და პირვანდელი სახით მოძრავი ძეგლები გადარჩა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა თუ კვლევით დაწესებულებაშია დაცული. მათი უმრავლესობა ხელნაწერ მემკვიდრეობას წარმოადგენს და კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საკოლექციო ფონდის კუთვნილებაა. ცენტრში თავმოყრილი არტეფაქტები რამდენიმე ტიპისაა: 1. ხელნაწერი წიგნები; 2. საისტორიო დოკუმენტები; 3. საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებში დაცული წერილობითი (სამეცნიერო ნაშრომები, მოგზაურთა აღწერილობები, ფოლკლორული ჩანაწერები და ა.შ.) თუ ფოტომასალა აფხაზეთის შესახებ; 4. კარტოგრაფიული ნიმუშები.

საისტორიო დოკუმენტებიდან მნიშვნელოვანია, როგორც აფხაზეთში შექმნილი საბუთები, ასევე აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები.

მოხსენებაში განხილულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Ad, Hd, Sd და Qd კოლექციებში დაცული მასალა. საისტორიო საბუთებს შორის დედნებთან ერთად არის პირებიც. გვაქვს როგორც იურიდიული, ასევე არაიურიდიული შინაარსის დოკუმენტები.¹

აფხაზეთის ხელნაწერ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია აფხაზეთის საკათალიკოსო საბუთებს (XVI-XVII სს.). მართალია, ეს დოკუმენტები დიდწილად მთელ დასავლეთ საქართველოს ეხება, ვინაიდან აფხაზეთის საკათალიკოსო სრულად მოიცავდა დასა-

¹ ხელნაწერი წიგნების მინაწერ ისტორიულ საბუთებს მეტ-ნაკლებად შეეხებოდა სტატიაში: ქართველიშვილი 2014, 212-225.

ვლეთ საქართველოს, მაგრამ მათში სხვა სამეფო-სამთავროებთან ერთად, აფხაზეთის რეგიონზეც, როგორც საკათალიკოსოს შემადგენელ ნაწილზე არის საუბარი. ამასთან, თავად დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იწოდებოდა აფხაზეთა კათალიკოს-პატრიარქად (ქორიძე 2006, 180-200). ტერმინი ჩამოყალიბდა ადრე შუა საუკუნეებში, როდესაც აფხაზეთი მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ამიტომაც ამ მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მეფეთა, ასევე კათალიკოს-პატრიარქთა ტიტულატურაში. საგულისხმოა, რომ გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც კათალიკოსის ტიტულატურაში ტომობრივ-ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინები შევიდა აფხაზეთა კათალიკოსები დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეს მოიხსენიებენ თავიანთ ტიტულში და მათ შორის აფხაზეთსაც. მაგ. ბესარიონ კათალიკოსი საკუთარ თავს უწოდებს „ლიხთ-ამერთ, ოდიშართა, სვანთა, ოვსთა, დუალთ, პონტ, აფხაზ, გურიათა, რაჭა-ლეჩხუმთ საჭეთმპყრობელმან რაჭის ერისთავის ძემან კ(ათალიკო)ზ პატრიარხმან ბატონმან ბესარიონ“ (ხეც, Ad-2251 ne 73 v). მაშასადამე, ტერმინი „აფხაზეთი“, როგორც გაქვეავებული ფორმა საისტორიო წყაროებში გვხვდება მთლიანი დასავლეთ საქართველოს და ასევე, კონკრეტულად აფხაზეთის რეგიონის აღსანიშნავად.

აფხაზეთის საკათალიკოსოს საბუთებიდან, მნიშვნელოვანია „მცნებაჲ სასჯულოჲ“. ამ დოკუმენტის დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (სეა)1448-5020, კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც) კი მისი პირია (Sd-2890) დაცული. საბუთი ოფიციალურად ამტკიცებს დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მცხეთის საკათალიკოსოსგან დამოუკიდებელ საეკლესიო ორგანიზაციად გაფორმებას. დასავლეთ საქართველოში ჩასული ანტიოქიის პატრიარქი მიხეილი კათალიკოსად სვამს ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოს იოაკიმეს. ვინაიდან აფხაზეთის საკათალიკოსო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, ამიტომ საბუთის ტექსტში გამოყენებულ

ტერმინ „აფხაზეთი“-ს მნიშვნელობასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. თუმცა ამ ტერმინის შინაარსი ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე უნდა განვმარტოთ. როდესაც მიხეილი საუბრობს, რომ მან დასვა კათალიკოსი აფხაზეთში, ცხადია, კონკრეტულად აფხაზეთის რეგიონი იგულისხმება: „აფხაზეთისა კათალიკოსი :... დავაყენეთ და დავსუით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 2014, 187:41-43). ანდრია მოციქულის საყდარს ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრას უწოდებდნენ¹, შემდეგ უკვე განმარტებულია, რისი კათალიკოსია იოვაკიმე „ყოველთა ქრისტიანეთა, ლიხთამერისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 2014, 187:43-46). ცხადია, აქაც გეოგრაფიული აფხაზეთი იგულისხმება. კონკრეტულად ამ პასაჟს მოსდევს შემდეგი შინაარსის ტექსტი: „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 2014, 187:51-52). აქ კი უკვე აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საუბარი ისევ აფხაზეთის რეგიონზე გრძელდება, ნაწილი (პაპასკირი 2016: 399-400) კი თვლის, რომ მთელი დასავლეთ საქართველო უნდა იგულისხმებოდეს (გასვიანი 2005: 112), ვინაიდან აფხაზეთის საკათალიკოსო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და ანტიოქელი პატრიარქის გაჩენილი მცნებებიც მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ანუ იოაკიმეს სამწყსოს მი-

¹ ვინაიდან ანდრია მოციქულმა იქადაგა ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთა კათალიკოს-პატრიარქი მის მიერ დაარსებულ საყდარზე მჯდომარედ ითვლება. ამიტომ დოკუმენტებში ხშირად იხსენიება ანდრია პირველწოდებული, როგორც ქვეყნის განმანათლებელი, თუმცა გარკვეულ საბუთებში მისი მოღვაწეობის შესახებ ცნობები დამახინჯებულადაა გადმოცემული. საინტერესოა, რომ ლომკაც ჩიჯავაძის მეუღლის ანიკა აბაშიძის საბუთში, საუბარია ანდრია მოციქულის მოწამებრივ ღვაწლზე და მის დაკრძალვაზე აფხაზეთში (ხეც, Ad-2251). ცხადია, საბუთის შემდგენელს ანდრია პირველწოდებული ერეკლე სვიმონ კანანელში.

ემართებოდა. კონტექსტის სრულყოფილად ჩვენებისთვის მოვიყვანთ ვრცელ ციტატას: „დავაყენეთ და დავსუით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისაჲთა, ყოველთა ქრისტიანეთა, ლიხთამერისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა ყოველთა ურჩთა და ღმრთისა არანებისყოფელად მყოფთათჳს მომაქცეველად ვაკურთხეთ. და ურჩქმნილ იყუნეს ყოველნი და ვითა სათნოებანი უგულუბელს ეყვინეს ებისკოპოზთა და მოძღუართა, მღვდელთა და დიაკონთა, ბერთა და ერთა, დიდად ეშრომა მას, მარჯუენასა იერუსალემისასა, კაცსა ღმრთისასა, იოვაკიმს, და აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 2014, 187:47-52). ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, ტექსტის მეორე ნაწილში, აფხაზეთში მთელი დასავლეთ საქართველო მოიაზრება. „მცნებაი სასჯულოთი“ დაკანონებული მცნებები კი აფხაზეთშიც ისევე ვრცელდებოდა, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ აფხაზეთი, ლიხთიმერეთთან, გურიასა და ოდიშთან ერთად აფხაზეთა კათალიკოსის სამწყსოში შედის, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება „ლიხთა ამერისა, ჭოროხსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭვინტისა სამზღუარი მიანევს“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 2014, 187:64-67).

„ბიჭვინტის იადგარი“ აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრებს შორის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მისი პირია დაცული Ad-2218, ხოლო დედანი ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში 1448-5033. „ბიჭვინტის იადგარი“ წარმოადგენდა საკათალიკოსოსთვის სხვადასხვა პერიოდში, შეწირული საბუთების დამონტაჟებულ კოლაჟს. იადგარის შედგენის დროს საკათალიკოსოს ცენტრი უკვე გელათში იყო გადანაცვლებული და მისთვის ბოძებული შეწირულებაც, ძირითადად მიემართებოდა არა საკუთრივ ბიჭვინტის ტაძარს, არამედ ბიჭვინტის ღვთისმშობელს, რომლის ხატიც გელათის წმ. გიორგი ეკლესიაში იყო დაბრძანებული., თუმცა ია-

დგარი შეიცავდა იმ პერიოდის საბუთებს, როდესაც საკათალიკოსოს ცენტრი ჯერ კიდევ ბიჭვინტაში იყო და წყალობა გაიცემოდა საკუთრივ, ბიჭვინტის საყდრისადმი. პირველ რიგში, ამ საბუთთა შორისაა „სასისხლო სიგელი ბიჭვინტის საყდრისა გაცემული ბაგრატ III-ის მიერ“ (ხეც, Ad-2218 3r; არახამია 2009, 25). მეფემ სასისხლო პრივილეგიები მიანიჭა ბიჭვინტის საყდრის მოხელეებსა და ყმებს. „ბიჭვინტის საყდარში“ კონკრეტულად ბიჭვინტის ეკლესია¹ და კათალიკოსის აპარატი იგულისხმება. რიგით საკათალიკოსო ყმებთან შედარებით, პრივილეგირებულნი იყვნენ ბიჭვინტის საყდრის გარშემო სოფლებში მოსახლე გლეხები: „და ვინცა ბიჭვინტისა გარშემო სოფელი და გლეხნი, სითგან ზარის ჳმაჲ ისმოდეს, გატეხოს, ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტეხოს, ექუსასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაეურვოს“ (არახამია 2009, 71:153-156). „ვინცა კათალიკოზის უკითხავად ბიჭვინტის წყალი ინადიროს მოსადებლითა, ოცი ათასი

¹ ბიჭვინტის ტაძარს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ აფხაზი მთავრები, შარვაშიძეები. სოლომონ შარვაშიძემ ბიჭვინტის სახარებისთვის (H-2120) მოაჭედინა ყდა და შესაბამისი წარწერა გაუკეთა: „...ქ. პატიოსანო დიდო ბიჭვინტისა მღთის მშობელო თქვენ შევაედრეთ და შეწვენითა თქვენითა მე<თ>[ფ]ესა და დადიანს წინ გავიმარჯვეთ გურიელსა და ლიპარი დადიანსა და ამისთვინ მოვაჭედინეთ ეს პატიოსანი სახარება ... ესე პატიოსანი სახ[ა]რება მოვაჭედინეთ ჩუენ შარვაშიძემა სოლომ[ო]ნ და ძემ[ა]ნ ჩუენმა აზრ-ყ[ა]ნ, თქვენდა სადიდებლ[ა]დ და ჩუენდა სადღეგრძელოდ და არზ[ა]ყანისა აღსაზრდელად...“

იმავე ხელნაწერის მინანერი დოკუმენტის თანახმად, საუსტან შარვაშიძემ ყმა-გლეხები შეწირა ბიჭვინტის საყდარს: „... ბიჭუტისა მღთისმშობელო, ჩუენ შარვაშიძემ[ა]ნ საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესანიარავი – ერთი გოგო ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლ[ა]დ და სავარების აღსაზრდელ[ა]თ... შარვაშიძემა საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შემოსანიარავი გაიქინდი ხუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა სადღეგრძელოდ და გას[ა]მარჯვებლ[ა]დ და ძისა ჩუენისა ს[ა]ვარების აღსაზრდელ[ა]დ“. საუსტან შარვაშიძე 1650-1670 წწ., ხოლო სორეს შარვაშიძე 1660-1680 წწ. განაგებდნენ აფხაზეთს. შესაბამისად, მინანერიც XVII ს-ის 50-60-იან წლებს უნდა დაუკავშიროთ. ბიჭვინტის ოთხთავი და მასზე დართული შარვაშიძეთა საბუთები, ცხადია, ქართულადაა შესრულებული

თეთრი საყდარსა დაეურვოს“ (ხეც. Ad-2218 3v; არახამია 2009, 71:175-176). დოკუმენტიდან მოტანილი მუხლები ცხადყოფენ, რომ სასისხლო პრივილეგიების მინიჭებისას კათალიკოსი ჯერ კიდევ ბიჭვინთაში მჯდარა. ნიშანდობლივია, რომ ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატ III-ის მმართველობის პირველ პერიოდში, საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში გადატანამდე, რაც დაახ. 1556 წლის შემდეგ მოხდა. ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ბაგრატი თავისი მეფობის მეორე ნახევარში სასისხლო საბუთებს აღარ გასცემდა (ქართველიშვილი 2019, 252-253, 266).

იადგარში ასახულია საკათალიკოსოს კუთვნილი მამულები მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. მათ შორის, საკათალიკოსო მამულებს ფლობდა აფხაზეთშიც: **რაბინა** (ახლნდ. რაფინა, გაგრის მუნიციპალიტეტში, ლიძავას თემში), **ნაჟანეო/ნაჟანეული** (დღევანდელი ოტობაია, გალის მუნიციპალიტეტი), **წამხარი** (დღევანდელი თავილონი, გალის მუნიციპალიტეტი), **ხიორი** (ოტობაია, თავილონთან, გალი), **სუბეში** (აჩიგვარასთან, გალი), **მუხური** (სუბეშა და აჩიგვარასთან, გალი), **ტყაურუ** (მდ. კოდორთან, ნავსადგური ისკურია), **მარმარისკარი** (მარმარ-აბაა, ოჩამჩირეს მუნიციპალიტეტი, აძიუბუას თემი) **არუხა და აითარნე** (ბიჭვინთასთან ახლოს, ლოკალიზაცია ვერ ხერხდება) (ხეც. Ad-2218 2v; არახამია 2009: 16-17).

მომდევნო პერიოდის საბუთებით ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ საკათალიკოსო მამულების გეოგრაფია როგორ იცვლებოდა აფხაზეთში. „ბიჭვინთის იადგარის“ ძირითად ტექსტს დართული აქვს მოგვიანო პერიოდის საბუთები, რომლებიც ამ მხრივ მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევენ.

მალაქია კათალიკოსის (1616-1639) მმართველობისას მოწესრიგდა საკათალიკოსოს მეურნეობა და გაიზარდა ყმა-მამულის რაოდენობა. საკუთრივ აფხაზეთში საკათალიკოსო ფლობდა მამულებს: **ხაუჟელში** (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, სოფ. თხინასა და ოტაფს შორის), **თილითში**, (თილითის სოფელი დღეს აღარ არსებობს. ესაა დღევანდელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. აბააჟევახუ), **წყალიგზაში (წყალიძგა), გულ-**

ველისკარში, ლალიძგაში, ილორში, ხიორში, სუბეშსა და ნაჟანაურში (სეა. 1448-5033; ქართული სამართლის ძეგლები 1970, 500-501).

აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის ლალიძგისა და წყალიძგის შეწირულობაზე საუბრია საბუთში Hd-11226 (ხეც, Hd-11226; თაყაიშვილი 1899, 63), რომელიც ნაკლული და უთარილოა. ტექსტის მიხედვით, ლალიძგის სასახლე და რიონის პირას მდებარე წყალიძგა უკვე საკათალიკოსოს კუთვნილებაა, ამასთან ტექსტში მოყვანილია მანამდე არსებული სიგელის შესახებ მტკიცებულება: „ქ. ბატონისაგან ლალიძგა სასახლე და ზემოდ რიონის პირი წყალიძგა ბიჭვინთისა ღ(მრ) თისმშობლის საკათალიკოზოდ შეწირული რომ არის და **იმის სიგელში ასრე სწერია...**“, ან „...საალაპო ვის მართებს ყველა სიგელშიდან დამინერია“ (ხეც, Hd-11226). ეს დამონებული სიგელი არის 1628 წელს ლევან დადიანის შეწირულება ბიჭვინთისადმი, სადაც ლალიძგას და წყალიძგას ლევან II დადიანი და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი საკანონოდ წირავენ მალაქია კათალიკოსს, ამასთანავე, იჩენენ აღაპს „შემოგვინირავს ლალიძგას ძველი ჩუენი სასახლე მისის კარისა ეკკლესიითა, მოსახლე კაცი... ამასთანავე შეგვინირავს სასახლე წყალიძგან...“ (ხეც, Ad-2251-კე ფ. 42 r-43 r; კაკაბაძე 1921, 39-47).

XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან საეკლესიო საბუთების შინაარსი იცვლება და ძირითადად, კათალიკოსთა ძალისხმევა მიმართულია არა აფხაზეთში მოსახლე საკათალიკოსო ყმა-მამულის გამრავლებაზე, არამედ შენარჩუნებაზე. კათალიკოსები ყოველმხრივ ცდილობენ, რომ ადგილობრივი მთავრების დახმარებით მიიღონ გარანტია საკათალიკოსო ყმების დაცვისა და გაუყიდაობის შესახებ. ცხადია, ამას თავისი პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა, რომელიც XVII საუკუნეზე გაცილებით ადრე იყო დაწყებული. აფხაზეთის ტერიტორიაზე, რელიგიური და პოლიტიკური ვითარების ცვლილება უკავშირდება ე.წ. „მთის ჩამოწოლას“, როდესაც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი მთიელები სახლდებიან ბარში. ეს პროცესი ყოველთვის მიმდინარეობდა სახელმწიფოში, თუმცა გვიან შუა საუკუნე-

ეპი, როდესაც ერთიანი სამეფო დაშლილი იყო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მათი შერწყმა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან. პირიქით, აფხაზეთის მმართველი შარვაშიძეები ცდილობდნენ მებრძოლი მთიელი ტომების გამოყენებას ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ საბრძოლველად. მთიელი ტომების ჩამოსახლებამ აფხაზეთის რეგიონში მთლიანად შეცვალა სურათი. აფხაზეთის კათალიკოსი, რომლის კათედრაც ბიჭვინთაში მდებარეობდა იძულებული გახდა XVI საუკუნის შუა წლებში რეზიდენცია გელათში გადაეტანა (ლომი-ნაძე 1966, 231).

აფხაზეთში ჩრდილო კავკასიის მთიელი ტომების ჩამოსახლებამ განაპირობა მათი ექსპანსია ოდიშის სამთავროს მიმართულებით. აფხაზთა შემოსევებისაგან ოდიშის დაცვა სცადა ლევან II დადიანმა (1611-1657) და „აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს“ ააგო „კელასურის კედელი“, თუმცა საბოლოოდ ამან შედეგი ვერ გამოიღო. XVII საუკუნის შუა ხანებში საზღვარმა მდ. კოდორზე გადაინაცვლა. აფხაზები არბევდნენ ოდიშის პროვინციებს, იტაცებდნენ და ჰყიდნენ ხალხს.

1681 წელს, ლევან III დადიანის (1661-1680) გარდაცვალების შემდეგ, სორეხ შარვაშიძემ (1665-1684) ოდიში დალაშქრა და თავი მთავრად გამოაცხადა, თუმცა 1682 წელს იძულებული გახდა ოდიშის ტახტი დაეთმო ლევან IV დადიანისთვის (1682-1691). ოდიშის სამთავროს დასავლეთ ნაწილი მდ. ენგურამდე სორეხ შარვაშიძეს დარჩა (კვაშილაძე 2011, 42-43). მალე სორეხი თავისმა ძე ზეგნაყმა შეცვალა (1685-1700). მან ენგურის დასავლეთით მდებარე მიწები უშუალოდ შეუერთა აფხაზეთს. მდ. ლალიძგასა და ენგურს შუა ტერიტორია ანუ სამურზაყანო ერგო ზეგნაყის ძე ყვაპუ შარვაშიძეს.¹ დადიანები მარტივად არ შეგუებიან ამ ტერიტორიების დაკარგვას. 1702 წელს გიორგი

ლიპარტიან-დადიანმა იმერეთის მეფე გიორგი აბაშიძესთან ერთად მოაწყო ლაშქრობა აფხაზეთში. ამ ლაშქრობას უნდა ასახავდეს საბუთში Hd 1551g (მისი პირია Ad-2251-ლა ფ. 54 v) დაცული ცნობა. ხობის წინამძღვარი ზებედე აღნიშნავს, რომ „მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს ლაშქრად და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით, [და] ცოტა უძღებად ვიყავით და დავბრუნდით, და აქ [ხობს] მოვედით“ (ქართველიშვილი 2015, 192).

აფხაზეთ-ოდიშის ბრძოლა რამდენადმე განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებს შორის ატეხილი შინაომებისგან. მდინარე ენგურს გაღმა ტერიტორიებისათვის კონფლიქტი მიმდინარეობდა მთიდან ბარში მიგრირებულ ჩრდილო კავკასიელ ტომებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მას ტერიტორიების დაკარგვასთან ერთად, თან სდევდა ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის მოშლა (ანთელავა 1990, 123; კვაშილაძე 2011, 73; ქართველიშვილი, ქორიძე 2017, 87).

ყოველივე ამან ქაოსური მდგომარეობა შექმნა აფხაზეთში. გავრცელდა მეკობრეობა და ძარცვა-გლეჯა. განუკითხავი მასშტაბები მიიღო ტყვეებით ვაჭრობამ, რის შედეგადაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა აყრილიყო. მდ. კელასურისა და ლალიძგას შორის მდებარე ტერიტორია დაიცალა ქართული მოსახლეობისგან, ისე რომ მათი მხოლოდ 10-20% დარჩა ადგილზე (კვაშილაძე 2011: 73). საკათალიკოსო ყმების დიდი ნაწილი დაიქსაქსა, სამკვიდრო მიწიდან აიყარა ან ტყვედ გაყიდეს.

დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ცდილობდნენ გადაერჩინათ საკათალიკოსო ყმები. ამ მიზნით მღვდელმთავრები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ადგილობრივ მმართველებთან. კათალიკოს დავით ნემსაძეს სორეხ შარვაშიძისაგან დაუხსნია საკათალიკოსო ყმა ბიბია ბოლქვაძე, რომელიც აფხაზს ცოლ-შვილიანად წაეყვანა. დახსნილი ბიბია ოჯახიანად ნოჯიხევში დაუსახლებია, ხოლო მისი უფროსი შვილი 100 მარჩილად დაუხსნია თათართაგან მომდევნო კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს (ხეც,

¹ ისტორიკოსი კახა კვაშილაძე მიიჩნევს, რომ 1702 წლის ლაშქრობის შემდეგ, სამურზაყანო ოდიშის სამთავროს გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა ადგილობრივი მმართველობა დადიანს აქ არ გაუუქმებია, ამიტომ სამურზაყანო იქცა ერთგვარ „კონდომინიუმად“, შუალედურ ზოლად ოდიშისა და აფხაზთა სამთავროს შორის (კვაშილაძე 2011, 122).

Hd-4150; ხეც, Ad-2251 №3, პირი; ქართული სამართლის ძეგლები 1970, 677).

აფხაზეთში საკათალიკოსო ყმების დატაცებასა და ტყვედ გაყიდვაზე საუბარია კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ 1706 წელსა (კაკაბაძე 1921, 90-95; ქართული სამართლის ძეგლები 1970, 647) და 1712 წელს (ხეც, Hd-4150; ხეც, Ad-2251 №3, პირი; ქართული სამართლის ძეგლები 1970, 670). გაცემულ საბუთებში, სადაც გრიგოლი აღწერს თავისი წინამორბედი მღვდელმთავრის დავით ნემსაძის მმართველობისას განვითარებულ მოვლენებს. იგი აღნიშნავს, რომ კათალიკოს ნემსაძის მმართველობისას სოფელი ნაჟანევი, სადაც 60 საკათალიკოსო ყმა-გლეხი ცხოვრობდა აფხაზთაგან აყრილიყო. აფხაზთა მთავარს, ყვაპუ შარვაშიძეს (1680-1704), რომელიც განაგებდა ტერიტორიას მდ. ლალიძგადან ენგურამდე, საკათალიკოსო ყმები გაეყიდა და მხოლოდ 6 კაცი დარჩენილიყო (ხეც, Hd-4150; ხეც, Ad-2251 №3, პირი).

ყმების გადარჩენისა და დაცვის მიზნით, კათალიკოს-პატრიარქი დავით ნემსაძე აფხაზეთში ჩავიდა და ყვაპუ შარვაშიძესთან მოლაპარაკება აწარმოა. ყვაპუმ და მისმა ძმამ ქერემქიმმა „ფიცის წიგნი“ (ხეც, Hd-11206) მისცეს კათალიკოსს, საბუთი უთარილოა, ბოლოში მარჯვენა კიდე მოფლეთილია და ბოლონაკლულია, ტექსტი დაზიანებულია. ყვაპუმ და მისმა ძმამ დავით ნემსაძეს აღუთქვეს, რომ „ნაჟანაურელი და ჯირული კაცე-ბ[ი] რომელიც ახლა იყოს ის შეუცოდებლად და თქვენს უკითხავად აღარც გავყიდოთ“ (ხეც, Hd-11206.). ამასთან, საკათალიკოსო ყმებს არ დაუშლიდნენ მღვდელმთავრის ხლებას და მომსახურებას, არც საკათალიკოსო ბეგარის გადახდას და როდესაც აფხაზეთში ჩაბრძანდებოდა, პატრიარქს ყმებს ისე ამსახურებდნენ, როგორც წინამორბედ კათალიკოსებს ემსახურებოდნენ.

ყვაპუ შარვაშიძესა და მის ძე ავთანდილს პირობის წიგნი მიუცია გრიგოლ კათალიკოსისთვისაც: „ჩ(უ)ენ შარვაშიძემ ყვაპუმ და ჩ(უ)ენმა შვილმან ავთანდილ თქუჴნ, კ(ათალიკო)ზს ბატონს გრიგოლს, ასე ამა პირსა ზ(ედ)ა, რომე ჟამთა ვითარებითა ქუჴყანა

ამოწყდა, საკათალიკოზო ნაჟანური და ხო-ირული კაცები ზოგიერთი ჩ(უ)ენ მოვარჩინეთ, ახლა დაგველაპარაკეთ ბატონისშვილი ჩ(უ)ენი დისწული შუამავლობით და რომელიც ნაჟანური და ხოილური კაცები ჩ(უ)ენ გვეყაუს თავს ხატისთვის და მერმე თქუჴნ-თვის სასამსახუროდ მოგვირთმევია“ (ხეც, Ad-2251-ლ).

ყვაპუ შარვაშიძე 1704 წელს, რუხში გარდაიცვალა. გრიგოლ კათალიკოსი წავიდა, უწირა და „თავი ნიშანი“ აიღო. ნიშანდობლივია, რომ შარვაშიძეები ისევე იხდიდნენ კათალიკოსის სასარგებლოდ „თავი ნიშანის“ გადასახადს, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრები (ხეც, Ad-2251).

გრიგოლ კათალიკოსს კუთვნილი გლეხებიდან, აფხაზეთში, მხოლოდ 7 კაცი დახვდა, რომლებიც სამეგრელოში გადაიყვანა. ამასთან, ენგურს გაღმიდან კიდევ 3 კაცი წამოიყვანა (ხეც, Hd-4150; ხეც, Ad-2251 №3, პირი; ქართული სამართლის ძეგლები 1970, 670).

საინტერესოა, რომ აფხაზეთიდან ტყვედ გაყიდული გლეხები თუკი ახერხებდნენ თავის დახსნას კათალიკოსს მიმართავდნენ და მისი ყმები ხდებოდნენ, ანუ „თავშენირულ“ გლეხთა კატეგორიაში ხვდებოდნენ. მაგ: „წყალიძგას ანდრეათს ერთი გლეხი ჭკადუსუა მამიხუხუ გაყიდული სათათრითგან ჩვენთან მოვიდა. მისი ძმა ბაბუა გაყიდული ქართლიდან ვიშოვნეთ“ (ხეც, Hd-4150; ხეც, Ad-2251 №3, პირი; ქართული სამართლის ძეგლები, III, 677).

1733 წლის საბუთით გრიგოლ კათალიკოსი ეკუთვნის (ეკი აღდგენილი აქვს კავებში ი. დოლიძეს) ასახელებს ყმებს, მათ შორის შულაძე ნასხიდას, რომელიც ჯერ სათათროდან (ოსმალეთიდან) მოვიდა და შემდეგ აფხაზეთიდან მოვიყვანეთ და დავაყენეთ თავის ცოლშვილიანადო (ხეც, Ad-2251 გვ. 13 v; ქართული სამართლის ძეგლები 1370, 731). აქ უკვე ხსენებაც აღარ არის აფხაზეთის მამულებისა და აფხაზეთიდან გადმოსული მხოლოდ ეს ნასხიდა იხსენიება. საინტერესოა, რომ მოგვიანებით, სახარბედიოში ჩამოთვლილ გლეხებს შორის იხსენიება ნასხიდა შულაია (ხეც, Ad-2251

ნდ, გვ. 73; სეა 1448-1532; ქართული სამართლის ძეგლები 1970, 768).

კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მცდელობის შემდეგ, რომ აფხაზეთში მოსახლე საკათალიკოსო ყმები გადაერჩინა ტყვედ გაყიდვას და ოდიშის სამთავროში დაესახლებინა, საეკლესიო საბუთებში აფხაზეთის ყმა-მამულზე ცნობები წყდება. როგორც ჩანს, საკათალიკოსოს კუთვნილი მამულებიდან ყველაზე უკიდურესი წერტილი იყო ხორგა. მერაბ ჯაიანის ფიცისა და პირობის წიგნში, რომელსაც ს. კაკაბაძე 1742-1750 წწ. ათარილებს, აღნიშნულია, რომ საკათალიკოსო ყმა „სააფხაზოთ და ან სათათრეთ გახდეს და ხორგას იქით სადმე გაიცეს, თქვენგან და თქვენის ხატისაგან შეჩვენებული ვიყოთ“ (კაკაბაძე 1921, 162-163). ნიშანდობლივია, რომ „სააფხაზოთ“ და „სათათრეთ“ გახდომა ერთ რანგში მოიაზრება. უკვე ნათლად ჩანს, რომ ხორგას იქით აღარ არის საკათალიკოსო მამულები და აფხაზეთი უკონტროლო სივრცეა კათალიკოსისთვისაც და მთავრისთვისაც. აფხაზეთში მოხვედრილი ყმა დაკარგულია მისი სიუზერენისთვის და მას არანაირი ძალა აღარ შესწევს ყმის დასაბრუნებლად. ამასთან, ცხადია, რომ აფხაზეთში ფეოდალური ურთიერთობის მიზნით ყმის მოპოვებით არავინ იყო დაინტერესებული და მათი ერთადერთი მიზანი ამ ტყვეების გაყიდვა იყო. ტყვეებით ვაჭრობა იმდენად ორგანული იყო აფხაზეთში მოსახლეთათვის, რომ 1806 წელს, როდესაც აფხაზთა მთავარმა ქელეშ-ბეი შარვაშიძემ რუსეთის იმპერიას მფარველობაში მიღების მოთხოვნები წარუდგინა, რომელშიც ერთ-ერთ მუხლში პირდაპირ ითხოვდა: „რუსეთში აკრძალულია ტყვის სყიდვა. აფხაზებს არ უნდა აეკრძალოთ, რადგან უამისოდ არსებობა არ შეუძლიათ“ (ხორავა 2007, 210).

აფხაზეთის მთავრებმა, მართალია, მოახერხეს ოდიშის სამთავროს ტერიტორიების დაკავება და როგორც ვნახეთ XVII საუკუნის 80-იან წლებში საზღვარი მდ. ენგურზე გავიდა, მაგრამ დადიანებს ყოველთვის ჰქონდათ პრეტენზია ენგურს გაღმა დარჩენილ მიწებზე, რაც ცხადად გამოჩნდა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ოდიშის

მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1803 წელს რუსეთს „სათხოვარი პუნქტებით“ მიმართა. გრიგოლი თავს წარმოადგენდა ოდიშისა და აფხაზეთის მთავრად. სამურზაყანოს მფლობელმა შარვაშიძეებმაც თავი აღიარეს დადიანის ყმად. 1805 წელს, როდესაც ოდიშის ახალმა მთავარმა ლევან V დადიანმა რუსეთის იმპერატორს ერთგულების ფიცი დაუდო, სამურზაყანოს მფლობელი მანუჩარ და ლევან შარვაშიძეები ამ ფიცს შეუერთდნენ და თავი აღიარეს რუსეთის იმპერატორისა და ოდიშის მთავრის ყმებად: „ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი დადიანისა“ (ხორავა 2007, 208). მანუჩარ შარვაშიძეს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა სურდა ქელეშ-ბეი შარვაშიძისგან თავდასაცავად. ეს უკანასკნელი კი სამურზაყანოს ნაწილს აკონტროლებდა. აქედან გამომდინარე, მანუჩარს ოდიშის სამთავროში გაერთიანების საშუალებით შეეძლო უმოკლესი გზით დაკავშირებოდა რუსეთს. ამასთან, დაბეჯითებით მიუთითებდა, რომ სამურზაყანო იყო ოდიშის ძირძველი ტერიტორია და კანონიერ მფლობელს უნდა დაბრუნებოდა (კვაშილავა 2011, 196-197, 202). აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება ლევან V დადიანის ტიტული. აზნაურ ჩარკვიანისადმი ბოძებულ ყმის წყალობის წიგნში იგი აღნიშნავს: „... წიგნი მიბოძებია მე, ს(რულია)დ მენგრელიის და აფხაზეთის სხვათა ნაწილებთა მფლობელს და მემკვიდრეობით მპყრობელს, რუსეთისა არმიის ლერენალ ლეინტენანტს და სხვათა და სხვათა ორდენთა კავალერს, მთავარს ლეონ გრიგოლის ძეს დადიანს“ (ხეც, Hd-1389-ა) საბუთი დათარიღებული არაა, ამიტომ მის შედგენას ლევან გრიგოლის ძე დადიანის მმართველობის მიხედვით განსაზღვრავენ 1805-1840 წწ. აფხაზთა მთავრად იწოდება იგი 1823 წლის 10 დეკემბერს გიორგი გელოვანისადმი გაცემულ ნასყიდობის წიგნშიც: „ქ.წყალობით ღვთისათა, ამა წყალობის წერილს გიბოძებ მე, პატრონი ოდიშ-ლეჩხუმ-სვანთა და აფხაზთა... მთავარი დადი-

ანი ლეონი“ (ხეც, Hd-139). ლევან დადიანი თავის დამსახურებად თვლიდა აფხაზეთის შესვლას რუსეთის ქვეშევრდომობაში. 1816 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ წერილში არქიმანდრიტ გიორგისადმი ლევანი აღნიშნავს, რომ მისი ღვაწლით მოხდა „შემოყვანა საიმპერიოსა ტახტისა მონებასა ქვეშე სამთავრო აფხაზეთისა და მთავარი მისი ლალიძგიდან დაწყებით, ვიდრე ჯიქთა საზღვრამდე“ (ხეც, Ad-1508, 1v).

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ აფხაზთა მთავრების კანცელარია ქართულ ენაზე წარმოებდა (სოლომონ შარვაშიძის, საუსტან შარვაშიძის შეწირულება ბიჭვინტისადმი, ყვაპუ და ქერექიმ შარვაშიძეების, ყვაპუ და ავთანდილ შარვაშიძეების პირობის წიგნი კათალიკოსისადმი). არაიურიდიულ დოკუმენტებს, ამ შემთხვევაში პირად წერილებსაც ქართულ ენაზე წერდნენ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ალექსანდრე მანუჩარის ძე შარვაშიძის წერილი ლევან V დადიანისადმი (ხეც, Qd- 6819). წერილი 1829 წლის 16 იანვარსაა დაწერილი. ალექსანდრე შარვაშიძე ლევან დადიანის დისშვილი იყო. მანუჩარს ცოლად ჰყავდა ლევან დადიანის და ქეთევანი. სამურზაყანოელი თავადები ლევან V-ს არ ემორჩილებოდნენ, მათ შორის ალექსანდრე შარვაშიძეც, რომელსაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ხშირი არეულობების მოწყობით, სისტემატიური თავდასხმებით, რუსეთის ხელისუფლების თვალში დადიანის ავტორიტეტს დააკნინებდნენ და რუსეთის იმპერიას აიძულებდნენ წესრიგის დამყარების მიზნით სამურზაყანო ჩამოერთმიათ დადიანისთვის (კვაშილავა 2011, 267). ლევან დადიანი არაერთ წერილში აღწერს აფხაზეთში შექმნილ კრიმინალურ ვითარებას და რუსეთის ხელისუფალთ მიმართავს თხოვნით, რომ დახმარებოდნენ მდგომარეობის მონესრიგებაში (Hd-10595;¹Ad-2232²;

Ad-2229³) ლევანმა შეძლო აჯანყებულების დამარცხება, ხოლო თავისი დისშვილი ალექსანდრე ციმბირში გადაასახლდებინა. თუმცა ალექსანდრე გზაში გარდაიცვალა. აღნიშნული წერილი მან გადასახლებამდე მიწერა ლევანს, რომელშიც გულმდულარედ ითხოვს დანაშაულს: „... ვითარცა უძლები შვილი მოქცეული სინანულად ვჰხმობ თქუწნდა მომართ, ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არა ვარ მე ღირს წოდებად დისწულად შენდა... ბიძაო ჩემო, უკანასკნელსა ანბავსა ჩემსა იუწყებთ ნეტარ არს ესე ჩემ მიერ მორთმეული წერილი, რამეთუ პირსა თქუწნსა იხილავს, და მე პირსა თქუწნსა ველარა ვიხილავ. რამეთუ წარმგზავნეს მე ქუწყანასა მას ციმბირისასა იანვრის ივს. ვაჲ ჩემდა, რამეთუ საკუთარის დისა თქუწნისა ნაშობი შევიქმენ სიცოცხლესავე ჩემსა, მოყუასთაგან საგლოველ, ხოლო მტერთაგან საკიცხუწლ“ (Qd- 6819, 1 r-v.) ხელს აწერს ალექსანდრე შარვაშიძე მანუჩარის ძე.

ქართულად წერდნენ წერილებს აფხაზი მთავრებიც და თავადებიც. მნიშვნელოვანია, გიორგი შარვაშიძის წერილი გენერალ-მაიორ ალექსანდრე ველიამინოვისადმი (Hd-10597) 1820 წლის 10 ივლისი. საბუთში გიორგი შარვაშიძე სამურზაყანოს ტერიტორიას ოდიშის სამთავროს კუთვნილებად მიიჩნევს. იგი ხელს აწერს ქართულად და ოსმალურადაც. მისი ხელრთვა საბუთის ტექსტის ხელითაა შესრულებული. საფიქრებელია, რომ ხელი მის ნაცვლად საბუთის დამწერმა მდივან-მწიგნობარმა მოაწერა, ვინაიდან ცნობილია, რომ ქართული კარგად არ იცოდა და მხოლოდ აფხაზურ ენას ფლობდა (კვაშილავა 2011, 228; გიორგი ავალიშვილი 1967, 29-30). რაც შეეხება ოსმალურ ხელრთვას, მისი ხელით უნდა იყოს შესრულებული. ეს ფაქტი, კარგად ახასიათებს აფხაზეთში შექმნილ ვითარებას – აფხაზეთის მთავარმა არ იცის ქართულად წერა-კითხვა, მან მხოლოდ ოსმალური იცის და ეს უკვე ხსნის მისი ქართულის არცოდნის მიზეზს. ოსმალეთი-სიმპერიის ძლიერი გავლენისა და მათი ბატონობის შედეგი იყო ამ კუთხის მმართვე-

¹ ლევან დადიანის წერილი „მისს მაღალ უაღმატებულესობას, მოწყალე ხელმწიფეს ალექსეი პეტროვიჩს“, 1806 წლის 26 ოქტომბერი (ხეც, Hd-10595).

² სამურზაყანოსა აფხაზთა შინა მთავრისა მიერ დადიანისა ლეონისა დადგინება ახლად კეთილ მდგომარეობითა საქმეთა მათთა, 1811 წელი, (ხეც, Ad-2232).

³ ლევან დადიანის წერილი „მისს მაღალ აღმატებულებას ნიკოლა ფეოდორიჩს მოწყალე ხელმწიფეს“, 1814 3 ოქტომბერი, (ხეც, Ad-2229)

ლების ისლამიზაცია და გარკვეულწილად მათი მოწყვეტა ქართული სამყაროსგან, თუმცა იმდენად ძლიერია აფხაზ მთავრებში ქართული ცნობიერება, რომ მიუხედავად ენის არცოდნისა, მაინც ქართულად აწარმოებდა ოფციალურ მიმოწერას.

საინტერესოა, სამურზაყანოს მფლობელ ლევან შარვაშიძის წერილი უცნობი პირისადმი, რომელიც ყულევიდან არის გაგზავნილი 1809 წლის 4 თებერვალს (Qd-981a). საბუთი ნაკლულია. სავარაუდოდ, ნაწერი იყო არათანაბრად გაკეცილ ფურცელზე და მარცხენა ნაკეცი მთელ სიგრძეზე აქვს მოხეული, რის გამოც ტექსტი დაზიანებულია, შინაარსი გაურკვეველი და ბუნდოვანი. საბუთს არ ახლავს ხელრთვა და მტკიცებითი ნაწილი საბუთის ხელითვეა დაწერილი, თუმცა ახსნილია მიზეზიც: „ქ. აფხაზის თავადი ლევან შარაშიძე, მე წიგნი არ ვიცოდი და ჩემი ბეჭედი მიახლებია“ წერილს მართლაც აქვს ბეჭედი, რომელიც როგორც ჩანს მარცხნივ ჰქონდა დატანილი წერილს და ერთი ნაკეცის მოხვევის შემდეგ ნახევარია დატოვებული. ბეჭდის ლეგენდა სამსტრიქონიანი უნდა ყოფილიყო. ზედა სტრიქონზე არაფერი ჩანს, მეორე სტრიქონზე მხოლოდ გრაფემები „ში“ მოჩანს, ხოლო ქვედა სტრიქონზე კი გარკვევით იკითხება „ლევან“. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური ბეჭდით არის დამტკიცებული ლევან შარვაშიძის სხვა საბუთი, რომელიც დაცულია ზუგდიდის მუზეუმში (ზუგდიდის მუზეუმი, ძველი საბუთების ფონდი №7). საბუთის შესახებ კვლევა და ბეჭდის ფოტო გამოქვეყნებული აქვს ისტორიკოს აბესალომ ტულუშს (ტულუში 1996, 5). ზუგდიდის მუზეუმში დაცულ საბუთს დაუზიანებლად აქვს შემორჩენილი ლევან შარვაშიძის ბეჭედი და ლეგენდაც გარკვევით იკითხება: „მ(ო)ნ(ა) ლ(მრთი)სა| შარვაშიძე ლევან“.

მართალია, აფხაზმა თავადმა ქართულად წერა არ იცის, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი საკომუნიკაციო ენა და ასევე საკანცელარიო ენა არის ქართული. წერილი კერძო ხასიათის ჩანს, მაგრამ თავადი პირად წერილსაც ქართულად წერს (ენაც და დამწერლობაც ქართულია) და რაც მთავარია, ლეგალიზაციასაც ქართულ ენაზე შესრულებული პირადი

ბეჭდით ახდენს. ბეჭდის, როგორც მისი ძალაუფლების სიმბოლოს ქართულ ენაზე არსებობა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აფხაზეთი ქართული სახელმწიფოს ნაწილი იყო.

ქართულ ენაზეა შესრულებული ერისთოუ ანჩაბაძის წერილიც დავით გელოვანისადმი (Qd-1130). დაწერილია 1807 წელს (ჩყზ). ერისთოუ არის თავადი და გახლავთ უჩანა¹ ანჩაბაძის ვაჟი. წერილის ადრესატი დავით გელოვანი კი მისი სიმამრია. წერილს თავად ეროსთოუ აწერს ხელს.

აფხაზეთის საისტორიო საბუთები, გარდა იმისა, რომ იწერებოდა ქართულად, მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით, სტრუქტურულად გამართულია ქართულ დიპლომატიკაში მიღებული სტანდარტის მიხედვით. აქტებში ასახულია ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საქართველოს სამეფო-სამთავროებში მოქმედებდა. აფხაზეთში მოსახლე საკათალიკოსო ყმების ვალდებულება სიუზერენის მიმართ იგივე იყო, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში მოსახლე ყმებისა. მოქმედებდა ერთიანი საგადასახადო სისტემა, რომელიც აფხაზეთის მთავრებსაც და გლეხებსაც ერთნაირად ეხებოდა.

შემორჩენილი მასალა ცხადყოფს, რომ აფხაზეთის მთავრის კანცელარია და აფხაზი თავადები ქართულ ენაზე აწარმოებდნენ დოკუმენტებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აფხაზეთი კულტურულთან ერთად პოლიტიკურადაც ქართული სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი გ., 1967. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე მეტრეველმა. თბილისი: მეცნიერება.

ანთელავა ი., 1990. ლევან II დადიანი, თბილისი: მერანი.

არახამია გ., 2009. «ბიჭვინტის იადგარი», თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

¹ სახელები ერისთოუ და უჩანა ქართული ძირიდან: „ერისთავი“ და მეგრული „უჩა“, არის წარმომდგარო.

გასვანი გ., 2005. «მცნებაი სასჯულოი» ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობასა და აფხაზეთის ცნებაზე, მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, თბილისი.

თაყაიშვილი ე., 1899. საქართველოს სიძველენი, ტ. I ტფილისი: სტამბა წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

კაკაბაძე ს., 1921. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა.

კვაშილავა კ., 2011. ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, თბილისი: მერიდიანი.

ლომინაძე ბ., 1966. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი: მეცნიერება.

პაპასკირი ზ., 2016. აფხაზეთა ქრისტიანული მენტალობის საკითხისათვის, კრ. საქართველო ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, თბილისი, მერიდიანი.

ტულუში ა., 1996, №3, 26.VIII-2.IX.შარვაშიძეთა ეთნიკური ვინაობის შესახებ, გაზეთი საქართველო.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი.2014. ტ. III, რედაქტორი მზია სურგულაძე, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა.

ქართული სამართლის ძეგლები.1970. ტ. III, ტექსტები გამოსცა, საძიებლები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი: მეცნიერება.

ქართველიშვილი თ., 2014. აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების მიხედვით), გივი წულაია ჯ 80. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

ქართველიშვილი თ., 2015/16. ხობის მონასტრის ისტორიული საბუთები, ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII, თბილისი: უნივერსალი.

ქართველიშვილი თ., 2019. სასისხლო პრივილეგიების პოლიტიკური არსი იმერთა მეფე ბაგრატ III-ის ზეობისას, მრავალთავი,

26, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა.

ქართველიშვილი თ., ქორიძე თ., 2017. ეთნიკური ცვლილებები აფხაზეთში და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსები (XVII-XVIII სს.), **საქართველოს უნივერსიტეტის IX ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.**

ქორიძე თ., 2006. აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულატურა, შოთა მესხია 90, თბილისი: ნეკერი.

ხორავა ბ., 2007. აფხაზეთი XVIII ს. მიწურულსა და XIX. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის «მფარველობაში», წგ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი, თბილისი: ინტელექტი.

ხეც, Ad-1508

ხეც, Ad-2218

ხეც, Ad-2229

ხეც, Ad-2232

ხეც, Ad-2251გ

ხეც, Ad-2251 ნდ

ხეც, Ad-2251 ნე

ხეც, Ad-2251-კე

ხეც, Ad-2251 №3

ხეც, Ad-2251-ლ

ხეც, Hd-4150

ხეც, Hd-1389-ა.

ხეც, Hd-1396

ხეც, Ad-2229

ხეც, Hd-11206

ხეც, Hd-11226

ხეც, Hd-10595

ხეც, Qd- 6819

სეა 1448-1532

სეა 1448-5033

Manuscript Heritage of Abkhazia

(According to the historical documents preserved in the K. Kekelidze National Center of Georgian Manuscripts)

Tea Kartvelishvili

*K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts
Department of Source Studies and Diplomacy
Senior Researcher*

There are various historical artefacts from the region of Abkhazia (the territory of the Autonomous Republic of Abkhazia) that have endured to this day. Due to the current political climate, movable monuments are the most well preserved, and consequently, are kept in numerous museums and research institutions throughout Georgia. Of the latter, most constitute manuscript heritage and belong to the collection fund of the K. Kekelidze Institute of Manuscripts. There are several types of artefacts collected in the center: 1. Manuscript books; 2. Historical documents; 3. Hand-written personal archives of public figures (scientific papers, traveler descriptions, folklore records, etc.) or photographs capturing Abkhazia; and 4. Cartographic samples.

From the historical documents, those created in Abkhazia and those containing information regarding Abkhazia are vital.

This report discusses the material preserved in the Ad, Hd, Sd and Qd collections of the National Center

of Manuscripts. Among the historical documents are both original documents and copies, and both legal and non-legal documents.¹

The Catholicate documents of Abkhazia (16th-17th centuries) play an essential part of the manuscript heritage of Abkhazia. As the Catholicate of Abkhazia covered western Georgia, these documents fully apply to the latter. However, alongside other kingdoms, these documents refer to the region of Abkhazia as an integral part of the Catholicate. It should further be noted that the Catholicos-Patriarch of Western Georgia was titled the Catholicos-Patriarch of Abkhazia (Koridze 2006, 180-200).

The term originated in the early Middle Ages, when the word Abkhazia meant the whole of western Georgia. Consequently, the same meaning was used with regards to the titles of both kings and Catholicos-Patriarchs.

It is noteworthy that in the late Middle Ages,

¹ We have more or less touched upon the historical documents of the manuscript books in the article: Kartvelishvili 2014, 212-225.

when terms referring to tribal-ethnicity were included in the title of Catholicos, Abkhazian Catholicos referred to all parts of western Georgia among their titles, including Abkhazia.

For instance, Catholicos Besarion calls himself “Licht-Amer, Odisharts, Svans, Ovs, Dualts, Ponts, Abkhazians, Gurians, Racha-Lechkhumis, the ruler of Racha Eristavi Catholicos-Patriarch Mr. Besarion” (NCM., Ad-2251 ne, 73 v). Therefore, the term “Abkhazia”, as a fossilized form, is found in historical sources to refer to the whole of western Georgia, as well as specifically to the region of Abkhazia.

Among the documents of the Catholicosate of Abkhazia, “Mtsnebai sasjuloi”, quite a meaningful sample can be found. The original of this document is preserved in the National Archives of Georgia (NAG) 1448-5020, while the copy (Sd-2890) is preserved in the Georgian National Center of Manuscripts (NCM). The document officially approves the formation of the Catholicate of Western Georgia or Abkhazia as an independent ecclesiastical organization from the Mtskheta Catholicate. Patriarch of Antioch Michael, who arrived in western Georgia, ordained Archbishop Joachim of Tsaishel-Bediel as a Catholicos. Since the Catholicate of Abkhazia covered the whole of western Georgia, the term used in the text of the document is a matter of discussion among scholars. However, the meaning of the term “Abkhazia” should be interpreted through the context of the text. When Mikheil describes the appointment of a Catholicos in Abkhazia, he specifically refers to the region of Abkhazia: “The Catholicos of Abkhazia was appointed at the Church of Andria Apostle” (Corpus of Georgian Historical Documents 2014, 187: 41-43). The Cathedral of the Apostle Andrew was called the Catholicate Cathedral of Bichvinta.¹ As it was later elaborated, Catholicos Joachim is

¹ Since the Apostle Andrew preached Christianity in western Georgia, the Catholicos-Patriarch of Abkhazia is considered to be sitting on the throne he founded. That is why the documents often mention Andrew the First-Called as the educator of the country, although in some documents the information about his activity is distorted. Interestingly, the document of Lomkats Chijavadze’s wife Anika Abashidze also speaks about the martyrdom of the Apostle Andrew and his burial in Abkhazia (also NCM, Ad-2251). Clearly, the compiler of the document, Andrew the First-Called, intervenes in Svimon Kananel.

the Catholicos of all Christians, Likhtamer, Odisha, Guria and Abkhazia (Corpus of Georgian Historical Documents 2014, 187: 43-46). Clearly, here, too, the term “Abkhazia” refers to the geographical Abkhazia. This passage is followed by the subsequent text: “Abkhazia was completely distanced from Christianity, distinct from the commandments of Christ” (Corpus of Georgian Historical Documents 2014, 187: 51-52).

Here lie a difference of opinions: Some scholars believe that the text refers to the region of Abkhazia (Papaskiri 2016, 399-400), while others conclude that the whole of western Georgia is insinuated (Gasviani 2005, 112). Since the Catholicate of Abkhazia included the whole of western Georgia and the orders of the Patriarch of Antioch extended to the entirety of western Georgia, in other words, the flock of Joachim. For the entirety of the context, we shall quote the following passage: “We have informed and settled Apostle Andrew on the chair in Abkhazia of all Christians, for conducting the people of Likhtamer, Odisha, Guria and all the disobedient and ungodly people of Abkhazia. And all were disobedient, and as if virtues were neglected by bishops and pastors, priests and deacons, monks and peoples, the mand of God and the right hand of Jerusalem Joachim worked hard for the whole of Christianity” (Corpus of Georgian Historical Documents 2014, 187: 47-52).

We believe that in the second part of the text, where referring to Abkhazia, the whole of western Georgia is insinuated. According to “Mtsnebai sasjuloi”, commandments expanded to Abkhazia, as well as other parts of western Georgia. The document explicitly states that Abkhazia, together with Likhtimereti, Guria and Odisha, is part of the Abkhazian Catholicos flock and that its jurisdiction promulgates to “Likhta Ameri, Chorokhi, alongside the sea of Ponto, the border of which expands to Bichvinta” (Corpus of Georgian Historical Documents 2014, 187: 64-66.).

Amongst the books of Catholicos of Abkhazia, “Yadgar of Bichvinta” is of utmost importance. A copy of this document, Ad-2218, is preserved in the Georgian National Center of Manuscripts, while the original is kept in the National Archives of Georgia 1448-5033. “Yadgar of Bichvinta” constitutes a

compilation of contributions made to Catholicos at different periods of time.

By the time of the compiling of “Yadgar”, the center of the Catholicate had already been moved to Gelati, and the contributions were mainly directed not to the Temple of Bichvinta itself but to the Icon of the Virgin, which was moved from Bichvinta to Gelati, the Temple of St. George. However, “Yadgar” contained documents from the period when the center of the Catholicate was still located in Bichvinta, and contributions were made to the Church of Bichvinta. Firstly, among these documents is an off blood certificate in the name of Bichvinta’s throne, divulged by Bagrat III (NCM, Ad-2218 3r; Arakhamia 2009, 25).

The passages from the document make it clear that the Catholicos was still sitting in Bichvinta while being granted blood privileges¹ and the apparatus of the Catholicos is implied. Compared to ordinary Catholic serfs, the peasants living in the villages around Bichvinta Cathedral were privileged:

“Whoever hunts for Bichvint water without asking the Catholicos will be sentenced to twenty thousand white seats” (Arakhamia 2009, 71: 153-156). “Whoever, without asking the Catholicos, hunts for the water of Bichvint with the harvest of twenty thousand white thrones” (NCM, Ad-2218 3v; Arakhamia 2009, 71:175-176). The passages from the document make it clear that the Catholicos was still sitting in Bichvinta while being granted blood privileges. It is noteworthy that this must have happened during the first reign of Bagrat III, before the transfer of the Katakalki residence to Gelati, which took place after about 1556. This is supported

¹ The Bichvinta temple was especially revered by the Abkhazian princes, the Sharvashidzes. Solomon Sharvashidze stamped a cover for the Gospel of Bichvint (H-2120) and made a corresponding inscription: “We wrote this honest gospel to Solomon Sharvashidze and to our son Chukran Azrakhan, to your praise and to our toast and upbringing of Arzakhan ...” According to the document of the same manuscript, Saustan Sharvashidze sacrificed slaves and peasants to the Bichvinta Cathedral: “Changelia came to this village to toast and win and to raise our son’s garden”. Sustan Sharvashidze 1650-1670, and Sorekh Sharvashidze 1660-1680. They ruled Abkhazia. Accordingly, the inscription should be related to the 50- 60s of the 17th century. The Bichvinta Four and the Sharvashidze documents attached to it are in Georgian.

by the fact that Bagrat did not issue blood documents in the second half of his reign (Kartvelishvili 2019, 252-253, 266).

Yadgari reflects the estates belonging to the Catholicosate throughout western Georgia. Among them, he owned Patriarchal lands in Abkhazia: Rabitsa (now Rafitsa, Gagra municipality, Lidzava community), Najaneo / Najaneuli (present-day Otobaia, Gali municipality), Tsamkhari (present-day Tagiloni, Ghalit, Gali), Sube (near Achigvara, Gali), Mukhuri (near Subesh and Achigvara, Gali), Tkauru (near the river Kodori, port Iskuria), Marmariskari (Marmar-Aba, Ochamchire municipality, Adziubzha community), near Arukha, and Aitarne (Lochkvilintsa) (NCM, Ad-2218 2v, Arakhamia 2009, 16-17).

With the documents of the next period, we can trace how the geography of the Patriarchal lands changed in Abkhazia. The main text of Bichvint Yadgar is attached to the documents of the later period, which give us important information in this regard.

During the reign of Catholicos Malachia (1616-1639), the Catholicos’ economy was regulated and the number of slaves was increased. In Abkhazia itself, the Catholicos owned lands in Khauzheli (Ochamchire municipality, between the villages of Tkhina and Otap), in Tiliti (the village of Tiliti no longer exists today), and in Subeish and Najanauri (GNA 1448-5033; Monuments of Georgian 1970, 500-501).

The donation of Ghalidzgi and Tskilidzgi to the Catholicos of Abkhazia is mentioned in document Hd-11226 (NCM, Hd-11226; Takaishvili 1899, 63), which is missing and undated. According to the text, Ghalidzgi Palace and the waterfront near Rioni were already owned by the Catholicos, with the text citing evidence of a previous deed ... “, or “... I owe it to everyone who owes it to me (NCM, Hd-11226). This certified deed is the donation of Levan Dadiani to Bichvinta in 1628, where Levan II Dadiani and his wife Nestan-Darejani legally offer Malachia the Catholicos the Palace by the water ... ” (NCM, Ad-2251-ke p. 42 r-43 r; Kakabadze, 1921, 39-47).

The content of ecclesiastical documents changed from the 1770s onwards, with the efforts of the patriarchs mainly aimed not at increasing the number of Patriarchal serfs living in Abkhazia, but

at preserving them. The Patriarchs made every effort to secure the protection and non-sale of patriarchs selfs, with the help of the local authorities. Clearly, this had its political reasons, which began much earlier than the seventeenth century. On the territory of Abkhazia, the change of religious and political situation is connected with the so-called “Mountain descent”, when low-level mountaineers settled on a plains. This process was continuously ongoing in the state, but in the late Middle Ages, when the United Kingdom was disintegrated, the local government was unable to merge them with the Georgian feudal society. On the contrary, the Sharvashidzes, the rulers of Abkhazia, tried to use militant tribes to fight the Odisha principality. The settlement of entire tribes in the Abkhaz region completely changed the picture. The Catholicos of Abkhazia, whose chair was at the time located in Bichvinta, was forced to move his residence to Gelati in the middle of the 16th century (Lominadze 1966, 231).

The settlement of entire tribes of the North Caucasus in Abkhazia conditioned their expansion in the direction of the Odisha principality. Levan II Dadiani (1611-1657) tried to defend Odisha from Abkhazian invasions and built the “Kelasuri Wall” for the “absence of Abkhazians”, but in the end, it did not work. In the middle of the 17th century, the border moved to the river Kodori, and the Abkhazians raided the provinces of Odisha, kidnapping and selling people as slaves.

In 1681, after the death of Levan III Dadiani (1661-1680), Sorekh Sharvashidze (1665-1684) invaded Odisha and proclaimed himself ruler, although in 1682, he was forced to cede the throne of Odisha to Levan IV Dadiani (1682-1691). The western part of the Odisha principality is on the river (Kvashilava 2011, 42-43). Sorekh Sharvashidze remained before Engura. Sorekh was soon replaced by his son Zegnaki (1685-1700), who annexed the lands west of the river Enguri directly to Abkhazia. The central territory of Ghalidzga and Enguri, or Samurzakhano, belonged to Kvapu Sharvashidze, son of Zegnaki. The Dadians did not easily tolerate the loss of these territories (Kvashilava 2011, 42-43), and in 1702, Giorgi Lipartian-Dadiani, together with the King of Imereti Giorgi Abashidze, organized a campaign in Abkhazia. This is reflected in document

Hd 1551 g (the document’s copy is Ad-2251-la f. 54 v). The head of Khobi, Zebedee, notes that “Then Lipartiani brought Abkhazia down as an army, and we accompanied him till Zugdidi, [and] we were a little hungry and came back here [Khobi]” (Kartvelishvili 2015, 192).

The battle of Abkhazia-Odisha; was somewhat different from the settlements made between the other kingdoms of western Georgia. For the territories beyond the Enguri River, there was a conflict between the North Caucasian tribes migrating from the mountains to the lowland, and the local population. Along with the loss of territories, the battle was accompanied by disruption of the Georgian socio-political system (Antelava 1990, 123; Kvashilava 73; Kartvelishvili, Koridze 2017, 87).

All this created a chaotic situation in Abkhazia. Piracy and robbery spread. The captive trade gained unbridled proportions, forcing the local Georgian population to flee. Md. The area between Kelasuri and Ghalidzga was emptied of Georgians, leaving only 10-20% of them on the ground (Kvashilava, 2011, 73). Most of the Patriarchs serfs were excommunicated or sold as captives.

The Catholicos-Patriarchs of Western Georgia tried to save the Catholic serfs by having the priests negotiate with the local rulers. The Catholicos’s servant Bibia Bolkvadze who was taken with his wife and children by Abkhazian Sorekh Sharvashidze, was expelled by the Catholicos Davit Nemsadze . The freed Bibia was relocated to Nojikhevi as a family. Bibia’s elder son was expelled from Tatars for 100 Marchili (money unit) by another Catholicos Grigol Lortkipanidze (NCM, Hd-4150; NCM, Ad-2251 №3, copy; Monuments of Georgian Law 1970, 677).

Catholicos Grigol Lortkipanidze was kidnapped and sold as a Catholic serf in Abkhazia in 1706 (Kakabadze 1921, 90-95; Monuments of Georgian Law 1970, 647) and 1712 (NCM, Hd-4150; NCM, Ad-2251 № 3, copy; Monuments of Georgian Law 1970, 670). In the issued documents, Gregory describes the events that took place during the reign of his predecessor, the priest Davit Nemsadze. He notes that during the rule of Catholicos Nemsadze, the inhabitants of the village of Najanevi, where 60 Catholic slave-peasants lived, were evicted from

Abkhazians. The chief of the Abkhazians, Kvapu Sharvashidze (1680-1704), who ruled the territory between the rivers of Ghalidzga and Enguri, sold the Catholicos's serfs, therefore, only 6 men remained (NCM, Hd-4150; NCM, Ad -2251 №3, copy).

In order to save and protect the serfs, the Catholicos-Patriarch Davit Nemsadze arrived in Abkhazia and held talks with Kvapu Sharvashidze. Kvapu and his brother Keremkim gave the "Book of Oaths" (NCM, Hd-11206) to the Catholicos. This document is undated with flattened right edge and missing bottom. The text is damaged. Kvapu and his brother told Davit Nemsadze that "we should not sell without your prior consent, as the men from Najanauri and Khiruli have not been ruthless" (NCM, Hd-11206).

At the same time, the Catholic serfs were not prevented from serving as priests, nor from paying Catholic taxes, and when they arrived in Abkhazia, the Patriarch served the serfs in the same way as the previous Catholics (NCM, Hd-4150; NCM, Ad -2251 № 3, copy; Monuments of Georgian Law, 1970, 670).

(Mingrelian) – the cemetery of Ivane (a priest); it is worth noting that “okhvame” means both “temple” and “cemetery” in Mingrelian. Sometimes, graves were placed in the surroundings of churches, within the walled yard. But it also appears that burials were avoided in holy places. There is one nuance to be found to determine the difference. If a toponym suggests a priest’s or monk’s arable land, there is a spring and a mill, while nearby there will definitely be a church – “okhvame” (Mingrelian), a place of prayer, ruins of a temple – “naokhvami” (Mingrelian).

Further, at times the ruins of a church are claimed as private land. For example, the ruins of Pipia/ Mancha Church (“Pipiebish/ Manchash Okhvame” – Mingrelian) in Nabakevi village are located near the border of Sidi village. In Zeni village, which belongs to Chuburkhunji community, there are the remains of a cathedral “Tsamkhari”, only the south-eastern walls of which have survived, and the temple belongs to Toria family. Similar names can be found in other places in Georgian toponymy. Particularly, in Kvemo (Lower) Imereti, in Dedalauri, there are the Khurcias’ Church and cemetery; in Persati there is the Minadzes’ church, and so on (sakartvelos toponimika. 2003, 189, 396).

Thus, the toponymical materials collected by celebrated scientists Paata Tskhadaia and Valerian Ezukhbaia, along with the relevant literature, allowed us to assure ourselves one more time that this region represents a general part of Georgian Christian culture and must be viewed in combination with the latter. In historical Samurzakano (modern Gali District), church reconstruction works are still underway today, and the resumption of Georgian church services, as well as art expert access, is awaited.

References:

- Amiranashvili S. 1961. kartuli khelovnebis ist'oria, Tbilisi (in Georgian).
- Baron de Baye 1902. Baron de bais mogzaurobidan, Tiflis (in Georgian).
- Berulava K. 1951. apkhazetis istoriuli adgilebi, Tbilisi (in Georgian)
- Berdzenishvili N. 1966. Sakartvelos istoriis sak'itkhebi, Vol 3, Tbilisi (in Georgian).
- Charaia P. 1895. “Apkhazetidan.” in *kvali*, no. 5, 1895 (in Georgian).

Gamakharia J. 1990. “ratom itkhovs khalkhi ek’lesiebis aghdgenas,” *ritsa*, no1, 1990 (in Georgian).

Giorgidze (Charaia) P. 2010. *apkhazeti da apkhazni*, Tbilisi (in Georgian)

Gulia D. 1954. chemi tsignis “apkhazetis ist’oriis” shesakheb, Tbilisi (in Georgian).

Gavril episkop imeretii. 1871. “obozrenie abkhazinskih i samurzakanskih cerkvej v 1870” in *putevye zapiski*, Moscow, 1871 (in Russian).

Khvistani R. 2015. Engur-mokvistsklis auzis (apkhazeti) kristianuli khurotmodzgvruli dzeglebi, Tbilisi (in Georgian).

Khuskivadze L. 1974. *levan dadianis saokromchedlo sakhelosno*, Tbilisi (in Georgian).

Mtskemi, no5, 1886 (in Georgian).

Shervashidze L. 1980. srednevekovaja monumetalnaja živopis v apkhazii, Tbilisi, 1980 (in Russian).

Sakartvelos t’oponimika, kvemo imereti, Vol. 3, Tbilis, 2003 (in Georgian).

Tskhadaia P. and Khorava B. 2016. *apkhazetis geograpiuli sakheltsodebani*, Tbilisi (in Georgian).

Zamtaradze M. 1979. “gudavis arkeologiuri monapovari.” *sakartvelos sakhelmtsipo muzeumis moambe*, XXXIV-B, Tbilisi (in Georgian).

Zukhbaia V. 1965. *kvis k’ultura sakartveloshi*, Tbilisi (in Georgian).

Zukhbaia V. and Tskhadaia P. 1969-1971. “toponimikuri masalebi.” *TSU, kartveluri onomast’ikis sametsniero k’vleviti tsentri* (in Georgian).

Zhan shardenis mogzauroba sp’arsetsa da aghmosavletis skhva kveqnebshi, edited by M. Mgaloblishvili, Tbilisi, 1975 (in Georgian).

ილორის ეკლესია ოკუპაციის პირობებში

ხატია ალანია, მარიამ გუნია, გიორგი კობახიძე, გიორგი ქვაცაბაია
სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „აფხაზეთის მოამბე“

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის აღმოსავლეთით 10 კმ. მანძილზე, სოფ. ილორის ცენტრში მდებარეობს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლი – ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი (XI ს.).

ილორის ტაძარი შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული მხატვრული და არქიტექტურული მისწრაფებებით შექმნილი ძეგლია. ის ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის, აფსიდით დასრულებული დარბაზული ტიპის ნაგებობაა. ძეგლს ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან სხვადასხვა ეპოქის, მრავალჯერ სახეცვლილი მინაშენი აქვს. მათგან ორს, დასავლეთ და სამხრეთისას ფრონტონიანი გადახურვა აქვს, ხოლო ჩრდილოეთის მინაშენის გადახურვა ცალფერდაა.

ცენტრალური დარბაზის უკეთ გასანათებლად თლილი ქვის წყობით ნაგებ ფასადებში ნი სარკმელია გაჭრილი, რომელთაგან ორ-ორი ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარესაა, ხოლო თითო სარკმელი აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს. საკურთხეველში, აღმოსავლეთი სარკმლის ორივე მხარეს, თითო მაღალი ნიშაა მოწყობილი.

წმ. გიორგის კომპლექსი გვიანი, XVII ს. რიყის ქვის გალავნითაა შემოზღუდული, რომლის ხაზშია ჩართული XI ს. კარიბჭე-სამრეკლო. მასზე სამხრეთით მიდგმული ქვის კიბის ქვეშ, სარკმლიანი მცირე სათავსო ყოფილა მოწყობილი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ეკლესიის აგების თანადროულ ლაპიდარულ წარწერებს უაღრესად დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვს, რადგან მათში დაცულია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური – ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული.

ილორის წარწერებში ხსენებული მთავარებისკოპოსი გიორგი, როგორც ჩანს, ბედიის ეპისკოპოსია, ხოლო გიორგი გურგენის ძე – ადგილობრივი დიდებული, რომელიც ტაძრის მშენებლობაში გაწეული ქტიტორული ღვაწლისათვის სავედრებელ წარწერაშია მოხსენიებული, გიორგი ქოჩოლავა კი ილორის ეკლესიის მღვდელმსახური გახლავთ.

აღნიშნული წარწერების ავტორ-შემსრულებლად ერთი ადამიანი უნდა ვივარაუდოდ, რადგან მისი ხელწერა ყველგან ერთნაირია – ამაზე მიუთითებს სიტყვათა გადმოცემისა და დაქარაგმების ერთი და იმავე წესით შესრულება.

მთავარი ტაძარი

2005-2010 წწ. რუსეთის საოკუპაციო ძალების და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ რამდენიმე ეტაპად განხორციელდა ილორის ეკლესიის ე.წ. „სარეაბილიტაციო“ სამუშაოები.

1. „სარეაბილიტაციო“ სამუშაოების პირველ ეტაპზე ილორის ეკლესიის ფასადები, დეკორატიული თალები, ლავვარდნები და დასავლეთი ეგვტერის ინტერიერი მთლიანად თეთრად შეღებეს, ხოლო იატაკზე მეტლახის მუქი ლურჯი ფერის ფილები დააგეს.

2. დასავლეთი ეგვტერის სარკმლების დეკორატიული მორთულობა, ფრონტონის ქვეშ ჯვრის რელიეფური გამოსახულება, სარკმლის არშიები ჩუქურთმიანი თავსართით და აღმოსავლეთით დიოკლეტიანეს მლახვრელი წმ. გიორგის რელიეფური ფილა, მუქ სპილენძისფრად შეღებილი. როგორც ჩანს, სამღებრო სამუშაოებში ბიოციდის არგამოყენებამ და უხარისხო სამშენებლო მასალებმა მალევე დააზიანა ფასადები. მოგვიანებით, დაახლ. 2009 წელს დასავლეთის ეგვტერი ფასადებზე დოკორაციური თალები ჯერ ვარდისფრად შეღებეს, მოგვიანებით კი, ოქროსფრად.

3. ბოლო პერიოდის სამღებრო სამუშაოებს შეეწირა აღმოსავლეთ ფასადზე არსებული 3 ეპიგრაფიკული ფილა, ლაპიდარული წარწერებით.

4. ილორის ეკლესიის „რეაბილიტაციის“ მწვერვალი გუბათზე მოქრული და ჯვრით დასრულებული „რუსული ცრუ — ხახვისთავა“ გუმბათის აღმართვა იყო. რუსული სტილის შეუსაბამო გუმბათი სრულიად უარყოფს ქართული დარბაზული ტიპის ხუროთმოძღვრულ მახასიათებლებს. ჯვარს ძეგლის სახურავის კეხზე ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ვხვდებით, XX ს. დასაწყისში ჯვრის ადგილას მცირე ზომის ცრუ გუმბათი ააგეს და ჯვარიც აღმართეს.

5. გარდა შეთეთრებისა და ფორმების უკუგდების შედეგად დადგმული გუმბათისა, ძეგლის ერთიანი სახის აღქმას ხელს უშლის თანამედროვე კონდიციონების საშუალებები, რომელიც სამ ფასადზე წყვილ-წყვილად დამონტაჟებული. გათ-

ბობა-კონდიციონების დანადგარები ინტერიერშიც მკვეთრად თვალშისაცემ ადგილზეა.

6. ილორის ეკლესიის ფასადები და კარნიზები მრავალჯერ დაზიანდა ძეგლზე განათების სისტემის მონტაჟის შედეგად.

7. ბოლო წლებში დასავლეთი ეგვტერის კარის თავზე დამონტაჟდა ლითონის სანვმარი, ხოლო ამავე ფასადზე რუსულენოვანი საინფორმაციო ბანერები განთავსდა.

8. ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილი კედლის მხატვრობა მძიმე მდგომარეობაშია და გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოებს საჭიროებს. საქმეს ართულებს ისიც რომ, სამხრეთ ეგვტერში კარი გაუქმებულია და ფაქტობრივად ტაძრის ცენტრალური ნაწილი მოკლებულია აეროვენტილაციას.

9. 2020-2021 წწ. ძეგლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად ფასადებზე საღებავის ფენის ჩამორეცხვის, გაფხვიერებული და ჩამოშლილი ნალესობის კვალი და მექანიკური დაზიანების ნიშნები დასტურდება.

სამრეკლო-კარიბჭე და გალავანი

სამრეკლო-კარიბჭე ილორის კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, შიდა ეზოს გალავნის ხაზშია ჩართული. ვახტანგ ბერიძის აზრით, საქართველოში სამრეკლოს ერთ-ერთი გავრცელებული სახეა ორი მკვეთრად განსხვავებული მოცულობა: „პირველი სართული მასიური კუბია, მეორე-ლია თაღებიანი მრავალნახნაგა გამჭოლი ფანჩატური, რომელიც ისევა გადახურული კონუსით ან მრავალნახნაგა პირამიდით, როგორც ეკლესიების გუმბათები“. სწორედ ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ასეთი თავისებურებებით წარმოგვიდგება ილორის სამრეკლო.

ილორის სამრეკლო ერთ-ერთი გამორჩეული და სრული სახით, ბელგიელი მოგზაურის კაროლინ ჰარტოგ მორგენშტაინის (კარლა სერენა) 1820-1884 წწ. ილუსტრაციაშია წარმოდგენილი.

დღეს კი, თვალის ერთი შევლებითაც ჩანს, თუ როგორ უღირსად შეხება მსახვრალი ხელი სამრეკლოს, რომლის სახეცვლილებაც,

ეკლესიის მსგავსად, მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა.

1. დაახლ. 2007 წლიდან სამრეკლო გადაღებებს და ტაძრი იდენტურ ფერებში მორთეს, თავდაპირველად ვარდისფერი კანტებით, დღეს კი უკვე ოქროსფრად. თეთრად შეღესილ ფასადებს კიდევ უფრო ამახინჯებს ასიმეტრიულად გაყოლებული თუნუქის სანიაღვრე მილები.

2. 2007-2008 წწ. ვიზუალურ მასალაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სამრეკლოს შიდა კედლებში და თაღებზე კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ის უკიდურეს შემთხვევაში ჩამოფხიკეს ან ნაღესობის ქვეშ მოექცა.

3. სამრეკლოს „რეაბილიტაციის“ პირველ ეტაპზე განადგურდა/დაინგრა ქვის კიბე და მის ქვეშ არსებული სარკმლიანი ოთახი. „რეაბილიტაციის“ შემდეგ მეორე სართულზე ასასვლელად გარედან მიდგმული რკინის კიბე გამოიყენება.

4. ეჭვის საფუძველს გვაძლევს სამრეკლოს გვერდით არსებული ერთსართულიანი საცხოვრისის/კელიის გაქრობა, რომელსაც სამრეკლოდან თაღოვანი შესასვლელი ჰქონია და უშუალოდ ეკვროდა მას. ზემოთ აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ ქართული კვალის წასაშლელად სამრეკლო და ტაძარი ერთიან „არქიტექტურულ სტილს“ დაუქვემდებარეს. დღეს არც საცხოვრისის და არც ქვის კიბის კვალი არ ჩანს – სამრეკლოს ორივე მხრიდან ქვის გალავანი ებჯინება.

5. ოკუპანტის ძალის დემონსტრირების კიდევ ერთ მცდელობას ვხედავთ იმ ფაქტში, რომ რუსულმა მხარემ ტაძარს რამდენჯერმე „შენირა“ საეკლესიო ზარები. ერთი-ერთი ასეთი შემთხვევის იდენტიფიცირება სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „აფხაზეთის მოამბის“ მიერ მოხდა.

6. რაც შეეხება გალავანს, 2005-2008 წწ. ფოტომასალის მიხედვით დგინდება, რომ მისი დასავლეთ ნაწილი ყველაზე ადრე განადგურდა, ხოლო „აღდგენა“ კომპლექსის „სარეაბილიტაციო სამუშაოების“ ბოლო ეტაპზე მოხდა. ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს რიტუალური ობიექტი „ელირნიხა“,

რომელსაც კომპლექსისგან გალავანი ჰყოფს. 2020-2021 წწ. აღნიშნული ობიექტის განმე-ნდითი სამუშაოები მძიმე ტექნიკის გამოყენებით განხორციელდა. სამუშაოები ილორის გალავნის პერიმეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა.

ახალი სანათლაგი

ილორის ეკლესიის ვანდალური სარემონტო სამუშაოების ბოლო ეტაპზე, 2012-2014 წწ. კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ისტორიული ქვის მიმდებარე ტერიტორიაზე წმ. გიორგის სახელობის სანათლაგი (ბაპტისტერიუმი) აიგო. ეს გახლავთ რკინა-ბეტონის კონსტრუქცია მცირე ჯვრით დასრულებული გუმბათით. ფასადები თეთრ ფერშია გადაწყვეტილი. კარები და სარკმლები რკინისა და მეტალო-პლასტმასისაა. იმის გათვალისწინებით რომ, ნაგებობა ილორის ტაძართან მისასვლელი ცენტრალური გზის ბოლო ნაწილის სიახლოვესაა, ის ფარავს ლანდშაფტის დიდ ნაწილს. ადგილობრივების ცნობით, ხსენებული ობიექტი არ ფუნქციონირებს. ნათლობის და ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებული წყლის კურთხევის რიტუალები უშუალოდ ტაძარში სრულდება.

საკანონმდებლო ასპექტი

ვენეციის საერთაშორისო ქარტია ძეგლებისა და ანსამბლების რესტავრაციის შესახებ (1964 წლის 31 მაისი)

პრეამბულა

„ძეგლებს, როგორც ხალხთა ასწლოვანი ტრადიციების ცოცხალ მონუმენტებს, აწმყოში გადმოაქვთ წარსულის სულიერი გზავნილები. კაცობრიობა, რომელიც სულ უფრო მეტად აცნობიერებს ადამიანურ ღირებულებებს, ძეგლებში საერთო მემკვიდრეობას ხედავს და მომავალი თაობებისთვის მათ შენარჩუნებას საერთო პასუხისმგებლობად აღიქვამს. ის იღებს ვალდებულებას, მომავალ თაობებს ძეგლები ავთენტურობის სრული სიმდიდრის დაცვით გადასცეს.“

ვენეციის ქარტიის პრეამბულაში გაჟღერებულია კულტურული მემკვიდრეობისადმი

ის დამოკიდებულება და მიდგომა, რომელსაც იზიარებს დღევანდელი ცივილიზებული სამყარო. გარდა ვენეციის ქარტიისა, არსებობს არაერთი უმნიშვნელოვანესი კონვენცია თუ კანონთა კრებული, რომელიც მოქმედებს კულტურული მემკვიდრეობის მიმართებით და არეგულირებს მის დაცვას, რესტავრაციას, გადაადგილებას თუ სხვა წამყვან საკითხებს საერთაშორისო დონეზე. ასეთი კონვენციებია (ძირითადი):

- ევროპის კულტურის კონვენცია (19.12.1954);
- UNESCO-ს კონვენცია სამხედრო მოქმედების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ (14.05.1954);
- UNESCO-ს კონვენცია კულტურული ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ (14.11.1972);
- UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ (16.11.1972);
- ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (03.10.1985);
- არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია (16.01.1992).

გარდა ამისა, თითოეული ქვეყნის ფარგლებში არსებობს კანონთა წყებები, რომლებიც არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმებს. საქართველოში ეს კანონებია (ძირითადი):

- საქართველოს კანონი კულტურის შესახებ;
- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
- კანონი კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ.

ეს კანონები ითვალისწინებს ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან, უმდიდრეს ტრადიციებს და კულტურის სფეროში მსოფლიო ცივილიზებული ერების გამოცდილებას.

ამასთან, საქართველო 1999 წლიდან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოა, რაც ნიშნავს იმას, რომ ის იზიარებს ევროსაბჭოს

ყველა კონვენციას და უზრუნველყოფს მათ დაცვას. UNESCO-ში განწერიანების დღიდან საქართველო შეუერთდა ორგანიზაციის 13 კონვენციასაც, მათ შორის ზემოჩამოთვლილ კონვენციებს, რომლებიც კულტურულ ფასეულობათა დაცვას ეხმიანება. ევროსაბჭოსა და გაეროს წევრი ქვეყანაა რუსეთის ფედერაციაც, რომელიც, წესით, უნდა იცავდეს ყველა ზემოხსენებულ კონვენციას, მაგრამ სწორედ მისი ხელშეწყობით ხდება უკანონო ქმედებები საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

სამწუხაროდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკანონმდებლო ბერკეტი უკუგდებული და უმოქმედოა – ოკუპანტი არც ქართულ მხარეს და არც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებს არ უშვებს ძეგლების მდგომარეობის შესაფასებლად (ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამონაკლისი მხოლოდ ICOM-ის რუსული წარმომადგენლობის და ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის ყოფილი ხელმძღვანელის, ჰანს იორგ ჰაბერის, არაოფიციალური ვიზიტები იყო), რომლებიც სავალალო მდგომარეობაშია. მათი დიდი ნაწილი საჭიროებს დაუყოვნებლივ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს. ასევე, ძეგლებთან მიმართებით, ადგილი აქვს თვითნებობებს ადგილობრივი მოსახლეობისგანაც, რაც სამომავლოდ მძიმე შედეგებს გამოიწვევს. კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი სპეციალისტებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ხელოვნებათმცოდნეებისთვის და რესტავრატორებისთვის აფხაზეთი, იქ განთავსებული ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლებითურთ, ჩაკეტილია.

საერთაშორისო კონვენციების მიერ დადგენილი კანონებისა და ნორმების დარღვევების განხილვამდე, ორიოდ სიტყვით შევეხებით იმ კანონდარღვევის პრეცედენტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ილორის წმინდა გიორგის ტაძრის ე.წ. „რეაბილიტაციის“ მსვლელობისას და რომლებიც გვერდს უვლის და უგულვებელყოფს საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგება. მისი მოქმედება ვრცელდება

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე, სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.

როგორც ვიცით, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს ჩაუტარდა ე.წ. „რეაბილიტაცია“, რომელიც მრავალი სახის კანონდარღვევითა და ძეგლის დამაზიანებელი პროცედურებით ხასიათდებოდა. (ზემოთ დეტალურადაა განხილული სამუშაოების თითოეული ეტაპი). ამ ქმედებებით დაირღვა საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, კერძოდ კი კანონის VI თავის მუხლი 24, რომელიც ძეგლის დაცვის მექანიზმებს განსაზღვრავს: „აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე“. ასევე, უგულებელყოფილი იყო ამავე კანონის 25-ე მუხლი (კონკრეტულად, მე-6 პუნქტი), რომელიც ადგენს აღდგენითი სამუშაოების ხასიათს: „ძეგლის დაკარგული ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის ფარგლებში, აღსადგენი ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. დაუშვებელია დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო კვლევების უგულებელყოფა.“ ჩვენთვის უცნობია, თუ რა მასალას ეყრდნობოდა ოკუპანტი სახელმწიფო ან თვითგამოცხადებული ხელისუფლება (ამ უკანასკნელთა წარმომადგენლობა მომხდარს ეხმიანებოდა

და ხახვისებრი გუმბათის დადგმას ადგილობრივი მღვდელმსახურის თვითნებობად მოიხსენიებდა, თუმცა აქვე აღნიშნავდა, რომ ტაძრის გათეთრებაში „ცუდს ვერაფერს ხედავენ და ფასადზე არანაირი ქართული წარწერები არ ყოფილა“. აქ ჩვენ ვხედავთ ძეგლის ისტორიის აბუჩად აგდებას, ყველანაირი ქართული კვალის წარხოცვისკენ მიმართულ კამპანიას – XI საუკუნის ტაძრის შენარჩუნება თურმე არ ყოფილა პრიორიტეტი.

27-ე მუხლში განხილულია „კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა“. ილორის ტაძართან მიმართებით სწორედ ეს მუხლი და მისი მე-2 ქვეპუნქტი უნდა გათვალისწინებულიყო. კერძოდ, უნდა შედგენილიყო კონსერვაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავდა კომპლექსური ძეგლის შემადგენელ ყოველ ობიექტზე დასაშვებ და რეკომენდირებულ სამუშაოთა ნუსხას. ეს იქნებოდა შეთანხმებული ნორმატიული აქტი, რომელიც დაადგენდა ძეგლის კვლევის, რეაბილიტაციისა და განვითარების ძირითად რეგლამენტს, მისი მოვლა-პატრონობისა და გამოყენების წესებს, რომლებიც თითოეული ძეგლისთვის ინდივიდუალურია. სამწუხაროდ, ადგილობრივთა „ინიციატივები“ კანონზე ძლიერი აღმოჩნდა, რამაც ძეგლს ზიანი მიაყენა.

მუხლი 36 განსაზღვრავს ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის, მისი შემადგენელი არეალებისა და რეჟიმის დადგენას. ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შეიძლება ის ფიზიკურად დააზიანოს, ამიტომაც „ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ისეთი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:

ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;

ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა;

გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;

დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად

დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.“

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება ილორის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიებზე, მიმდინარეობს თუ არა რაიმე სახის სამშენებლო საქმიანობები, რამაც, მინისტრებმა რეგულაციების გამოწვევით, შეიძლება დააზიანოს ძეგლის კონსტრუქცია.

ზოგადად, ოკუპანტისა და თვითგამოცხადებული ხელისუფლების მხრიდან ვხედავთ საქართველოს კანონმდებლობის სრულ უგულებელყოფასა და თვითნებურ მოქმედებებს, რაც საბოლოო ჯამში, ძეგლის მდგომარეობაზე ისახება. დესტრუქციული ძალები სარგებლობენ იმით, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. ეს ფაქტი რომ არა, ამოქმედდებოდა ზემოხსენებული კანონის 31-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „ძეგლზე განზრახ იმგვარი ზემოქმედების მოხდენა, რის გამოც ძეგლს ემუქრება გამოუსწორებელი დაზიანება ან განადგურება, გამოიწვევს პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოკუპანტი მხარე არარად აგდებს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის დამაფიქრებელი და უფრო საფრთხის შემცველი უნდა იყოს ის, რომ რუსეთი უგულებელყოფს ევროსაბჭოსა და იუნესკოს კონვენციებს. ასე მაგალითად, ვენეციის 1964 წლის ქარტიაში გაუქმებულია, რომ რესტავრაცია არის საშუალება, რომელიც განსაკუთრებული ხასიათისაა და „ემყარება შემორჩენილი არსებული მასალის პატივისცემას და ავთენტური სახით დოკუმენტაციას“ (პარაგრაფი №9), ჩვენ კი ვიცით, თუ როგორ ეცვალა ძეგლს მისი პირვანდელი სახე. აღსანიშნავია, რომ ვენეციის ქარტიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, 1965 წელს, პარიზში ჩამოყალიბდა ძეგლებისა და ღირსესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო (ICOMOS), რომლის წევრ სახელმწიფოთა რიცხვში შედის როგორც საქართველო, ისე რუსეთის ფედერაცია.

კონვენციის მიხედვით, ძეგლზე „დამატებები მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსაშენი, თუ ისინი ძეგლის ყველა დეტალის, მისი შემორჩენილი ჩარჩოების, მისი კომპოზიციის წო-

ნასწორობის და მის გარემოსთან დამოკიდებულების მიმართ პატივისცემას გამოხატავენ, (პარაგრაფი №13). ილორის შიდა ეზოში კი ვხედავთ გაურკვეველ, ბოლო პერიოდში ნაშენ კონსტრუქციას (სავარაუდო სანათლავს), რომელიც კანონის გვერდის ავლითაა ნაგები.

ყოველი ჩვენ მიერ დასახელებული ხელშეკრულება თუ კანონი გულისხმობს, რომ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებელია კონვენციისა თუ ქარტიის ხელისმომწერი სახელმწიფო – მან უნდა უზრუნველყოს თავის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის მიმართ სწორი პოლიტიკის გატარება და ამ მხრივ ჩვენ, საქართველოს მხარემა უნდა ვიკისროთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა. ორმაგად დიდი კანონდარღვევაა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორის საზღვრებში ერევა და, ფიზიკური თუ იდეოლოგიური კუთხით, დამპყრობლურ პოლიტიკას ატარებს.

რუსეთის ფედერაცია ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლები არამხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია – UNESCO-ს მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის 1972 წლის კონვენცია ცხადყოფს, რომ უნივერსალური მემკვიდრეობის დაცვა და მასზე ზრუნვა კოლექტიური საქმეა, რომელიც ცივილიზებული სამყაროს ერთიანობასა და თანადგომას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალაძე ლ. 2005. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო: ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, თბილისი.

ალანია ხ. 2019. ილორის ტაძარი – ისტორია და თანამედროვე პრობლემები (სამაგისტრო ნაშრომი), თბილისი.

ბერიძე ვ. 2014. ქართლი ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი.

<https://www.kavkaz-uzel.eu/articles/177930/>.

http://unesco.ge/?page_id=534.

https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/heritage.shtml.

<http://icomos.org/ge/ge/statutes/>.

<https://www.tbilisiarchitecture.net/ka/the-venice-charter-1964/>.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/2297437.html>.

ILORI CHURCH SINCE OCCUPATION

Khatia Alania. Mariam Gunia. Giorgi Kobakhidze. Giorgi Kvatsabaia
Scientific-Research Laboratory Abkhazian-Moambe

The church of St. George of Ilori (11th century), a distinguished monument of Georgian church architecture, is situated in the heart of Ilori village, 10 km from the administrative centre of Ochamchire municipality, in the autonomous republic of Abkhazia, on Georgia's Black Sea coast.

The church was created inspired by the widely spread artistic and architectural ambitions in Medieval Georgia. It represents a slightly extended right-angled hall-type structure, with the apse at the end. Various annexes were built in different periods, and altered many a time, on the northern, southern, and western sides of this monument. Two of them, the western and southern ones, have pediments, whilst the northern annex has a mono-pitched roof.

Six casement windows in the hewn stone façades, two on both the northern and southern sides respectively, provide illumination to the central hall, whilst the eastern and western sides have one window each. There are high niches on both sides of the eastern window.

St. George's complex is enclosed by a later, 17th century, cobblestone wall, the line of which includes 11th century gates with a belfry. Under the stairs, built to the south of it, there is a small storeroom with a casement window.

The lapidary inscriptions on the north-eastern façade of the church, concurrent with its construction,

are of great value from a historical source evaluation point of view, as they have preserved the three levels of Georgian script development – Asomtavruli, Nuskhā-Khutsuri, and Mkhedruli.

Mentioned in the inscriptions in Ilori are: Archbishop Giorgi, supposedly the bishop of Bedia, Giorgi, the son of Gurgen – a local noble, who was mentioned in the remembrance writings due to his merits as the church building donor, and Giorgi Kocholava, who served as a priest in the Church of Ilori.

The author-creator of the inscriptions was likely one person, as the handwriting is identical in every inscription – as is the way of conveying and encrypting the words.¹

THE PRESENT STATE OF THE COMPLEX

The main church

In 2005-2010, so called “rehabilitation” works were conducted in the Church of Ilori in several steps by Russian occupant forces and the de facto administration of Abkhazia.

At the first stage of “rehabilitation” works, the façades of Ilori church, decorative arches, ledges, and the interior of the western chapel were completely painted in white, while the floor was laid with dark blue tiles.

1. The decorative ornaments of the windows in the western chapel, the relief image of the cross under the pediment, the edgings of the casement windows with ornamental fringes, and, in the east, the relief slate of St. George spearing Diocletian, were painted dark reddish brown (copper). Apparently, the low quality of building materials and the fact that biocide had not been applied, soon damaged the façades. Later, circa 2009, the decorative arches on the façades of the western chapel were painted pink, and golden later on.

2. Recent painting works destroyed the three epigraphic slates with lapidary inscriptions on the eastern façade.

3. The peak of the “rehabilitation” of Ilori church was the raising of the “Russian false onion dome”, gilded and with the cross on top. The inappropriate Russian style cupola completely contradicts in the 19th century; at the beginning of the 20th century, the cross was replaced by a small false cupola with a cross on top.

4. Apart from whitewashing the building and erecting a dome, while completely rejecting the forms, the modern day air-conditioning system, installed in pairs on the three façades, prevents us from getting a unified image of the monument. The heating and conditioning equipment is also strikingly noticeable in the interior.

5. The façades and cornices have been damaged many a time as a result of installing lighting on the monument.

Recently, a metal ledge was placed on the top of the western chapel entrance door, while signs in the Russian language have been placed on this façade.

6. The paintings on the preserved wall of the central part of the church are in a lamentable state and require urgent conservation work. The case is worsened by the fact that the exit door of the southern chapel is no longer available, and the central part of the cathedral is devoid of ventilation.

7. The visual examination of the monument in 2020-2021 confirmed the washing away of the paint layer on the façades, as well as traces of crumbling and shedding stucco, and signs of mechanical damage.

The gate, belfry and the surrounding wall

The gate and the belfry are included in the line of the inner wall in the south-western corner of the

Ilori church complex. According to Vakhtang Beridze, one of the most common types of belfry in Georgia comprises two radically different shapes: “The first floor represents a massive cube, the second is either an open through polyhedron pergola, covered with a cone, or a polyhedron pyramid, similar to church domes.”³ The bell tower of Ilori is considered to have been created with these exact features typical of Georgian architecture.

The Ilori belfry is represented in its prominent and complete shape in the illustration of the Belgian traveller Caroline Hartog Morgensthein (Carla Serena) 1820-1884.

Today, the vile effect of the ruinous interference on the belfry can be clearly seen even at a glance; the purposeful interference was aimed at a radical altering of the church as well as the type of bell tower.

1. The repainting of the belfry and decorating the cathedral in an identical colour began circa 2007, initially applying pink trimmings; then colouring them golden recently. The façades plastered in white are even more distorted by the tin drainpipes mounted in an asymmetrical way.

2. In the visual material of 2007-2008, the fragments of the murals on the interior walls and arches can still be seen. These were then either scraped off or covered in stucco.

3. During the first step of the “rehabilitation” of the belfry, the stone stairs and a room with a casement window below were destroyed. Following the “rehabilitation”, iron stairs were used in order to reach the second floor from the outside.

4. The disappearance of the one-storey cell, which had an arched entrance from the belfry and was attached to it, also provides ground for doubt. The above-mentioned facts clearly indicate that a unified “architectural style” has been applied to both the cathedral and the belfry in order to obliterate any trace of Georgian origin. Today, neither evidence of the cell, nor that of the stone stairs, is to be found – the belfry is now supported by a stone wall on either side.

5. The demonstration of the occupant power can also be seen in the fact that the Russian side “donated” church bells to the cathedral several times. One of these cases was identified by the scientific-research laboratory “Herald of Abkhazia”.

6. As to the surrounding wall, according to 2005-2008 photographic materials, the western part of it was the earliest to have been damaged, while the “restoration” of it took place at the latest stage of the “rehabilitation works”. In the eastern part of the cathedral, there is a ritual object “Elirnikha”, separated from the cathedral complex by the wall. The cleansing works were carried out by means of heavy equipment in 2020-2021. The works took place in the south-eastern part of the Ilori wall perimeter.

The new baptistery

At the final stage of the barbarous renovation works of Ilori church in 2012-2014, a baptistery of St. George was constructed near the historic well. It is a reinforced concrete structure, with a cupola with a cross on it. The façades are painted white. The doors and windows are made of reinforced concrete. Considering the fact that this building is in close proximity to the end of the main road leading to Ilori Cathedral, it conceals the major part of the landscape. According to the local residents, the construction in question is not functioning. The rituals of sanctifying water at Christenings and Epiphany are held in the cathedral.

Legislative aspect

Venice International Charter for the Conservation and Restoration of Monuments and Sites

(May 31, 1964)

Preamble

“Imbued with a message from the past, the historic monuments of generations of people remain to the present day as living witnesses of their age-old traditions. People are becoming more and more conscious of the unity of human values, and regard ancient monuments as a common heritage. The common responsibility to safeguard them for future generations is recognized. It is our duty to hand them on in the full richness of their authenticity.”

The preamble of the International Charter includes the attitude and approaches towards cultural heritage shared by the civilized society today. Apart from this charter, there are various conventions and codes of law of paramount importance, which operate in this field and control the protection, restoration, relocation, and other major issues on the international level. These conventions are as follows (main part):

- European Cultural Convention (19.12.1954);
- UNESCO Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict (14.05.1954)
- UNESCO Convention on the Means of Prohibiting and Preventing the Illicit Import, Export and Transfer of Ownership of Cultural Property (14.11.1972)
- UNESCO Convention concerning the Protection of World Cultural and Natural Heritage (16.11.1972);
- Convention for the Protection of the Architectural Heritage of Europe (03.10.1985);
- Convention on the Protection of the Archeological Heritage of Europe (16.01.1992).

There are sets of laws in each country which regulate the mechanism of protection of cultural heritage, besides the above-mentioned conventions. The following laws are in place in Georgia (main part):

- The Law of Georgia on Culture;
- The Law of Georgia on Cultural Heritage;
- The Law of Georgia on the Export and Import of Cultural Property.

These laws consider the rich, centuries-old traditions of Georgian national culture, as well as the experience of the world’s civilized nations in the field of culture.

Georgia has been a member state of the Council of Europe since 1999, which means that the country shares every convention of the European Council and ensures their maintenance. When Georgia became a member of UNESCO, it joined the 13 conventions, including the ones listed above, which serve the protection of cultural property. The Russian Federation, which is also a member of the European Council and the UN, is supposed to act in compliance with the above-mentioned conventions. However, it is with its assistance that illegal actions occur on the uncontrolled territories of Georgia.

Unfortunately, the control mechanisms on the occupied territories are restricted and inactive – the occupier does not grant access for either the Georgian part, or the international monitoring missions, to assess the condition of the monuments, the state

of which is rather lamentable: the majority of them require immediate restoration and conservation work (according to the information we possess, an exception was made for the Russian representatives of ICOM and the former head of the European Union Monitoring Mission, Hansjörg Haber, who paid unofficial visits). The arbitrary behaviour of the local residents towards the monuments should also be noted. This can lead to serious consequences later on. Abkhazia, along with the monuments of epochal importance that are situated there, is closed to historians specializing in the study of the cultural heritage, art historians, and restorers.

Prior to reviewing the breach of the laws and norms established by the international conventions, we would like to briefly refer to the offences which occurred during the so-called “rehabilitation” of the Ilori Cathedral of St. George, and which evade and neglect the Law of Georgia on Cultural Heritage. The aim of this law is to protect the cultural heritage of Georgia, and to regulate legislative relations that arise in this field. This applies to the cultural heritage on the whole territory of Georgia. The following institutions implement the state protection of cultural heritage, within the authority defined by the country’s legislation: the Ministry of Culture, Sport, and Youth Affairs of Georgia; the Ministry of Justice of Georgia; organs of local self-administration, as well as other government bodies, public and private legal entities, while on the territory of the autonomous republics of Abkhazia and Adjara – the relevant bodies of the autonomous republics of Abkhazia and Adjara respectively.⁴

As we already know, the so-called “rehabilitation” of the cathedral of St. George of Ilori was carried out featuring multiple violations of the law and various procedures harmful for the monument (a detailed description of each stage of the works has been reviewed previously). These actions violated the Law of Georgia on Cultural Heritage; in particular, Article 24 of chapter VI of this law, which determines the monument protection mechanisms: “Any treatment to be conducted on a monument are prohibited unless legal permission is granted, in accordance with the Law of Georgia, including this particular act.” Furthermore, Article 26 (paragraph 6) of the law in question, which determines the nature of the restoration works, was

bypassed: “The restoration of lost shapes, fragments, and elements of monuments may be conducted only within the scope of restoration or reconstruction works of the object, in case of the lost shapes, fragments, and elements to be restored having been completely identified, based on the design documents, prepared on the basis of accurate scientific data. Documentary material and scientific research shall always be taken into consideration.” It is unknown what documentary material the occupant country and the self-proclaimed authorities were guided by. The latter made some comments about the event, stating that the placing of the onion dome was the self-will of the local clergy. However, they also noted that “there was nothing bad about the whitewashing of the cathedral, and there had been no Georgian inscriptions on the façades”⁴. We can clearly see the absolute negligence of the history of the monument, a campaign that is aimed at the obliteration of Georgian traces of any type – the conservation of the 11th century cathedral has never been a priority.

“The conservation plan of a cultural property of complex structure” is reviewed in Article 27. This article and its subparagraph 2 should have been considered in relation to Ilori cathedral. In particular, a conservation plan ought to have been drawn up, which would determine the list of permissible and recommended works on each constituent object of the complex monument. This would have been an agreement act, which would have defined the main standing order for the research, rehabilitation, and development of the monument, and the rules of its maintenance, which are individual for each monument. Unfortunately, the “initiatives” of the local population appeared to be above the law; a fact which resulted in serious damage to the monument.

Article 36 determines the physical security zone of cultural property, its vicinity and regime. The area of the physical security zone of the monument is the territory surrounding the monument, where any activity can lead to the physical damage of the cultural property; thus, “the activities which can harm or pose a threat of damaging, distorting its shapes and perception or serviceability are prohibited in the physical security perimeter of the monument; including the following:

- a) activity leading to the considerable vibration or deformation of the ground;
- b) the storage of chemicals, easily inflammable substances;
- c) the erection of structures that do not serve the purpose of protection of the monument or the improvement of its environment;
- d) the selection of plant species and planting techniques that damage the cultural property.”

Unfortunately, we do not possess information about any activity taking place in the vicinity of the Cathedral of Ilori, or whether any types of construction works, which can damage the structure of the monument due to underground vibrations, are underway.

In general, the absolute disregard of Georgian legislation, and the arbitrary actions of the occupier and the self-proclaimed authorities can clearly be seen, which will eventually affect the condition of the monument. The destructive forces take advantage of the fact that Georgian jurisdiction does not currently apply to the occupied territory of Abkhazia. But for this fact, Article 31 of the law in question would have been put to action, implying that “any deliberate effect on cultural property that may threaten to irrevocably damage or destroy the cultural property shall result in the imposition of criminal liability on the person responsible, in accordance with the procedures established by the legislation of Georgia.”

The occupant side demonstrates outright disregard for the laws and Constitution of Georgia. However, the fact that Russia bypasses the Conventions of the European Council and UNESCO is particularly thought-provoking, and should be seen as a threat for the world community. For instance, it is stated in the Venice Charter of 1964, that restoration is a means of a specialized nature, and “is based on respect for original material and authentic documents” (Article 9); and yet it is known how the monument in question has been changed from its original state. A year after the adoption of the Venice Charter, the International Council on Monuments and Sites (ICOMOS) was founded in Paris in 1965. Both Georgia and the Russian Federation are among the member states of this organization.

According to the convention, “additions cannot be allowed except in so far as they do not detract from the

interesting parts of the building, its traditional setting, the balance of its composition and its relation with its surroundings” (Article 13); however, we can clearly see some undefined structure in the inner yard of Ilori church. It is quite a recent structure (supposedly a baptistery), and has been built completely bypassing the law.

Every agreement or law that has been quoted implies that the country signing the convention or charter is responsible for the breach of the law and so it must ensure the execution of the correct policy towards the cultural heritage on its territory. Thus, while the Georgian side must accept its share of responsibility, the offence is twice as serious when one country disregards another’s border, and follows a conquest policy, both in a physical and ideological way.

The Russian Federation does not recognize the fact that the monuments situated on the territory of Abkhazia are part of both Georgian and international heritage – yet, the UNESCO Convention concerning the Protection of the World Cultural and Natural Heritage of 1972 declares that the subject of protection and care of the universal heritage is a collective business, which requires the unity and support of civil society.

References:

- Akhaladze L. 2005. Apkhazetis ep’igrapika rogoris saist’orio ts’karo: lapidaruli da presk’uli ts’arts’erebi. Tbilisi (in Georgian).
- Alania K. 2019. Iloris t’adzari – ist’oria da tanamedrove p’roblemebi. *Master Thesis* (in Georgian).
- Beridze V. 2014. Kartuli khurotmodzgvrebis ist’oria, Tbilisi (in Georgian).
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=16>.
- <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/177930/>.
- http://unesco.ge/?page_id=534.
- https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/heritage.shtml.
- <http://icomos.org.ge/ge/statutes/>.
- <https://www.tbilisiarchitecture.net/ka/the-venice-charter-1964/>.
- <https://www.radiotavisupleba.ge/a/2297437.html>.



ჯვრის რელიეფი ნადარბაზევის ეკლესიიდან, X ს. შიდა ქართლი
Stone relief of the cross, Nadarbazevi Church, 10th c. Shida Kartli

